ზურაბ ახვლედიანი

ვალდებულებითი სამართალი

(მეორე გამოცემა)

გამომცემლობა „სამართალი"
თბილისი – 1999

ნაშრომი დაწერილია ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

რედაქტორები ლადო ჯანტურია
ბესო ზოიძე

ბ-285247

© გამომცემლობა „სამართალი“, 1999

© ზ. ახვლედიანი, 1999

289/4/76

ზურაბ ახვლედიანი დაიბადა 1933 წელს ცაგერში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო 1960 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. მალე სამეცნიერო მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1971 წლიდან სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტია. 1990 წლიდან — პროფესორი. 1982 წლიდან სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილეა, ხოლო 1998 წლიდან გარდაცვალებამდე — ამავე კათედრის გამგე.

ბატონი ზურაბის, გამორჩეულად ნიჭიერი მეცნიერისა და მკვლევარის მაღალი ერუდიციის, გასაოცარი შრომისმოყვარეობის შედეგია მისი მრავალმხრივი შემოქმედება. იგი სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორია, რომლებიც ყოველთვის იმსახურებდა სპეციალისტთა და ფართო მკითხველი საზოგადოების დიდ ინტერესსა და მაღალ შეფასებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ზურაბის ღვაწლი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაში. იგი ახალი სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის აქტიური წევრი იყო. გამოაქვეყნა მრავალი საყურადღებო ნაშრომი, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ახალი სამოქალაქო კოდექსის ცხოვრებაში დანერგვა.

ბატონმა ზურაბმა სიცოცხლის ბოლომდე დაუღალავი ახალგაზრდული ენერგიით იღვაწა.

ბატონი ზურაბი, ახალგაზრდებისათვის საყვარელი პედაგოგი, საუკეთესო ლექტორი და შესანიშნავი მეგობარი იყო. მან კეთილსინდისიერად, გასაოცარი თავდადებით აკეთა თავისი საკეთებელი, უხმაუროდ იღვაწა ქვეყნისა და ხალხის, ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ. უბადლო ნიჭისა და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების, შინაგანი არისტოკრატიზმის, სისადავისა და უბრალოების წყალობით ღირსეულად ატარა შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის სახელი. ამიტომაც დაიმსახურა საზოგადოების ისეთი დიდი სიყვარული, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

დარწმუნებული ვართ წინამდებარე წიგნი, რომლის შევსებულ მეორე გამოცემას ბატონი ზურაბი ვერ მოესწრო, ქართველი იურისტებისათვის სამაგიდო წიგნად იქცევა.

რედაქტორებისაგან

გულსატკენია, რომ ამ წიგნის გამოცემას ველარ მოესწრო მისი ავტორი პროფესორი ზურაბ ახვლედიანი. დასანანია, რომ ჩვენს გვერდით აღარაა ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი უპირველესი შემოქმედი და სახელგანთქმული ცივილისტი.

წიგნის ეს გამოცემა არსებითადაც სრულყოფილია, როგორც თავისი სისტემით, ისე შინაარსით. მასში დამატებულია ვალდებულებითი სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ხაბანკო გარანტია, თავდებობის ხელშეკრულება, საზიარო უფლებები, დელიქტური ვალდებულებანი. ამდენად, წიგნში მთელი ვალდებულებითი სამართალია წარმოდგენილი თავისი ზოგადი და კერძო ნაწილით.

მოცემული მონოგრაფია პირველ სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლისა. მასში ცივილისტიკის უაღრესად რთული პრობლემები, უაღრესად მარტივად და გასაგებადაა გადმოცემული და ამდენად იგი ხელმისაწვდომია ყველა იურისტისათვის.

იმედი გვაქვს, რომ ჩვეული ინტერესით შეხვდება მკითხველი საზოგადოება იურისტებისათვის საყვარელი პროფესორის ზურაბ ახვლედიანის მდიდარი შემოქმედების ამ ქმნილებას.

რედაქტორები პროფ. ლადო ჭანტურია
პროფ. ბესარიონ ზლოძე

ზოგადი ნაწილი

თავი I

ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ

ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ყველაზე დიდი ნაწილია. იგი წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს ქონების გადაცემასთან, სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან, ზიანის მიყენებასთან, უსაფუძვლო გამდიდრებასთან და სხვ. დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს.

ვალდებულებითი სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან შედგება. ზოგადი ნაწილი მოიცავს ნორმებს, რომლებიც თანაბრად გამოიყენება ყველა ვალდებულების მიმართ. ესენია ნორმები, რომლებიც შეიცავენ ზოგად დებულებებს ვალდებულებათა და ხელშეკრულებათა, ვალდებულებების შესრულების, მისი შეწყვეტის შესახებ და სხვ. კერძო ნაწილი კი ისეთ ნორმებს მოიცავს, რომლებიც არეგულირებენ ცალკეულ ვალდებულებებს (ნასყიდობას, ქირავნობას, ნარდობას და სხვ.).

თვით ვალდებულება სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა (სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სახეა). ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი). *მაშასადამე, ვალდებულება ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს განსაზღვრული მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების შესრულება.*

ტერმინი „ვალდებულება" მეცნიერებასა და პრაქტიკაში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება. მართალია, ის უპირველესად აღნიშნავს განსაზღვრულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, მაგრამ ზოგჯერ გულისხმობს მოვალის ვალდებულებას (ვალს) ან დოკუმენტს, რომელშიც ფიქსირებულია ასეთი ვალდებულება (ხელწერილი, ქვითარი და სხვ.).

ვალდებულების, ისე როგორც ყველა სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის, ელემენტებს წარმოადგენს – სუბიექტი, მინაარსი (უფლება და ვალდებულება) და ობიექტი.

ვალდებულების სუბიექტები მასში მონაწილე პირებია, რომლებიც იწოდებიან კრედიტორად და მოვალედ. კრედიტორი ვალდებულების ის მხარეა, რომელსაც განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო *მოვალე* ის მხარეა, რომელმაც უნდა შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა.

ვალდებულების შინაარსს შეადგენს მისი მხარეების უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ, კრედიტორის უფლება მოითხოვოს მოვალისაგან რაიმე მოქმედების შესრულება (ქონების გადაცემა, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და სხვ.) ან მოქმედებისაგან თავის შეკავება და მოვალის ვალდებულება შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო და სხვ.) ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან.

ვალდებულების შესრულებით დაინტერესებულია კრედიტორიც და მოვალეც. ვალდებულების შესრულებისას თითოეული მხარე ვალდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მეორე მხარეს მისი ვალდებულების შესრულებაში. კრედიტორის ფუნქცია მხოლოდ იმით როდი ამოიწურება, რომ მოითხოვოს შესრულება მოვალისაგან. მან, თავის მხრივ, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ვალდებულება შესრულდეს და არ დაირღვეს მეორე მხარის უფლებები და ინტერესები. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორმხრივ ვალდებულებებში, რომლებიც არ შესრულდება ორივე მხარის შესაბამისი მოქმედების გარეშე.

სწორედ ამაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თავისი მინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს ის, რაზეც მიმართულია კრედიტორის უფლება (მოთხოვნის უფლება) და მისი შესაბამისი მოვალის ვალდებულება. რამდენადაც კრედიტორის უფლება და მოვალის ვალდებულება მიმართულია მოქმედების შესრულებაზე (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე), მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) წარმოადგენს ვალდებულების ობიექტს. კონკრეტულ ვალდებულებათა ობიექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი შეიძლება გამოიხატონ ქონების გადაცემაში (მაგალითად, ნასყიდობისას), სამუშაოს შესრულებაში (მაგალითად, ნარდობისას), მომსახურების გაწევაში (მაგალითად, დავალებისას) და ა. შ. ხშირად მოქმედება მიმართულია რაიმე ქონებაზე ან არამატერიალურ სიკეთეზე, რასაც ვალდებულების საგანს უწოდებენ.

ვალდებულება, ისე როგორც ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა განსაზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომელთაგან კანონი განსაკუთრებით გამოყოფს ისეთ იურიდიულ ფაქტს, როგორიცაა ხელშეკრულება. ვალდებულებათა უმეტესობა მყარდება ხელშეკრულებაში გამოხატული მისი მონაწილეების ნებით.

ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ცალმხრივი გარიგებაც. მაგალითად, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ანდერძიდან. კანონი ითვალისწინებს, რომ მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს იღებს, მოანდერძის მიერ შეიძლება დაეკისროს რაიმე ვალდებულების შესრულება ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ (საანდერძო დანაკისრი). პირს, რომლის სასარგებლოდაც გაკეთდა მოანდერძის ასეთი განკარგულება (საანდერძო დანაკისრის მიმღებს), უფლება აქვს მოითხ-

ოვის მემკვიდრისაგან საანდერძო დანაკისრის შესრულება, ხოლო მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს იგი მოანდერძის ნების შესაბამისად. ამრიგად, მემკვიდრის ვალდებულება და საანდერძო დანაკისრის მიმღების უფლება აღმოცენდება ცალმხრივი გარიგებიდან – ანდერძიდან. ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობას იწვევს ასევე ისეთი ცალმხრივი გარიგება, როგორიცაა ჯილდოს საჯაროდ შეპირება. დადგენილია, რომ ის, ვინც საჯარო დაპირებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, ვალდებულია გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოქმედება შეასრულა. მაშასადამე, ჯილდოს შემპირებელსა და იმ პირს შორის, რომელიც გარკვეულ მოქმედებას შეასრულებს, წარმოიშობა ვალდებულებითი ურთიერთობა. იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც იწვევენ ვალდებულების წარმოშობას, ასევე წარმოადგენს ზიანის მიყენება (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრება და სხვ. დადგენილია, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების პროცესი ზოგჯერ გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, პირს მოლაპარაკების პროცესში დასჭირდა ადვოკატის მომსახურება, რომელიც შორიდან ჩამოვიდა და გასწია მგზავრობის ხარჯები და სხვ. ბუნებრივია, ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აანაზღაუროს ზემოთდასახელებული ხარჯები, როცა ხელშეკრულება არ დადებულა. როგორც წესი, მოლაპარაკების დროს წარმოშობილი ხარჯები უნდა გასწიონ თვითონ მოლაპარაკების მონაწილეებმა. მოლაპარაკების მონაწ-

ილეს შეუძლია მეორე მონაწილისაგან მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც გასწია ხელშეკრულების დასადებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მესამე ნაწილი). მაგალითად, ხელშეკრულება არ დაიდო იმიტომ, რომ მოლაპარაკების ერთმა მონაწილემ მეორეს ყალბი ცნობები მიაწოდა. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება არ დაიდება მოლაპარაკების ერთ-ერთი მონაწილის ბრალით, წარმოიშობა ვალდებულება (ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება).

ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება. მაგალითად, ახალი ტექნიკის შეძენის დროს მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია ამ ტექნიკის გამოყენების შესახებ და სხვ. ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაჰენტს შეუძლია საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია. ინფორმაციის გაცემის ხარჯები ვალდებულ პირს უნდა აუნაზღაუროს მისმა მიმღებმა (სამოქალაქო კოდექსის 318-ე მუხლი).

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით (ხელშეკრულებიდანაა წარმოშობილი თუ სხვა იურიდიული ფაქტებიდან) *ვალდებულებები იყოფიან ორ ტიპად – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებად*. ვალდებულებათა ასეთ დაყოფას უპირატესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შინაარსი განისაზღვრება არა მხოლოდ კანონით, არამედ ასევე ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით, არასახელშეკრულებო ვალდებულებების შინაარსი კი დამოკიდებულია მხოლოდ კანონზე, ან კანონზე და ვალდებულების ერთი მხარის ნებაზე.

თავი II.

ხელშეკრულება

§1. ზოგადი დებულებანი ხელშეკრულებათა შესახებ

ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეა. საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავისთავად არ წარმოშობენ ურთიერთობებს პირთა შორის, ხელშეკრულების დადება იწვევს კონკრეტული ურთიერთობის წარმოშობას ორ ან მეტ სუბიექტს შორის. *ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთობა თანასწორუფლებიანობაზეა დაფუძნებული* და ისინი არ ექვემდებარებიან ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, ფიზიკური პირები არიან ისინი, იურიდიული პირები, სახელმწიფო თუ სხვა.

ხელშეკრულება ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებაა. ამიტომ ყველა ხელშეკრულება გარიგებაა. მაგრამ *ყველა გარიგება ხელშეკრულება არაა* (ცალმხრივი გარიგება ხელშეკრულება არ არის). ხელშეკრულების დასადებად ორი (ან მეტი) პირის ნების შეთანხმებაა საჭირო, მაგრამ ხელშეკრულება გულისხმობს ორი (ან მეტი) პირის არა ყოველგვარ შეთანხმებას, არამედ ისეთს, რომელიც მისი მონაწილეებისათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „ხელშეკრულება" და „ვალდებულება". ხელშეკრულება იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს ვალდებულების წარმოშობას, ვალდებულება კი სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ სხვა საფუძვლებიდანაც. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ტერმინი „ხელშეკრულება" ყოველთვის ერთი და იმავე მნიშვნელობით არ გამოიყენება. გარდა იმისა, რომ ასე ეწოდება მხარეთა შეთანხმებას, ზოგჯერ

ხელშეკრულებაში გულისხმობენ თვით ვალდებულებას, რომელიც ასეთი შეთანხმებიდან წარმოიშობა, ზოგჯერ კი ის ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ვალდებულების წარმოშობას მისი მონაწილეების ნებით.

კანონით განმტკიცებულია ხელშეკრულების დადების თავისუფლება. *კერძო სამართლის სუბიექტებს კანონის ფარგლებში შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.* საქართველო სამართალი არ იცნობს ხელშეკრულებათა ამომწურავი ჩამონათვალის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება დაიდოს ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც, მართალია, არ არის გათვალისწინებული საქართველოს კოდექსით ან სხვა საკანონმდებლო აქტებით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს.

ზოგიერთი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საზოგადოებისა და პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის სახელმწიფოს ნებართვაა საჭირო (მაგალითად, სანადირო თოფის შესაძენად ნებართვა საჭირო). ასეთი ხელშეკრულებები, მართალია, თავსდება კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ფარგლებში, მაგრამ ნებართვათა გაცემის საკითხებში ცალკე კანონით წესრიგდება.

ხელშეკრულების დადება მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, რაც ცხადია იმასაც გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ ერთმანეთი. მაგრამ კანონი ადგენს გამონაკლისებს, როცა პირს ეკვალება ხელშეკრულების დადება ყოველ პირთან, რომელიც აძას მოისურვებს. დადგენილია, რომ როცა პირს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ აუცილებელია დომინირებული მდგომარეობა მთელ ქვეყანაში ან ქალაქში, საკმარისია ასეთი მდგომარეობა განსაზღვრულ რაიონში, უბანში და ა. შ. ასეთ პირს არ შეუძლია ასევე ისარგებლოს დომინირებული მდგომარეობით და კონკრეტულ კონტრაჰენტს შესთავაზოს ხე-

ლშეკრულების არათანაბარი პირობები. მაგალითად, დაუშვებელია, რომ მაჭარებლის კონკრეტული მგზავრისაგან მოითხოვოს იმაზე მეტის გადახდა, ვიდრე სხვებისაგან.

პირს, რომელიც მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, არ შეუძლია დაუსაბუთებელი უარი უთხრას ხელშეკრულების დადებაზე იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებით ან მომსახურებით (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი). მაგალითად, მაღაზიაში არ შეიძლება უარი ეთქვას პირს, რომელიც იძენს საქონელს არასამეწარმეო მიზნით, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, თუ არ არსებობს დასაბუთებული მიზეზი.

კანონი კრძალავს ისეთი ხელშეკრულებების დადებას, რომელთა საგანს მომავალი ქონება შეადგენს. მიუღებელია ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლითაც ერთ-ერთი მხარე კისრულობს მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთი მხარის მოვალეობას მთელი თავისი მომავალი ქონება (ქონება, რომელსაც ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიძენს) ან მისი ნაწილი (ნახევარი, ერთი მესამედი და ა. შ.) გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს, მაშინ ასეთი ხელშეკრულება ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე (სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლი). მაგალითად, პირს შეუძლია დადოს მაგიდის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არა აქვს და შემდეგ შეიძენს. განსხვავებულად წყდება საკითხი, როცა საქმე ეხება არა მომავალ, არამედ პირის მთელ ამჟამინდელ ქონებას ან მის ნაწილს. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი მხარის ვალდებულებას მთელი თავისი ქონება (ქონება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს აქვს) ან თავისი ამჟამინდელი ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ან უზუფრუ-

ქტით დატვირთოს იგი (მაგალითად, შეიძლება დაიდოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს შეადგენს არა ცალკეული ნივთები, არამედ გამყიდველის მთელი ქონება ან მისი ნაწილი — ნახევარი, ერთი მესამედი და ა. შ. ასეთი ხელშეკრულება მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას, იმ შემთხვევების გარდა, როცა ხელშეკრულება დადებულია ამჟამინდელი ქონების ცალკეულ ნივთებზე (სამოქალაქო კოდექსის 321-ე მუხლი).

არ დაიშვება პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირებს შორის ხელშეკრულების დადება. არ დაიშვება ასევე პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილისა და საანდერძო დანაკისრის თაობაზე ხელშეკრულების დადება. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი. პირის სიცოცხლეში დასაშვებია ხელშეკრულების დადება მხოლოდ მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამკვიდრო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე (სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლი). მაგალითად, მომავალ კანონით მემკვიდრეს მეორე კანონით მემკვიდრესთან შეუძლია დადოს იმ ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც ის მიიღებს სამკვიდროს გახსნის შემდეგ.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ შესრულების პირობები განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე თვითონ ადგენს იმ დაკმაყოფილების ოდენობას, რაც მან უნდა მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის და სხვ. ანდა ასეთი მინდობილი აქვს მესამე პირს (მაგალითად, ხელშეკრულებაში შეიძლება მითითებულ იქნეს მესამე პირზე, რომელსაც მინდობილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა). ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. მაგალითად, ექიმი კერძო პირ-

თან მიმართებაში თავის ჰონორარს განსაზღვრავს ექიმისათვის დამკვიდრებული ანაზღაურების ფარგლებში, თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად, ან მათი განსაზღვრა ჭიანურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო (სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი).

როგორც ცნობილია, ვალდებულებითი ურთიერთობები, გარდა ხელშეკრულებისა, სხვა საფუძვლებიდანაც წარმოიშობიან, კერძოდ, ზიანის მიყენებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან და სხვ. და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენენ, თუ ასეთი ვალდებულებების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება სახელშეკრულებო ვალდებულებების წესები (სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლი).

§2. ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე (პუნქტზე) შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი). ყოველი ხელშეკრულება გულისხმობს მხარეთა ნების შეთანხმებას. ასეთი შეთანხმება კი შეიძლება მიღწეულ იქნეს ერთი პირის მიერ მეორისათვის ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების მიცემითა და მეორე მხარის მიერ ამ წინადადების მიღებით. ამრიგად, ხელშეკრულების დადების პროცესი მოიცავს ორ მომენტს – წინადადების მიცემისა (შეთავაზების) და წინადადების მიღების მომენტს. ეს ორი მომენტი განსაზღვრავს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის საკითხს, რამდენადაც ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების მიცემით და ამ წინადადების მიღებით მხარეები გამოხატავენ ნებას ხელშეკრულების დადების შესახებ. ამასთან, ნება შეიძლება გამომჟღავნდეს (გამოიხატოს) სხვადასხვა საშუალებებით – სიტყვიერად, წერილობით, დეპეშით, გარკვეული მოქმედებ-

ით და სხვ. *ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას ეწოდება ოფერტი, წინადადების მიმცემ მხარეს კი – ოფერენტი, ხოლო წინადადების მიღებაზე თანხმობას – აქცეპტი, მხარეს კი, რომელმაც წინადადება მიიღო – აქცეპტანტი.*

ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება მაშინ ჩაითვლება ოფერტად, როცა ის შეიცავს მომავალი ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ წინადადება მიმართული უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე პირისადმი განპირობებულია იმით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ ოფერტად ჩავთვლით წინადადებას, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი) ერთსა და იმავე საგანზე შეიძლება დადოს რამდენიმე ხელშეკრულება, რომელთაგან რეალურად შეიძლება ერთი შესრულდეს. ამიტომ წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს არა ოფერტს, არამედ მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული. მაგალითად, რეკლამა, თუნდაც ის შეიცავდეს მითითებას მომავალი ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, ასევე ტარიფების, პრეისკურანტების გაგზავნა, გაზეთით გამოცხადება და სხვ. მიმართული არიან პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და წარმოადგენენ ოფერტზე მოწვევას.

ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) შემოთავაზებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ წინადადებაში გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება (სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადებაში გამოხატულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადების აშკარა განზრახვა და არა უბრალოდ ინფორმაცია ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის შესახებ. თუ ერთმა პირმა მეორეს შეატყობინა ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, მაგრამ წინადადებიდან აშკარად არ

ჩანს ხელშეკრულების დადების განზრახვა, მაშინ ასეთი შეტყობინება ოფერტი არ აქნება (მაგალითად, ერთმა პირმა მეორეს შეატყობინა, რომ განსაზღვრული პირობებით აპირებს საქონლის გაყიდვას). ასეთი შეტყობინება ოფერტზე ძოწვევად უნდა ჩაითვალოს.

ხელშეკრულების დადების წესი ერთგვარად განსხვავებულია იმისდა მიხედვით, ოფერტში მითითებული იყო თუ არა პასუხის გაცემის ვადა. თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 331-ე მუხლი). ოფერენტი, თავის მხრივ ამ ვადის გასვლამდე უნდა დაელოდოს პასუხს (აქცეპტს). თუ ოფერტში პასუხის გაცემის ვადაზე მითითებული არ არის, მაშინ ვადის განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით ხელშეკრულება იდება თანამყოფ თუ არათანამყოფ პირებს შორის. თანამყოფად ითვლებიან პირები, როცა უშუალო კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან შეხვედრით ან ტელეფონით. როცა თანმყოფ და არათანმყოფ პირებზე ვლაპარაკობთ, მნიშვნელობა არა აქვს ტერიტორიულ დაშორებას. პირები შეიძლება ტერიტორიულად დაშორებული იყვნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ მაინც თანამყოფად ჩაითვალონ, თუ მათ შორის უშუალო კავშირია (მაგალითად, ტელეფონით).

პირია თანამყოფად და არათანამყოფად დაყოფას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ პირველ შემთხვევაში პასუხი ოფერტზე (მისი მიღება ან უარყოფა) შესაძლებელია დაუყოვნებლივ, მეორე შემთხვევაში კი ამისათვის განსაზღვრული დრო საჭირო. დადგენილია, რომ თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული (სამოქალაქო კოდექსის 330-ე მუხლის პირველი ნაწილი). წინააღმდეგ შემთხვევაში, ოფერტი არაფერს არ ავალებს ოფერენტს და შეუძლია მოიქცეს ისე, რომ თითქოს წინადადება საერთოდ არ იყო გაკეთებული (არაა გამორიცხული, რომ ოფერტში თანმყოფ პირებს შორის ურთიერთობისას, მითითებულ

იქნეს დროზე, რომლის განმავლობაში ოფერენტი თანახმაა დაელოდოს პასუხს. ასეთ შემთხვევაში ოფერტი იმავე წესებს ექვემდებარება, როგორსაც ოფერტი, რომელიც არათანმყოფ პირს გაეგზავნა). უფრო რთულდება საკითხის გადაწყვეტა, როცა წინადადება მიეცა არათანამყოფ პირს (პირს, რომელთანაც ოფერენტს უშუალო კავშირი არა აქვს და წინადადების მიცემა ხდება წერილობით, ტელეგრაფით და სხვ.). ცხადია, ასეთ შემთხვევაში ოფერენტი განუსაზღვრელი დროის განმავლობაში ვერ დაელოდება პასუხს. ისიც შესაძლებელია, რომ ის, ვისაც გაეგზავნა წინადადება, საერთოდ არ აპირებს პასუხის გაცემას. აღნიშნულის გამო აუცილებელია, რომ პასუხის მიღება დაკავშირებულ იქნეს რაიმე დროსთან. როგორც აღნიშნული იყო, თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში. თუ ასეთი ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტზე პასუხი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერენტს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს (სამოქალაქო კოდექსის 330-ე მუხლის მეორე ნაწილი). ოფერენტი პასუხს უნდა დაელოდოს პასუხის მისაღებად ნორმალურად საჭირო დროის განმავლობაში. სახელდობრ, თუ რა დრო უნდა ჩაითვალოს ნორმალურად საჭირო დროდ, უნდა გადაწყდეს არსებული საკომუნიკაციო პირობებითა და საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

როგორც წესი, ხელშეკრულება არ დაიდება, თუ აქცეპტი დაგვიანებულია, ე. ი. გასულია აქცეპტის მისაღებად დადგენილი ვადა. ამასთან, გამონაკლისის სახით შესაძლებელია ხელშეკრულების დადება დაგვიანებული აქცეპტის საფუძველზეც. თუ დაგვიანებით მიღებული აქცეპტიდან ირკვევა, რომ ის დროულად იყო გამოგზავნილი, მაგრამ არა აქცეპტანტის ბრალით შეყოვნდა გზაში, მაშინ აქცეპტი დაგვიანებით მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ შეატყობინებს მეორე მხარეს აქცეპტის დაგვიანებით მიღების

შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 332-ე მუხლი). ოფერენტმა პასუხის დაგვიანების შესახებ უნდა შეატყობინოს იმავე საშუალებით, რითაც მიიღო დაგვიანებული პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში აქცეპტი არ ჩაითვლება დაგვიანებულად და ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა ოუნდაც იმითაცაა გამართლებული, რომ თუ აქცეპტანტს არ ეცნობა პასუხის დაგვიანების შესახებ, მაშინ მას აქვს იმის ყველა საფუძველი, რომ ხელშეკრულება დადებულად ჩათვალოს და შეიძლება მთელი რიგი ღონისძიებები მიიღოს ხელშეკრულების შესასრულებლად.

სხვა შემთხვევებში ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად. ამ შემთხვევაში აქცეპტანტი ხდება ოფერენტი და ხელშეკრულების დადების საკითხი თავდაპირველ ოფერენტზეა დამოკიდებული, რომელსაც შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე ან მიიღოს წინადადება.

პასუხს ოფერტზე მაშინ აქვს აქცეპტის ძალა, როცა ოფერტი მიღებულ იქნება უსიტყვოდ და ყოველგვარი შენიშვნების გარეშე იმ სახით, რა სახითაც გამოხატული იყო. როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და ამავე დროს ახალ წინადადებად (სამოქალაქო კოდექსის 333-ე მუხლი). მაშასადამე, ოფერტზე უარის თქმად მიიჩნევა, როცა პირი, რომელსაც წინადადება მიეცა, სთავაზობს ოფერენტს წინადადებაში ახალი პირობების შეტანას ან თავდაპირველ ფორმულირებაში პირობების შეცვლას (ამგვარ აქცეპტს „მოდიფიცირებულ აქცეპტს" უწოდებენ და ნიშნავს თავდაპირველის უარყოფას და ახალ შეთავაზებას). არ ჩაითვლება, მაგალითად, აქცეპტად, როცა მხარე გამოთქვამს შეთავაზებული ნივთის შეძენის სურვილს, მაგრამ ნაკლებ ფასად, ვიდრე ოფერტში იყო მითითებული. ასეთი პასუხი წარმოადგენს არა აქცეპტს, არამედ დამოუკიდებელ ოფერტს და მისი მიღების დღიდან ოფერენტი აღარ არის

დაკავშირებული თავის ოფერტთან, ხოლო პასუხის გამგზავნი პირი ხდება ოფერენტი და ვალდებულია დაელოდოს პასუხს დადგენილი წესის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებს მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის.

ზოგჯერ ხელშეკრულება შეიძლება დადებულად ჩაითვალოს მაშინაც, როცა მხარეებს შორის არსებობს საქმიანი ურთიერთობა (მათთვის ცნობილია ის პირობები, რომლებსაც ჩვეულებრივ ერთმანეთის უყენებენ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისას), და თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინათვე არ განაცხადებს უარს (საბოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი).

დუმილი საერთოდ არ წარმოადგენს აქცეპტს, თუმცა კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა დუმილი აქცეპტად მიიჩნევა. დადგენილია, რომ თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩითვლება აქცეპტად. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია, რომ წინადადების მიმღები მხარე იყოს მეწარმე, ოფერენტი კი ის პირი, რომელიც მოცემულ მეწარმესთან საქმიან კავშირში იმყოფება, ე. ი. პირები, რომლებსაც ხშირი საქმიანი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მეწარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად.

იმ შემთხვევაში, როცა მეწარმემ უარყო ოფერტი, მაგრამ ოფერენტმა მათ შორის არსებული საქმიანი კავშირებიდან გამომდინარე ივარაუდა მეწარმის თანხმობა და უკვე გაგზავნა საქონელი ისე, რომ არ დაელოდა მეწარმის პასუხს, მაშინ მეწარმე ვალდებულია ზიანის თავიდან ასაცილებლად ოფერენტის სარჯზე დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს

(სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლი).

ხელშეკრულება, რომელიც იდება საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირსა და მომხმარებელს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში (მაგალითად, პირი საკუთარ სარეწში დამზადებულ ნივთებს ყიდის სახლის წინ), ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს (ხელშეკრულების დადებიდან ერთი კვირის ვადაში მომხმარებელმა წერილობით უნდა განუცხადოს მოვაჭრე პირს, რომ უარს ამბობს ხელშეკრულებაზე). ეს წესი ძალაშია მაშინ, თუ ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება ერთდროულად არ ხდება. თუ აღნიშნული სახის ხელშეკრულების შესრულება მისი დადებისთანავე ხორციელდება (ხელშეკრულების დადებისთანავე ხდება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის ნივთის გადაცემა და მომხმარებლის მიერ ფასის გადახდა), მაშინ, ხელშეკრულება ჩვეულებრივ, დადებისთანავე იძენს ძალას (სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი).

ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს საამისოდ დადგენილი ფორმით. თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილი). ხელშეკრულების ფორმის დაუცველობამ შეიძლება მისი ბათილობა გამოიწვიოს.

რამდენადაც ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი სახეა, მის მიმართ გამოიყენება წესები გარიგების ფორმის შესახებ.

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. მხარეებს ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების წერილობით დადება მაშინაც შეუძლიათ, როცა კანონი ამას არ მოითხოვს.

წერილობითი ხელშეკრულება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი და სანოტარო. მარტივი წერილობითი ფორმისათვის საკმარისია ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელის მოწერა. იმ პირს,

ვინც თვითონ ვერ აწერს ხელს ხელშეკრულებას. წერა-კითხვის უცოდინრობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დადასტურებულ უნდა იქნეს ოფიციალურად (ნოტარიუსის მიერ). ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც ხელშეკრულების დამდებმა ვერ შეძლო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა.

ხელშეკრულების სანოტარო დამოწმება სავალდებულოა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. საერთო წესის მიხედვით, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას უძრავ ნივთებზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით (სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი). მხარეთა შეთანხმებით სანოტარო ფორმით შეიძლება დაიდოს ისეთი ხელშეკრულებაც, რომლისთვისაც კანონი სანოტარო ფორმას არ მოითხოვს.

ცალკეული ხელშეკრულებებისათვის კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების დამატებით სტადიას — საჯარო რეესტრში რეგისტრირებას. თუ კანონი ითვალისწინებს, რომ ესა თუ ის ხელშეკრულება საჭიროებს რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, მაშინ ის დადებულად ითვლება რეგისტრაციის შემდეგ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი ადგენს, რომ უძრავი ნივთის შემძენისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

წერილობითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით. წერილობითი ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეფაქსი ან წერილების ურთიერთგაცვლა (სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მეორე ნაწილი).

კანონი სპეციალურად მიუთითებს ვალის აღიარების ხელშეკრულების ფორმაზე. ვალის აღიარების ხელშეკრულება (ხელშეკრულება, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი

ურთიერთობის არსებობა) აუცილებლად მოითხოვს წერილობით ფორმას. თუ საქმე ეხება ისეთი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის აღიარებას, რომლის წარმოშობისთვისაც მოითხოვება სხვა ფორმა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას. მაგალითად, თუ აღიარებულია ისეთი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის წარმოშობისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, მაშინ აღიარებაც სანოტარო წესით უნდა გაფორმდეს.

ვალის არსებობა შეიძლება აღიარებულ იქნეს ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით. ასეთ შემთხვევაში ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი).

§3. ხელშეკრულების შინაარსი

ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების (პუნქტების) ერთობლიობა. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის თავისებურებანი, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვ.

ხელშეკრულებაში იმ ყველა პირობის გათვალისწინება, რომელიც ხელშეკრულების შინაარსს ქმნის, საჭიროა. ამ თვალსაზრისით და იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით ხელშეკრულების პირობები რამდენიმე ჯგუფად იყოფა, რომელთაგან უპირველესად უნდა გამოიყოს ხელშეკრულების არსებითი პირობები.

დადგენილია, რომ *ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.* არსებით პირობებზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება. ტრადიციულად არსებითად მიჩნეულია შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ფასსა და ვადაზე.

არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ, აუცილებელია მოცემული სახის ხელშეკრულებისათვის და ასევე პირობები, რომლებზედაც თუნდაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მეორე ნაწილი). მაშასადამე, ერთი მხარის სურვილით შეიძლება არსებითად გახდეს პირობა, რომელსაც კანონი არსებითად არ მიიჩნევს.

პირობა, რომელიც ერთი ხელშეკრულებისათვის არსებითია, მეორისათვის შეიძლება არ იყოს არსებითი. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასი შეიძლება არსებით პირობად ჩაითვალოს, მაგრამ თხოვების ხელშეკრულებაში საერთოდ არ დგება ფასის საკითხი.

არსებითი პირობები აუცილებელი და საკმარისია ხელშეკრულების დასადებად. თუ მხარეები ყველა არსებით პირობაზე არ შეთანხმდნენ, ხელშეკრულება არ დაიდება, თუნდაც მიღწეულ იქნეს შეთანხმება სხვა პირობებზე. ამასთან, შესაძლებელია მხარეებმა ღიად დატოვონ ესა თუ ის არსებითი პირობა და შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ამ პირობას მოგვიანებით განსაზღვრავენ. მაგალითად, თუ გაყიდული საქონელი ხელშეკრულების დადებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ უნდა იქნეს მოწოდებული, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საქონლის ფასს განსაზღვრავენ მოწოდების დროს ბაზარზე არსებული კონიუქტურის მიხედვით, თუმცა, ამ შემთხვევაშიც არსებობს შეთანხმება ფასის განსაზღვრის საშუალებაზე.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ხელშეკრულების ჩვეულებრივ და შემთხვევით პირობებს. ჩვეულებრივია პირობა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებით, მაგრამ არაა აუცილებელი. ხელშეკრულების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული იმაზე – შეთანხმდნენ თუ არა მხარეები ასეთი პირობის თაობაზე. ჩვეულებრივი პირობები საქართველოს ნორმებით არის გათვალისწინებული და ავტომატურად მოქმედებს

ხელშეკრულების დადებისთანავე. იგულისხმება, რომ თუ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების დადებაზე, ამით ისინი დათანხმნენ იმ პირობებს, რომლებსაც შეიცავს ამ ხელშეკრულების შესახებ ნორმატიული აქტები. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მხარეებს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ ხელშეკრულებაში ისეთი პირობების შეტანა, რომელიც აუქმებს ან ცვლის კანონით გათვალისწინებულ ჩვეულებრივ პირობას. ასეთი შესაძლებელია, თუ ჩვეულებრივი პირობა განსაზღვრულია დისპოზიციური ნორმით. მაგალითად,. სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლით დადგენილია, რომ გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. მაშასადამე, ამ ნორმაში მოცემული ჩვეულებრივი პირობა რისკის გადასვლის შესახებ, შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

შემთხვევითი პირობები ცვლიან ან ავსებენ ჩვეულებრივ პირობებს, ისინი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნენ ხელშეკრულებით და შეიძლება არა. მაგრამ თუ შემთხვევითი პირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ჩვეულებრივი პირობის მსგავსად თავისთავად არ იგულისხმება. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ გაუთვალისწინებიათ თუ რა სახის ტრანსპორტით უნდა მიეწოდოს მყიდველს საქონელი, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ამ შემთხვევითი პირობის გარეშეც.

სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებით გამოყოფს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.

§4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობებია, რომლებიც მხარეთა შეთანხმებით კი არ განისაზღვრება,

არამედ მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს. მაგალითად, ელექტროენერგიის გამყიდველი მყიდველს უდგენს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფასს. თუ მხარე (მყიდველი) ამ პირობას მიიღებს, მაშინ ეს პირობა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდება. სტანდარტული პირობის ერთ-ერთი ნიშანი ისიცაა, რომ მისი მეშვეობით ხდება კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული და მათი შემვსები წესების დადგენა. მაგალითად, თუ გამყიდველი თვალსაჩინო ადგილას გააკეთებს წარწერას, რომ გაყიდულ საქონელში ნაკლის აღმოჩენისას პრეტენზიები არ მიიღება, ეს იქნება სამართლის ნორმისაგან განსხვავებული წესი, რადგან სამართლის ნორმები ჩაყიდ ნივთში ნაკლის აღმოჩენისას მყიდველს პრეტენზიის წარდგენის უფლებას აძლევენ.

სტანდარტულად არ ჩაითვლება პირობები, რომლებიც ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით დეტალურად არის განსაზღვრული, ე. ი. თუ მხარეები ხელშეკრულების ამა თუ იმ პირობაზე შეთანხმდნენ, მაშინ ეს პირობა არ შეიძლება სტანდარტული იყო, სტანდარტულ პირობას ერთი მხარე სთავაზობს მეორეს. ამასთან, უშუალოდ მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით (სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლი). მაგალითად, თუ მაღაზიაში ამა თუ იმ საქონელზე გამყიდველის მიერ წინასწარაა განსაზღვრული ფასი, რომელსაც სთავაზობს მყიდველს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხარეები მაინც შეთანხმდებიან ფასზე, მაშინ ასეთი პირობა სტანდარტული არ იქნება და შესრულების დროს უპირატესობა მიეცემა მხარეთა შორის შეთანხმებულ ფასს.

სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მხოლოდ მაშინ იქცევა, თუ შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას (მაგალითად მაღაზიაში) თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე, ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები. აღნიშ-

ნულის გარეშეც პირობები სტანდარტულად ჩაითვლება და ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა, თუ მეორე მხარე მეწარმეა და მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა (სამოქალაქო კოდექსის 443-ე მუხლი).

ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად არ იქცევა სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც გამოხატვის ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება (სამოქალაქო კოდექსის 344-ე მუხლი). მაგალითად, ნივთის ქირავნობა იმ პირობით, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელი ვალდებული იქნება შეიძინოს ქირავნობის საგანი. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტის ბუნდოვანების შემთხვევაში იგი განმარტებულ უნდა იქნეს მეორე მხარის სასარგებლოდ (სამოქალაქო კოდექსის 345-ე მუხლი).

რამდენადაც სტანდარტული პირობები განისაზღვრება მხოლოდ ერთი მხარის მიერ, აუცილებელია მეორე მხარის ინტერესების დაცვა, რომელიც პირობების განსაზღვრაში მონაწილეობას არ იღებს. ამიტომაა, რომ კანონით ბათილად ჩაითვლება სტანდარტული პირობა მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას ეს პირობები ხელშეკრულებაში იქნა შეტანილი, ასევე მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვ. (სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი).

სტანდარტული პირობების იმ დებულებათა ბათილობა, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს ფიზიკური პირების მიმართ, შეიძლება დაკავშირებული იყოს ვადებთან, რომელიც ეხება შეთავაზებული წინადადების მიღებას, შესრულებასა და შემთავაზებლის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებას. ბათილია სტანდარტულ პირობებში ისეთი დებულება, რომლითაც შემთავაზე-

ბელი აწესებს შეთავაზებული წინადადების მიღების ან უარყოფის. ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადას და დებულება თვით შემთავაზებლის მიერ მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს.

აღნიშნულის გარდა, ბათილია სტანდარტული პირობების დებულებები, რომლებიც უფლებას აძლევენ შემთავაზებელს გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლების გარეშე უარი თქვას თავის ვალდებულების შესრულებაზე, შეკვალოს შეპირებული სამუშაო ან გადაუხვიოს მას მეორე მხარის თანხმობის გარეშე ან ხელშეკრულების მეორე მხარისაგან მოითხოვოს შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება გაწეული ხარჯებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლებსაც. ესენია – დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში; დებულება, რომლითაც იზღუდება ან გამორიცხება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რომელიც მას კანონის თანახმად აქვს; მხარის უფლება უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მეორე მხარეს არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება; უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი გაქვითვის უფლება; პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო. კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულებათა ბათილობის სხვა შემთხვევებსაც (სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლი).

§5. ხელშეკრულებათა სახეები

ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით შეიძლება მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა სახეებად.

იმის მიხედვით, თუ როგორაა მხარეთა შორის განაწილებული უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულებები იყოფიან ცალმხრივად და ორმხრივად (მრავალმხრივად).

ცალმხრივია ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მისი ერთი მხარე იძენს მხოლოდ უფლებას, ე. ი. მხოლოდ კრედიტორია, მეორე მხარეს კი მხოლოდ მოვალეობა აქვს, ე. ი. მხოლოდ მოვალეა. ასეთია, მაგალითად, სესხის ხელშეკრულება. შესრულების ვადის დადგომისას გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან (მსესხებლისაგან) სესხის დაბრუნება, მაგრამ მსესხებლის მიმართ არავითარი ვალდებულება არა აქვს. მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხი, მაგრამ გამსესხებლის მიმართ რაიმე მოთხოვნის უფლება არა აქვს.

ორმხრივია ხელშეკრულება, რომლის თითოეულ მხარეს ერთდროულად აქვს უფლებაცა და ვალდებულებაც, ე. ი. თითოეული მხარე კრედიტორიცაა და მოვალეც. მაგალითად, ორმხრივია ნასყიდობის ხელშეკრულება, რამდენადაც გამყიდველს უფლება აქვს მიიღოს გაყიდული ქონების ფასი და, ამავე დროს, ვალდებულია გადასცეს ქონება მყიდველს, ხოლო მყიდველს უფლება აქვს მიიღოს ქონება და ამავე დროს ვალდებულია გადაიხადოს მისი ფასი. ხელშეკრულებათა უმრავლესობა ორმხრივია.

ხელშეკრულებათა დაყოფას ცალმხრივად და ორმხრივად განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ორმხრივი ხელშეკრულებისას, რომლის ყოველი მხარე ერთდროულად კრედიტორიცაა და მოვალეც, დგება მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების რიგითობის საკითხი. სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილია, რომ იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულებე-

ბის შესრულებაზე საპასუხო მოქმედებების განხორციელებამდე, იმ შემთხვევების გარდა, როცა იგი ვალდებული იყო წინასწარ შეესრულებინა თავისი ვალდებულება. ცალმხრივი ხელშეკრულებისას ვალდებულების შესრულების რიგითობის საკითხი საერთოდ არ დგება.

იმის მიხედვით, თუ რომელი მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულება დადებულად, ხელშეკრულებები იყოფა კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებებად.

კონსენსუალურია ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან (კონსენსუსი ლათინური სიტყვაა და შეთანხმებას ნიშნავს).

რეალური ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დასადებად მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმება საკმარისი არ არის, აუცილებელია ასევე ერთი მხარის მიერ მეორისათვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი გადაცემა. ასეთია, მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულება და სხვ.

განასხვავებენ სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს. სასყიდლიანია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ერთი მხარე მის მიერ შესრულებული მოქმედებისათვის იღებს მეორე მხარისაგან შემხვედრ დაკმაყოფილებას (ანაზღაურებას). ხელშეკრულებათა უმრავლესობა სასყიდლიანია.

უსასყიდლოა ხელშეკრულება, როცა ერთი მხარე მის მიერ შესრულებული მოქმედებისათვის არ იღებს სამაგიერო დაკმაყოფილებას (ანაზღაურებას). მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულება, თხოვების ხელშეკრულება და სხვ.

ზოგიერთი ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ყოველთვის სასყიდლიანია, მაგალითად, ნასყიდობა, ქირავნობა, ნარდობა და სხვ. ზოგიერთი კი ყოველთვის უსასყიდლოა, მაგალითად, ჩუქება, თხოვება და სხვ. არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეიძლება იყოს სასყიდლიანიც და უსასყიდლოც. მაგალითად, მიბარების ხელშეკრულება.

ხელშეკრულებათა გამიჯვნას იმის მიხედვით სასყიდლიანია იგი თუ არა, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც ხელშეკრულებით არ იღებს რაიმე მატერიალურ სარგებელს, ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სასყიდლიანი ხელშეკრულებისას, იმ პირისაგან, რომელიც სამაგიერო დაკმაყოფილებას არ იღებს, არ მოითხოვება განსაკუთრებული ზომების მიღება ქონების შენახვისას, თხოვებისას და სხვ. სამოქალაქო კოდექსის 765-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ მიბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია ისეთი კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა. სასყიდლიანი მიბარებისას კი შემნახველს შეიძლება დაეკისროს განსაკუთრებული ზომების მიღება ნივთის შესანახად.

იურიდიული შედეგების წარმოშობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ძირითადი და წინასწარი ხელშეკრულებები. ძირითადია ხელშეკრულება, რომელიც სრულდება კონკრეტული მოქმედების შესრულებით – ნივთის გადაცემით, საბუმაოს შესრულებით, მომსახურების გაწევით და ა. შ. ასეთია ხელშეკრულებათა დიდი უმრავლესობა. *წინასწარი ხელშეკრულების* საფუძველზე შესაბამისად წარმოიშობა ახალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. წინასწარი ხელშეკრულება შეთანხმებაა ძირითადი ხელშეკრულების დადების შესახებ. მაგალითად, სესხის წერილობითი შეპირება წარმოშობს სესხის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას (სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლი). ერთი მხარის მიერ წინასწარი ხელშეკრულებისაგან თავის არიდება უფლებას აძლევს მეორე მხარეს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და სასამართლოსაგან იმის აღიარება, რომ მეორე ხელშეკრულება შედგა.

ხელშეკრულებათა დიდი უმრავლესობის დადება მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა შეხედულებაზე (ე. წ. თავისუფალი ხელშეკრულებები). ამასთან, არსებობს ხელშეკრულებები, რომელთა

დადებაზე პირს უარის თქმის უფლება არა აქვს. მაგალითად, დადგენილია, რომ თუ ერთი პირი მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ მას არ შეუძლია უარი უთხრას ხელშეკრულების დადებაზე იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებით და მომსახურებით (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მესამე ნაწილი). მომავალში ხელშეკრულების დადება შეიძლება სავალდებულო იყოს ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებით. მაგალითად, საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მესამე ნაწილი). მაშასადამე, საჩუქრის შეპირება მომავალში ჩუქების ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს.

ხელშეკრულების თავისუფლება სრულიადაც არ გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირების შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსი შეიცავს იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს ზოგიერთი ხელშეკრულების პირობებს. იმპერატიული ნორმების მოთხოვნებიდან გადახვევა დაუშვებელია, რაც გამოწვეულია საჯარო და მომხმარებელთა ინტერესების დაცვით და სხვ. თუმცა სამოქალაქო კოდექსის ნორმათა უპეტესობა დისპოზიციურია და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები არ გამორიცხავენ მის გამოყენებას ან არ შეცვლიან მის წესებს სხვა პირობებით.

§6. მესამე პირისა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

ხელშეკრულებით მოთხოვნის უფლება ჩვეულებრივ მის დამდებ პირს აქვს. ამასთან, კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც მოვალისაგან მოთხოვნის უფლებას იძენს, როგორც ხელშეკრულების მხარე, ისე მესამე პირი (ეს

უკანასკნელი არც უშუალოდ და არც წარმომადგენლის მეშვეობით ხელშეკრულების დადებაში არ მონაწილეობს). ასეთ ხელშეკრულებებს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებს უწოდებენ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 836-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ.

მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება უნდა განვასხვავოთ ისეთი ხელშეკრულებისაგან, რომელთა მიხედვით შესრულება მესამე პირს უნდა გადაეცეს. მაგალითად, მაღაზიაში ვინმესთვის საჩუქრად ნივთის შეძენა და მაღაზიისათვის იმის დაკისრება, რომ მიიტანოს ეს ნივთი მყიდველის მიერ დათქმულ მისამართზე, იქნება ხელშეკრულება არა მესამე პირის სასარგებლოდ, არამედ ხელშეკრულება მესამე პირისათვის შესრულების გადაცემის შესახებ.

კანონი ადგენს ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა. ეს ზოგადი წესი მოქმედებს მაშინ, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი).

მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, კონტრაჰენტის თანხმობის მიუხედავად. თუ ხელშეკრულებაში სპეციალურად არ იყო დათქმული მესამე პირის უფლების შესახებ, მაშინ საქმის გარემოებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს მესამე პირმა უფლება უნდა შეიძინოს თუ არა, ეს უფლება მას მაშინვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობის და აგრეთვე, ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება

გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლი).

კანონი არ მოითხოვს მესამე პირის თანხმობას მის სასარგებლოდ ხელშეკრულების დასადებად. ამავე დროს, ის ვალდებულები არ არის ისარგებლოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებით. მესამე პირს შეუძლია ისარგებლოს მოთხოვნის უფლებით და შეუძლია უარი თქვას მასზე. როცა მესამე პირი უარს ამბობს მოთხოვნის უფლებებზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლი). ზოგჯერ ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, კონტრაჰენტს არ შეუძლია თვითონ ისარგებლოს ხელშეკრულებაში გამოხატული უფლებით. მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარეობს, რომ მხარეს, რომელმაც ხელშეკრულება დადო, არ შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებით, რადგან სწორედ მისი სიკვდილი წარმოადგენს მესამე პირისათვის გადახდის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

§7. ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხარეთა შეთანხმებითაა შესაძლებელი. ცალმხრივი უარის თქმა ხელშეკრულებაზე კი მაშინაა შესაძლებელი, თუ დაშვებულია კანონით ან მხარის ასეთი უფლება ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

კანონი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს ერთ-ერთ მხარეს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არღვევს განსაზღვრულ პირობებს. ეს პირობები გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით. ამ მუხლით დადგენილია, რომ თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მა-

შინ ხელშეკრულების ერთ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუ კი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი (აღნიშნული მუხლი დაწვრილებით განხილულია ამ ნაშრომის IV თავის მე-3 პარაგრაფში – „ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს").

თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, აღნიშნული პირობების არსებობისას, უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. მაშასადამე, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე გამოიყენებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ცხადია, . ხელშეკრულება შეწყდება, მაგრამ ის, რაც მხარეებმა ვალდებულების შესასრულებლად ხელშეკრულების შეწყვეტამდე უკვე გადასცეს ერთმანეთს, და ის სარგებელიც, რაც მიიღეს, ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ. როგორც წესი, დაბრუნება უნდა მოხდეს ნატურით, თუმცა ზოგჯერ ეს შეუძლებელია და იცვლება ფულადი ანაზღაურებით. მოვალეს ნატურით დაბრუნების ნაცვლად ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:

ა. შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე გამორიცხულია მისი დაბრუნება;

ბ. მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადააშუშავებს ან გადააკეთებს;

გ. მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა, სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სამაგიერის შესრულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულებით

დადებულია პირობა იმის თაობაზე, რომ საკასრი მოქმედების სამაგიეროდ მოვალეს შეუძლია შეასრულოს სხვა მოქმედება. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით.

კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევებსაც, როცა ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა. კერძოდ, ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა თუ:

ა. საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა;

ბ. საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა;

გ. საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს, ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.

როგორც აღნიშნული იყო, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის გადაცემის ვალდებულება. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი). სარგებლის გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი მოვალემ (მხარემ, რომელსაც ევალება სარგებლის დაბრუნება) მაშინაც უნდა აანაზღაუროს, როცა მას სარგებელი არ მიუღია. მოვალეს ასეთი პასუხისმგებლობა დაეკისრება მაშინ, როცა მას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო სარგებელი, მაგრამ ვერ მიიღო საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო.

მოვალეს, როცა საგანს უკან აბრუნებს, ანაზღაურებს ფულით და მაშინაც, როცა ფულით ანაზღაურება დაუშვებელია, უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი დანახარჯები. იგულისხმება

ხარჯები, რაც მოვალეს გასწია ამ საგნის შენახვისათვის, აღდგენისათვის და სხვ. მაგალითად, მოვალეს უნდა აუნაზღაურდეს დაბრუნებული პირუტყვის შენახვის ხარჯები. რაც შეეხება სხვა დანახარჯებს, ისინი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორმა მათ საფუძველზე სარგებელი მიიღო (სამოქალაქო კოდექსის 353-ე მუხლი).

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები (შესრულების დაბრუნება, სარგებლისა და ხარჯების ანაზღაურება) მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად (სამოქალაქო კოდექსის 354-ე მუხლი).

ხელშეკრულებიდან გასვლა, როცა მხარეს ასეთი უფლება აქვს, ცალმხრივად ხორციელდება. ის არ მოითხოვს გამსვლელი მხარის მიერ მეორე მხარესთან შეთანხმებას, მაგრამ საჭიროა მისთვის შეტყობინება (სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი).

ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა შეიძლება დადგენილი არ იყოს: ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება გამსვლელ პირს მეორე მხარისაგან განესაზღვროს. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გამსვლელმა პირმა ამ ვადის გასვლამდე უნდა განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება (სამოქალაქო კოდექსის 356-ე მუხლი).

ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობისას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის (და არა ერთ მხარეზე მყოფი რამდენიმე პირის მიერ). ხელშეკრულებაზე უარი უნდა თქვას ერთ-ერთი მხარის ყველა მონაწილემ და ამის შესახებ უნდა შეატყობინონ მეორე მხარის ყველა მონაწილეს და არა მეორე მხარის რომელიმე მონაწილეს. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქარწყლდა ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის (პირისათვის, რომელიც იმ მხარის წევრია, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის), მაშინ ეს უფლება ქარწყლდება ყველასათვის (სამოქალაქო კოდექსის 357-ე მუხლი).

ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებაზე უარის თქმა არ დაიშვება, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 358-ე მუხლი).

თავი III.

ვალდებულებათა შესრულება

§1. ზოგადი დებულებანი

ვალდებულების შესრულება ნიშნავს მოვალისაგან იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს. სწორედ ასეთი მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) წარმოადგენს ვალდებულების ობიექტს. უმეტეს შემთხვევაში ვალდებულების ობიექტი არის მოვალის მოქმედება (ქონების გადაცემა საკუთრებაში, სარგებლობაში, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და სხვ.). *ვალდებულებას, რომლის შესრულება ხდება მოქმედებით, უწოდებენ ვალდებულებას დადებითი შინაარსით.* მოქმედებისაგან თავის შეკავება იშვიათადაა ვალდებულების ობიექტი. ასეთი ვალდებულება შესრულებულად ითვლება, თუ დადგენილი ვადის განმავლობაში მოვალე არ შეასრულებს მოქმედებას, რომლისაგან თავის შეკავება ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული (მაგალითად, თუ საავტორო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ავტორმა განსაზღვრული ვადის განმავლობაში ნაწარმოები არ გადასცეს სხვა გამომცემელს, მაშინ, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუ ავტორი სხვას არ გადასცემს ნაწარმოებს). *ვალდებულებას, რომლის შესრულება ხდება მოქმედებისაგან თავის შეკავებით, უწოდებენ ვალდებულებას უარყოფითი შინაარსით.*

კანონით დადგენილია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (საქართველოს კოდექსის 361-ე მუხლი). *ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ითვალისწინებს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო სუბიექტების მიერ, სათანადო დროსა და ადგილას, სათანადო სახით (საშუალებით) და სხვ.*

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება (როცა არ სრულდება თუნდაც მისი ერთ-ერთი მოთხოვნა) უარყოფით შედეგებს იწვევს არა მხოლოდ კრედიტორისათვის, არამედ მოვალისათვისაც. არაჯეროვანმა შესრულებამ შეიძლება კრედიტორი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს, ანდა საერთოდ არ მისცეს შესრულების საგნით სარგებლობის შესაძლებლობა. თავის მხრივ მოვალეს, რომელმაც არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება, უფლება არა აქვს პრეტენზია განაცხადოს შემხვედრ დაკმაყოფილებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით, თუ არაფერს ვიტყვით ქონებრივ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მას დაეკისრება.

ჯეროვანი შესრულება ვალდებულების შესრულების პრინციპია. *ვალდებულების შესრულების პრინციპად მიჩნეულია ასევე ვალდებულების ნატურით შესრულება,* რასაც ლიტერატურაში ხშირად რეალურ შესრულებას უწოდებენ. *ვალდებულების ნატურით შესრულება იმაში გამოიხატება, რომ მოვალემ უნდა შეასრულოს ის მოქმედება, რომლის შესრულებაც ვალდებულების ძალით ევალებათ* (გადასცეს კრედიტორს ვალდებულებით გათვალისწინებული ნივთი, შეასრულოს ვალდებულებით გათვალიწინებული სამუშაო და ა. შ.).

ჯეროვანი და რეალური შესრულება ერთმანეთს განაპირობებენ. სანამ ვალდებულება არც ერთ მხარეს არ დაურღვევია და სრულდება ვალდებულების მოთხოვნათა შესაბამისად, ვალდებულების რეალური შესრულება იმავდროულად ჯეროვანი შესრულებაც არის. თუ მოვალე დაარღვევს ვალდებულებას, მაგალითად, დაარღვევს შესრულების ვადას, ჯეროვანი შესრულება

სრული ძალაუფლებით უკვე შეუძლებელი გახდება, მაგრამ რჩება ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედებათა ფაქტობრივად შესრულების შესაძლებლობა. რეალური შესრულება კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მიუხედავად იმისა, რომ მოვალემ გადაიხადა ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი.

რეალურ შესრულებას უპირისპირდება ფულადი კომპენსაცია – ნატურით შესრულების ნაცვლად კრედიტორი მიიღებს მისი ინტერესის ფულად კომპენსაციას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეალური შესრულების ნაცვლად ფულადი კომპენსაცია, როგორც წესი, შესაძლებლობას აძლევს მხარეს შეიძინოს მისთვის საჭირო ქონება სხვა ადგილზე, სხვას მიმართოს სამუშაოს შესასრულებლად და მომსახურების გასაწევად. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დარღვევის, მაგალითად, ვადის გადაცილების გამო, კრედიტორი კარგავს ინტერესს რეალური შესრულებისადმი, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ კრედიტორის ინტერესები ყოველთვის როდი შეიძლება დაკმაყოფილდეს ფულადი კომპენსაციით. ამიტომ მას უფლება აქვს მოითხოვოს კონტრაჰენტისაგან ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება (მოითხოვოს ნივთის რეალური გადაცემა, სამუშაოს შესრულება და ა. შ.). რეალური შესრულების პრინციპი გამოხატულია საშოქალაქო კოდექსის 379-ე მუხლში, რომელიც აღგენს, რომ კრედიტორი არაა ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო ვათვალისწინებული. მაშასადამე, სხვა შესრულების მიღება კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ვალდებულების ნატურით შესრულება ობიექტურად შეუძლებელია.

ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება შეიძლება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას. მაგრამ კრედიტორს შესრულება შეიძლება შესთავაზოს სხვა პირმაც (მესამე პირმა), რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. მესამე პირის ასეთი მოქმედება შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებიდან გამომდინარეობდეს (მაგალითად, ვალის გადახდა მეგობრის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობდა მორალური მოსაზრებით).

ზოგჯერ ხელშეკრულების დადებას მოვალის პირადი თვისებები უდევს საფუძვლად და ამიტომ ვალდებულების შესრულება პირად ხასიათს ატარებს. ასეთი ვალდებულება პირადად მოვალემ უნდა შეასრულოს (მაგალითად, მწერალთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაწარმოების შექმნის ვალდებულება). მესამე პირმა მხოლოდ მაშინ შეიძლება შეასრულოს ვალდებულება, თუ კანონიდან ან ხელშეკრულებიდან და არც ვალდებულების ბუნებიდან არ იერკვევა, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება. კრედიტორმა უნდა მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება. კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე აბის წინააღმდეგია (სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლი).

სხვა პირის მიერ შეიძლება შესრულდეს ვალდებულება მაშინაც, თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე. ასეთ შემთხვევაში ყოველი პირი, რომელ-

საც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი (მაგალითად, თუ იძულებითი აღსრულება მიმართულია ნივთზე, რომელიც თხოვების საგანს წარმოადგენს, მონათხოვრეს უფლება აქვს დააკმაყოფილოს კრედიტორი და ამით შეინარჩუნოს თხოვების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება ამ საგანზე). როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე (სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლი).

მოვალემ ვალდებულება კრედიტორს უნდა შეუსრულოს. ვალდებულების სხვა პირისათვის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისაგან მიიღო სარგებელი (სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი).

პირთა შეცვლა ვალდებულებაში

ვალდებულების თავდაპირველი მხარეები შეიძლება შეიცვალოს სხვა პირებით. *ვალდებულებაში შეიძლება შეიცვალოს როგორც კრედიტორი (მოთხოვნის დათმობა – ცესია), ისე მოვალე (ვალის გადაკისრება).*

მოთხოვნის დათმობა ჩვეულებრივ ხდება მოთხოვნის მფლობელსა (ძველ კრედიტორს) და მესამე პირს (ახალ კრედიტორს) შორის დადებული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით კრედიტორი მოთხოვნის უფლებას გადასცემს მესამე პირს. თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იჭერს მესამე პირი. პირს, რომელიც თავისი მოთხოვნის უფლებას გადასცემს, ეწოდება ცედენტი, ხოლო პირს, რომელიც იღებს მოთხოვნის უფლებას (ახალი კრედიტორი) – ცესიონერი. პირთა შეცვლა ვალდებუ-

ლებაში შეიძლება მოხდეს ასევე კანონის, სასამართლოს გადაწყვეტილების ან კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოთხოვნის დათმობის დროს მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, რამდენადაც კრედიტორის პიროვნებას საერთოდ არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე, თუმცა შესაძლებელია, რომ კრედიტორის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოვალისათვის. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება. ამიტომაა, რომ მოთხოვნის მფლობელს შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოვალის პატივსადები ინტერესების არსებობისას შესაძლებელია შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ.

მოთხოვნის დათმობისას მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, მაგრამ მას უნდა ეცნობოს ამის შესახებ. ვიდრე მოვალეს ეცნობებოდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ, მას უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს თავდაპირველი კრედიტორის წინაშე.

მოთხოვნის დათმობა მხოლოდ კრედიტორის შეცვლას ნიშნავს, რაც შეეხება მოთხოვნებს, ისინი ახალ კრედიტორზე გადადის ისეთ მდგომარეობაში, როგორიც თავდაპირველ კრედიტორს ჰქონდა. მოთხოვნის დათმობით მის ახალ მფლობელზე გადადის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანიც და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებიც. მოთხოვნის დათმობამ არ უნდა გააუარესოს მოვალის მდგომარეობა. მას შეუძლია წაუყენოს ახალ კრედიტორს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცნობის მიღების დროისათვის (მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის გაშვება, მოვალის პასუხისმგებლობის საფუძვლების არ არსებობა და სხვ.).

თუ ერთსა და იმავე მოთხოვნის დათმობაზე მოთხოვნის

მფლობელი (კრედიტორი) შეუთანხმდება რამდენიმე პირს. მა-შინ. მოვალის წინაშე უფლებამოსილი იქნება ის. რომელთანაც სხვაზე ადრე დამყარდა ურთიერთობა. თუ ამის დადგენა შეუ-ძლებელია. მაშინ უპირატესობა ეძლევა ამას. რომლის შესახე-ბაც მოვალეს უფრო ადრე აცნობეს.

მას შემდეგ. რაც კრედიტორი სხვას დაუთმობს მოთხოვნის უფლებას. ის პასუხს აღარ აგებს ახალი კრედიტორის წინაშე მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის. მაგრამ შეიძ-ლება დადგეს თვით გადაცემული უფლების ნამდვილობის საკ-ითხი. თუ დათმობილი მოთხოვნის უფლება შემდგომში ბათილ-ად იქნება ცნობილი. ცესიონერს უფლება აქვს მოითხოვოს უფლების დათმობის შესახებ შეთანხმების შეწყვეტა და ზიანის ანაზღაურება.

მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმება ისეთივე ფორმით უნდა მოხდეს. რა ფორმითაც არის დადებული გარიგება. რომელიც ითვალისწინებს იმ მოთხოვნის უფლებას. რომლის დათმობაც ხდება.

ვალის გადაკისრება შეიძლება მოხდეს როგორც კრედიტორ-სა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასევე მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. პირველ შემთხ-ვევაში. კრედიტორთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძ-ლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმა. ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს კრედი-ტორისა და მესამე პირის აღნიშნულ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი. მეორე შემთხვევაში, ე. ი., როცა ვალის გადაკისრების შეთანხმება ხდება მოვალესა და მესამე პირს შორის. აუცილებელია კრედიტორის თანხმობა. კრედიტორისათვის სულერთი არ არის, თუ ვინ იქნება მოვალე. ის ყოველთვის დაინტერესებულია მისი მოვალის პიროვნებით. ამით აიხსნება ის. რომ მოვალისა და მესამე პირის შეთანხმების ნამდვილობა დამოკიდებულია კრედიტორის თანხმობაზე

ახალ მოვალეს შეუძლია კრედიტორის წინააღმდეგ წამოაყენოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს კრედიტორსა და თავდაპირველ მოვალეს შორის ურთიერთობიდან. მაგალითად, თუ ვალის გადაკისრება გამოიხატა ნაყიდი ნივთის ფასის გადახდაში და გაყიდულ ნივთს ნაკლი აღმოაჩნდა, რაც იძლევა ფასის შემცირების შესაძლებლობას, ეს მოთხოვნა კრედიტორის წინაშე შეუძლია წამოაყენოს ახალმა მოვალემ.

ვალის გადაკისრებისთანავე შეწყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუ თავდები ან დამგირავებელი უარს არ იტყვის ურთიერთობის გაგრძელებაზე.

ვალდებულების შესრულების საგანი

ვალდებულების შესრულების საგანია ის ნივთები, სამუშაო, მომსახურება და სხვ., რომელიც ვალდებულების ძალით მოვალემ უნდა გადასცეს, შეასრულოს ან გაუწიოს კრედიტორს (მაგალითად, ვალდებულების შესრულების საგანს წარმოადგენს ავტომობილი, რომელიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს).

ვალდებულებას შეიძლება ჰქონდეს ერთი (მაგალითად, განსაზღვრული ნივთი, რომელიც ერთმა მხარემ უნდა გადასცეს მეორეს), ან რამდენიმე საგანი. (მაგალითად, რწმუნებულს ხელშეკრულებით დაევალა ნივთის შეძენა, მისი შეკეთება და სხვა ქალაქში გადაგზავნა). ზოგჯერ ვალდებულებას რამდენიმე საგანი აქვს იმ პირობით, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ერთ-ერთის გადაცემით. მაგალითად, გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი გადასცემს მყიდველს ვაჟა-ფშაველას ან გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს. თითოეული მათგანის გადაცემა ვალდებულების შესრულებად ჩაითვლება. ასეთი სახის ვალდებულებას ალტერნატიულს უწოდებენ. ალტერნატიული ისეთი ვალდებულებაა, რომლის ბალითაც მოვალე ვალდებულია

ორი ან რამდენიმე მოქმედებიდან შეასრულოს ერთ-ერთი. თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუ ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 374-ე მუხლი). ორი შესრულებიდან მოვალის მიერ ერთ-ერთზე უარის თქმასას, ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 375-ე მუხლი).

ვალდებულების შესრულების რამდენიმე საგნიდან ერთ-ერთის ამორჩევა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ამორჩევის უფლების მქონე პირის მიერ მეორე მხარის წინაშე განცხადებით (განცხადება იმის შესახებ თუ რომელი შესრულება ამორჩია), ანდა უშუალოდ შესრულების განხორციელებით. შესასრულებლად არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად (სამოქალაქო კოდექსის 376-ე მუხლი).

ალტერნატიული ვალდებულებისაგან განსხვავებით, ფაკულტატურ ვალდებულებას ერთი საგანი აქვს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს სხვა საგნით მოვალის შეხედულების მიხედვით. ფაკულტატურია ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მოვალეს უფლება აქვს დაკისრებული მოქმედების ნაცვლად შეასრულოს ვალდებულებაში მითითებული სხვა მოქმედება. მაშასადამე, აქ ადგილი აქვს არა ამორჩევას, არამედ ერთი საგნის შეცვლას მეორეთი მოვალის შეხედულებისამებრ. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს მყიდველისათვის ტელევიზორ „პანასონიკის" გადაცემას, შეიძლება დათქმულ იქნეს გამყიდველის უფლება „პანასონიკის" ნაცვლად მყიდველისათვის ტელევიზორ „სონის" გადაცემის შესახებ.

ფაკულტატური ვალდებულებისაგან უნდა განვასხვავოთ ასევე შესრულების შეცვლა. შესრულების შეცვლისას მოვალე ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ვალდებულებით, მაგრამ კრედიტორი მაინც იღებს მას.

მაგალითად, ვალდებულებით მსესხებელს უნდა დაებრუნებინა პურის ფქვილი, მაგრამ დააბრუნა სიმინდის ფქვილი, რაც გამსესხებელმა მიიღო.

თუ შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, კრედიტორი არაა ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების. მაშასადამე, კრედიტორს შეუძლია მიიღოს სხვა ნივთი, მაგრამ ვალდებული არ არის და უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მისთვის გადაცემა. თუ ასეთი ნივთის ნატურით გადაცემა შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა გამოწვეულია იმით, რომ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი იურიდიულად შეუცვლელია. როცა შესრულების საგანი გვარეობით განსაზღვრული ნივთია, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს, რადგან ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთისაგან განსხვავებით გვარეობითი ნივთის შეცვლა შეიძლება.

ვალდებულების შესრულების ადგილი

ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით, კანონით ანდა გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან (მაგალითად, ცხადია, რომ ნაგებობის რემონტის ვალდებულების შესრულების ადგილი არის იქ, სადაც ნაგებობაა). თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ, შესრულების ადგილი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი საგნების (ინდივიდუალური თუ გვარეობითი) გადაცემას ეხება საკითხი. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა, ხოლო გვარეობით განსაზღვრული საგნის კი — იმ ადგ-

�ის, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, თუ ასეთი არ არის, მაშინ, მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლი). კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ვალდებულების შესრულებამდე იცვლება მოვალის ან კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, რაც იწვევს ხარჯების გაზრდას. ვალდებულების შესრულების წინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლისას მოვალემ კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს ის დამატებითი ხარჯები, რაც ადგილის შეცვლამ გამოიწვია. ხოლო თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ, კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ისე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკი (სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლი). აქ საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკში უპირველესად იგულისხმება გადაცემის ვადის გადაცილების საფრთხე.

ვალდებულების შესრულების დრო

ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს. ის ჩვეულებრივ განისაზღვრება ხელშეკრულებით, ცალმხრივი გარიგებით (მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ შეპირებისას), სასამართლოს გადაწყვეტილებით და ზოგჯერ შეიძლება კანონითაც იქნეს დადგენილი. ორმხრივ ურთიერთობაში ხშირად ვალდებულების შესრულების დრო საერთოა ორივე მხარისათვის ორივე მხარე ერთდროულად ასრულებს თავის ვალდებულებას. მაგალითად, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველისაგან მყიდველისათვის ნივთის გადაცემა და მყიდველისაგან ფასის გადახდა ერთდროულად ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ერთმა

მხარემ თავისი ვალდებულება მეორე მხარეზე ადრე უნდა შეასრულოს. მაგალითად, ქირავნობის ურთიერთობისას გამქირავებელი უფრო ადრე ასრულებს დამქირავებლისათვის ნივთის გადაცემის ვალდებულებას, ვიდრე დამქირავებელი ქირის გადახდის ვალდებულებას. დადგენილია, რომ ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას (სამოქალაქო კოდექსის 553-ე მუხლი). შესაძლებელია ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული იყოს რაიმე პირობის დადგომაზე. ასეთ შემთხვევაში მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობა დაკავშირებულია რაიმე გარემოებასთან, რომელიც დადგება თუ არა ცნობილი არ არის (მაგალითად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იმ პირობით, თუ გამქირავებელი შეიძენს ახალ საცხოვრებელ სადგომს). როცა ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია რომელიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება (სამოქალაქო კოდექსის 368-ე მუხლი).

ზოგჯერ ვალდებულების შესრულება უშუალოდ მოსდევს ვალდებულების წარმოშობას. ზოგჯერ კი მათ შორის არსებობს დროის განსაზღვრული შუალედი. როცა ხელშეკრულების შესრულება მისი დადებისთანავე ხდება, საკითხი შესრულების ვადის შესახებ საერთოდ არ წარმოიშობა (მაგალითად, ნივთის ნასყიდობის თაობაზე შეთანხმებისთანავე გამყიდველმა გადასცა მყიდველს ნივთი, მყიდველმა კი იმავდროულად გადაიხადა ფასი).

ვალდებულების შესრულების დროდ შეიძლება დადგენილ იქნეს ზუსტად განსაზღვრული დრო ან დროის განსაზღვრული პერიოდი (მაგალითად, თუ დადგენილია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს სამი თვის განმავლობაში, მაშინ მხარეს ამ სამი თვის ყოველ მომენტში შეუძლია ვალდებულების შესრულება).

თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა (ვალდებულება განუსაზღვრელი ვადით), მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება. თავის მხრივ, მოვალეს

შეუძლია დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება ისე, რომ არ დაელოდოს კრედიტორის მოთხოვნას (სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი). კრედიტორს შეუძლია დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება მაშინაც, როცა მოვალის სასარგებლოდ დადგენილია რაიმე ვადა (მაგალითად, მოვალეს მიეცა დამატებითი დრო ვალდებულების შესასრულებლად), თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა. ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა (სამოქალაქო კოდექსის 367-ე მუხლი).

მოვალეს შეუძლია ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, მაგრამ ამისათვის საჭიროა კრედიტორის თანხმობა. კრედიტორს კი იმ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას შესრულების ვადამდე მიღებაზე, თუ მას ამისათვის პატივსადები მიზეზი აქვს (სამოქალაქო კოდექსის 364-ე მუხლი). მაგალითად, თუ ვალდებულება ითვალისწინებს მყიდველისათვის ზაფხულის სეზონის ტანსაცმლის მიწოდებას მაისის თვეში, მას შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე იანვრის თვეში და ასეთი უარის. მიზეზი პატივსადები იქნება.

შესრულების საგნის ხარისხი

სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტეს შემთხვევაში მოვალეს წარედგინება მოთხოვნა შესრულების საგნის ხარისხის შესახებ. შესრულების საგნის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. ივულისხმება მოვალის მიერ კრედიტორისათვის გადასაცემი ნივთის ხარისხი, შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი და სხვ. ზოგიერთი ვალდებულების შესრულების ხარისხი კანონითაა განსაზღვრული. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრუ-

ლებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის საქუშაო და ვადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლი).

უარი ვალდებულების შესრულებაზე

პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა (სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი). მაგალითად, მყიდველს შეუძლია უარი თქვას ფასის გადახდაზე ნაყიდი ნივთის მისთვის გადაცემამდე, თუ შეთანხმებით ფასის წინასწარ გადახდა არ იყო გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა სამომხმარებლო კრედიტის მიმღებს (პირს, რომელმაც მიიღო კრედიტი განსაზღვრული პირისაგან ქონების შესაძენად) შეუძლია უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე. კრედიტის დაბრუნებაზე პირს უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. მაგალითად, თუ პირმა ბანკისაგან მიიღო კრედიტი კონკრეტული მეურნისაგან ხორბლის შესაძენად, დაკავშირებული ხელშეკრულება იქნება კრედიტის მიმღებსა და მეურნეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება. თუ ამ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კრედიტის მიმღებს (ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველს) აქვს ისეთი შესაგებელი (მაგალითად, თუ ხორბალი უვარგისი აღმოჩნდა), რაც უფლებას აძლევს უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, მაშინ, მას შეუძლია უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზეც. ნასყიდობის ხელშეკრულება (ჩვენს მაგალითში

ნასყიდობის ხელშეკრულება კრედიტის მიმღებსა და ძეურნეს შორის) საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის დაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ეკონომიკური ერთიანობა. ეკონომიკურ ერთიანობას კი ის განაპირობებს, რომ კრედიტის მიმცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადებისა და დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებს (საკრედიტო ხელშეკრულებაში მიუთითებს კონკრეტულ გამყიდველზე, რომელთანაც კრედიტის მიმღებმა ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დადოს).

§2. ფულადი ვალდებულებების შესრულება

ზოგიერთი სპეციფიკის გამო სამოქალაქო კოდექსი ცალკე გამოყოფს ფულადი ვალდებულებების შესრულებას. ფულადია ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია ფულის გადახდასთან. მას შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი ხასიათი (მაგალითად, ფულის გასესხებიდან წარმოშობილი ვალდებულება), ან შედიოდეს რომელიმე ვალდებულებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი (მაგალითად, გადახდის ვალდებულება ნასყიდობის ხელშეკრულებით).

ფულადი ვალდებულება, როგორც წესი, ეროვნულ ვალუტაში გამოიხატება. ამასთან, თუ კანონით აკრძალული არ არის, მხარეებს შეუძლიათ ვალდებულება დააფიქსირონ უცხოურ ვალუტაშიც (სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლი). როცა ფულადი ვალდებულება სასყიდლიანია (პროცენტიანია), პროცენტის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, მაგრამ კანონი მოითხოვს პროცენტის ზღვრული ოდენობის დადგენას, რაც სპეციალური ნორმატიული აქტით უნდა განხორციელდეს. მაშასადამე, მხარეები პროცენტზე უნდა შეთანხმდნენ პროცენტის დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში (სამოქალაქო კოდექსის 384-ე მუხლი).

ფულადი ვალდებულებისათვის დადგენილია ვადახდის რიგითობა. მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ დავა სასამართლო განიხილვის საგანი იყო), შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი), დაბოლოს, პროცენტები (სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლი).

გადახდის ვადის დადგომამდე ფულის ერთეული (კურსი) შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, ანდა ვალუტა შეიცვალოს. ფულის კურსის გაზრდის ან შემცირებისას მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც ვალდებულების დროს არსებობდა. ვალუტის შეცვლისას კი ვადაცვლა უნდა მოხდეს იმ კურსის მიხედვით, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი).

§3. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

ვალდებულების შესრულება ზოგჯერ დიდად არის დამოკიდებული კრედიტორის მოქმედებაზე, კერძოდ იმაზე, თავის დროზე მიიღებს თუ არა ის შესრულებას. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის შესრულების ვადა დამდგარია. კრედიტორი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში. ამიტომაა, რომ ის ვადის გადამცილებლად ითვლება, როცა არ ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც საჭიროა ვალდებულების შესასრულებლად (სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლი). მაგალითად, კრედიტორმა ვალდებულების შესრულების დღისათვის არ გამოათავისუფლა სათავსი, რომელშიც უნდა მოთავსდეს მოვალის მიერ გადასაცემი საქონელი.

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების გამო მოვალე არ

იძენს ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულების შეწყვეტა გამოიწვევდა მოვალისათვის იმ ქონების დატოვებას, რაც მას კრედიტორისათვის უნდა გადაეცა. მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობაში, რომელშიც თითოეული მხარე ერთდროულად კრედიტორიცაა და მოვალეც, კანონი ყოველთვის არ გამორიცხავს ვალდებულების შეწყვეტას კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების გამო.

კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო (სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლი). კრედიტორი ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან თავისუფლდება, თუ ვალის გადახდის ვადის გადაცილება მისი ბრალით არ მომხდარა.

სანამ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების გამო, არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მოვალემ ვადა გადააცილა. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულებისათვის, თუ კი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო (სამოქალაქო კოდექსის 392-ე მუხლი). მაგალითად, გამქირავებელი დროზე არ იღებს გაქირავებულ ნივთს, ამით განაწყენებული დამქირავებელი ანადგურებს ან აზიანებს ნივთს, რისთვისაც პასუხს აგებს.

ზიანის ანაზღაურების გარდა, რაც ეკისრება კრედიტორს ვადის ბრალეული გადაცილების გამო, კრედიტორი მისი ბრალის მიუხედავად ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები. ვადის გადაცილებისას კრედიტორს მისი ბრალის მიუხედავად აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება და მასვე ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი (სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლი).

თავი IV.

ვალდებულების დარღვევა

§1. ზოგადი დებულებანი

ვალდებულება ირღვევა მაშინ, როცა იგი არ სრულდება ან არაჯეროვნად სრულდება. ვალდებულების შეუსრულებლობა კი იმაში გამოიხატება, რომ მოვალე არ ასრულებს ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოქმედებებს და ამიტომ კრედიტორი ვერ იღებს იმას, რაც უნდა მიეღო. მაგალითად, გამყიდველმა არ გადასცა მყიდველს გაყიდული ნივთი, მენარდემ არ შეასრულა დაკისრებული სამუშაო და ა. შ. არაჯეროვანი შესრულების დროს ვალდებულება სრულდება, მაგრამ კრედიტორისათვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში. მაგალითად, გამყიდველმა მყიდველს გადასცა უფრო ნაკლები ხარისხის ნივთი, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მენარდემ გადააცილა სამუშაოს შესრულების ვადა და სხვ. არაჯეროვანი შესრულება ზოგჯერ ვალდებულების შეუსრულებლობასაც ნიშნავს. მაგალითად, დადგენილია, რომ მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა.

მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. მაგალითად, მოვალეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ ამის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან და, თუ ასეთი შეთანხმება კანონით აკრძალული არ არის.

თუ ვალდებულების დარღვევა მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებაში გამოიხატება, კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. მოვალის მიერ ამ დროში ვალდებულების შეუსრულებლობისას, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შეს-

რულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება. დამატებითი დროის განსაზღვრა საჭირო არ არის მაშინაც, როცა სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი). მაგალითად, თუ ძირითადი ვადის გასვლის შემდეგ მოვალისათვის ვალდებულების შესრულება უფრო მძიმეა, ვიდრე ზიანის ანაზღაურება და ამასთან კრედიტორი აღარაა დაინტერესებული ვალდებულების შესრულებით.

მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. მაგალითად, მხარეები შეიძლება წინასწარ შეთანხმდნენ, რომ მიყენებული ზიანისათვის მოვალე პასუხს არ აგებს, მაგრამ ასეთი შეთანხმება დაუშვებელია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას განზრახი მოქმედებით (სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი).

მოვალეს შეუძლია საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად გამოიყენოს კანონიერი წარმომადგენელი ან სხვა პირები. ამ პირების მოქმედებისათვის მოვალე ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს (სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი). მაგალითად, თუ რწმუნებულმა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა დავალებული მოქმედება, რამაც ზიანი გამოიწვია, პასუხისმგებლობა მოვალეს დაეკისრება.

მოვალე პასუხისმგებელია შესრულებაზე მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუ ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლი). მაგალითად, თუ პირმა დადო ქონების ქირავნობის ხელშეკ-

რულება. მაგრამ ქირავნობის საგანი მას უნდა მიელო სხვა პირთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, მაგრამ გამყიდველმა დაარღვია ხელშეკრულება და არ გადასცა ეს ნივთი. ამის გამო გამქირავებელმა ვერ შეასრულა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობა, მაგრამ მაინც უნდა აგოს პასუხი დამქირავებლის წინაშე, თუ ქირავნობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან გარემოებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

კანონი უფლებას აძლევს მხარეებს მოითხოვონ უკვე დადებული ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი. ეს დასაშვებია მაშინ, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა. ცვლილება ისეთი უნდა იყოს, რომ მათი გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებას არ დადებდნენ ან დადებდნენ სხვა შინაარსით. აქ საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გაძნელებულია ხელშეკრულების შესრულება და, თუ ის მაინც შესრულდება, მძიმე ეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარისათვის იმ მიზეზით, რომ არსებითად შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიდანაც მხარეები გამოდიოდნენ ხელშეკრულების დადებისას. გარემოებათა აშკარა ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს საქონელზე ფასების მკვეთრი შეცვლა, შრომის ანაზღაურების მკვეთრი მერყეობა, სახელმწიფოს მიერ გაუთვალისწინებელი გადასახადების შემოღება და სხვ. მაგალითად, შეცვლილ გარემოებასთან გვექნება საქმე, თუ სანარდო ხელშეკრულებით მენარდემ იკისრა თავისი მასალით რაიმე ნაგებობის აგება, მაგრამ სამშენებლო მასალები იმდენად გაძვირდა, რომ, მხარეებს ეს რომ სცოდნოდათ, ხელშეკრულებას არ დადებდნენ ან დადებდნენ სხვა შინაარსით.

ცხადია, მხარეები ხელშეკრულების დადებისას გამოდიოდნენ იქედან, რომ გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, არ შეიცვლებოდა. გარემოებათა შეცვლა

გამოწვეული უნდა იყოს ისეთი მიზეზებით, რომელთა აცილება მხარეებს არ შეეძლოთ. გარემოებათა შეცვლა არ არის დაუძლეველი ძალა, რადგან ის არ იწვევს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. საერთოდ, ხელშეკრულების შესრულება შეიძლება, მაგრამ ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაირღვევა მხარეთა ინტერესების ბალანსი.

თუ მხარეები არ მიუსადაგებენ ხელშეკრულებას შეცვლილ გარემოებებს, მაშინ ხელშეკრულება არ შეწყდება, მაგრამ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარემ, რომელმაც გარემოების აშკარად შეცვლის გამო ვერ შეძლო საშუშაოს სრულად შესრულება, არ უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა.

მხარეები უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა (სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი).

ნებისმიერ მხარეს შეუძლია უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე, თუ არსებობს ამის პატივსადები საფუძვლები. საფუძველი პატივსადები იქნება, როცა ხელშეკრულების მოშშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. მაგალითად, ვალდებულების ერთ მხარეს, რომელიც ტრაქტორებს ამზადებს და ხანგრძლივი სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს მეორე მხარესთან, რომლის-

განაც ძრავებს იძენს, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მის მიერ დამზადებული ტრაქტორები აღარ იყიდება და იძულებულია შეწყვიტოს მისი გამოშვება. პატივსადებ საფუძვლად ჩაითვლება ასევე საომარი მდგომარეობა, რომლის გამოც მხარეებს აღარ შეუძლიათ გააგრძელონ სახელშეკრულებო ურთიერთობა და სხვ.

აღნიშნულთან ერთად, თუ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევასაც ჰქონდა ადგილი, ხელშეკრულების მოშლა დაიშვება ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ.

ხელშეკრულებაზე უარის თქმა უფლებამოსილ პირს შეუძლია გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ის პატივსადები საფუძვლები, რომლებიც უფლებას აძლევს მხარეებს უარი თქვან გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად.

ის, რაც ხელშეკრულების მოშლამდე შესრულდა, ხელშეკრულების მოშლის შემდეგ შეიძლება აღარ წარმოადგენდეს რაიმე ინტერესს უფლებამოსილი პირისათვის (პირისათვის, რომელმაც მოითხოვა ხელშეკრულების მოშლა). ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლა შეიძლება გავრცელდეს იმაზეც, რაც უკვე შესრულებულია და მოხდეს შესრულების დაბრუნება. დაბრუნების უზრუნველსაყოფად კი გამოიყენება ხელშეკრულებაზე უარის თქმის ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 352-354-ე მუხლებით, რომელთა შესახებ ზემოთ არის მითითებული.

მითითებული პატივსადები საფუძვლების არსებობის გამო გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე უარის თქმისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით (სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი).

§2. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ჩაითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში მოვალე ვალდებულებას არ შეასრულებს მიუხედავად იმისა, კრედიტორმა მოთხოვნა წარადგინა თუ არა, ასევე, როცა მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც (სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლი).

მოვალის მიერ შესრულების ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ისეთი გარემოებების გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული (სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი). მაგალითად, მოვალის მიერ ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას.

შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალე პასუხს აგებს, თუ ვადის გადაცილება მისი ბრალით მოხდა, თუნდაც ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. უფრო მეტიც, მოვალეს ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც (სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლი).

მოვალემ, თუ მან გადააცილა ფულადი თანხის გადახდის ვადას, გადაცილებული დროისათვის უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი. შესაძლებელია არსებობდეს სხვა საფუძველი, რომელიც კრედიტორს აძლევს უფრო მეტი პროცენტის მოთხოვნის უფლებას, ვიდრე ფულადი თანხის გადახდის გადაცილებული დროისათვის კანონით არის განსაზღვრული. მაგალითად, თუ ხელშეკრულებით შეთანხმებული იყო უფრო დიდი პროცენტი, ვიდრე კანონითაა განსაზღვრული, მაშინ კრედიტორს შეუძლია მისი მოთხოვნა.

დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი).

გადაცილებული დროისათვის პროცენტის გადახდა არ ათავისუფლებს მოვალეს ზიანის ანაზღაურებისაგან. კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი).

§3. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს

ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდება ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს. ვალდებულებას ერთნაირი ძალა აქვს მისი ორივე მონაწილისათვის, ამიტომ მასზე ცალმხრივად უარის თქმა, როგორც წესი, არ დაიშვება. კანონი ერთ-ერთ მხარეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს მხოლოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისას, მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამრღვევი მხარისათვის მიცემული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ. ზოგჯერ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე დამატებითი ვადა არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება და მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ გაფრთხილების მიუხედავად ვალდებულება არ შესრულდება.

დასაშვებია ხელშეკრულებაზე უარის თქმა ისეთ შემთხვევაშიც, როცა ვალდებულება ნაწილობრივ დაირღვა. ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მთლიანად უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების ნაწილის შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა. მაგალითად, თუ კაბა საქორწილოდ იყო შეკვეთილი, მაგრამ მენარდემ არ დაამთავრა მისი შეკერვა დათქმული დღი-

სათვის, ცხადია, შემკვეთისათვის ის ინტერესს კარგავს.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება აუცილებელი არ არის და ასევე იმ შემთხვევებს, როცა ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია. დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება აუცილებელი არ არის თუ:

ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;

ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას (მაგალითად, თუ ხელშეკრულებაში კრედიტორის მიერ დათქმული იყო ვადა, რომ ის იმ შემთხვევაში გააგრძელებს ხელშეკრულებას, თუ დამჭირავებელი არ გადააცილებს ქირის გადახდის დათქმულ ვადას);

გ. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა. იმის წინასწარ დადგენა, თუ რომელი საფუძველი ჩაითვლება განსაკუთრებულად, შეუძლებლია, იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს, ამასთან, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ინტერესები.

ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია თუ:

ა. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. დარღვევა უმნიშვნელოდ უნდა იქნეს მიჩნეული, როცა დარღვევის მიუხედავად მხარე მიიღებს იმას, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულების დადების დროს;

ბ. დარღვეულია ვალდებულების მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ყოველ მხარეს ეკისრება მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება და ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;

გ. ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;

დ. მოთხოვნის უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ. მაგალითად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ შემკვეთმა მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულების მოშლა, მაგრამ მენარდემ წარადგინა მოთხოვნა უკვე გაწეული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

ხელშეკრულებაზე უარის თქმა კრედიტორს შესრულების ვადის დადგომამდეც შეუძლია, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

როგორც აღნიშნული იყო, კრედიტორი განუსაზღვრავს მოვალეს დამატებით ვადას ხელშეკრულების შესრულებისათვის ან აფრთხილებს მას და სწორედ დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა. მაგალითად შეიძლება მოვალის მიერ დათქმული იქნეს, რომ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მისი დადებიდან განსაზღვრული დროის (ვთქვათ, 6 თვის) განმავლობაში. თუ კრედიტორი ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ მას ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლია ზემოთ მითითებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის ან გაფრთხილების შემდეგ (საქართველოს კოდექსის 405-ე მუხლი).

კრედიტორს, რომელიც ვადის ხელშეკრულებიდან, აქვს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული (საქართველოს კოდექსის 407-ე მუხლი).

თავი V.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმაა. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დადგენილია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სანქციების სახით. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყოველგვარი სანქცია, რომელსაც კანონი ადგენს ვალდებულების დარღვევისათვის, არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთი სანქციები წარმოადგენენ, რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებით მოქმედებათა შესრულების დაკისრებას. რაც მას ვალდებულებით ეკისრებოდა. მაგალითად, გამქირავებლისათვის გაქირავებული ნივთის დამქირავებლისათვის გადაცემის დაკისრება, როცა გამქირავებელი თავს იკავებს ასეთი მოქმედებისაგან, სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციაა, მაგრამ არა პასუხისმგებლობა, რამდენადაც ის ითვალისწინებს იმის იძულებით განხორციელებას, რაც მოვალეს ისედაც უნდა შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულების ძალით. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა იქნება გამქირავებლისათვის გაქირავებული ნივთის გადაცემის ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს გადახდის, ბეს დაკარგვის ფორმით და სხვ. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ ფორმათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს (გარდა კანო-

ნით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), თუნდაც კონკრეტული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ მიუთითებდნენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები კი გამოიყენება კანონით ან ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ მოვალემ დაარღვია ვალდებულება და გადააცილა ვალის გადახდის დრო, მან ამით მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს, თუნდაც ხელშეკრულებაში ზიანის ანაზღაურებაზე არაფერი იყოს ნათქვამი, პირგასამტეხლო კი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა პირგასამტეხლოს გადახდა გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. განასხვავებენ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას, რასაც ადგილი აქვს ერთ-ერთი კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას, რასაც იწვევს იმ ვალდებულებათა დარღვევა, რომლებიც ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრებისა და ზოგიერთი სხვა საფუძვლიდან წარმოიშობიან. პასუხისმგებლობის ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული მოცემულ ურთიერთობათა მიმართ ამა თუ იმ ნორმის გამოყენება. თუ საქმე ეხება იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან წარმოიშობა, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები, ხოლო თუ ზიანი პირს მიაყენა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით და იმ ნორმების წესებით, რომლებიც მოცემულ ურთიერთობას არეგულირებს. ამჯერად შევეხებით პასუხისმგებლობას სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენისაკენ ზიანის მიმყენებლის ქონების ხარჯზე. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა

აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი). კანონი კრძალავს ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას წინასწარი შეთანხმებით (სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლი).

განასხვავებენ მატერიალურ და მორალურ ზიანს. მატერიალური ზიანი ყოველთვის დაკავშირებულია დაზარალებულის ქონებრივ დანაკარგებთან, მორალური ზიანი კი არა. მორალური ზიანი გარკვეულ სულიერ განცდებთან, ტანჯვასთანაა დაკავშირებული და მისი ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი). მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულია, რომ თუ პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

პირის ქონებრივი სიკეთის შემცირება შეიძლება გამოიხატოს როგორც დაზარალებულის იმ ქონების შემცირებაში, რომელიც მას ჰქონდა, ასევე იმაში, რომ მისი ქონება არ გაიზარდა, თუმცა შეიძლება გაზრდილიყო, საბარიალდარღვევა რომ არ მომხდარიყო. დადგენილია, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი). მაშასადამე, ზიანი მოიცავს როგორც ფაქტობრივ ქონებრივ დანაკლისს (დადებითი ზიანი), ისე მიუღებელ შემოსავალსაც.

ზიანი სრულად უნდა აანაზღაუროს მისმა მიმყენებელმა. როგორც აღნიშნულ იყო, აღდგენილი უნდა იქნეს ის მდგომარეო-

ბა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისალები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ, ასევე ხელშეკრულების დრო და ადგილი (სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლი).

ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეიძლება შეუძლებელ იქნეს ან მოითხოვდეს არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი).

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დადგება განსაზღვრული პირობების (საფუძვლების) არსებობისას. გარდა იმისა, რომ უნდა არსებობდეს ზიანი, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი.

ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით უნდა იყოს მიყენებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც არღვევს სამართლის ნორმის მოთხოვნებს და პირის სამართლის ნორმით განმტკიცებულ უფლებებს, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური წინაპირობაა. მნიშვნელობა არა აქვს მისმა ჩამდენმა იცოდა თუ არა, რომ მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა. მთავარია, რომ მოქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

მართლსაწინააღმდეგო შეიძლება უმოქმედობაც იყოს. მაგალითად, როცა მოვალე არ ასრულებს იმ მოქმედებას, რომლის შესრულებაც ვალდებულებით ეკისრებოდა.

იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს ქონებრივი პასუხის-

მგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს, ე. ი. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა (უმოქმედობასა) და კრედიტორის ზიანს შორის. მაგალითად, თუ გამყიდველმა მყიდველს რკინიგზით გაუგზავნა საქონელი, რომელიც მყიდველთან (მიმღებთან) დაზიანებული მივიდა, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ ვინ მიაყენა ზიანი კრედიტორს. გამყიდველმა გაუგზავნა დაზიანებული ტვირთი, თუ რკინიგზის მოქმედებით დაზიანდა გზაში ან შენახვის დროს.

ზოგიერთ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა ძნელი არ არის. მაგალითად, მიზეზობრივი კავშირის არსებობა ნათელია, თუ გამყიდველმა დათქმულ დროზე არ მიაწოდა მყიდველს ნედლეული და ამის გამო მყიდველმა შეაჩერა პროდუქციის წარმოება, რამაც ზიანი გამოიწვია. ზოგჯერ კი მიზეზობრივი კავშირის არსებობის საკითხის გადაწყვეტა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მყიდველმა შემოწმების გარეშე გამოიყენა გამყიდველის მიერ მოწოდებული უფრო ნაკლები ხარისხის ნედლეული, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, რის გამოც დამზადებული პროდუქცია უვარგისი აღმოჩნდა. აქ აუცილებლად დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია უარყოფითი შედეგი — გამყიდველის მოქმედებამ, რომელმაც დაბალი ხარისხის ნედლეული მიაწოდა, თუ მყიდველის მოქმედებამ, რომელმაც შემოწმების გარეშე გამოიყენა ეს ნედლეული.

მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია, შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია და სხვ.). უნდა ჩავთვალოთ, რომ პრაქტიკასთან ყველაზე ახლო დგას პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორია. ამ თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მოვლენებს შორის ობიექ-

ტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზს და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის პირდაპირ (უშუალოდ) დაკავშირებულია ზიანთან. სწორედ ეს აზრია გამოხატული სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლში, რომელიც მიუთითებს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არაპირდაპირი კავშირისას მოცემული მოქმედება სცდება კონკრეტული შემთხვევის ფარგლებს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, როცა გამყიდველმა შემოწმების გარეშე გამოიყენა ნედლეული, უვარგისი პროდუქციის გამოშვების მიზეზი უშუალოდ მყიდველის მოქმედებაა, რადგან შემოწმების გარეშე გამოიყენა ნედლეული. გამყიდველის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და უვარგისი პროდუქციის დამზადებას შორის არსებობს არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირი, რაც სცილდება კონკრეტულ შემთხვევას (მყიდველის მიერ ნედლეულის შეუმოწმებლად გამოყენებას) და ამიტომ არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

საერთო წესის მიხედვით სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედების შემთხვევაში. სწორედ ამაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. ბრალი სამოქალაქო სამართალში გამოიხატება მოვალის მიერ ისეთი მოქმედებისაგან განზრახ ან გაუფრთხილებლობით თავის არიდებაში, რომლის შესრულებაც მოეთხოვებოდა.

ბრალი შეიძლება გამოიხატოს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. დადგენილია, რომ თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ

არ გამომდინარეობს, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი).

განზრახვის დროს პირი შეგნებულად, წინასწარგანზრახულად არ ასრულებს ვალდებულებას ან ასრულებს არაჯეროვანი სახით. გაუფრთხილებელი ბრალი კი ხასიათდება იმით, რომ პირი შეგნებულად არ მოქმედებს, მაგრამ საკმარისი ზომით არ იყენებს თავის ძალებსა და უნარს, ავლენს უყურადღებობასა და წინდაუხედაობას.

სამოქალაქო კანონი განასხვავებს უხეშ გაუფრთხილებლობას და მარტივ გაუფრთხილებლობას. ზოგჯერ კანონი არ აკისრებს პირს ზიანის ანაზღაურებას, როცა ის მიყენებული იყო მარტივი გაუფრთხილებლობით. მაგალითად, თუ მიბარებული ნივთის წასაღებად განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის დადგომის შემდეგ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სამოქალაქო კოდექსის 774-ე მუხლი), ე. ი. შემნახველი მარტივი გაუფრთხილებლობისათვის პასუხს არ აგებს.

მარტივი გაუფრთხილებლობის უხეშისაგან განსხვავება გამოიხატება მოვალის მიერ მოვალეობის შესრულებისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხით. უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოვალე აშკარად უგულებელყოფს მოთხოვნებს, რაც მას წაეყენება. საკითხი იმის შესახებ, გაუფრთხილებლობა უხეშია თუ მარტივი, უნდა გადაწყდეს ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. მაგალითად, შესანახად მიღებული ნივთების ღია ცის ქვეშ დატოვება უხეში გაუფრთხილებლობა იქნება, თუ ნივთები წვიმისაგან დაზიანდა. განზრახვასა და გაუფრთხილებლობას (განსაკუთრებით უხეშ გაუფრთხილებლობას) შორის განსხვავებას უმეტეს შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ორივე ფორმა წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს. კრედიტორისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ზიანი მიეყენა განზრახი თუ გაუფრთხილებელი

მოქმედებით, რადგან ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა დამოკიდებული არ არის ბრალის ხარისხზე. სამოქალაქო კანონი ამოდის იქიდან, რომ ბრალეულად მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად ბრალის ხარისხის მიუხედავად. ზოგიერთ შემთხვევაში კი, კანონი პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ ფორმაზე, რომლის არსებობის დროსაც მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა. მაგალითად, თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დაშალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამის გამო მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი). აქ კანონი პირდაპირ მიუთითებს ბრალის ფორმაზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ბრალის ფორმების ერთმანეთისაგან განსხვავება.

გამორიცხული არ არის ცალკეულ შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის დაკისრება ბრალის მიუხედავად. კანონი ითვალისწინებს ზოგიერთ შემთხვევას, როცა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და მიზეზობრივი კავშირის არსებობა საკმარისია პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, ე. ი. პასუხისმგებლობა დადგება ბრალის გარეშეც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლით დადგენილია, რომ მარწმუნებელი მოვალეა აანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებისას, თუ ზიანი დადგა დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარწმუნებლის მითითების გამო. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმებიც.

ჩვეულებრივ, ვალდებულებას ერთი პირი არღვევს და მეორეს აყენებს ზიანს. თუ მოვალე არღვევს ვალდებულებას, ზიანი კრედიტორს მიეყენება და პირიქით, თუ კრედიტორი თავს არიდებს იმ მოქმედების შესრულებას, რაც აუცილებელია შესრულების მისაღებად, ზიანი ადგება მოვალეს. ამასთან, ვალდებულებით ურთიერთობაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა

მოვალესთან ერთად ბრალი მიუძღვის კრედიტორსაც, ზიანი კი მხოლოდ კრედიტორს ადგება. ასეთი შემთხვევები შერეულ ბრალად იწოდება. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი).

რამდენადაც შერეული ბრალის არსებობის უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ ზიანის რა ნაწილია გამოწვეული მოვალის ან კრედიტორის მოქმედებით, მათ შორის ზიანის განაწილებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ბრალის ხარისხით. თუ, მაგალითად, ორივე მხარე მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით, მაშინ მათ შორის ზიანი შეიძლება თანაბრად განაწილდეს. თუ ზიანი შეადგენდა 100 ლარს, კრედიტორს აუნაზღაურდება 50 ლარი. თუ მოვალე მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით, ხოლო კრედიტორი მარტივი გაუფრთხილებლობით, მაშინ მოვალის გადასახდელი გაიზრდება და შეიძლება შეადგენდეს არა 50, არამედ 70 ლარს და ა. შ. აღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ პირობით, თუ შეუძლებელია ზიანის იმ ნაწილის დადგენა, რომელიც მიყენებულია თითოეული მხარის მიერ.

საერთო წესის მიხედვით ზიანი მისმა მიმყენებელმა უნდა აანაზღაუროს, თუმცა სამოქალაქო კანონი არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას სხვისი ბრალისათვის. ვალდებულებით – სამართლებრივ ურთიერთობებში მოვალეს პასუხისმგებლობა სხვა პირის ბრალისათვის დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირი მოვალის ვალდებულებას ასრულებდა და ასეთი მოქმედების შესრულება დაკისრებული ჰქონდა მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით. ამ გარემოებაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ მოვალემ თავისი კანონ-

იერი წარმომადგენლის ან იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულბათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს)

ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპიდან გადახვევას, რამდენადაც კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურების შემდეგ მოვალეს უფლება აქვს რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს იმ პირს, ვისი ბრალითაც ზიანი დადგა. თუ მესამე პირს ბრალი არ მიუძღვის, მაშინ მოვალის პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

ვალდებულების შეუსრულებლობასა და არაჯეროვან შესრულებაში შეიძლება ბრალი მიუძღოდეს იურიდიულ პირსაც. იურიდიული პირის ბრალი არის მისი ორგანოს (ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირი) ან მისი მუშაკების, რომლებიც მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში მოქმედებენ, ბრალი. იურიდიული პირის ბრალი თავისი შინაარსითა და ფორმით არ განსხვავდება ფიზიკური პირის ბრალისაგან.

ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება შემთხვევითობის შედეგიც იყოს. შემთხვევითობისას მოვალე, როგორც წესი, თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. შემთხვევითობა იურიდიული თვალსაზრისით ისეთი გარემოებაა, რომელმაც გამოიწვია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება მისი და კრედიტორის ბრალის გარეშე. შემთხვევითობის წინასწარი გათვალისწინება შეუძლებელია, პირმა არ იცის, არ შეეძლო სცოდნოდა და არც უნდა სცოდნოდა არამართლზომიერი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. შემთხვევითობა სუბიექტურად აუცდენელია. თუ პირმა იცოდა მოსალოდნელი შემთხვევითობის შესახებ, მაშინ მას შეეძლო მისი თავიდან აცილება. მაგალითად, მოვალეს რომ სცოდნოდა, რომ მის მიერ შესყიდულ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილება შეიცვლებოდა, მაშინ სხვა საქონელს შეუკვეთდა და არ განიცდიდა ზიანს. საშოქალაქო კანონი გამონაკ-

ლის შემთხვევაში უშვებს პასუხისმგებლობას შემთხვევითობის დროსაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლით დადგენილია, რომ მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

მოვალე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით. დაუძლეველი ძალა შემთხვევითობისაგან განსხვავებით ობიექტურად აუცდენელია. მისი თავიდან აცილება შეუძლებელია თუნდაც მაშინაც, როცა ცნობილია მისი დადგომა. მაგალითად, ყოველთვის როდია შესაძლებელი იმ შედეგების თავიდან აცილება, რაც სტიქიურ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს, თუნდაც ცნობილი იყოს ასეთი მოვლენის მოახლოება.

დაუძლეველ ძალას ჩვეულებრივ მიეკუთვნება სხვადასხვა სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, მეწყერი და სხვ.), საზოგადოებრივი მოვლენები (საომარი მოქმედება, ოკუპაცია, გაფიცვა, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს განკარგულება, რაც კრძალავს ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულებას) და სხვ. მაგალითად, სანაოსნომ ვერ შეასრულა განსაზღვრული დროისათვის ტვირთის მიტანის ვალდებულება შტორმის გამო, ან იმის გამო, რომ სათანადო ორგანოს განკარგულებით განსაზღვრული დროით აიკრძალა გემების გასვლა ნავსადგურიდან.

როგორც აღნიშნული იყო, დაუძლეველი ძალა ობიექტურად აუცდენელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ზიანის გამომწვევი მოვლენა თავიდან აცილებული ვერ იქნება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში იმ საშუალებით, რაც მოვალისათვის ხელმისაწვდომია. დაუძლეველი ძალა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოება არის არა მხოლოდ მისთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებების გამო, არამედ მთელი რიგი კონკრეტული პირობების გამო. ის, რაც ერთ შემთხვევაში ად-

ვილად დასაძლევია, მეორე შემთხვევაში შეიძლება დაუძლეველი იყოს. ის, რისი დაძლევაც ერთ კონტრაჰენტს შეუძლია, მეორისათვის შეიძლება შეუძლებელი იყოს.

გარდა იმისა, რომ ობიექტურად აუცდენელია, მოვლენა დაუძლეველ ძალად ჩაითვლება, თუ ის საგანგებო ხასიათისაა. შემოდგომის ზამთრით შეცვლა აუცდენელია, მაგრამ ამაში არაფერია საგანგებო და ამიტომ არ წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, მაგრამ მოულოდნელი ყინვები, რამაც მოსავლის აღების დაგვიანება გამოიწვია, შეიძლება დაუძლეველ ძალად მივიჩნიოთ.

დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო მოვალე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვია მისმა მოქმედებამ.

კანონი უშვებს გამონაკლისს, როცა დაუძლეველი ძალის მოქმედება არ გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას. საქართველოს საჰაერო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ საჰაერო ტრანსპორტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მგზავრის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის მოშლა გამოწვეული იყო თვით დაზარალებულის მიზეზით. მაშასადამე, დაუძლეველ ძალას საჰაერო კოდექსი არ მიიჩნევს პასუხისმგებლობის გამორიცხველ გარემოებად.

თავი VI

ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებანი

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი ისაა, რომ თუ მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარდა დამატებით აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვა ზომების გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს ვალდებულებით დაკისრებული მოქმედება.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებულ იყოს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. რამდენადაც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ყველა საშუალებას საერთო ანგარიშში ერთი მიზანი, მაგრამ რეალიზაციის სხვადასხვა მექანიზმი აქვთ, შესაძლებელია ერთ ვალდებულებაში უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება იქნეს გამოყენებული.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობასთან, რომლის შესრულების უზრუნველყოფისათვისაც ისინი არსებობენ. ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულებას უზრუნველყოფის საშუალებები – დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებას. დამატებითი ვალდებულება არ შეიძლება წარმოიშვას ძირითადზე ადრე, უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ ნამდვილი მოთხოვნა. ძირითადი ვალდებულების ბათილობა გამოიწვევს დამატებითი ვალდებულების ბათილობასაც, უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების ბათილობა კი, ძირითადი ვალდებულების ბათილობას არ გამოიწვევს. ამასთან, კანონი ითვალისწინებს ვალდებულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებასაც, რომელიც შეიძლება არსებობდეს ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად. ასეთია საბანკო გარანტია. სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლით დადგენილია, რომ საბან-

კო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის იგი გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

სამოქალაქო კანონი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის რამდენიმე საშუალებას. ესენია: გირავნობა, იპოთეკა, პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია, საბანკო გარანტია, თავდებობა და სხვ.

აღნიშნულ საშუალებებს სამოქალაქო კოდექსი განიხილავს სხვადასხვა ინსტიტუტებთან და არა მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის იმ თავში, რომელიც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებს ეხება. გირავნობა და იპოთეკა, მართალია, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებია, მაგრამ თავიანთი არსითა და ბუნებით სანივთო უფლებებს მიეკუთვნებიან და განხილული არიან სანივთო სამართალში. საბანკო . გარანტიას სამოქალაქო კოდექსი იხილავს საბანკო მომსახურებასთან ერთად. რაც შეეხება თავდებობას, იგი სამოქალაქო კოდექსში ცალკე ხელშეკრულების სახითაა მოცემული, რაც გამოწვეულია იმით, რომ თავდებობის ხელშეკრულებისათვის მაიძულებელ მოტივებს, ურთიერთობის საფუძველს მოვალესა და თავდებს შორის მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ხელშეკრულება იდება არა მოვალესა და თავდებს შორის, არამედ მოვალის კრედიტორსა და თავდებს შორის. ამ თვალსაზრისით ის შეიძლება დამოუკიდებელ ხელშეკრულებად ჩაითვალოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჯერად განვიხილავთ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია.

მხარეთა მიერ შერჩეული ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები წერილობით უნდა იქნეს დაფიქსირებული ან თვით იმ ვალდებულებაში, რომლის უზრუნველყოფის საშუალებასაც წარმოადგენს, ან დამატებით (სპეციალურ) შეთანხმებაში.

პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი).

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს (სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, დასაშვებია პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობა იმ შემთხვევებში, თუ მხარეები გაითვალისწინებენ შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით პირგასამტეხლოს შემცირება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი). პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს პირგასამტეხლოს თანხასა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის შეუსაბამოდ დიდი განსხვავება, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ხარისხი, ვალდებულებაში მონაწილე პირთა ქონებრივი მდგომარეობა და სხვ.

პირგასამტეხლოსათვის დამახასიათებელია, რომ ის შეიძლება გადახდევინებულ იქნეს მაშინაც, როცა ვალდებულების დარღვევას არ გამოუწვევია ზიანის მიყენება, ამიტომ პირგასამტეხლოს შესახებ მოთხოვნის წარდგენისას კრედიტორი არ არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ მას ზიანი მიეყენა. ასეთი შეიძლება საჭირო შეიქმნეს მაშინ, როცა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი პირგასამტეხლოს თანხისა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის შეუსაბამოდ დიდი განსხვავების გამო.

პირგასამტეხლო შეიძლება დადგენილ იქნეს განსაზღვრული ფულადი თანხით, რომელიც უნდა გადაიხადოს იმ მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება. ასეთ პირგასამტეხლოს ჯარიმა ეწოდება, ხოლო პირგასამტეხ-

ლის, რომელიც ითვალისწინებს გადახდევინებას ვალდებულების შესრულების ყოველი გადაცდენილი დღისათვის საურავი ეწოდება.

შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას (სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მეორე ნაწილი). წერილობითი ფორმა აუცილებელია ძირითადი ვალდებულების ფორმის მიუხედავად.

კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც. ორივეს მოთხოვნის უფლება მას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებას არ ასრულებს დადგენილ დროში.

მოვალისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინება არ ართმევს კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მას ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლი).

ბე

ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი (სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი). მაშასადამე, ბე ყოველთვის ფულად თანხაში გამოიხატება, რომლის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება და ამასთან. ბეს გადაცემით მოვალე ადასტურებს ძირითადი ვალდებულების არსებობას.

ბეს ძირითადი ფუნქციაა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, რაც იმით ხორციელდება, რომ თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს, ხოლო თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე

უკან უნდა დაუბრუნოს ორმაგად (სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლი).

ბეს აქვს საგადამხდელო ფუნქცია. იგი ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში. ამრიგად, ბე ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების საშუალებაა, თუმცა დასაშვებია, რომ იგი არ ჩაითვალოს გადასახდელის ანგარიშში. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ბე უკან უნდა დაბრუნდეს (სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლი). ბე არ ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული. ბე უკანვე უნდა დაბრუნდეს ასევე, თუ ძირითადი ვალდებულება შეწყდა მის შესრულებამდე მხარეთა შეთანხმებით ან, თუ მხარეთაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელია.

ბეთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება ზიანი გამოიწვიოს. უნდა ანაზღაურდეს თუ არა ასეთი ზიანი, დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ დაარღვია ვალდებულება ბეს მიმცემმა, თუ ბეს მიმღებმა. თუ ვალდებულება ბეს მიმცემმა დაარღვია, მაშინ ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, ე.ი. პასუხისმგებლობა ძირითადი ვალდებულების დარღვევისათვის ბეს დაკარგვით შემოიფარგლება. ბეს მიმღების მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევისას, გარდა იმისა, რომ ბეს მიმცემს ბე უბრუნდება ორმაგად, მას უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლი).

მოვალის გარანტია

მოვალის გარანტიად ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს (სამოქალაქო კოდ-

ექსის 424-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ მოვალე თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას გარკვეულ შედეგებზე, რაც შესაძე პირთან ურთიერთობაში წარმოიშობა, მაგალითად, პროდუქციის დამამზადებლის გარანტია მოვაჭრის წინაშე იმის თაობაზე, რომ თვითონ აგებს პასუხს მომხმარებლის წინაშე საქონლის ხარისხისათვის.

გარანტია ნამდვილად ჩაითვლება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს, ან ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს (სამოქალაქო კოდექსის 425-ე მუხლი). ზედმეტად ავალდებულებს თუ არა გარანტია მოვალეს, უნდა გადაწყდეს კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ძირითად და დამატებით ვალდებულებას შორის შეუსაბამოდ დიდი განსხვავება.

გარანტია უნდა გაფორმდეს წერილობით (სამოქალაქო კოდექსის 426-ე მუხლი).

თავი VII

ვალდებულების შეწყვეტა

შეწყვეტის შემდეგ ვალდებულება აღარ არსებობს. მის მონაწილეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ უფლებები და ვალდებულებები. კრედიტორს უფლება აღარ აქვს წაუყენოს მეორე მხარეს რაიმე მოთხოვნები, დაუთმოს ეს მოთხოვნები სხვა პირს, მოვალე კი, პასუხს არ აგებს მოცემული ვალდებულებებით. ვალდებულების შეწყვეტა ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ მხარეებმა მიაღწიეს მიზანს. ზოგიერთ შემთხვევაში, კანონში მითითებული ამა თუ იმ გარემოების ძალით, ვალდებულება მის შესრულებამდე წყდება და კრედიტორი დაკმაყოფილების გარეშე რჩება. ვალდებულების შეწყვეტას იწვევს განსაზღვრული გარემოებები (იურიდიული ფაქტები), რომლებსაც ვალდებულების

შეწყვეტის საფუძვლებს (საშუალებებს) უწოდებენ.

ვალდებულება შეწყდება მთლიანად ან ნაწილობრივ:

ა. შესრულების შედეგად;

ბ. ნოვაციით;

გ. დეპონირებით;

დ. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით;

ე. ვალის პატიებით;

ვ. თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება;

ი. მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების და იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო. ეს ჩამოთვლა ამომწურავი არ არის. ვალდებულება შეიძლება შეწყდეს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებითაც.

ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით

ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ძირითად და ყველაზე უფრო გავრცელებულ საფუძველს. ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი). ვალდებულების შეწყვეტას იწვევს ვალდებულების არა ყოველგვარი, არამედ ჯეროვანი შესრულება. ჯეროვანი შესრულება წყვეტს ვალდებულებას, თუმცა, ზოგჯერ წარმოადგენს ხელშეკრულების განახლების საფუძველს. არაჯეროვანი შესრულება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს, რადგან ასეთ შემთხვევაში მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე.

ვალდებულების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო დოკუმენტით. კრედიტორმა შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ მოვალის მოთხოვნით უნდა გადასცეს მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ჩვეულებრივ ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს ხელწერილი. კრედიტორის მიერ

შესრულების შესახებ გაცემულ დოკუმენტში მითითებულ უნდა იქნეს პროცენტის შესახებ. თუ პროცენტის შესახებ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, მაშინ ივარაუდება, რომ პროცენტი გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.

ვალის პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ გადახდისას, ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ დოკუმენტი, ვიდრე სხვა რამ არ დადასტურებულა, იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი).

ვალდებულების შესრულების თაობაზე შედგენილი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს (სამოქალაქო კოდექსის 430-ე მუხლი).

თუ მოთხოვნის შესახებ სავალო საბუთია გაცემული (მაგალითად, ხელწერილი ნასესხის მიღების შესახებ), მაშინ მოვალეს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია მოითხოვოს ამ საბუთის დაბრუნება ან მისი გაუქმება (მაგალითად, საბუთის დახევა). რაიმე მიზეზით სავალო საბუთის დაბრუნების შეუსრულებლობისას (მაგალითად, საბუთის დაკარგვის შემთხვევაში) მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია (სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლი).

ვალდებულების შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემამ შეიძლება ხარჯები გამოიწვიოს. ასეთი ხარჯები მოვალეს ეკისრება, თუ მასა და კრედიტორს შორის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ხარჯების ანაზღაურება შეიძლება კრედიტორსაც დაეკისროს. კრედიტორს ან მის მემკვიდრეს შეიძლება დაეკისროთ დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებული იმ გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, რაც გამოიწვია კრედიტორის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ ან მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის სხვა საცხოვრებელ ადგილას ყოფნამ (სამოქალაქო კოდექსის 432-ე მუხლი).

მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე, თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გადაცემაზე, სავალო ხაბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე. ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად (სამოქალაქო კოდექსის 433-ე მუხლი).

ვალდებულების შეწყვეტა ნოვაციით

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როცა კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა ვალდებულების შესრულებას (სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი). მაშასადამე, მხარეთა შეთანხმებით ერთი ვალდებულება შეიძლება შეიცვალოს მეორეთი, რასაც ნოვაცია ეწოდება. ნოვაციის შედეგად თავდაპირველი ვალდებულება წყდება, მაგრამ მის საფუძველზე, იმავე პირებს შორის, მყარდება ახალი ვალდებულება. მაგალითად, მყიდველმა ფასის გადახდის ნაცვლად გამყიდველთან შეთანხმებით იმავე თანხაზე გადასცა მას სესხის ხელწერილი. ამ შემთხვევაში ნასყიდობიდან წარმოშობილი ვალდებულება შეიცვალა სესხის ვალდებულებით.

ნოვაციის შედეგად ვალებულება წარმოიშობა, თუ წინა ვალდებულება ნამდვილი იყო. თუ წინა ვალდებულება ბათილია, მაშინ შესაცვლელიც არაფერია. ხოლო თუ ბათილი აღმოჩნდება შეთანხმება ნოვაციის შესახებ, მაშინ წინა ვალდებულება ძალას ინარჩუნებს.

ნოვაციის დროს წინა ვალდებულების მთლიანად შეწყვეტასთან ერთად იმავდროულად წყდება მისი შესრულების უზრუნველყოფის აქცესორული ვალდებულებებიც.

ნოვაცია უნდა განვასხვავოთ ე. წ. პროლონგაციისაგან, რომლითაც ხელშეკრულებითი ურთიერთობა კი არ წყდება, არამედ გრძელდება მისი მონაწილეების მიერ ახალი ვადით.

ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების საგნის შენახვა სასამართლოში ან ნოტარიატში და ფულისა და ფასიანი ქაღალდების შეტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. მოვალეს აღნიშნულ მოქმედებათა შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას (თავს არიდებს მიღებას) ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლი).

სასამართლომ ან ნოტარიუსმა უნდა შეარჩიონ შესრულების საგნის შემახველი შესრულების ადგილის მიხედვით, დოკუმენტები კი მათ რჩებათ. საგანი უნდა იყოს შესანახად ვარგისი. მალფუჭადი საგნები შესანახად არ მიიღება. შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ სასამართლო ან ნოტარიუსი ატყობინებს კრედიტორს და მოითხოვს მისგან საგნის მიღებას.

მოვალეს თავიდანვე, სასამართლოს ან ნოტარიუსისათვის ჭონების გადაცემისას, შეუძლია განაცხადოს, რომ შესანახად გადაცემულ შესრულების საგანს უკანვე აღარ დაიბრუნებს. თუ მას თავიდანვე ასეთი უარი არ განუცხადებია, მაშინ შეუძლია უკანვე მოითხოვოს, მაგრამ კრედიტორის მიერ მის მიღებამდე. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ შენახვა არ შემდგარა. საერთოდ, შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი კრედიტორს ეკისრება, მაგრამ მოვალის მიერ საგნის უკან დაბრუნებისას, შენახვის ხარჯები მოვალეს დაეკისრება.

მოვალეს მაშინაც შეუძლია ჩაბარებული საგანი უკანვე დაიბრუნოს, როცა კრედიტორი უარს ამბობს მის მიღებაზე ან გავიდა შენახვის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 440-ე მუხლი).

სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება

ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად (სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლი).

ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით

ვალდებულება შეიძლება შეწყდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ურთიერთმოთხოვნაში უნდა გავიგოთ ისეთი ორი მოთხოვნა, როცა ერთი მოთხოვნის მიხედვით კრედიტორი იმავე დროს წარმოადგენს მოვალეს მეორე მოთხოვნის მიხედვით. მაგალითად, თუ ლამქირავებელმა, რომელმაც უნდა გადაუხადოს გამქირავებელს ქირა 30 ლარი, მიჰყიდა გამქირავებელს რაიმე ნივთი 30 ლარად, მაშინ ორივე ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად და ორივე ვალდებულება შეწყდება.

როგორც აღნიშნული იყო, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა შეიძლება მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. თუ შესრულების ვადა დადგენილი არ იყო, მაშინ გაქვითვისათვის ვადას საერთოდ მნიშვნელობა არა აქვს და გაქვითვის მოთხოვნა შეიძლება ყოველთვის.

გაქვითვისათვის მხარეთა შეთანხმება საჭირო არ არის, მაგრამ არც ავტომატურად არ ხდება. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით (სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი). თავისი იურიდიული ბუნებით გაქვითვა გარიგებაა, რომლის მოსახდენად საკმარისია ერთი მხარის ნება.

მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა (სამო-

ქალაქო კოდექსის 443-ე მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა მოთხოვნის ვადა გასულია, მაგრამ იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა სხვა მოთხოვნასთან ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

შესაძლებელია ურთიერთმოთხოვნათა მოცულობა ერთნაირი არ იყოს და მთლიანად ვერ ფარავდნენ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობა მეორე მოთხოვნის მოცულობაზე ნაკლებია (სამოქალაქო კოდექსის 444-ე მუხლი). მაშასადამე, ერთი მოთხოვნა სრულდება მთლიანად და ვალდებულება, რომლიდანაც მოთხოვნა გამომდინარეობს, წყდება, ხოლო მეორე სრულდება ნაწილობრივ.

შესაძლებელია იმ მხარეს, რომელსაც გაქვითვის შესახებ ეცნობა, რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა ჰქონდეს. მაგალითად, ის ვალდებულია დაუბრუნოს მეორე მხარეს სესხად მიღებული თანხა, გადაუხადოს ქირა, აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო და ა. შ. ასეთ შემთხვევაში გაიქვითება ის ვალდებულება, რომელსაც ის მხარე ამოირჩევს, რომელსაც გაქვითვის შესახებ ეცნობა, ხოლო თუ არ ამოირჩევს, მაშინ, გაიქვითება ის, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.

თუ მხარეს მეორე მხარის წინაშე ძირითადი ვალდებულების გარდა ეკისრება პროცენტებისა და სხვა ხარჯების გადახდაც, მაშინ თავდაპირველად უნდა გაიქვითოს ხარჯები, შემდეგ ძირითადი შესრულება (ვალი), და ბოლოს, პროცენტები (სამოქალაქო კოდექსის 445-ე მუხლი).

ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია მაშინაც, როცა მოთხოვნებისათვის გათვალისწინებულია შესრულების სხვადასხვა ადგილი (სამოქალაქო კოდექსის 446-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს რამდენიმე შემთხვევას, როცა მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია. გაქვითვა დაუშვებელია:

ა. თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული;

ბ. თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების

მიქცევა, ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო;

გ. თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებითა და სიკვდილით;

დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (სამოქალაქო კოდექსის 447-ე მუხლი).

ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატიებით

ვალდებულების შეწყვეტას გამოიწვევს კრედიტორის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლება (ვალის პატიება). ვალის პატიება არ შეიძლება მოხდეს კრედიტორის ცალმხრივი აქტით, აუცილებელია მეორე მხარის (მოვალის) თანხმობა (სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლი).

სოლიდარული ვალდებულებისას ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შესრულებისაგან ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, იმ შემთხვევების გარდა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. მაშასადამე, კრედიტორს შეუძლია ვალი აპატიოს ერთ, რამდენიმე ან ყველა სოლიდარულ მოვალეს. თუ კრედიტორი მოთხოვნის უფლებას იტოვებს სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მათგან ვალის გადახდა იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც აპატია ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს) (სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლი).

ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ათავისუფლებს თავდებ პირებსაც, მაგრამ თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან არ ათავისუფლებს. თუ რამდენიმე თავდებია, ერთ-ერთის განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც (სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლი).

ვალის პატიებისაგან განსხვავდება ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმა.

მაგალითად, მენარდე უარს ამბობს ანაზღაურების მიღებაზე ასეთი უარი არ გამოიწვევს ვალდებულების შეწყვეტას, რადგან მხარე, რომელმაც უარი თქვა თავის მოთხოვნაზე, ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობანი, ვიდრე მეორე მხარეს არ უთქვამს უარი თავის მოთხოვნაზე (სამოქალაქო კოდექსის 451-ე მუხლი).

ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება

ყოველი ვალდებულება აუცილებლად გულისხმობს მოვალისა და კრედიტორის არსებობას. იმ შემთხვევაში, როცა მოვალეზე გადადის კრედიტორის მოთხოვნის უფლება, ან კრედიტორზე მოვალის ვალდებულება, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება, რადგან შეუძლებელია არსებობდეს ვალდებულება, რომელშიც მხოლოდ კრედიტორი ან მხოლოდ მოვალეა. ამიტომ ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება (სამოქალაქო კოდექსის 452-ე მუხლი). მაგალითად, თუ მემკვიდრე იყო მამკვიდრებლის მოვალე ან კრედიტორი, მაშინ, მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს მოცემულ პირზე გადასვლისას, ის აღარ არის მამკვიდრებლის მოვალე (ან კრედიტორი), რამდენადაც ხდება მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე. თუ მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე აღმოჩნდება არა ერთი, არამედ რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ, ვალდებულება მთლიანად არ შეწყდება. ის დაიფარება ნაწილობრივ, ვალდებულების (ვალის) იმ ნაწილში, რომელიც მოდის მოცემული ვალდებულების მონაწილეზე. ვალდებულების დანარჩენი ნაწილი ძალას ინარჩუნებს და მოვალე ამ ფარგლებში ვალდებულია სხვა მემკვიდრეების წინაშე.

მემკვიდრეობის დროს მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ის პირი, რომელიც

მამკვიდრებლის მოვალე ან კრედიტორი იყო, მიიღებს სამკვიდროს.

მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი შეიძლება აღმოჩნდეს იურიდიული პირის რეორგანიზაციის (შერწყმის, შემოერთების) და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში.

ვალდებულების შეწყვეტა მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალებისა და იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო

მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება საერთო წესის მიხედვით არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, რამდენადაც გარდაცვლილის უფლებები და ვალდებულებები გადადის მემკვიდრეებზე. მოვალის გარდაცვალება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ ვალდებულების შესრულება მისი პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია (მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ვალდებულება). კრედიტორის გარდაცვალება კი მაშინ შეწყვეტს ვალდებულებას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის (მაგალითად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა).

ვალდებულების შეწყვეტას იწვევს ასევე იურიდიული პირის ლიკვიდაცია. იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლი).

მითითებულის გარდა ვალდებულების შეწყვეტა შეიძლება მოხდეს სხვა საფუძვლებითაც. რომელთა შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმებშია მითითებული. მაგალითად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს (სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლი).

თავი VIII

კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში

§1. ზოგადი დებულებანი

ვალდებულებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი მხარე – კრედიტორი და მოვალე. ჩვეულებრივ, ერთი კრედიტორი და ერთი მოვალეა, მაგრამ არის ისეთი ვალდებულებებიც, რომლებშიც რამდენიმე პირი მონაწილეობს კრედიტორის, მოვალის ან ორივე მხარეზე.

ვალდებულებას, რომელშიც ორზე მეტი პირი მონაწილეობს, ეწოდება ვალდებულება პირთა სიმრავლით, ხოლო ვალდებულებას, რომლის ერთ მხარეზე რამდენიმე კრედიტორია და მეორე მხარეზე ერთი მოვალე – ვალდებულება აქტიური სიმრავლით, როცა პირიქითაა, ე. ი. ერთ მხარეზე რამდენიმე მოვალეა და მეორეზე ერთი კრედიტორი – ვალდებულება პასიური სიმრავლით, ხოლო თუ ერთ მხარეზე რამდენიმე კრედიტორია და მეორეზე რამდენიმე მოვალე – ვალდებულება შერეული სიმრავლით.

პირთა სიმრავლით ვალდებულებებთან დაკავშირებით ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოცულობით უნდა შეასრულოს ვალდებულება თითოეულმა მოვალემ, როცა რამდენიმე მოვალეა და თითოეულ კრედიტორს რა მოცულობით შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, როცა რამდენიმე კრედიტორია. ამ თვალსაზრისით ვალდებულებები პირთა სიმრავლით იყოფიან წილობრივ და სოლიდარულ ვალდებულებებად.

წილობრივია ვალდებულება, რომლის ძალითაც თითოეულ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების განსაზღვრული ნაწილის შესრულება და თითოეული მოვალე ვალდებულია შეასრულოს ვალდებულების განსაზღვრული ნაწილი. წილობრივ ვალდებულებაში აქტიური სიმრავლით თითოეულ კრედ-

იტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისაგან მხოლოდ იმ წილის შესრულება, რაც ამ კრედიტორს ერგება. პასიური სიმრავლის დროს კი კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს თითოეული მოვალისაგან ვალის მხოლოდ ის ნაწილი, რაც თითოეულ მოვალეზე მოდის. მოვალე, რომელმაც შეასრულა თავისი წილი, ვალდებულებიდან გამოდის და მისთვის ვალდებულება შესრულებულად ითვლება. დანარჩენი მოვალეებისათვის ვალდებულება განაგრძობს მოქმედებას მათ მიერ ვალდებულებიდან თავიანთი წილის შესრულებამდე.

სოლიდარულია ვალდებულება, რომლის ძალითაც თითოეულ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს და თითოეული მოვალე ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება მთლიანად. აქტიური სიმრავლისას ვალდებულება გამოიხატება თითოეული კრედიტორის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების მოთხოვნის უფლებაში, ხოლო პასიური სიმრავლის დროს თითოეული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულებაში. მაშასადამე, სოლიდარული შეიძლება იყვნენ როგორც კრედიტორები, ისე მოვალეები.

სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. ხელშეკრულებით ან კანონით გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ვალდებულება პირთა სიმრავლით წილობრივად უნდა იქნეს მიჩნეული.

§2 სოლიდარული კრედიტორები

თუ რამდენიმე პირია უფლებამოსილი მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანად შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთიჯერადად შეასრულოს, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულად უფლებამოსილ პირებს – სოლიდარულ კრედიტორებს (საქართველოს კოდექსის 455-ე მუხლი). ამრიგად, სოლიდარულ

კრედიტორს უფლება აქვს წარუდგინოს მოვალეს მოთხოვნა ვალდებულების მთლიანად შესრულების შესახებ.

სოლიდარული ვალდებულების დროს, როდესაც რამდენიმე კრედიტორია, მოვალეს შეუძლია თავისი სურვილისამებრ ვალდებულება შეასრულოს ნებისმიერი კრედიტორის წინაშე, თუკი ერთ-ერთ კრედიტორს მისთვის არ წაუყენებია ვალდებულების მთლიანად შესრულების მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 457-ე მუხლი). მაშასადამე, მოვალეს კრედიტორის ამორჩევა აღარ შეუძლია მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა კრედიტორმა უკვე მოითხოვა ვალდებულების მთლიანად შესრულება.

ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორისათვის ათავისუფლებს მოვალეს დანარჩენი კრედიტორების წინაშე ვალდებულებებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 458-ე მუხლი). მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი კრედიტორი მოვალისაგან მთლიანად მიიღებს შესრულებას, კრედიტორი, რომელმაც შესრულება მიიღო, მოვალეა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი. მაშასადამე, მოვალის მიერ ერთ-ერთი კრედიტორისათვის ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ სოლიდარულ კრედიტორებს შორის ურთიერთობა წილობრივი ხდება. სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ მათ შორის სხვა რამ არ არის დადგენილი (სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლი).

ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოვალე საერთოდ არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, ის მხოლოდ ვალდებულების იმ ნაწილის შესრულებისაგან განთავისუფლდება, რომელიც იმ კრედიტორს ერგებოდა, რომელმაც უარი თქვა მოთხოვნაზე (სამოქალაქო კოდექსის 459-ე მუხლი).

მოვალეს არ შეუძლია ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ გამოიყენოს ისეთი ფაქტები, რომლებიც სხვა კრედიტორთანაა და კავშირებული (სამოქალაქო კოდექსის 460-ე მუხლი). მაგალი-

თად, თუ ყველა კრედიტორმა, გარდა ერთისა, გაუშვა ხანდაზმულობის ვადა, ერთისათვის კი ვადა შეჩერებული იყო, ამ უკანასკნელის მოთხოვნის უარყოფა იმაზე მითითებით, რომ სხვა სოლიდარულმა კრედიტორებმა ვადა გაუშვეს, მოვალეს არ შეუძლია.

სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეულ მემკვიდრეზე გადადის ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო წილს შეესაბამება (სამოქალაქო კოდექსის 461-ე მუხლი).

§3. სოლიდარული მოვალეები

სოლიდარულია ისეთი მოვალეები, რომელთაგან თითოეული ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება (სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი).

სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ისეთი შესაგებელი, რომლებიც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობენ, ან რომლის უფლებაც მარტო მას აქვს, ან იგი საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის (სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლი). მაგალითად, თუ მოვალე შეიტყობს, რომ კრედიტორი დაკმაყოფილებულია სხვა მოვალის მიერ, მას შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნაზე.

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. დანარჩენი მოვალეები შესრულებისაგან განთავისუფლდებიან მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოვალე კრედიტორთან მოთხოვნას გაქვითავს (სამოქალაქო კოდექსის 467-ე მუხლი).

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე მთლი-

ანად შეასრულებს ვალდებულებას, მას დანარჩენი მოვალეების მიმართ აქვს უკუმოთხოვნის უფლება. უკუმოთხოვნა ხორციელდება წილთა თანაბრობის კვალობაზე, ცხადია, იმ მოვალის წილის გამოკლებით, რომელმაც ვალდებულება მთლიანად შეასრულა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როდესაც შეუძლებელია თითეული მოვალის პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, მაშინ სოლიდარული მოვალეები ერთამანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით (სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი). უკუმოთხოვნის განხორციელებისას, თუ ერთ-ერთი მოვალეთაგანი ვალაუვალი აღმოჩნდება, მაშინ მისი გადასახდელი წილი თანაზომიერად ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს შორის, მათ შორის იმ მოვალეზეც, რომელმაც მთლიანად შეასრულა ვალდებულება.

დადგენილია, რომ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ მოვალის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 468-ე მუხლი). მაგალითად, თუ რამდენიმე სოლიდარული მოვალეა (რამდენიმე მყიდველია) და გამყიდველი მოითხოვს ერთ-ერთის პასუხისმგებლობას გადახდის ვადის გადაცილებისათვის, ამ უკანასკნელს არ შეუძლია მოითხოვოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება იმაზე მითითებით, რომ გამყიდველმა სხვა მყიდველებს (მოვალეებს) შესრულება გადაუვადა.

კრედიტორს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი ერთ-ერთი მოვალის მიმართ, მაგრამ ამ უფლების გამოყენება მას არ ართმევს სარჩელის შეტანის შესაძლებლობას სხვა მოვალეების მიმართაც.

თუ კრედიტორი დააყოვნებს ერთ-ერთი მოვალისაგან შესრულების მიღებას, ითვლება, რომ მან შესრულების მიღება დააყოვნა დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგანაც და ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისაგან შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები ძალაშია ასევე დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც. მაშასადამე, დანარჩენ მოვალეებსაც შეუძლიათ მოითხ-

ოვონ კრედიტორის პასუხისმგებლობა ერთ-ერთი მოვალისაგან შესრულების მიღების დაყოვნების გამო. რაც შეეხება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგებს, ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც. პასუხისმგებლობა შესრულების ვადის გადაცილებისათვის დაეკისრება მხოლოდ იმ მოვალეს, რომელმაც ვადა გადააცილა (სამოქალაქო კოდექსის 470-ე მუხლი).

სოლიდარული მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში შესრულების მოვალეობა მემკვიდრეებზე გადადის.თუ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეული მათგანი ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნა თავისი სამკვიდრო წილის შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოთხოვნა განუყოფადია (სამოქალაქო კოდექსის 471-ე მუხლი). აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს, მაგრამ სამკვიდრო წილის ფარგლებში. თუ მემკვიდრე მთლიანად გადაიხდის ვალს, მაშინ მას უფლება აქვს რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს სხვა მემკვიდრეებს თითოეულის წილის პროპორციულად.

შესაძლებელია სოლიდარული ვალდებულებიდან მხოლოდ ერთმა მოვალემ მიიღოს სარგებელი, დანარჩენებმა კი არა. ასეთ შემთხვევაში იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც სარგებელი არ მიუღია თავისი ვალდებულების შესასრულებლად, შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია (სამოქალაქო კოდექსის 475-ე მუხლი). მაგალითად, თუ რამდენიმე პირმა დაიქირავა ავტომობილი, მაგრამ მისგან სარგებელი ერთმა მიიღო, დანარჩენ დამქირავებლებს შეუძლიათ იმ დამქირავებლისაგან, რომელმაც სარგებელი მიიღო, მოითხოვონ კომპენსაცია გამქირავებლის წინაშე თავიანთი ვალდებულების შესასრულებლად.

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 476-ე მუხლი).

კერძო ნაწილი

თავი IX

ნასყიდობის ხელშეკრულება. გაცვლის ხელშეკრულება

§1. ზოგადი დებულებანი

ნასყიდობის ხელშეკრულება ხელშეკრულებათა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელშიც განსაკუთრებით ნათლადაა გამოხატული ქონების გადასვლა ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში.

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.

მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულებაში წარმოადგენენ გამყიდველი და მყიდველი, რომლებიც შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. რამდენადაც ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემას, გამყიდველი ქონების მესაკუთრე უნდა იყოს. ნივთის გადაცემა საკუთრებაში მხოლოდ მესაკუთრეს შეუძლია. ამ საერთო წესიდან კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გამონაკლისებიც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 503-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ, როცა მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს (მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როდესაც ნივთი მხარეთა შეთანხმებით მყიდველის საკუთრება ხდება ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე), გამყიდველს, რომელიც ინახავს ნივთს, შეუძლია ამ ნივთის გაყიდვა სათანადო წესების დაცვით. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ნივთის ყიდის არამესაკუთრე.

თუ მოხდა, რომ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, ე. ი. რამდენიმე მყიდველთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, მაშინ უპირატესობა იმ მყიდველს ეძლევა, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო (სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი).

ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ქონება და ქონებრივი უფლებები (მაგალითად, მოგების მიღების უფლება, წილის მიღების უფლება და სხვ.), რომლებიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს (სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლითაც სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენა შეიძლება შეუზღუდველად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს).

ფასი ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ მხარეებმა ხელშეკრულებაში პირდაპირ არ მიუთითეს ფასზე, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ ფასის განსაზღვრის საშუალებებზე (მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ფასის გადახდა მოხდეს გადახდის მომენტისათვის დამკვიდრებული ფასის მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მესამე ნაწილი).

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს სპეციალურ ნორმას ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში უნდა მივმართოთ იმ ნორმებს, რომლებიც გარიგების ფორმას ეხებიან. სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლით დადგენილია, რომ გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არაა დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. მაგალითად, კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება წერილობით უნდა დაიდოს (სამოქალაქო კოდექსის

506-ე მუხლის პირველი ნაწილი). როდესაც ასეთი პირდაპირი მითითება არ არის, ხელშეკრულების ფორმა გამყიდველმა და მყიდველმა უნდა განსაზღვრონ. ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნივთის მოწონების პირობით. ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებულ ვადაში მყიდველი არ დაიწუნებს ნივთს. თუ მყიდველი ნივთს დაიწუნებს, მაშინ მხარეები მოვალე არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს (სამოქალაქო კოდექსის 520-ე მუხლი).

§2. ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველსა და მყიდველს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

გამყიდველის უპირველესი მოვალეობაა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე. მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებთან არის დაკავშირებული გამყიდველიდან მყიდველზე საკუთრების გადასვლის მომენტის განსაზღვრა. ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც ეხებიან საკუთრების უფლების შეძენას საერთოდ. შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსი ერთგვარად განსხვავებულ წესს ადგენს იმის მიხედვით, თუ როგორ ნივთთან გვაქვს საქმე – უძრავთან თუ მოძრავთან.

დადგენილია, რომ უძრავი ნივთების შეძენისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, უძრავი ნივთების მყიდველი მესაკუთრე გახდება ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და მყიდველის საჯა-

რო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რაც შეეხება მოძრავ ნივთს, მასზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი). კანონი მიუთითებს ასევე, თუ რა ითვლება ნივთების გადაცემად. ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; ხელშეკრულებით არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება პირდაპირ მფლობელად დარჩეს; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება (სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილი). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მყიდველი ნაყიდი ნივთის მესაკუთრე გახდება გამყიდველისაგან მასზე ნივთის გადაცემის მომენტიდან (მყიდველისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში), თუმცა, დასაშვებია ხელშეკრულებით იმის გათვალისწინებაც, რომ მყიდველზე საკუთრების უფლება ნივთის გადაცემამდე გადავა (მყიდველისათვის ნივთის გადაცემა არაპირდაპირ მფლობელობაში). მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველი ნაყიდი ნივთის მესაკუთრე გახდება ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ნივთი კი განსაზღვრული დროის განმავლობაში დარჩება მყიდველთან (პირდაპირ მფლობელობაში). მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზეც, რომ მყიდველი საკუთრების უფლებას ნივთზე შეიძენს ფასის გადახდის შემდეგ. დადგენილია, რომ თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, იკარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, გამყიდველს შეუძლია ნასყიდობის ხელშეკრულებაში დათქვას, რომ საკუთრების უფლება მყიდველზე გადავა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

გამყიდველს ხელშეკრულებით შეიძლება დაევალოს საქონ-

პასუხისმგებელ პირს (სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლი).

გამყიდველის ერთ-ერთი ვალდებულებაა გადასცეს მყიდველს სათანადო ხარისხის ნივთი. დადგენილია, რომ გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლი). ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა ნივთი, თუ იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისაა. თუ ნივთის ხარისხი გათვალისწინებული არ იყო, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. მაშასადამე, ნივთი ნივთობრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს, ან თუ უვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნივთობრივად ნაკლის მქონეა ნივთი მაშინაც, თუ გამყიდველი გადაცემს მყიდველს ნივთის მხოლოდ ნაწილს, ხელი ხ	sა ნივთის ან მცირე რაოდენობით. თუ ნაკლის მქონეა ნივთის მხოლოდ ნაწილი, მაშინ მთელი ნივთი ჩაითვლება ნაკლის მქონედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნივთის ერთი ნაწილის ნაკლი გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლი).

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია ამ ნივთზე თავის უფლების გამო (მაგალითად, ნივთი უფლებრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ მესამე პირი პრეტენზიას აცხადებს ნივთის საკუთრების უფლებაზე და სხვ.). უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება. (სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი).

ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, იცოდა თუ არა მყიდველმა ნივთის ნაკლის შესახებ. თუ ნივთის ნაკლის შესახებ მყიდველმა იცოდა და მაინც მიიღო იგი, მაშინ მას ნივთის ნაკლის გამო არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლება.

საერთოდ, კანონი არ ავალებს მყიდველს, რომ მან დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთის ხარისხი. გამონაკლისია გათვალისწინებული იმ მყიდველის მიმართ, რომელიც მეწარმეა. თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი. მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება, თუკი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში, ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაში ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას. ეს წესი არ გამოიყენება, თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე (სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლი). მოცემული წესი გულისხმობს იმ შემთხვევებს, როცა მეწარმე ნასყიდობის ხელშეკრულებით იძენს საქონელს სამეწარმეო საქმიანობისათვის, გამოდის ურთიერთობაში როგორც მეწარმე.

თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა და თუ ნივთის ნაკლის შესახებ მყიდველმა არ იცოდა, მაშინ გამყიდველი მოვალეა გამოასწოროს ეს ნაკლი. განსხვავებულად წყდება საკითხი, თუ ნაკლი გაყიდულ გვაროვნულ ნივთს აღმოაჩნდება. ნაკლის მქონე გვაროვნული ნივთი უნდა შეიცვალოს. გამყიდველს ეკისრება ასევე ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება (ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების, მასალის ღირებულების და სხვა ხარჯები). გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ნივთის ნაკლის გამოსწორებაზე ან ნივთის შეცვლაზე, თუ იგი შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მას დაეკისრება ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ნაკლის მქონე ნივთის ახალი ნივთით შეცვლისას, გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს მყიდველისაგან ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლი).

მყიდველს შეუძლია არა მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისა და გვაროვნული ნივთის შეცვლის მოთხოვნა, არამედ ასევე ხელშეკრულების მოშლა. ასეთ შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. ამასთან, გამყიდ-

ველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი).

მყიდველს, რომელსაც ნაკლის მქონე ნივთი მიეყიდა, უფლება აქვს ასევე მოითხოვოს ფასის შემცირება, თუ ის არ ითხოვს ნაკლის გამოსწორებას, ან ნაკლის მქონე ნივთის ახალი ნივთით შეცვლას და არც ხელშეკრულების მოშლას. მყიდველს ფასის შემცირების მოთხოვნა შეუძლია იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი (სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლი).

ნივთის ნაკლთან დაკავშირებით მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი გაყიდული ნივთის ნაკლისათვის შეზღუდულად აგებს პასუხს ან საერთოდ არ აგებს პასუხს, ე. ი. ხელშეკრულებაში მიუთითონ იმის შესახებ, რომ თუ ნივთს ნაკლი აღმოაჩნდება გამყიდველი სრულად ან საერთოდ არ აგებს პასუხს. მხარეთა ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლი).

შესაძლებელია გამყიდველის მიერ განისაზღვროს გაყიდული ნივთის ვარგისიანობის ვადა. ასეთ შემთხვევაში, მყიდველს ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება აქვს ამ ვადაში გამომჟღავნებული ნაკლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 496-ე მუხლი).

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ქონება და ქონებრივი უფლებები. ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები გამოიყენება უფლების ნასყიდობის მიმართაც. უფლების გაყიდვის დროს შეიძლება საჭირო შეიქნას ამ უფლების ნამდვილობის დასაბუთება (იმის დასაბუთება, რომ გამყიდველს ნამდვილად აქვს იმის უფლება, რომელსაც ყიდის). თუ უფლების ნამდვილობის დასაბუთებამ ხარჯები გამოიწვია, მაშინ ეს ხარჯები გამყიდველმა უნდა გასწიოს. ზოგჯერ ხდება ისე, რომ გაყიდული უფლება იძლევა ნივთის ფლობის შესაძლებლობას (მაგალითად, იჯარის უფლების გაყ-

იდვისას საიჯარო ნივთები მყიდველის მფლობელობაში გადადის). ასეთ შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად უნაკლო ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 498-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 481-ე) სპეციალურად მიუთითებს მიწის ნაკვეთის გამყიდველის მიერ იმ ხარჯების გადახდის მოვალეობაზე, რაც მან ხელშეკრულების დადებამდე გასწია მიწის ნაკვეთის ათვისებისა და მსგავსი ღონისძიებების გატარებისათვის. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ამ ხარჯების გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტს. ხარჯების გადახდის დრო შეიძლება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშვას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხარჯები გაწეული იყო ხელშეკრულების დადებამდე.

მყიდველის უპირველესი მოვალეობაა ფასის გადახდა და ქონების მიღება. დადგენილია, რომ მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მეორე ნაწილი). ფასის გადახდის გარდა, მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის, სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 479-ე მუხლი). თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მყიდველსავე ეკისრება ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები.

ქონება მყიდველის მიერ მიღებულად ჩაითვლება თუ შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რაც მოწმობს მის მიღებას. ამასთან, კანონი ითვალისწინებს შემთხვევას, რომლის არსებობის დროსაც მყიდველს შეუძლია უარი თქვას საქონლის მიღებაზე. კერძოდ, მყიდველს ასეთი უფლება აქვს, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს

ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ცხადია, მყიდველს შეუძლია მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობის საქონელი, მაგრამ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად.

შესაძლებელია შემთხვევები, როცა საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს. ასეთ შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და ზედმეტი აანაზღაუროს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე (სამოქალაქო კოდექსის 493-ე მუხლი).

კანონით გათვალისწინებულია გამყიდველისა და მყიდველის მიერ გაყიდული ნივთის შენახვის მოვალეობა. კანონი ადგენს გამყიდველის მიერ გაყიდული ნივთის შენახვის მოვალეობას იმ შემთხვევებში, თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის ფასს. გამყიდველს უფლება აქვს ასევე დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, ვიდრე მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს (სამოქალაქო კოდექსის 500-ე მუხლი).

ნივთის შენახვის მოვალეობა ეკისრება მყიდველსაც. თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს მისი შენახვისათვის. მყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს (სამოქალაქო კოდექსის 501-ე მუხლი).

გამყიდველს ან მყიდველს, რომელიც ვალდებულია შეინახოს ნივთი, შეუძლია მეორე მხარის ხარჯზე ნივთი შეინახოს მესამე პირის საწყობში, თუ ეს არ გამოიწვევს არათანაზომიერ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, ის მიბარების ხელშეკრულებას დებს შემნახველთან (სამოქალაქო კოდექსის 502-ე მუხლი).

გამყიდველს ან მყიდველს, რომელიც ინახავს ნივთს, შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით, თუ მეორე

მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარეს გადაეცემა თანხა, რომელიც დარჩება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 503-ე მუხლი).

ზოგჯერ მხარე, რომელსაც ეკისრება ნივთის შენახვა, ვალდებულია გაყიდოს ეს ნივთი. მხარეს ასეთი მოვალეობა ეკისრება, თუ ნივთი მალფუჭდება, ან მას გაუარესება მოელის ან მისი შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული (სამოქალაქო კოდექსის 504-ე მუხლი).

კანონი (სამოქალაქო კოდექსის 484-ე და 486-ე მუხლები) მიუთითებს ზოგიერთ შემთხვევებზე, როცა მხარეებს უფლება აქვთ უარი თქვან თავიანთი ვალებულებების შესრულებაზე. ასეთი უფლება წარმოიშობა მაშინ, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავისი მოვალეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს. ასეთი უარი არ დაიშვება მაშინ, როცა მხარეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია გირაოთი, ბანკის გარანტიით და სხვ.

მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე მაშინაც, როდესაც საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, ერთ-ერთმა მხარემ არ შეასრულა ერთი ვალდებულება, მაგრამ ამის გამო შეიქნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება.

§3. ნასყიდობა გადახდის განვადებით

საქონელი შეიძლება გაიყიდოს გადახდის განვადებით. განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედში (სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი).

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს:

ა. ნაღდი გადახდის ოდენობა (ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს თანხა, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების დადების დროს);

ბ. ნაწილ-ნაწილ გადასახდელი თანხის ოდენობა და გადახდის დრო;

გ. წლიური პროცენტის ოდენობა (მყიდველი გადახდის განვადებისათვის იხდის განსაზღვრულ პროცენტს, რომლის ოდენობაზეც ხელშეკრულებაში უნდა იქნეს მითითებული) (სამოქალაქო კოდექსის 506-ე მუხლი).

ჩამოთვლილ მოთხოვნათა დარღვევით ხელშეკრულების დადება არ გამოიწვევს მის ბათილობას, მაგრამ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება არა შეთანხმების, არამედ ნივთის გადაცემის მომენტიდან და მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ფასი პროცენტების გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 507-ე მუხლი)..

გამყიდველს შეუძლია დაიტოვოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება იმ შემთხვევისათვის, თუ მყიდველი არ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს (მაგალითად, დათქმულ დროში არ გადაიხდის ფასს). ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლი).

§4. გამოსყიდვა

მხარეებს შეუძლიათ ნასყიდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინონ პირობა იმის შესახებ, რომ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გამყიდველს შეუძლია გამოისყიდოს ნივთი. ნივთის გამოსყიდვა გამყიდველის ნებაზე დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებას ითვალ-

ისწინებს, ვამყიდველი ვალდებული რიდია გამოისყიდოს ნივთი. ეს მისი უფლებაა მხოლოდ. (სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი).

გამოსყიდვა ხდება თავდაპირველ ფასში, ე. ი. ფასში, რომელიც მყიდველმა გადაუხადა გამყიდველს, მაგრამ შეიძლება დადგეს ფასის გაზრდის ან შემცირების საკითხი. მყიდველს უფლება აქვს თავდაპირველი ფასის ზემოთ მოითხოვოს ის თანხაც, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო ღონისძიებების შედეგად (მაგალითად, ნივთის შეკეთებით). თავის მხრივ, გამომსყიდველსაც აქვს უფლება მოითხოვოს თავდაპირველი ფასიდან იმ თანხის გამოქვითვა, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვამდე (სამოქალაქო კოდექსის 510-ე მუხლი).

ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც გამოსყიდვას ითვალისწინებს, აუცილებლად მითითებულ უნდა იქნეს გამოსყიდვის ვადაზე, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს. მხარეებს უფლება არა აქვთ გაითვალისწინონ უფრო ხანგრძლივი ვადა ან გააგრძელონ იგი (სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლი).

თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე ნივთი გააფუჭა (დააზიანა) ან შეცვალა, მან უნდა აანაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ნივთის გაფუჭება (დაზიანება) მოხდა მყიდველის ბრალით. ნივთის შემთხვევით გაფუჭების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 513-ე მუხლი).

§5. ოფცია

კანონი (სამოქალაქო კოდექსის 515-ე მუხლი) დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა იმავე პირობებში გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია). ოფციის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

ოფციაში იგულისხმება უფლება, რომლის შესაბამისად ცალმხრივი განცხადებით (ნების გამოვლენით) შეიძლება იმ ხელშეკრულების განხორციელება, რომლის შინაარსიც სხვა ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. გამოსყიდვის უფლება ერთ-ერთი ოფციური უფლებაა. მაშასადამე, ეს არის უფლება, რომელიც პირს შესაძლებლობას აძლევს ცალმხრივი მოქმედებით გამოიყენოს მისთვის ხელშეკრულებით წინასწარ მინიჭებული უფლება. მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის გამყიდველი და მყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეთანხმდებიან იმაზე, რომ, თუ მყიდველი თავს დაანებებს ნაკვეთის დამუშავებას, გამყიდველს აქვს ამ ნაკვეთის გამოსყიდვის უფლება, ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა მყიდველს მიწის ნაკვეთის გაყიდვა, გამყიდველს აქვს მისი გამოსყიდვის უფლება.

§6. უპირატესი შესყიდვის უფლება

კანონი მიუთითებს ზოგიერთ შემთხვევაზე, როდესაც პირს აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ უფლების მქონე პირებს სხვებთან შედარებით აქვთ უპირატესი უფლება იყიდონ ესა თუ ის ქონება. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1470-ე მუხლით დადგენილია, რომ თანამემკვიდრის მიერ სამკვიდროდან თავისი წილის

ვანკარგვის შემთხვევაში, სხვა თანამემკვიდრეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, თუ ვალდებული პირი (გამყიდველი) მესამე პირთან დებს ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას (სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც აპირებს მესამე პირთან. შეტყობინების მეშვეობით მათ შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა.

ვადას, რომლის განმავლობაშიც უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა განხორციელდეს, ადგენს ვალდებული პირი (სამოქალაქო კოდექსის 517-ე მუხლი).

უპირატესი შესყიდვის უფლებით შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ იმ პირმა, რომელსაც ეს უფლება აქვს. მას ამ უფლების სხვა პირისათვის გადაცემის უფლება არა აქვს და ეს უფლება არც მემკვიდრეობით არ გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე, ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოუყენებელ იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 518-ე მუხლი). მაშასადამე, ვალდებულ პირს უფლება არა აქვს შეუთანხმდეს მესამე პირს, რომ მიჰყიდის მას ქონებას, თუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირი უარს იტყვის ამ უფლების გამოყენებაზე, ანდა შეუთანხმდა იმაზე, რომ ის უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, თუ გამოყენებულ იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება. თუ

ასეთი შეთანხმება მოხდება, მაშინ იგი ბათილია.

შესაძლებელია ფასის გადახდის გარდა მესამე პირმა იკისროს დამატებითი ვალდებულება. მაგალითად, მესამე პირმა დამატებით იკისრა განსაზღვრული დროით თავისი აგარაკით სარგებლობის უფლების მიცემა. თუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს დამატებითი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა არა აქვს, მაშინ მან დამატებით ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება. თუ დამატებითი ვალდებულებების ფულადი შეფასება შეუძლებელია, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია. თუ ისე მოხდა, რომ მესამე პირთან ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლების გვერდის ასახვევად, მაშინ, დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალას კარგავს (სამოქალაქო კოდექსის 519-ე მუხლი).

§7. გაცვლის ხელშეკრულება

გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემა (სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლი). აქედან გამომდინარეობს, რომ გაცვლის ხელშეკრულებით მისი თითოეული მხარე ვალდებულია გადასცეს მეორე მხარეს ქონება საკუთრებად.

გაცვლა ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა.

გაცვლის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ახლოს დგას ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, მაგრამ მათ შორის არსებობს ისეთი განსხვავება, რაც გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახის ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს.

ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, გაცვლის დროს ეკვივალენტის სახით გამოდის არა ფული, არამედ ტოლფასიანი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულების ერთი მხარე გამყ-

იდველია, მეორე კი – მყიდველი. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე კი ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. მაშასადამე, გაცვლის ხელშერულების ყოველი მხარე ერთსა და იმავე დროს გამყიდველიცაა და მყიდველიც.

გაცვლის ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

გაცვლის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ყოველი ქონება, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს.

ერთი ქონების გაცვლა მეორეზე ყოველთვის არ წარმოშობს გაცვლის ურთიერთობებს. გაცვლის ხელშეკრულებად არ ჩაითვლება, მაგალითად, ნაყიდი ნაკლის მქონე ნივთის გამოცვლა ახლით, რადგან ასეთი უფლება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოიშობა და არ იწვევს ახალი ურთიერთობის დამყარებას.

დაშვებულია არატოლფასი ქონების გაცვლაც. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით (სამოქალაქო კოდექსის 522-ე მუხლი).

რამდენადაც გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მონაწილე გამყიდველიცაა და მყიდველიც, გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები (სამოქალაქო კოდექსის 523-ე მუხლი).

დღეისათვის ფართო გავრცელება მიიღო ე. წ. „ბარტერულმა გარიგებებმა", რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე.

თავი X

ჩუქების ხელშეკრულება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას მისი თანხმობით (სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი).

აღნიშნული მუხლი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ჩუქების ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია დასაჩუქრებულის თანხმობა და არ არის საკმარისი ერთი მხარის (მჩუქებლის) ცალმხრივი მოქმედება. მართალია, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩუქება ხშირად დასაჩუქრებულის წინასწარი თანხმობის გარეშე ხდება, მაგრამ თანხმობა ჩვეულებრივ გამომდინარეობს მისი მოქმედებიდან, რაც საჩუქრის მიღებაში გამოიხატება.

ჩუქების ხელშეკრულება არ იქნება, როცა მოქმედება ფორმით განსაზღვრული საგნების უსასყიდლოდ გადაცემას წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში პიროვნების ეთიკურ შეფასებას წარმოადგენს. მაგალითად, ყვავილის მირთმევა, ადრესის გადაცემა და სხვ., ჩუქებას არ წარმოადგენს აგრეთვე პრემიის, დახმარების მიცემა და სხვ. ასეთი აქტები რეგულირდება არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული და შრომის სამართლის ნორმით.

ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, ჩუქება რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, იგი ცალმხრივი და უსასყიდლოა.

ჩუქების ვალდებულება შეიძლება წარმოშვას საჩუქრის დაპირებამ. დადგენილია, რომ საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მესამე ნაწილი). მაგალითად, თუ ერთი პირი შეპპირდა მეორეს, რომ აჩუქებს განსაზღვრულ ნივთს და ეს შეპირება დადასტურდა

სანოტარო წესით. მაშინ, ასეთი დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას და მისი შეუსრულებლობა, თუ მას ზიანი მოჰყვა, გამოიწვევს შემპირებლისათვის ამ ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. პირს მხოლოდ მაშინ შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

ჩუქების დაპირება წინასწარი შეთანხმებაა (წინასწარი ხელშეკრულებაა), რომელიც ავალებს პირს (მომავალში ხელშეკრულების დადებას, რაც ნივთის გადაცემით განხორციელდება.

თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის სავალდებულოა ამ ფორმის დაცვა (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მეორე ნაწილი).მაგალითად, თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს უძრავი ნივთი, მაშინ ჩუქების ხელშეკრულება უნდა დაიდოს იმ ფორმით, რაც უძრავი ნივთების შეძენისათვის არის აუცილებელი, კერძოდ, ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნეს წერილობით, დამოწმდეს სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში.

ჩუქების ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

ჩუქების ხელშეკრულება, როგორც უსასყიდლო ხელშეკრულება არ უნდა შეიცავდეს რაიმე პირობას დასაჩუქრებულის ქონებრივი ვალდებულების შესახებ (მაგალითად, ნაჩუქარი ქონების რემონტის ხარჯების კომპენსაციის მოთხოვნას და სხვ.). ამავე დროს, კანონი უფლებას აძლევს მხარეებს ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დაუკავშირონ ამა თუ იმ პირობის შესრულებას ან მიზნის მიღწევას. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა). მაგალითად, შეწირულობა (ჩუქება) ინვალიდთა სახლისათვის იქ მყოფთა მოვლა-პატრონობის მიზნით. პირობის შესრულება მჩუქებლის გარდა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესში იგი იქნა დათქმული. თუ

დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს ჩუქების გაუქმებას. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს, ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ (ჩაიდინა მის მიმართ დანაშაული, ემუქრება, ცილისწამებს რაიმე ქმედებაში და ა. შ.). თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. თუ უკან დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, მაშინ, უნდა ანაზღაურდეს მისი ღირებულება. ამასთან, დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ჩუქების გაუქმება. ეს ვადაა ერთი წელი მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ ვითარების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების საშუალებას აძლევს (სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს სხვა შემთხვევასაც, როცა მჩუქებელს შეუძლია მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება. კერძოდ, ეს დაიშვება, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. ამასთან, კანონი ნივთის უკანვე მოთხოვნის უფლებას უკავშირებს ნივთის რეალურად არსებობას და დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობას. მჩუქებელს აღნიშნულ შემთხვევაში გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება მაშინ შეუძლია, თუ ნივთი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააგდებს მძიმე მდგომარეობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ისმება საკითხი – ნივთი რეალურად უნდა არსებობდეს საერთოდ, თუ დასაჩუქრებულთან. მიზანშეწონილი იქნება მივიჩნიოთ, რომ ნივთი რეალურად უნდა არსებობდეს დასაჩუქრებულთან. თუ დასაჩუქრებულმა ნივთი გაასხვისა ან სხვაგვარად გამოიყენა მჩუქებლის მოთხოვნამდე, მაშინ, გაჩუქებული ნივთის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა. გამოიწვევს

თუ არა გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობას, უნდა გადაწყდეს კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. შესაძლებელია ნაჩუქარი ნივთი ისეთ როლს ასრულებდეს დასაჩუქრებულის მეურნეობაში, რომ მისმა მჩუქებლისადმი დაბრუნებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდოს იგი.

გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში (სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი).

დასაჩუქრებულს უფლება არა აქვს წაუყენოს მჩუქებელს პრეტენზია გაჩუქებული ნივთის ნაკლთან დაკავშირებით, მაგრამ თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი).

თავი XI

ქირავნობის ხელშეკრულება

§1. ქირავნობის ხელშეკრულების ცნება

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებლი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა (სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლი).

თავისი იურიდიული ბუნებით ქირავნობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიან ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება.

მხარეებს ქირავნობის ხელშეკრულებაში წარმოადგენენ გამქირავებელი და დამქირავებელი, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები. გამქირავებელი, როგორც წესი, ქონების მესაკუთრეა, თუმცა, შეიძლება იყოს არამესაკუთრეც, რომელსაც აქვს ნივთის გაქირავების უფლება (მაგალ-

ითად, ნივთის გაქირავება დავალების ხელშეკრულებით შეიძლება მიენდოს რწმუნებულს).

ქირავნობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული და მოუხმარებადი ნივთი, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს გამქირავებელს.

ქირავნობის ხელშეკრულების მიზანია დამქირავებლის მიერ ნივთის დამოუკიდებელი გამოყენება სამეწარმეო და სამომხმარებლო საჭიროებისათვის, ე. ი. დამქირავებელი მესაკუთრისაგან, ან სხვა გამქირავებლისაგან დამოუკიდებლად იყენებს დაქირავებულ ნივთს ხელშეკრულების პირობებისა და ნივთის დანიშნულების მიხედვით.

ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. კანონი ცალკე მიუთითებს მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმაზე. მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას, მაგრამ ივარაუდება, რომ იგი განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ პირველი წლის დამთავრების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 569-ე მუხლი).

ქირავნობის ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, მაგრამ თუ ის ათ წელზე მეტი ვადით დაიდო, ათი წლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 570-ე მუხლი).

§2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

ქირავნობის ხელშეკრულებით მხარეებს ერთმანეთის მიმართ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები აქვთ.

გამქირავებლის უპირველესი მოვალეობაა გადასცეს დამქირავე-

ბელს ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა (სამოქალაქო კოდექსის 532-ე მუხლი).

ქირავნობის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, გაქირავებული ნივთი გამქირავებელთან დარჩეს და დამქირავებელს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ ქონებით. მაგალითად, ისარგებლოს დაქირავებული პიანინოთი, რომელიც გამქირავებელთან არის. უმეტეს შემთხვევაში დაქირავებული ნივთით სარგებლობა დამქირავებლის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით ხდება. დამქირავებელი ხდება მფლობელობის სუბიექტი, რომლის ტიტულსაც წარმოადგენს გამქირავებელთან დადებული ხელშეკრულება. დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დამრღვევისაგან, მათ შორის მესაკუთრისგანაც. თუ გამქირავებელი გაასხვისებს გაქირავებულ ნივთს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლი).

გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 533-ე მუხლი). უფლებრივად უნაკლოა ნივთი, როცა მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო (სამოქალაქო კოდექსის 534-ე მუხლი). ნივთობრივად უნაკლო კი ისეთი ნივთია, რომელსაც აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თვისებები. თუ ეს თვისებები დათქმული არ არის, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 535-ე მუხლი).

გაქირავებულ ნივთში ნაკლის აღმოჩენისას ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დაცვის ზომების მისა-

ღებად დამქირავებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამქირავებელს. ასე უნდა მოიქცეს გამქირავებელი მაშინაც, თუ მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს ნივთზე (სამოქალაქო კოდექსის 543-ე მუხლი).

გამქირავებელი პასუხს აგებს დამქირავებლის წინაშე ყოველგვარი ნაკლისათვის, რაც ხელს უშლის დაქირავებული ნივთის გამოყენებას. გამქირავებელი ნაკლისათვის პასუხს აგებს მაშინაც კი, როცა ხელშეკრულების დადების დროს არ იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ.

გაქირავებულ ნივთში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მანამ სანამ ნაკლი გამოსწორებული არ იქნება, დამქირავებელს შეუმცირდება ქირა. ქირა შემცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდება ნივთის ვარგისიანობა. თუ ნაკლი უმნიშვნელოა, ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა (სამოქალაქო კოდექსის 536-ე მუხლი). ქირის შემცირების საკითხი არ დადგება მაშინაც, როცა დამქირავებლისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო. ნივთის ნაკლი და არ განაცხადებს პრეტენზიას ამის გამო (სამოქალაქო კოდექსის 538-ე მუხლი).

დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მასთან ერთად ქირის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი, რომლითაც ქონების ვარგისიანობა შემცირდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობდა, ან შემდგომში წარმოიშვა ისეთი გარემოების გამო, რომელზედაც გამქირავებელი აგებს პასუხს ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს.

დამქირავებელი ქირის გადახდისაგან არ გათავისუფლდება, თუ დაქირავებული ქონებით სარგებლობაში ხელი ეშლება არა გამქირავებლის, არამედ თავისი მიზეზით.

გამქირავებელმა ნაკლი უნდა გამოასწოროს. ნაკლის გამოსწორების დაყოვნების შემთხვევაში, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 537-ე მუხლი).

შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის გამქირავებლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან გამქირავებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე. მაგრამ კანონი ასეთ შეთანხმებას არ უშვებს, თუ გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა. ასეთი შეთანხმება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 539-ე მუხლი).

გამქირავებელს ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, გირავნობის უფლება აქვს იმ ნივთებზე, რომლებიც დამქირავებელმა დაქირავებულ მიწის ნაკვეთში, სახლში ან ბინაში შეიტანა. გირავნობის უფლება ძალას ჰკარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, თუკი ეს განხორციელდა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 568-ე მუხლი). მაგალითად, გამქირავებლის გირავნობის უფლება ძალას კარგავს, თუ დამქირავებლმა მიწის ნაკვეთიდან გაიტანა თავისი ნივთები და გამოიყენა ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. .

გამქირავებლის ერთ-ერთი მოვალეობაა დამქირავებლისათვის იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, რაც ამ უკანასკნელმა ნივთზე გასწია. აქ იგულისხმება ის ხარჯები, რომელიც აუცილებელია ნივთის ვარგისი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და რომლის გაწევაც დამქირავებელს არ ევალება. რაც შეეხება სხვა ხარჯებს (არა აუცილებელი), მათი ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ წესების მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი).

დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს გამქირავებელს მოთხოვნა გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ ექვსი თვის განმავლობაში. ეს ვადა იწყება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

გაქირავებულ ნივთზე არსებული უფლებრივი ტვირთის მატარებელია გამქირავებელი (სამოქალაქო კოდექსის 544-ე მუხლი).

მაგალითად, როცა სხვას აქვს რაიმე უფლება გაქირავებულ ნივთზე.

გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც გამოიწვია დაქირავებული ქონების შეცვლამ ან გაუარესებამ. ზიანის ანაზღაურებაზე გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ქონების დაბრუნების მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი).

დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს ქონებით სარგებლობის ქირა. ქირის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. ქირა გადახდილ უნდა იქნეს ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით. ასეთ შემთხვევაში, იგი გადახდილ უნდა იქნეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ. დამქირავებელი ქირის გარდა ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი ხარჯებიც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ხარჯების გადახდის შესახებ არსებობს მხარეთა შეთანხმება (სამოქალაქო კოდექსის 553-ე მუხლი).

ქირა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფულში, ისე ნატურით (მაგალითად, იმ პროდუქციის ნაწილის სახით, რომელიც წარმოებულია დაქირავებული ქონების გამოყენებით).

თუ დამქირავებელს ბინის ქირის მოთხოვნის საპირისპიროდ აქვს დაკავების ან ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება, დამქირავებელს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება (მაგალითად, თუ გამქირავებელმა არ გადაიხადა ხარჯები, რომელთა გადახდაც ევალებოდა, ქირა შეიძლება გაიქვითოს ამ ხარჯებში). დამქირავებელს აღნიშნული უფლების გამოყენება შეუძლია მაშინაც, როცა ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, თუ ამის შესახებ იგი წინასწარ გააფრთხილებს გამქირავებელს (სამოქალაქო კოდექსის 556-ე მუხლი).

კანონი სპეციალურად მიუთითებს იმის შესახებ, რომ მიწის ნაკვეთის დამქირავებელს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით არა აქვს დაკავების უფლება (სამოქალაქო კოდექსის

565-ე მუხლი). აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა გამქირავებელი არ ასრულებს რაიმე ვალდებულებას დამქირავებლის სასარგებლოდ, არ ანაზღაურებს დამატებით ხარჯებს, რაც მას ხელშეკრულებით ეკისრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონი არ აძლევს დამქირავებელს უფლებას დააკავოს მიწის ნაკვეთი და არ გადასცეს გამქირავებელს.

დამქირავებელს ევალება მოითმინოს ქირავნობის საგნის მიმართ გატარებული ზემოქმედებანი, რომელიც აუცილებელია გაქირავებული სადგომის ან შენობის შესანახად. მაგალითად,თუ წყალსადენი მილის შეკეთებასთან დაკავშირებით შეწყდა წყლის მიწოდება. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელს არ შეუძლია პრეტენზია წაუყენოს გამქირავებელს. მაგრამ გამქირავებელი თავის მხრივ მოვალეა ამ ღონისძიებათა შესახებ, თუ ეს შესაძლებელია, შეატყობინოს დამქირავებელს და არ დაუშვას ისეთი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული (სამოქალაქო კოდექსის 540-ე მუხლი).

ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს შეიძლება ხელშეკრულებით დაეკისროს ფულადი თანხის გადახდა. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას. თუ თანხა წინასწარაა გადასახდელი, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია გადაიხადოს იგი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად სამი თვის განმავლობაში. ეს არ არის ფულადი თანხა, რომელსაც დამქირავებელი გამქირავებელს აძლევს მომავალი გადასახდელის ანგარიშში. ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ წინასწარ გადახდილი უზრუნველყოფა დადგენილი პროცენტის დარიცხვით დაუბრუნდება დამქირავებელს. სხვაგვარი შეთანხმება დამქირავებლის საზიანოდ ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 552-ე მუხლი). მაგალითად, ბათილად ჩაითვლება შეთანხმება იმის შესახებ, რომ დამქირავებელს დაუბრუნდება ვალდებულების უზრუნველსაყოფად გადახდილი თანხა პროცენტების გარეშე.

დამქირავებელი ჩვეულებრივ ვალდებულია გაუკეთოს დაქირავე-

ბულ ნივთს მიმდინარე რემონტი თავისი ხარჯით. მიმდინარე რემონტს მიეკუთვნება სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ქონების ყოველდღიურ გამოყენებასთან. მაგალითად, საცხოვრებელი სადგომის ფერის, კედლების, კარების შეღებვა, ელექტროგაყვანილობის შეკეთება და სხვ.

დამქირავებელს არა აქვს გამქირავებლის თანხმობის გარეშე საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება. გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია ამ მოვალეობის შეუსრულებლობამ (სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლი).

დამქირავებელი მოვალეა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლი). ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ნივთის დაბრუნება მესამე პირისაგანაც, თუ დამქირავებელმა ნივთი სარგებლობისათვის მესამე პირს გადასცა (სამოქალაქო კოდექსის 566-ე მუხლი).

როგორც აღინიშნა, ქირავნობის ურთიერთობების დამთავრების შემდეგ დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს ნივთი გამქირავებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება.

არ დაიშვება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი რაოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო. თუ მხარეები შეთანხმებით უფრო მეტი ზიანის ანაზღაურებას გათვალისწინებენ, მაშინ ასეთი შეთანხმება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 567-ე მუხლი).

დამქირავებელი პასუხს არ აგებს გაქირავებული ნივთის ცვლილებებისა და გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით (სამოქალაქო კოდექსის 547-ე მუხლი). მაშასადამე, დამქირავებელი პასუხს არ აგებს,

თუ იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად იყენებს ნივთს, მაგრამ ის მაინც გაუარესდა ან განიცადა ცვლილებები.

ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას გამქირავებელს უფლება აქვს დაიტოვოს ის, რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა. მაგალითად, დაქირავებულ ბინაში აბაზანის დადგმა. საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს შეუძლია ეს უფლება შეცვალოს შესაბამისი კომპენსაციით, ე. ი. სათანადო ანაზღაურებით დაიტოვოს ის, რითაც დამქირავებელმა საცხოვრებელი ადგილი აღჭურვა, იმ შემთხვევების გარდა, როცა დამქირავებელი პატივსადები საფუძვლებიდან გამომდინარე, არ ეთანხმება გამქირავებელს (სამოქალაქო კოდექსის 546-ე მუხლი).

§3. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, იმ შემთხვევების გარდა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 561-ე მუხლი).

ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლა ხელშეკრულების შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელი განაგრძობს ქონებით სარგებლობას და გამქირავებელი ამაზე არ ეწინააღმდეგება. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ხელშეკრულება განახლდა განუსაზღვრელი ვადით.

თუ მხარეები ხელშეკრულების ვადაზე არ შეთანხმებულან, მაშინ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დადებულად ითვლება და შეიძლება შეწყდეს ყოველ დროს ერთ-ერთი მხარის განცხადებით (სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლი).

კანონი ერთგვარად განსხვავებულ წესს ადგენს, როცა საქმე ეხება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობას. ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკ-

რულება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად რომ ჩაითვალოს, ამისათვის, დამქირავებლმა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე წერილობითი განცხადებით უნდა მოითხოვოს ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება. ვადა არ გაგრძელდება, თუ გამქირავებელი ვადის გაგრძელების თანახმა არ არის (სამოქალაქო კოდექსის 560-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც გამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდეც მოშლა. გამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ვადამდე, თუ დამქირავებელი გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას (სამოქალაქო კოდექსის 557-ე მუხლი). მაგალითად, დამქირავებელი ინსტრუმენტს ინახავს ნესტიან სარდაფში. გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე აგრეთვე მაშინაც, თუ დამქირავებელმა არ გადაიხადა ქირა სამი თვის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 558-ე მუხლი).

კანონი ცალკე მიუთითებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტაზე გამქირავებლის მიერ. გამქირავებელს შეუძლია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. პატივისადებია მიზეზი, თუ:

ა. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

ბ. გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თავისთვის ან თავისი ახლო ნათესავისთვის;

გ. დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას.

დ. დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შე-

უძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

ე. თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი).

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. შეთანხმება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას, ბათილია.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შეუძლია დამქირავებელსაც, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს. მაგრამ მხოლოდ გაფრთხილება საკმარისი არ არის. მან უნდა შესთავაზოს გამქირავებელს გადახდისუნარიანი და მისაღები დამქირავებელი, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი (სამოქალაქო კოდექსის 555-ე მუხლი).

დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის (სამი თვე), თუ მას ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ დაგვიანებით გადაეცა, ან გადაეცა, მაგრამ შემდგომ წაერთვა სარგებლობის უფლება (მაგალითად, გამქირავებელმა ჩაკეტა გაქირავებული გარაჟის კარები და არ აძლევს მისით სარგებლობის შესაძლებლობას დამქირავებელს). აღნიშნული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტა დამქირავებელს შეუძლია მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ დროში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელისშემშლელ გარემოებებს.

ნივთის დაგვიანებით გადაცემის ან სარგებლობის უფლების წართმევის გამო დამქირავებელმა შეიძლება დაკარგოს ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი (მაგალითად, დაგვიანებით გადაცე-

მის გამო ნივთი აღარ სჭირდება). ასეთ შემთხვევაში, დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ისე, რომ სარგებლობის ხელისშემშლელი გარემოებების აღსაკვეთად ვადის განსაზღვრა არაა საჭირო.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას შეთანხმება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს დაგვიანებით გადაცემის ან გადაცემის შემდეგ სარგებლობის უფლების წართმევის გამო ხელშეკრულების მოშლის უფლებას, ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლი).

ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადის დაცვის გარეშე შეუძლია დამქირავებელს მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება მაშინაც, როცა საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ასეთ შემთხვევაში, დამქირავებელს მაშინაც შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, როცა მან ხელშეკრულების დადებისას იცოდა საფრთხის თაობაზე და ამის გამო არ განაცხადა პრეტენზია (სამოქალაქო კოდექსის 542-ე მუხლი).

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას არ გამოიწვევს დამქირავებლის სიკვდილი, თუ იქ დამქირავებელი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ერთიან საოჯახო მეურნეობას წარმართავდა. ასეთ შემთხვევაში, დამქირავებლის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის წევრები სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებენ გამქირავებელთან. მათ უფლება აქვთ კანონით დადგენილ ვადაში მოშალონ ქირავნობის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 571-ე მუხლი).

მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ რომელმა ყოფილმა მეუღლემ უნდა იცხოვროს დაქირავებულ ბინაში, წყვეტს სასამართლო. სასამართლოს შეუძლია ბინაზე ცნოს იმ მეუღლის უფლება, რომელიც არ არის დამქირავებელი. ასეთ შემთხვევაში, ეს მეუღლე ხდება ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე – დამქირავებელი (სამოქალაქო კოდექსის 574-ე მუხლი).

§4. ქვექირავნობა

დამქირავებელს შეუძლია დაქირავებული ქონება მიაქირაოს მესამე პირს (ქვექირავნობა), მაგრამ მას ამის უფლება არა აქვს გამქირავებლის თანხმობის გარეშე. მესამე პირად არ მიიჩნევა დამქირავებლის ოჯახის წევრები (სამოქალაქო კოდექსის 549-ე მუხლი). ამ წესიდან კანონი ერთგვარ თავისებურებას ადგენს იმ შემთხვევებისათვის, როცა პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, დამქირავებელს სურს მიაქირაოს მესამე პირს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მთლიანად ან მისი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა გამქირავებლისათვის ქვემოქირავნე წარმოადგენს არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი ზედმეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო, გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა (სამოქალაქო კოდექსის 550-ე მუხლი).

ქვექირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელი გადასცემს ქვემოქირავნეს დაქირავებულ ნივთს ან მის ნაწილს დროებით სარგებლობაში სასყიდლით. ქვექირავნობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ დამქირავებელი, რომელიც ქვექირავნობის ხელშეკრულებაში გამოდის გამქირავებლის სახით და მესამე პირი – ქვემოქირავნე. ქვემოქირავნე სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მხოლოდ დამქირავებელთან. ურთიერთობა, რომელიც მყარდება დამქირავებელსა და და ქვემოქირავნეს შორის, წესრიგდება ქირავნობის საერთო წესებით. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს ქვექირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას.

შეიძლება ქვექირავნობის ხელშეკრულება დაიდოს იმ მიზნით, რომ გვერდი აუარონ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გარანტიებს. მაგალითად, ქირის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულება რომ არ შეწყდეს, იდება ქვექირავნობის ხელ-

შეკრულება. ასეთ შემთხვევაში ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გამქირავებელი თავის თავზე იღებს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც არსებობდა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის (სამოქალაქო კოდექსის 551-ე მუხლი).

თავი XII

ლიზინგის ხელშეკრულება

ლიზინგი არსებითად ქირავნობაა, მაგრამ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. ლიზინგის ხელშეკრულებით ძირითადად ქირავდება ბუნებრივად ღირებული მოწყობილობა ან მოწყობილობათა კომპლექტი. ამასთან, ამ მოწყობილობათა გადაცემა ხდება ხანგრძლივი დროით, ხშირად, მოწყობილობის ეფექტური საშახურის მთელი დროით.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია გადასცეს ლიზინგის მიმღებს ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით სარგებლობაში. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით.

ლიზინგის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) და ლიზინგის მიმღები.

ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება. მაშასადამე, ლიზინგის გამცემი ქონების დამამზადებელიც შეიძლება იყოს. ლიზინგის გამცემი როცა თვითონ არ არის დამამზადებელი, მაშინ იგი იძენს საკუთრებად განსაზღვრულ ქონებას და შემდეგ გადასცემს ლიზინგის მიმღებს დროებით სარგებლობაში.

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ლიზინგის მიმღების მოვალეობას ან უფლებას ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქიროს

იგი. ასეთი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება.

თუ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის საგნის შეძენის ან დაქირავების თაობაზე, მაშინ ლიზინგის მიმღებს შეუძლია იყიდოს ლიზინგის საგანი. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის ყიდვის ან ხელახლა დაქირავების შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის ფაქტი (სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლი).

ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: ა. მთლიან ფასს; ბ. სალიზინგო საზღაურის ოანხასა და მისი გადახდის კადებს; გ. საბოლოო გადახდის თანხასა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას მისი გამოთვლის წესს (სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლი).

კანონით დადგენილია, რომ ლიზინგის გამცემი პასუხს აგებს ლიზინგის მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადების გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის, აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის ქირავნობის ხელშეკრულების წესების შესაბამისად.

მხარეებს ხელშეკრულებით შეუძლიათ გათვალისწინონ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიმწოდებლისაგან (სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლი).

თუ ლიზინგის ხელშეკრულება ლიზინგის მიმღების ბრალით ვადამდე შეწყდება, მაშინ ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება შესრულებასთან დაკავშირებულ მის ინტერესებს (ვერ მოითხოვს იმაზე მეტს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული). ამასთან, მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 579-ე მუხლი).

მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ლიზინგის ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული ისევე წყდება, როგორც ქირავნობის ხელშეკრულებისას. ამჯერამაა, რომ ლიზინგის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ლიზინგის ხელშეკრულების მარეგულირებელ წესებს, რომელზედაც ზემოთ იყო მითითებული (სამოქალაქო კოდექსის 580-ე მუხლი).

თავი XIII

იჯარის ხელშეკრულება

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და გადასცეს საიჯარო დროის განმავლობაში მიღებულ ნაყოფზე საკუთრების უფლება, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორად გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზე (სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი).

აღნიშნული ნორმა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ იჯარის ხელშეკრულება მიეკუთვნება ხელშეკრულებათა იმ ჯგუფს, რომლის მეშვეობით ხორციელდება ქონების გადაცემა დროებით სარგებლობაში. ამის გამო, ცხადია მისი მსგავსება ქირავნობის ხელშეკრულებასთან. მსგავსების მიუხედავად, იჯარის ხელშეკრულებას გააჩნია ზოგიერთი ისეთი ნიშნები, რაც საჭიროდ ხდის მის ცალკე სახედ გამოყოფას. თუნდაც ის გარემოება, რომ ქირავნობისაგან განსხვავებით იჯარის ხელშეკრულება ითვალისწინებს მოიჯარის მიერ მეურნეობის სწორად გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით მიღებულ ნაყოფზე საკუთრების უფლების შეძენის შესაძლებლობას. თუ იჯარის ხელშეკრულებ-

ის მარეგულირებელი ნორმებით (ეს ნორმები გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 581-591-ე მუხლებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები.

იჯარის ხელშეკრულება ითვალისწინებს მოიჯარისათვის ქონების გადაცემას დროებით საგებლობაში. ხელშეკრულების ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. ამასთან, კანონი ადგენს, რომ თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ათი წლის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია საიჯარო ხელშეკრულება მოშალოს კანონით დადგენილ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 582-ე მუხლი). კანონით ასეთ ვადად დადგენილია სამი თვე.

იჯარის, კერძოდ, მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურება გამოიხატება მიწის ნაკვეთთან ერთად ინვენტარის გადაცემაში. მიწის ნაკვეთთან ერთად მოიჯარეს შეიძლება გადაეცეს ინვენტარიც. ასეთ შემთხვევაში, მხარეებს დამატებით განსაზღვრული მოვალეობები ეკისრებათ. თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ყოველი ნაწილის მოვლა-პატრონობისათვის. მეიჯარე, რომელმაც მიწის ნაკვეთი იჯარით გადასცა მოიჯარეს ინვენტართან ერთად, ვალდებულია გამოცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც გამოუსადეგარი გახდა მოიჯარისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ინვენტარის შეცვლა შეუძლია მოიჯარესაც, მაგრამ იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება მოწესრიგებულ მეურნეობას. მაშასადამე, მოიჯარეს შეუძლია შეიძინოს ინვენტარი, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რაც აუცილებელია მიწის ნაკვეთზე მოწესრიგებული მეურნეობის გაძღოლისათვის. მოიჯარის მიერ შეძენილი ცალკეული ინვენტარი საერთო ინვენტართან შეერთებით მეიჯარის საკუთრებად იქცევა.

თუ ინვენტარში პირუტყვი შედის, მაშინ მოიჯარეს ეკისრება აანაზღაუროს პირუტყვის დანაკლისი მიუხედავად იმისა, რომ ის მეურნეობას სწორად უძღვებოდა. მაშასადამე, მოიჯარე

პასუხს აგებს მაშინაც, როცა პირუტყვს იყენებს დანიშნულებისამებრ და ხათანადოდ უვლის (სამოქალაქო კოდექსის 583-ე მუხლი).

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებით და ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე დააბრუნებს. ასეთ შემთხვევაში, ე. ი., როცა მოიჯარემ ინვენტარი მიიღო შეფასებით და ვალდებულია შეფასებითვე დააბრუნოს იგი, მოიჯარეს ეკისრება ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.

მეურნეობის სწორად გაძღოლის პირობებში მოიჯარეს შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა.

იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მოიჯარემ უნდა დაუბრუნოს ინვენტარი, მაგრამ მეიჯარე ყოველთვის არ არის ვალდებული მიიღოს მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარი. მას შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე, თუ ეს ინვენტარი მიწის ნაკვეთზე სწორი მეურნეობის გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირია. თუ ასეთი ინვენტარის მიღებაზე მეიჯარე უარს იტყვის, მაშინ საკუთრების უფლება ამ ინვენტარზე მოიჯარეზე გადადის.

მოიჯარის მიერ მეურნეობის სწორად გაძღოლის პირობებში, ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვამ ან შეძენამ, ინვენტარის მეიჯარისათვის დაბრუნებისას შესაძლებელია გამოიწვიოს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის შეფასებებს შორის. ასეთი სხვაობა ფულით უნდა ანაზღაურდეს. ამასთან, შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომელიც მოქმედებდა იჯარის ხელშეკრულების დასრულების მომენტისათვის (სამოქალაქო კოდექსის 584-ე მუხლი).

იჯარის ხელშეკრულებაში შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მოიჯარეს აკისრებს ვალდებულებას არ განკარგოს ინვენტარის ნაწილები ან განკარგოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით. მაგრამ ასეთი პირობები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნამდვილი, თუ მეიჯარე იკისრებს ვალდებულებას იმის

შესახებ, რომ საიჯარო ხელშეკრულების დასრულებისას შეისყიდის ინვენტარს საინვენტარიზაციო შეფასებით (სამოქალაქო კოდექსის 585-ე მუხლი).

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ინვენტართან დაკავშირებული მოიჯარის მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის მოიჯარეს აქვს გირავნობის უფლება მის მფლობელობაში არსებული მეიჯარის ინვენტარზე. მეიჯარეს შეუძლია აიცილოს გირავნობის უფლება ინვენტარის ყოველ ნაწილზე, თუ შესთავაზებს ამ ნაწილების ღირებულების შესაბამის უზრუნველყოფის საშუალებას (სამოქალაქო კოდექსის 586-ე მუხლი).

მოიჯარეს შეუძლია ქვეიჯარით გადასცეს სხვას საიჯარო ქონება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მეიჯარის თანხმობა. მოიჯარეს შეუძლია ასევე გააქირაოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილები. საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზეც მეიჯარის თანხმობაა საჭირო, მაგრამ მას მაშინ შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.

თუ ქვემოიჯარე (ან საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების დამქირავებელი) ნივთს სხვანაირად გამოიყენებს, ვიდრე მეიჯარის მიერ არის ნებადართული, მაშინ მეიჯარის წინაშე პასუხს მოიჯარე აგებს. მეიჯარეს შეუძლია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის (ან დამქირავებლის) მიერ ქონების სხვანაირად გამოყენება, ვიდრე ეს მის მიერ არის ნებადართული (სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლი).

მოიჯარეს შეუძლია საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე დააბრუნოს ქონება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს საიჯარო ურთიერთობის დასრულებამდე. საიჯარო ქირის გადახდისაგან ის მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს მეიჯარეს ახალ გადამდისუნარიან და მეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს. ახალი მოიჯარე თანახმა უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება მი-

ილოს იმავე პირობით (სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლი).

კანონით დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაშიც დასაშვებია მიწის ნაკვეთის ან უფლების (მაგალითად, წილზე უფლების) იჯარის ხელშეკრულების მოშლა, როცა იჯარის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული არ არის. ასეთ შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია საიჯარო წლის ბოლოსათვის, საიჯარო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. ეს წესი გამოყენებულ უნდა იქნეს მაშინაც, როცა საიჯარო ურთიერთობა კანონით დადგენილ ვადაზე ადრე შეიძლება მოიშალოს (სამოქალაქო კოდექსის 589-ე მუხლი).

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში საიჯარო ურთიერთობის მოშლა შეუძლიათ როგორც მის მემკვიდრეებს, ისე მეიჯარეს კალენდარული წილის დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში. მემკვიდრეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ხელშეკრულების მოშლაზე და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ მათ უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით შეუძლიათ იჯარით გაცემული ქონების სწორი სამეურნეო გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის 590-ე მუხლი).

მოიჯარემ საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უნდა დააბრუნოს იჯარით მიღებული ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის, ასევე სარგებელიც, რომელიც მოიჯარემ მიიღო ამ ხნის განმავლობაში. მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც (სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლი).

თავი XIV

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება

ფრენშაიზინგის ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მასში ერთმანეთთან შეხამებულია ერთი მხარის ღირსა ცოდნა, მყარი ფინანსური მდგომარეობა და მეორე მხარის მიერ თავისი ბიზნესის დამკვიდრების სულისკვეთება.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით დამოუკიდებელი საწარმო (ფრენშაიზის მიმცემი), რომელსაც აქვს განსაზღვრული საქმიანობის შემუშავებული პროგრამა (სისტემა), უფლებას აძლევს სხვა პირს (ფრენშაიზის მიმღებს) სათანადო ანაზღაურებით გამოიყენოს ეს პროგრამა ფრენშაიზის მიმცემის მოთხოვნების შესაბამისად.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ საჭიროების მიხედვით, სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურების განხორციელებას (სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლი). მაგალითად, რომელიმე საზოგადოებამ შეიმუშავა კვების პროდუქციის დამზადებისა და გასაღების პროგრამა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფაქტორებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია ამ საზოგადოების რესტორნების წარმატება. ესენია: მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტების დამზადების რეცეპტურა, რესტორნების ხელსაყრელი მდებარეობა, მომსახურეთა უნიფორმა, ნაგებობის დიზაინი, მიწოდების სათანადო წყაროები, შეფუთვის დიზაინი, მართვა, ანგარიშსწორება და სხვ. საზოგადოება ამ ცოდნას გადასცემს სხვა პირს ახალი ბიზნესის განვითარების მიზნით. ეს უკანასკნელი ხსნის რა რესტორანს აღნიშნული საზოგადოების სახელწოდებით, იძენს ამ საზოგადოების გამოცდილებას, რაც მას წარმატების შესაძლებლობას აძლევს.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი უფლებები – სასაქონლო (სავაჭრო), ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღების ხელშესაწყობად.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა მიერ იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებული არიან საქონლისა და მომსახურების გასაღებასთან. კანონი ადგენს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ზღვრულ ვადას – ათ წელს.

თუ მხარეები ათ წელზე მეტი ვადით შეთანხმდებიან, მაშინ ყოველი მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება მოშლისათვის აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით (ე. ი. ათი წლის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში). თუ არც ერთი მხარე არ გამოიყენებს ხელშეკრულების მოშლის ამ უფლებას, მაშინ ხელშეკრულება გაგრძელდება ორი წლით. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის მიუხედავად, მხარეთა შორის საქმინაი ურთიერთობა ფაქტობრივად არ დამთავრებულა. ასეთ შემთხვევაში მხარეები უნდა შეეცადნენ საქმიანი ურთიერთობის ფაქტობრივ დამთავრებამდე ურთიერთნდობის პრინციპების დაცვით გააგრძელონ ხელშეკრულება იმავე ან შეცვლილი პირობებით (სამოქალაქო კოდექსის 612-ე მუხლი).

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა წერილობითი ფორმა. ხელშეკრულებაში ორმხრივი ვალდებულებების, ხელშეკრულების ხანგრძლივობისა და ხელშეკრულების სხვა არსებითი ელემენტების გარდა შეტანილ უნდა იქნეს ფრენშაიზინგის პროგრამის სრულყოფილი აღწერა.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადება საკმაოდ რთული პროცესია. ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა დაუფარავად და სრულყოფილად უნდა გააცნონ ერთმანეთს ფრენშაიზინგიან

დაკავშირებული საქმის გარემოებანი, განსაკუთრებით ფრენშაიზინგის პროგრამა და ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ ინფორმაცია. კანონი მხარეებს განსაზღვრულ მოვალეობას აკისრებს მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან არ გათქვან მათთვის მინდობილი ინფორმაცია, მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება (სამოქალაქო კოდექსის 610-ე მუხლი).

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშაიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებულ ფორმაში არამატერიალური ქონებრივი უფლებები – სასაქონლო ნიშნები, ნიმუშები, საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია და სხვა. მაშასადამე, ფრენშაიზის მიმცემი მოვალეა გადასცეს ფრენშაიზის მიმღებს ფრენშაიზინგის პროგრამის გამოყენების უფლება და მისცეს ინფორმაცია, რაც აუცილებელია ამ პროგრამის რეალიზაციისათვის.

ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების პროგრამა მესამე პირთა ჩარევისაგან. მაგალითად, მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ სხვა პირებმა არ გააფუჭონ პროდუქციის დამზადების ტექნოლოგია, მისი სასაქონლო ნიშნით არ დაამზადონ პროდუქცია და სხვა. ფრენშაიზის მიმცემის მოვალეობაა ასევე, განუწყვეტლივ განავითაროს პროგრამა და საქმიანი ჩვევების გაზიარებით მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს, მანვე უნდა მოამზადოს ფრენშაიზის მიმღები, მაგალითად, უნდა ასწავლოს საქონლის გაყიდვა და რეკლამირება, გააცნოს თავისი საქონლის უპირატესობა სხვასთან შედარებით და სხვა (სამოქალაქო კოდექსის 608-ე მუხლი).

ფრენშაიზინგის პროგრამა აუცილებლად განიცდის ცვლილებებს მომხმარებელთა გემოვნების ან სურვილების მიხედვით,ამიტომ ფრენშაიზის მიმცემმა უნდა გააგრძელოს პროგრამის

სრულყოფა. ეს აუცილებელია ფრენშაიზის მიმღების კონკურენტუნარიანობისათვის.

კანონი ადგენს ფრენშაიზის მიმცემის პასუხისმგებლობას პროგრამით გათვალისწინებული უფლებებისა და ინფორმაციისათვის. ფრენშაიზის მიმღებს შეუძლია შეამციროს ანაზღაურების ოდენობა, თუ ფრენშაიზის მიმცემი ბრალეულად არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. შემცირების ოდენობა საბოლოოდ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, რომლის ხარჯებიც ეკისრებათ მხარეებს (სამოქალაქო კოდექსის 614-ე მუხლი).

ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობა არსებითად გამოითვლება ფრენშაიზინგის პროგრამის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. მან კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად უნდა განახორციელოს საქმიანობა და მიიღოს მომსახურება, შეიძინოს საქონელი ფრენშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან (სამოქალაქო კოდექსის 609-ე მუხლი).

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მხარეებს ევალებათ ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც ერთმანეთის მიმართ ჰქონდეთ ლოიალური კონკურენცია. ფრენშაიზის მიმღებს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში შეიძლება აეკრძალოს ფრენშაიზის მიმცემისათვის კონკურენციის გაწევა, მაგრამ ეს აკრძალვა არ უნდა გაგრძელოს ერთ წელზე მეტ ხანს. კონკურენციის აკრძალვამ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფრენშაიზის მიმღების საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში, მას უნდა მიეცეს შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია (სამოქალაქო კოდექსის 613-ე მუხლი).

თავი XV

მოთხოვნის ხელშეკრულება

თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლოდ სარგებლობისათვის (სამოქალაქო კოდექსის 615-ე მუხლი).

იმ ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას ითვალისწინებენ, თხოვება უპირველესად იმით განსხვავდება, რომ ის უსასყიდლოა. ამ ხელშეკრულებით გამნათხოვრებელს არა აქვს რაიმე ქონებრივი ინტერესი. თხოვების ხელშეკრულება უმეტესად გამოიყენება საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში და მისი მიზანია ურთიერთდახმარება.

თხოვების ხელშეკრულება შეიძლება იყოს კონსენსუალურიც და რეალურიც. ის შეიძლება დადებულად ჩაითვალოს მხარეთა შეთანხმების მომენტიდან, რასაც შემდგომში უნდა მოჰყვეს ნივთის სარგებლობაში გადაცემა (კონსენსუალური) და შეიძლება დადებულად ჩაითვალოს ნივთის გადაცემის მომენტიდან (რეალური).

თუ თხოვების ხელშეკრულება კონსენსუალურია, მაშინ იგი ორმხრივიც იქნება, რამდენადაც მონათხოვრეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის გადაცემა და მოვალეა განსაზღვრულ დროში უკანვე დააბრუნოს იგი.

თხოვების ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ხოლო საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული მოუხმარებადი ნივთები. რაც შეეხება ხელშეკრულების ვადას, იგი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ ხელშეკრულებით ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ იგი განუსაზღვრელი ვადით დადებულად ჩაითვლება.

თხოვების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით.

მონათხოვრე ვალდებულია დაიცვას დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთი. ამიტომ ნივთი უნდა გამოიყენოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და დანიშნულების მიხედვით. კანონით დადგენილია, რომ მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. მონათხოვრეს უფლება არა აქვს გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მესამე პირს. ქვექირავნობისაგან განსხვავებით ასეთი გადაცემა შეიძლება იყოს მხოლოდ უსასყიდლო, რამდენადაც უსასყიდლოა თვით თხოვება (სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლი).

მონათხოვრის მიერ ნათხოვარი ნივთისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება აუცილებლად მოითხოვს ნივთის მოვლისათვის გარკვეული ხარჯების გაწევას. დადგენილია, რომ მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები (მაგალითად, ნივთის გაწმენდის, დაზეთვის, ნათხოვარი ავტომანქანის საბურავების შეკეთების ხარჯები და სხვ.). სხვა ხარჯების ანაზღაურების მოვალობა განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ წესებით (სამოქალაქო კოდექსის 619-ე მუხლი).

ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა და გაუარესების გამო გამოწვეული ზიანი მონათხოვრემ უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ნივთის ცვლილებები და გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს ნივთით ხელშეკრულების შესატყვისმა სარგებლობამაც. ასეთ შემთხვევაში, მონათხოვრეს ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება (სამოქალაქო კოდექსის 620-ე მუხლი).

გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სამოქალაქო კოდექსის 616-ე მუხლი). მაშასადამე, ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანისათვის გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ ამას ჩადიოდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ნივთის ნაკლისათვის გამნათხოვრებელი პასუხს

არ აგებს, თუნდაც ასეთმა ნივთმა მონათხოვრისათვის ზიანის მიყენება გამოიწვიოს. გამნათხოვრებელს მხოლოდ მაშინ დაეკისრება ზიანი ანაზღაურების ვალდებულება, თუ შეგნებულად არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს (სამოქალაქო კოდექსის 617-ე მუხლი).

მონათხოვრე მოვალეა თხოვების ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს. თუ ხელშეკრულებით ვადა განსაზღვრული არ იყო მაშინ, ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროზე. თუ ნივთი განათხოვრდა გამიზნული სარგებლობისათვის, მაშინ ხელშეკრულება შეწყდება გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ (მაგალითად, თუ ნივთი განათხოვრდა რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, ხელშეკრულება შეწყდება ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის გასვლის შემდეგ). თუ ხელშეკრულებით მიზანი განსაზღვრული არ არის, მაშინ გამნათხოვრებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება.

თავი XVI

სესხის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი).

სესხის ხელშეკრულება რეალური და ცალმხრივი ხელშეკრულებაა. ის დადებულად ითვლება ფულის ან ნივთის გადაცემის მომენტიდან. მსესხებელს აქვს ფულის ან ნივთის მხოლოდ დაბრუნების მოვალეობა, ხოლო გამსესხებელს – ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

მსესხებელი მასზე ფულის ან ნივთის გადაცემის მომენტიდან მათი შესაკუთრე ხდება და უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ისინი, რაც საბოლოოდ იწვევს მათ დახარჯვას ან მოხმარებას. სესხისათვის დამახასიათებელია, რომ დაბრუნებულ უნდა იქნეს არა ფულის იგივე ნიშნები (კუპიურები), არა იგივე ნივთები, არამედ იმავე რაოდენობისა და ხარისხის ნივთები.

მხარეები სესხის ხელშეკრულებაში შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. კრედიტის მიცემა წარმოადგენს საბანკო ოპერაციას და ხორციელდება მხოლოდ ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიერ.

სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებული იქნეს წერილობითი ფორმაც. კანონი არ ადგენს რაიმე ზღვრულ თანხას, რომლის ზემოთაც სესხის ხელშეკრულება წერილობით უნდა დაიდოს. მაშასადამე, სესხის ხელშეკრულება შეიძლება ზეპირად დაიდოს თანხის ოდენობის მიუხედავად, მაგრამ დავის შემთხვევაში ხელშეკრულების ნამდვილობის დასადგენად მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები საკმარისი არ არის. კანონით (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი) დადგენილია, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს წარდგენილ უნდა იქნეს სხვა მტკიცებულებებიც.

სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანი (პროცენტიანი) და უსასყიდლო (უპროცენტო), რაც მხარეთა შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. თუ მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება სასყიდლიანია, მაშინ მხარეებმავე უნდა განსაზღვრონ პროცენტის ოდენობა, მაგრამ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან შესაბამისობაში. დადგენილია, რომ სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტები, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადგენილი შეთანხმება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი).

სესხის ხელშეკრულების ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. მსესხებელმა ვალი უნდა დააბრუნოს მხარეთა მიერ დადგენილი ვადის დადგომისას. თუ ხელშეკრულებით პროცენტები შეპირებული არ იყო, მაშინ მოვალეს ვალის დაბრუნება შეუძლია ვადის გასვლამდე. პროცენტიანი ვალის ვადამდე დაბრუნება კი დასაშვებია მხარეთა წინასწარი შეთანხმებით. თუ მხარეები ვალის ვადის გასვლამდე დაბრუნების თაობაზე წინასწარ არ შეთანხმებულან, მაშინ პროცენტიანი ვალის ვადამდე დაბრუნება შეიძლება გამსესხებლის თანხმობით.

თუ მხარეები ვალის დაბრუნების ვადაზე არ შეთანხმებულან, მაშინ ვალი უნდა დაბრუნდეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა კი შეადგენს სამ თვეს, ე. ი. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა განსაზღვრული არ არის, მხარეს, რომელსაც ხელშეკრულების შეწყვეტა სურს, ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ვალის დაბრუნება. მოვალე კი ვალდებულია დააბრუნოს ვალი მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში.

მსესხებელმა პროცენტები უნდა გადაიხადოს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტებიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას (სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, რომლის არსებობის დროსაც გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. გამსესხებელს ასეთი უფლება მაშინაც აქვს, როცა მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლი).

სესხის მიცემის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას სესხ-

ის წერილობითი შეპირებით. სესხის წერილობით შეპირებისას, დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას (სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლი).

თავი XVII

ნარდობის ხელშეკრულება

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თავისი იურიდიული ბუნებით ნარდობის ხელშეკრულება ორმხრივ, კონსენსუალურ და სასყიდლიან ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება.

ნარდობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მენარდე (სამუშაოს შემსრულებელი) და შემკვეთი (რომელსაც გადაეცემა მენარდის შრომის შედეგი). ამ ხელშეკრულების ყოველი მხარე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

ნარდობის ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალიზებულია. ეს არის მენარდის შრომის შედეგი (რეზულტატი), ამასთან, მენარდის შრომა შეიძლება მიმართული იყოს ნივთების შექმნისაკენ (ნაგებობა, ინსტრუმენტები, მანქანები და სხვა), ნივთების შეცვლის ან აღდგენისაკენ (შეკეთება, გადაკეთება და სხვა), სხვა სამუშაოს შესრულებისაკენ (გარეცხვა, გაწმენდა და სხვა).

ფასი ნარდობის ხელშეკრულებაში არის ანაზღაურების ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. საზღაური მხარეთა შეთანხმებით

განისაზღვრება. თუ მხარეები ანაზღაურების ოდენობაზე არ შეთანხმებულან, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო თუ ტარიფები არ არის, მაშინ ჩვეულებრივი ანაზღაურება (რაც დამკვიდრებულია მოცემულ ადგილზე). საზღაური უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით, სამუშაოს შესრულება მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი (სამოქალაქო კოდექსის 630-ე მუხლი).

რთული სამუშაოების შესრულებისას ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის საჭიროა სპეციალური დოკუმენტის – ხარჯთაღრიცხვის (კალკულაციის) შედგენა. ხარჯთაღრიცხვა მოიცავს სამუშაოების ცალკეული ეტაპების, სახეებისა და დანახარჯების მიხედვით ანაზღაურების რაოდენობას ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასებას. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა) და მიახლოებითი (რომელიც შეიძლება შემდგომში გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული საზღაური (მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული), იმ შემთხვევების გარდა, როცა გადახარჯვის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. საკითხი იმის შესახებ მნიშვნელოვნადაა გადაჭარბებული ხარჯთაღრიცხვა თუ არა, უნდა გადაწყდეს თითოეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, რადგან კანონი არ ადგენს რაიმე ციფრობრივ მონაცემებს, რომელიც ჩაითვლება მნიშვნელოვან გადაჭარბებად. ამასთან აუცილებელია, რომ ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება არ უნდა იყოს გამოწვეული რომელიმე მხარის ბრალით.

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს,

რათა მან შეძლოს გადაწყვიტოს ხელშეკრულების შენარჩუნების საკითხი. თუ ის ხელშეკრულებას შეწყვეტს, მაშინ მოვალეა აუნაზღაუროს მენარდეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი).

ნარდობის ხელშეკრულების ფორმის საკითხი ექვემდებარება გარიგების ფორმის შესახებ საერთო ნორმებს.

ნარდობის ხელშეკრულების მხარეებს აქვთ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

მენარდეს უფლება აქვს სხვას მიანდოს გარკვეული სამუშაოს შესრულება, რაც ხორციელდება ე. წ. სუბნარდობის (ქვენარდობის) ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში, მენარდე გამოდის შემკვეთის, ხოლო სუბმენარდე (ქვემენარდე) მენარდის სახით. სუბნარდობის დროსაც მთლიანად სამუშაოს შესრულებაზე შემკვეთის წინაშე მენარდე აგებს პასუხს. ამასთან, კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო. მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო იმ შემთხვევაშიც, როცა ეს გარემოებებიდან ან სამუშაოს ბუნებიდან გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლი).

მომრავ ნივთზე, რომელიც მენარდემ შეაკეთა ან დაამზადა და ეს ნივთი შეკეთების ან დამზადების მიზნით მის მფლობელობაში გადავიდა (მაგალითად, როცა ავტომანქანა შესაკეთებლად იმყოფება მენარდესთან), მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება ამ ნივთზე (სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლი). თუ ნარდობის ხელშეკრულების საგანია ნაგებობა ან ნაგებობის ცალკეული ნაწილი, მაშინ, მენარდეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნებისათვის მოითხოვოს იპოთეკა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე (სამოქალაქო კოდექსის 635-ე მუხლი).

მენარდე ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. სამუშაო შეიძლება შესრულდეს რო-

გორც მენარდის, ისე შემკვეთის მასალითა და საშუალებებით. როცა მენარდე სამუშაოს თავისი მასალით ასრულებს, მაშინ, იგი პასუხს აგებს უხარისხო მასალისათვის. მას არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ მასალა უხარისხო იყო, რამაც გამოიწვია სამუშაოს ნაკლი.

მენარდე ვალდებულია ყაირათიანად დახარჯოს მასალა, როცა ის სამუშაოს შემკვეთის მასალით ასრულებს. ის პასუხს აგებს შემკვეთის მასალის არასწორი გამოყენებისათვის. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მენარდე ვალდებულია წარუდგინოს შემკვეთს მასალის ხარჯვის ანგარიში და დაუბრუნოს მას დარჩენილი მასალა (სამოქალაქო კოდექსის 646-ე მუხლი).

ეკისრება რა პასუხისმგებლობა შემკვეთის მასალის არასწორი გამოყენებისათვის, ამავე დროს, მენარდე მოვალეა დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ მენარდისაგან მიღებული მასალა უხარისხოა და გამოუსადეგარი. გარდა ამისა, მენარდე მოვალეა გააფრთხილოს შემკვეთი, რომ თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი იქნება და რომ არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა რამ გარემოებები, რაც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას.

თუ შემკვეთი მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ ან არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობას ან სიმტკიცეს, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლი).

მენარდის მიერ სამუშაოს შემკვეთის მასალით დამზადებისას, მასალის მესაკუთრედ შემკვეთი რჩება და მასვე ეკისრება მასალის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი. მენარდე კი პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანები-

სათვის დაუდევრობის დროსაც.

თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას მენარდის მასალით, მაშინ მენარდე გადასცემს შემკვეთს დამზადებული ნაკეთობას საკუთრებად.

ნარდობის წესით შეიძლება დამზადებული იქნეს გვაროვნული ნივთებიც. თუ მენარდე გვაროვნულ ნივთებს თავისი მასალით ამზადებს, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მასალის ან ნაკეთობის შემთხვევით დაღუპვის რისკისაგან უნდა განვასხვაოთ შესრულებული სამუშაოს დაღუპვის ან დაზიანების რისკი. მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ მენარდეს უფლება არა აქვს მოითხოვოს შემკვეთისაგან იმ სამუშაოს ანაზღაურება, რაც შესრულებული იყო ნაკეთობის შემთხვევით დაღუპვამდე ან დაზიანებამდე, თუ ამას ადგილი ჰქონდა შესრულების შემკვეთისათვის გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა შემკვეთი აყოვნებს მიღებას, ე. ი. თუ შემკვეთმა თავის დროზე არ მიიღო შესრულება, ჩაითვლება, რომ ის გადაცემულია და შემკვეთზე გადავა შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი. მასალის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს (სამოქალაქო კოდექსის 651-ე მუხლი).

ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო უნდა იყოს. ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება ნაკეთობა, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს, ხოლო თუ ხელშეკრულება ასეთ პირობებს არ ითვალისწინებს, მაშინ ნაკეთობა უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნივთობრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება ნაკეთობა, თუ იგი შეკვეთილისაგან

განსხვავებულია ან უფრო ნაკლები რაოდენობისაა. ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია შემკვეთის წინააღმდეგ გამოიყენოს რაიმე უფლება (სამოქალაქო კოდექსის 640-ე მუხლი).

ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებულ ნაკეთობაში ნაკლის აღმოჩენისას შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შესრულება. დამატებითი შესრულება იმაში გამოიხატება, რომ მენარდემ განსაზღვრულ ვადაში ან უნდა გამოასწოროს ნაკლი ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა. მენარდე მოვალეა დამატებითი შესრულების მიზნით გასწიოს დამატებითი ხარჯები, მათ შორის ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები. მენარდეს შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. თუ მენარდე ნაკლის მქონე ნაკეთობის ნაცვლად დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მაშინ მას შეუძლია შემკვეთისაგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლი).

შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, თუმცა მენარდეს არათანაზომიერი ხარჯების გამო უარი არ უთქვამს დამატებით შესრულებაზე.

შემკვეთს შეუძლია მოსთხოვოს ავანსი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 643-ე მუხლი).

ნაკლის გამოსასწორებლად აუცილებელი არ არის დამატებითი ვადის დაწესება იმ შემთხვევებში, როცა: ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ხელშეკრულებით კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების შესრულებას (ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს, რომ თუ ხელშეკრულება დროზე არ შესრულდება, დამატებითი შესრულებისათვის ვადა არ დაინიშნება); გ. განსაკუთრებული

საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.

ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამატებითი განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ასევე იმ შემთხვევებში, როცა არაა აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება. ასეთ შემთხვევაში, შემკვეთის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, მენარდე ვალებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლი).

ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, თუ სამუშაოს მიღებამდე შემკვეთისათვის ცნობილი იყო ნაკეთობის ნაკლი და მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად (სამოქალაქო კოდექსის 652-ე მუხლი).

შემკვეთს, როგორც აღნიშნული იყო, ნაკეთობის ნაკლის არსებობის დროს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება ან, კანონით გათვალისწინებულ. შემთხვევებში, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მაგრამ თუ ის არ მიიღებს დამატებით შესრულებას და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (სამოქალაქო კოდექსის 645-ე მუხლი).

თუ მენარდემ დამზადებული ნაკეთობისათვის საგარანტიო ვადა იკისრა, მაშინ შემკვეთს ის უფლებები, რაც მას ნაკლის არსებობისას აქვს, შეუძლია გამოიყენოს საგარანტიო ვადის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 653-ე მუხლი).

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმებით გამორიცხონ ან შეზღუდონ პასუხისმგებლობა ნაკეთობის ნაკლის გამო, მაგრამ ასეთი შეთანხმების მიუხედავად, მენარდე პასუხს აგებს, თუ ის ნაკლს განზრახ დაფარავს (სამოქალაქო კოდექსის 654-ე მუხლი).

შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან

გამომდინარე საჭიროა მისი გადაცემა, მაგალითად, ნაკეთობა, რომელიც მენარდის სახელოსნოში დამზადდა შემკვეთის დავალებით, უნდა გადაეცეს შემკვეთს. სამუშაოს მიღებისთანავე შემკვეთმა უნდა გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლი). შესრულებული სამუშაოს ჩაბარებას მენარდის მიერ და მის მიღებას შემკვეთის მიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის აღნიშნავს მენარდის მიერ ვალდებულების შესრულებას, შემკვეთის მიერ სამუშაოს მიღებასა და მისი ხარისხის მოწონებას.

თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, მენარდეს შეუძლია მოითხოვს ზიანის ანაზღაურება. შემკვეთს ზიანის ანაზღაურება მაშინაც დაეკისრება, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას (მაგალითად, არ გადასცემს მასალას, როცა ხელშეკრულებით მასალის გადაცემა მას ეკისრებოდა).

ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის მიხედვით და, მეორე მხრივ, იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარად გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადა არ გადაეცილებინა (სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლი).

შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს საზღაური. საზღაურის გადახდა, როგორც წესი, ხდება სამუშაოს შესრულების შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ გადახდაც (სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლი). როცა ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ, შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო, მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს

შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლი).

შემკვეთს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ შესრულებამდე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს ხელშეკრულების მოშლამდე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი). სამუშაოს სრულ შესრულებამდე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება მენარდესაც აქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთს შეუძლია მომსახურების სხვაგვარად მიღება, იმ შემთხვევების გარდა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. ხელშეკრულების შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება (სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლი).

მენარდეს, მის მიერ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის დროს, სამუშაოს შესრულებამდე ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელოს ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრინდელ მომსახურებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთს ადრე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი (სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლი). მაგალითად, შემკვეთი იღებს იმას, რაც ხელშეკრულების შეწყვეტამდე შეასრულა მენარდემ.

მოთხოვნებზე შესრულების ნაკლის გამო სპეციალური ხანდაზმულობის ვადებია დადგენილი. მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – სუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან (სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლი). თუ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო მოთხოვნის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან (სამოქალაქო კოდექსის 656-ე მუხლი).

თავი XVIII

ტურიზმის ხელშეკრულება

ტურიზმის ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწყობი (ტურისტული საწარმო) მოვალეა გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება. ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 657-ე მუხლი).

თავისი იურიდიული ბუნებით ტურიზმის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. მისი საგანია მომსახურება, მხარეებს კი წარმოადგენენ მოგზაურობის მომწყობი და ტურისტი.

ტურიზმის ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

ტურისტს უფლება აქვს ხელშეკრულების დადების შემდეგ, მაგრამ მოგზაურობის დაწყებამდე, მოითხოვოს მის მაგივრად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობა. მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია დააკმაყოფილოს ტურისტის ასეთი მოთხოვნა, თუ მესამე პირი, რომელმაც ტურისტის მაგივრად უნდა მიიღოს მონაწილეობა, აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს (ვიზა, ჯანმრთელობა და სხვა). მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ შეიძლება დამატებითი ხარჯები გამოიწვიოს, მოგზაურობის მომწყობს შეუძლია მოითხოვოს ტურისტისაგან ამ ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 658-ე მუხლი).

ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თუ ტურისტი მოგზაურობის დაწყებამდე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების უფლებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია საერთოდ მოითხოვოს რაიმე ანაზღაურება, რომლის ოდენობაც

განისაზღვრება შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად (სამოქალაქო კოდექსის 665-ე მუხლი).

ტურისტი მოვალეა გადაუხადოს მოგზაურობის მომწყობს შეპირებული ანაზღაურება.

მოგზაურობის მომწყობის უპირველესი მოვალეობაა მოგზაურობის იმგვარად მოწყობა, რომ ის შეესაბამებოდეს ჩვეულებრივ ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზნებს. თუ მოგზაურობისას წარმოიშვა ისეთი ხარვეზები, რომლებიც აუფასურებენ ან ამცირებენ მოგზაურობის მნიშვნელობას ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მათი აღმოფხვრა. ხარვეზების აღმოსაფხვრელად ტურისტი განუსაზღვრავს მოგზაურობის მომწყობს გონივრულ ვადას. ამ ვადაში ხარვეზების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს ამისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება.

მოგზაურობის მომწყობს უფლება აქვს უარი თქვას ხარვეზების გამოსწორებაზე, თუ ეს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. თუ მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის ხარვეზების გამოსწორებაზე, მაშინ გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრა არაა აუცილებელი. ხარვეზების გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრა არც მაშინაა საჭირო, როცა ტურისტი დაინტერესებულია ხარვეზების დაუყოვნებლივ გამოსწორებით (სამოქალაქო კოდექსის 659-ე მუხლი).

ხარვეზიანი მოგზაურობის დროს, მოგზაურობის ღირებულება შემცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები. მოგზაურობის ღირებულება არ შემცირდება, თუ ტურისტი თავისი ბრალით არ შეატყობინებს მოგზაურობის მომწყობს ხარვეზების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 660-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს იმ შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს მოგზაურობის ხარვეზებს. ტურისტს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ხარვეზების გამო მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ტურისტს ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია მაშინაც, როცა მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოგზაურობაში საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც იცის მოგზაურობის მომწყობმაც და თუ მოგზაურობის მომწყობი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, ან მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის მათ აღმოფხვრაზე, ან ხელშეკრულების შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესებით.

ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება იმ უხარვეზო მომსახურებისათვის, რაც ხელშეკრულების შეწყვეტამდე გასწია.

ხარვეზების არსებობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტისას, მოგზაურობის მომწყობს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკალება ტურისტის უკანვე მიყვანა, თუ ტურისტის უკან მიყვანა ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში დამატებითი ხარჯები მოგზაურობის მომწყობს ეკისრება (სამოქალაქო კოდექსის 661-ე მუხლი).

მოგზაურობის ხარვეზებისას, რომლისთვისაც მოგზაურობის მომწყობი აგებს პასუხს, ტურისტს ერთდროულად შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურების შემცირება და ზიანის ანაზღაურება, ან ხელშეკრულების შეწყვეტა და ზიანის ანაზღაურება. მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას არ ეზღუდება ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება. ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, თუ მოგზაურობა ჩაიშალა ან არაჯეროვნად იყო ორგანიზებული. მაგალითად, თუ მოგზაურობის მომწყობის ბრალით

მოგზაურობა უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე შეთანხმებული იყო (სამოქალაქო კოდექსის 662-ე მუხლი).

კანონი აწესებს ერთი თვის ვადას, რომლის განმავლობაშიც ტურისტს შეუძლია წარუდგინოს მოთხოვნა მოგზაურობის მომწყობს მოგზაურობის ნაკლის გამო. ეს ვადა გამოითვლება ხელშეკრულებაში მითითებული ვადის დამთავრების შემდეგ. ამ ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს მოითხოვნის წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის ვადაცილებაში (როცა ვადის გადაცილება საპატიო მიზეზებმა გამოიწვიეს). რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას ტურისტის მოთხოვნებზე, იგი ექვსი თვით განისაზღვრება და იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულების შესაბამისად მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. ტურისტს შეუძლია მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდეც წარადგინოს. ვადის დაწყებამდე მოთხოვნის წარდგენა გამოიწვევს ვადის შეჩერებას იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას (სამოქალაქო კოდექსის 663-ე მუხლი).

მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით. ასეთი შეთანხმების არსებობისას, მოგზაურობის მომწყობს არც ერთ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა ტურისტისათვის მიყენებული ზიანი მომსახურების ღირებულების სამმაგ ოდენობაზე მეტია, არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგ ოდენობაზე მეტი. შეთანხმება პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ დასაშვებია, თუ ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან თუ მოგზაურობის მომწყობი ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად (სამოქალაქო კოდექსის 664-ე მუხლი). აქ, ისეთ გარემოებასთან გვაქვს საქმე, როცა მოგზაურობის

მომწყობის წინაშე სხვა პირებს აქვთ ვალდებულებები, რომელთა შესრულებაზეა დამოკიდებული უხარვეზო მოგზაურობის მოწყობა, მაგრამ ერთ-ერთმა ვალდებულმა პირმა მოგზაურობის მომწყობს ვალდებულება არ შეუსრულა.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, რომელთა არსებობის დროსაც ტურიზმის ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლიათ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს. მათ ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლიათ, თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელდა, ან წარმოიშვება სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად. აღნიშნულის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის. ამასთან, მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია მიიყვანოს ტურისტი უკანვე, თუ ხელშეკრულებით ასეთი გათვალისწინებული იყო. თუ უკანვე მიყვანა დამატებით ხარჯებს მოითხოვს, მაშინ, ამ ხარჯების ნახევარი ეკისრება თითოეულ მხარეს (სამოქალაქო კოდექსის 666-ე მუხლი). ზემოთ განხილული წესები არ შეიძლება შეიცვალოს მოგზაურის საზიანოდ (სამოქალაქო კოდექსის 667-ე მუხლი).

თავი XIX

გადაზიდვის ხელშეკრულება

§1. გადაზიდვის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი

გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე (სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი). მაშასადამე, გადაზიდვაში იგულისხმება

ტვირთის გადაზიდვა და მგზავრის გადაყვანა. ერთ შემთხვევაში იდება ტვირთის გადაზიდვის, ხოლო მეორე შემთხვევაში მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულება.

ტრანსპორტის სახეთა მიხედვით არსებობს ტვირთის სარკინიგზო, საზღვაო, შიდა წყლის, საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულებები, რომელთაგან თითოეულს თავისი სპეციფიკა გააჩნია და რეგულირდებიან შესაბამისი ნორმატიული აქტებით (საქართველოს საჰაერო კოდექსი, საქართველოს საზღვაო კოდექსი, საავტომობილო ტრანსპორტის წესდება და სხვა). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის გადაზიდვის ხელშეკრულებისათვის, რომლებსაც შევეხებით ნაშრომის ამ თავში.

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ტვირთის გადამზიდველი და ტვირთის გამგზავნი, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ტვირთის გამგზავნისა და გადამზიდველის გარდა, რომელთა შორის იდება ხელშეკრულება, გადაზიდვის ურთიერთობაში მონაწილეობს სხვა პირიც – ტვირთის მიმღები. ხშირად, გამგზავნი თვითონ არ იღებს ტვირთს, თვითონ არ არის მიმღები, მიმღები სხვა პირია, რომელიც, მართალია, არ მონაწილეობს ხელშეკრულების დადებაში, მაგრამ, ამის მიუხედავად, იძენს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. მის შესახებ მითითებულია გადაზიდვის დოკუმენტში. ტვირთის მიმღები გადაზიდვის ურთიერთობის მონაწილეა.

გადაზიდვის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურება, რაც ტრანსპორტირების გარდა სხვა მოქმედებებსაც მოიცავს (ტვირთის შენახვა, ტვირთის მიმღებისათვის გადაცემა და ა. შ.).

გადაზიდვის ფასი შეთანხმებით განისაზღვრება. შესაძლებელია ასევე არსებობდეს გადამზიდველის მიერ დადგენილი ტარიფები, რომელსაც გამგზავნი (მგზავრი) უნდა შეუერთდეს. პრაქტიკულად ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია.

ტვირთის დანიშნულების ადგილზე თავის დროზე მიტანა სატრანსპორტო პროცესის მნიშვნელოვანი მომენტია, რამდენადაც ტვირთის მიტანის ვადის დარღვევას შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოჰყვეს (მიმღების საწარმოო საქმიანობის შეფერხება, ტვირთის გაფუჭება და ა. შ.). ამიტომ, გადაზიდვის ურთიერთობებში ტვირთის მიტანის ვადის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია. ტვირთის მიტანის ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება.

კანონი პირს, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრის გადაყვანას, ავალებს დადოს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს უარის თქმის საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 670-ე მუხლი). მაგალითად, უარის თქმის საფუძველი იქნება მატარებლის მიმოსვლის შეწყვეტა გზის დაზიანების გამო, ასევე, როცა ყველა ბილეთი გაყიდულია და ა. შ.

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება წერილობით — ზედნადების სახით, თუმცა შესაძლებელია ხელშეკრულება სხვა სახის დოკუმენტით გაფორმდეს (მაგალითად, კონოსამენტით საზღვაო გადაზიდვის დროს). გადაზიდვის ხელშეკრულება ზედნადების სახით ფორმდება, მაგრამ შესაძლებელია იგი ზედნადების გარეშეც არსებობდეს. დადგენილია, რომ ზედნადების არარსებობის, მისი ბარვეზების, ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებითაც გადაზიდვის ხელშეკრულება რეგულირდება (სამოქალაქო კოდექსის 672-ე მუხლი).

ზედნადები დგება სამ ცალად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი. პირველი პირი რჩება გამგზავნს, ხოლო მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი.

შესაძლებელია ტვირთის გადაზიდვამ მოითხოვოს მისი რამდენიმე ტრანსპორტზე განაწილება (მაგალითად, ვადამზიდველმა

ტვირთი უნდა გაანაწილოს რამდენიმე ავტომობილზე) ანდა გადასაზიდია სხვადასხვა სახის და ცალკეულ პარტიებად დაყოფილი ტვირთი. ასეთ შემთხვევაში როგორც გამგზავნს, ისე გადამზიდველს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი ზედნადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტის ან ტვირთის სახეობაა (სამოქალაქო კოდექსის 673-ე მუხლი).

კანონი ადგენს მონაცემებს, რომლებსაც ზედნადები უნდა შეიცავდეს. ზედნადები უნდა შეიცავდეს: ა. გაცემის დღესა და ადგილს; ბ. გამგზავნის სახელსა და მისამართს; გ. გადამზიდველის სახელსა და მისამართს; დ. ტვირთის მიტანის ადგილს; ე. მიმღების სახელსა და მისამართს; ვ. ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას; ზ. გადასაზიდი ტვირთის რაოდენობას, ნიშნებსა და ნომრებს; თ. ტვირთის წონას ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას; ი. გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (გადაზიდვის ფასი, დამატებითი ხარჯები, .საბაჟო გადასახადები და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების დადებიდან ტვირთის მიტანამდე); კ. საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნებს; ლ. აღნიშვნას, რომ გადაზიდვა ორმხრივი შეთანხმების მიუხედავად, მაინც ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც გადაზიდვის ხელშეკრულებას არეგულირებს.

აღნიშნულის გარდა, გადაზიდვამ შეიძლება გამოიწვიოს ზედნადებში სხვა მონაცემების გათვალისწინება, ამიტომ დადგენილია, რომ საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს: ა. სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვას; ბ. ხარჯებს, რომლებსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს; გ. ტვირთის გაგზავნის დროს გადასახდელი ფასდანამატის ოდენობას; დ. ტვირთის ღირებულებასა და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას; ე. გამგზავნის მითითებებს გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ; ვ. შეთან-

ხმებულ ვადას, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა; ზ. გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალს. ეს ჩამოთვლა არ არის ამომწურავი. მხარეებს შეუძლიათ ზედნადებში ჩაწერონ სხვა მონაცემებიც, რომლებსაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ (სამოქალაქო კოდექსის 674-ე მუხლი).

ზედნადები (კონოსამენტი) მტკიცებაა იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი მიღებული აქვს გადამზიდველს, თუმცა, შესაძლებელია საპირისპიროს დამტკიცება, ე.ი. დამტკიცება იმისა, რომ ზედნადების არსებობის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულება არ დადებულა.

ზედნადებში მონაცემთა არასწორად და არასურლყოფილად მითითებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ხარჯები და ზიანი, რისთვისაც გამგზავნი აგებს პასუხს (სამოქალაქო კოდექსის 675-ე მუხლი).

გამგზავნმა ზედნადებს უნდა დაურთოს ის საბუთები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანამდე საბაჟო და სხვა მსგავსი მოქმედებების შესასრულებლად და გადასცეს ეს საბუთები გადამზიდველს. გამგზავნს ევალება ასევე გადამზიდველისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. გადამზიდველი არ არის ვალდებული შეამოწმოს არის თუ არა ეს საბუთები სწორი და საკმარისი და არც პასუხს აგებს საბუთებსა და ინფორმაციის არასრულყოფილებისა და უზუსტობით გამოწვეული ზიანისათვის, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს მისი ბრალით მოხდა. გადამზიდველი პასუხს აგებს აღნიშნული საბუთების დაკარგვის ან მათი არასწორად გამოყენებისათვის, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ტვირთის დაკარგვის დროს დადგებოდა (სამოქალაქო კოდექსის 679-ე მუხლი).

§2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

გადამზიდველი გადასაზიდად ტვირთის მიღების დროს ვალდებულია შეამოწმოს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნომრების შესახებ ზედნადებში აღნიშნული მონაცემების სისწორე და ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა.

შესაძლებელია გადამზიდველს არ ექნეს შესაბამისი საშუალება იმისა, რომ შეამოწმოს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნები და ნომრები (მაგალითად, ნივთების რაოდენობა კონტეინერში). ასეთ შემთხვევაში გადამზიდველს შეაქვს პირობები (მაგალითად, პირობა იმის შესახებ, რომ პასუხს არ აგებს კონტეინერში ნივთების რაოდენობისათვის). გადამზიდველმა ზედნადებში უნდა შეიტანოს აგრეთვე ისეთი პირობები, რომლებიც შეეხება ტვირთების გარეგნულ მდგომარეობასა და მის შეფუთვას. ეს პირობები გამგზავნისათვის არაა სავალდებულო, იმ შემთხვევების გარდა, როცა მან ისინი ზედნადებში აღიარა (ზედნადებში აღინიშნა იმის შესახებ, რომ აღიარებს ამ პირობებს).

გადამზიდველი ვალდებულია შეამოწმოს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნები და ნომრები, ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა, მაგრამ გამგზავნს შეუძლია მოითხოვოს მისგან ტვირთის წონის ან მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობის გადამოწმება და შემცველობის შემოწმება. ასეთი გადამოწმების შედეგები უნდა აღინიშნოს ზედნადებში. გადამზიდველს თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს ამ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 676-ე მუხლი).

ტვირთის წონისა და მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობის (მაგალითად, როცა ტვირთის რაოდენობა კუბამეტრობითაა განსაზღვრული და სხვა) გადამოწმება გადამზიდველს ევალება, როცა ამას გამგზავნი მოითხოვს. გამგზავნს შეუძლია

მოითხოვოს ასევე, რომ გადამზიდველმა შეამოწმოს გადასაზიდი ტვირთის შემადგენლობა (ზედნადებში მითითებული ტვირთია გადაცემული გადასაზიდად თუ არა). გადამზიდველს თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს ამ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. გადამოწმების შედეგები უნდა აღინიშნოს ზედნადებში (სამოქალაქო კოდექსის 676-ე მუხლი).

გამგზავნის ერთ-ერთი მოვალეობაა ტვირთის შეფუთვა. იგი პასუხს აგებს უხარისხოდ შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც მიადგა პირებს, მასალებსა და სხვა ქონებას და უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ხარჯებისათვის. გამგზავნი ასეთი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუ შეფუთვის ნაკლი აშკარა იყო, ან ტვირთის მიღებისას გადამზიდველმა შეფუთვის ნაკლის შესახებ იცოდა და ამასთან დაკავშირებით რაიმე პირობა არ დაუთქვამს (სამოქალაქო კოდექსის 678-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს გამგზავნისა და მიმღების მიერ განსაზღვრული პირობების არსებობისას ტვირთის განკარგვის უფლებას. გამგზავნს ასევე შეუძლია მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა და ის, რომ გადამზიდველმა არ შეცვალოს მიწოდების ადგილი ან ტვირთი არ მისცეს სხვა პირს. გარდა იმისა, რომელიც ზედნადებშია აღნიშნული. გამგზავნს აღნიშნული უფლება აქვს მიმღებისათვის ზედნადების გადაცემამდე. ზედნადების მეორე პირის მიმღებისათვის გადაცემის მომენტიდანვე ეს უფლება ქარწყლდება. ზედნადების მეორე პირის მოთხოვნის უფლება კი მიმღებს აქვს ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვინთის მიტანისთანავე. მას შემდეგ, რაც მიმღებს გადაეცემა ზედნადების მეორე პირი, გადამზიდველმა უნდა შეასრულოს მიმღების მითითებები. რაც შეეხება მიმღების მიერ ტვირთის განკარგვას, მას ასეთი უფლება აქვს უკვე ზედნადების გაფორმებიდან, თუ გამგზავნმა ზედნადებში გააკეთა აღნიშვნა (აღნიშვნა იმის შესახებ, რომ მიმღებს უფლება აქვს განკარგოს ნივთი ზედნადების გაფორმებისთანავე). განკარგვის

უფლების განხორციელებისას მიმღებს შეუძლია მისცეს მითითება ტვირთის სხვა (მესამე) პირისათვის მიწოდების შესახებ, მესამე პირს კი, თავის მხრივ, არა აქვს უფლება დაასახელოს სხვა მიმღები.

გამგზავნისა და მიმღების მიერ ტვირთის განკარგვის უფლებასთან ერთად გათვალისწინებულია ის წესები, რომელთა დაცვით უნდა მოხდეს ამ უფლების განხორციელება. გამგზავნმა ან მიმღებმა, თუ მას განკარგვის უფლების განხორციელება სურს, უნდა წარმოადგინოს ზედნადების პირველი პირი, რომელშიც შეტანილ უნდა იქნეს გადამზიდველისათვის მიცემული ახალი მითითებები (მაგალითად, მითითება იმის შესახებ, რომ ტვირთი მიაწოდოს არა მიმღებს, არამედ მესამე პირს). გადამზიდველს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ის ხარჯი და ზიანი, რომელიც ამ მითითებათა შესრულების შედეგად წარმოიშვა. გარდა ზემოალნიშნულისა აუცილებელია, რომ მითითებათა შესრულება შესაძლებელი იყოს იმ მომენტში, როცა იგი მიუვა იმ პირს, რომელმაც ეს მითითებები უნდა შეასრულოს და მითითებების შესრულება ხელს არ უნდა უშლიდეს გადამზიდველის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და არც გამგზავნის ან მიმღების სხვა ტვირთს არ უნდა აყენებდეს ზიანს. მითითებებმა არ უნდა გამოიწვიოს ასევე ტვირთის დანაწილება.

გადამზიდველი, რომელიც არ ასრულებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით იქნა გაცემული ან ასრულებს ამ მითითებებს ზედნადების პირველი პირის მოთხოვნის გარეშე, პასუხს აგებს უფლებამოსილი პირის წინაშე აქედან წარმოშობილი ზიანისათვის.

თუ გადამზიდველს მითითების შესრულება არ შეუძლია, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იმ პირს, ვინც ეს მოთხოვნა გასცა (სამოქალაქო კოდექსის 680-ე მუხლი).

ტვირთის მიმღებს უფლება აქვს ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიტანისთანავე გადამზიდველს მოსთხოვოს ზედნადების მეორე პირის გადაცემა იმის

დადასტურებით, რომ ტვირთი მიღებულია. ამით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად. თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი ან დარღვეულია ტვირთის მოტანის ვადა, მაშინ მიმღებს შეუძლია გადამზიდველის მიმართ საკუთარი სახელით გამოიყენოს ყველა ის უფლება, რომლებიც გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, პრეტენზიის წაყენების, სარჩელის წარდგენის უფლებებები და სხვა (სამოქალაქო კოდექსის 681-ე მუხლი).

შესაძლებელია ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელი გახდეს ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით (მაგალითად, შეუძლებელია ტვირთის მიღება ამ სახის ტვირთზე მოცემულ ადგილზე გამოცხადებული კარანტინის გამო). ასეთ შემთხვევაში, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს უფლებამოსილი პირისაგან სათანადო მითითებების მიცემა. თუ გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში და არსებობს გარემოებები, რომლებიც იძლევიან ზედნადებში მითითებული პირობებისაგან განსხვავებულად გადაზიდვის შესაძლებლობას, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უფლებამოსილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული (სამოქალაქო კოდექსის 682-ე მუხლი).

ზემოთ მითითებული იყო ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობაზე ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ. კანონი მიუთითებს ასევე ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელ გარემოებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვნენ დანიშნულების ადგილზე (ე. ი. იმ ადგილზე, სადაც ტვირთი უნდა იქნეს მიტანილი) ტვირთის მიტანის შემდეგ. ამ შემთხვევაშიც, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნის მითითებები. თუ ხელშეკრულება არ სრულდება იმის გამო, რომ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, მაშინ გამგზავნს უფლება აქვს თვითონ განკარგოს ტვირთი ზედნადების პირველი პირის წარ-

მოდგენის გარეშეც. მიმღების მიერ უარის თქმა ტვირთის მიღებაზე არ ართმევს მას უფლებას უარის თქმის შემდეგაც მიიღოს ტვირთი, მაგრამ ეს შესაძლებელია მანამდე, ვიდრე გადამზიდველს გამგზავნისავან არ მიუღია საწინააღმდეგო მითითებები. მაგალითად, თუ გამგზავნმა მისცა მითითება ტვირთის სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ, ამის შემდეგ მიმღებს ტვირთის მასზე გადაცემის მოთხოვნა აღარ შეუძლია.

თუ მიმღებმა გასცა მითითება, რომ ტვირთი გადაეცეს მესამე პირს (ზემოთ აღნიშნული იყო, რომ თუ გამგზავნის მიერ ზედნადებში გაკეთებულია შესაბამისი აღნიშვნა, მიმღები ტვირთის განკარგვის უფლებას იძენს ზედნადების გაფორმებისთანავე) და ასეთი მითითების მიცემის შემდეგ წარმოიშვა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, იმ წესების გამოყენებისას, რომლებიც მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, რომლებიც წარმოიშვნენ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის შემდეგ – მიმღები იკავებს გამგზავნის ადგილს, მესამე პირი კი – მიმღების ადგილს (სამოქალაქო კოდექსის 683-ე მუხლი).

გადამზიდველს მითითების მიღების ან შესრულების გამო შეიძლება წარმოეშვას განსაზღვრული ხარჯები. მას ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს ხარჯები მისი ბრალით წარმოიშვა.

თუ ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით ან, თუ ტვირთის მისვლის შემდეგ წარმოიშვა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები ან, თუ კიდევ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე – გადამზიდველს შეუძლია სასწრაფოდ გადმოტვირთოს ტვირთი უფლებამოსილი პირის ხარჯზე. გადმოტვირთვის შემდეგ გადაზიდვა დასრულებულად ითვლება. გადმოტვირთვის შემდეგ გადამზიდველმა ტვირთი უნდა შეინახოს უფლებამოსილი პირისათვის. მას შეუძლია ტვირთი შესანახად მიაბაროს

მესამე პირს, ტვირთის მესამე პირისათვის მიბარების შემთხვევაში, გადამზიდველს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მესამე პირის შერჩევისათვის (მაგალითად, თუ გადამზიდველმა შემნახველად შეარჩია ისეთი პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, სათანადო შესანახი სათავსოები და ა. შ.).

გადამზიდველს შეუძლია გათვალისწინებულ შემთხვევებში ისე, რომ არ დაელოდოს უფლებამოსილი პირის მითითებებს, გაყიდოს ტვირთი. გადამზიდველს ტვირთის გაყიდვა შეუძლია, თუ ტვირთი მალფუჭადია, ან თუ ტვირთის მდგომარეობა ამართლებს მის გაყიდვას, ანდა, როცა შენახვის ხარჯები აღემატება ტვირთის ღირებულებას. აღნიშნულის გარდა, გადამზიდველს ტვირთის გაყიდვა შეუძლია იმ შემთხვევაშიც, თუ განსაზღვრული დროის განმავლობაში არ მიიღებს მითითებებს არც ერთი მხარისაგან. ტვირთის გაყიდვის წესი განისაზღვრება იმ ადგილის კანონებითა და ჩვეულებებით, სადაც იმყოფება ტვირთი.

ტვირთის გაყიდვის შემთხვევაში, ტვირთთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, თანხა უნდა გადაეცეს უფლებამოსილ პირს. თუ ხარჯები ტვირთის გაყიდვით მიღებულ თანხაზე მეტია, გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 689-ე მუხლი).

გადამზიდველს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია განკარგოს ეს ტვირთი (სამოქალაქო კოდექსის 685-ე მუხლი).

§3. გადამზიდველის პასუხისმგებლობა

დადგენილია, რომ გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. კანონი იმ

გარემოებებსაც ითვალისწინებს, რომელთა არსებობის დროსაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან ვადის გადაცილებისათვის. გადამზიდველი პასუხს არ აგებს თუ ტვირთის დაკარგვა, ან დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო: უფლებამოსილი პირის (გამგზავნის ან მიმღების) ბრალით; უფლებამოსილი პირის ისეთი მითითებით, რაზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; გადამზიდველი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება მაშინაც, როცა ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილება გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.

გადამზიდველი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება, თუ ტვირთის დაკარგვა, ან მიტანის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლით ან ამ საშუალების გამქირავებლის ან კიდევ დამქირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალით. ამიტომ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კანონი ითვალისწინებს სხვა გარემოებებსაც, რომელთა არსებობის დროს გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება განსაკუთრებული საფრთხიდან წარმოიშვა, კერძოდ, როცა:

ა. გამოიყენება ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული;

ბ. ტვირთი არ არის შეფუთული, ან უხარისხოდაა შეფუთული, რაც ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, დაკარგვის ან დაზიანების საფრთხეს ქმნის;

გ. ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ;

დ. ცალკეული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის, გახმობის, დალვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერების და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე;

ე. გადასაზიდი ტვირთი არასაკმარისადაა აღნიშნული ან დანომრილი;

ვ. გადასაყვანია ცხოველები (სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლი).

გადამზიდველის პასუხისმგებლობის საერთო პირობას წარმოადგენს მისი ბრალი. იმის მტკიცება, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის დარღვევა უფლებამოსილი პირის (გამგზავნი, მიმღები) ბრალით ანდა ამავე პირის მითითებით მოხდა, გადამზიდველს ეკისრება.

თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დანაკარგი ან დაზიანება შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე განსაკუთრებული საფრთხიდან, ივარაუდება, რომ ზიანი აქედან წარმოიშვა. თავის მხრივ, უფლებამოსილ პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის ამ საფრთხისაგან, ან მხოლოდ ამ საფრთხისაგან წარმოშობილი.

ვარაუდი (პრეზუმფცია) იმისა, რომ ზიანი შეიძლება წარმოქმნილიყო ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების გამო (როცა მათი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული) არ მოქმედებს, თუ ტვირთი ექსტრემალურ პირობებში დაიკარგა ან დაიღუპა.

კანონი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს გადამზიდველს იმ შემთხვევებისათვის, როცა გადაზიდვა ხდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომელსაც აქვს სპეციალური აღჭურვილობა ტვირთის დასაცავად სიცხის, სიცივის, ტემპერატურის ცვლილებების ან ქარისაგან. ასეთ შემთხვევაში გადამზიდველს შეუძლია მიუთითოს ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე, რომელ-

იც განსკუთრებული საფრთხიდან წარმოიშვა (ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, ტვირთის შეუფუთაობა ან უხარისხო შეფუთვა და სხვ.), მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა აუცილებელი მოქმედებანი ამ მოწყობილობათა შერჩევის, ექსპლუატაციისა და გამოყენებისათვის და დაიცვა მისთვის წაყენებული ყველა მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 687-ე მუხლი).

როგორც აღნიშნული იყო ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გარდა გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის. ტვირთის მიტანის ვადა გადაცილებულად ითვლება, როცა ტვირთი არ არის მიტანილი შეთანხმებულ ვადაში, ან თუ ვადა არ იყო დათქმული – გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში.

ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება ზოგჯერ ტვირთის დაკარგულად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს. თუ ტვირთის მიტანის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში, ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა. დათქმული – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე, უფლებამოსილ პირს შეუძლია ტვირთი ჩათვალოს დაკარგულად, ისე, რომ მას არ მოეთხოვება ტვირთის დაკარგვის თაობაზე რაიმე დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა. მიტანის ვადის გასვლის გამო ტვირთის დაკარგულად მიჩნევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი, მაგრამ ზიანის ანაზღაურებისას მას შეუძლია წერილობით მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ შეატყობინონ დაკარგული ტვირთის გამოჩენის შესახებ, თუ ტვირთი გამოჩნდება ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ მოთხოვნაზე პასუხი წერილობით უნდა გაიცეს ტვირთის გამოჩენის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ტვირთის მისთვის ჩაბარება, მაგრამ უკან უნდა დააბრუნოს მიღებული ანაზღაურება, საჭიროებისას ზიანის ანაზღაურებისას წარ-

მოშობილი ხარჯების გამოკლებით. დაკარგულად მიჩნეული ტვირთის უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების შემთხვევაშიც გადაზიდვის ვადის დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უცვლელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ დაკარგულად მიჩნეული ნივთი ჩაბარდა უფლებამოსილ პირს, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თუ უფლებამოსილი პირი წერილობით არ მოითხოვს დაკარგულად მიჩნეული ტვირთის გამოჩენის შესახებ შეტყობინებას, ან შეტყობინებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ტვირთის მისთვის ჩაბარებას ან თუ ტვირთი ნაპოვნი იქნება ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მაშინ გადამზიდველს შეუძლია ტვირთი განკარგოს იმ ადგილას მოქმედი წესების მიხედვით, სადაც ტვირთი იმყოფება (სამოქალაქო კოდექსის 689-ე მუხლი).

ზიანი, რომელიც გადამზიდველმა უნდა აუნაზღაუროს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისათვის, გამოითვლება ტვირთის გადაცემის ადგილსა და დროს მოქმედი ტვირთის ფასის მიხედვით. ტვირთის ღირებულება განისაზღვრება საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას – საბაზრო ფასით. თუკი არც ასეთი ფასი არსებობს, მაშინ – მსგავსი სახეობისა და ღირებულების ტვირთების ანალოგიურად. გადამზიდველმა ასევე უკან უნდა დააბრუნოს გადაზიდვის თანხა, საბაჟო და სხვა მსგავსი ხარჯები ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – მთლიანად, ხოლო ნაწილობრივ დაკარგვისას – ნაწილობრივ.

გადამზიდველის პასუხისმგებლობას, როგორც აღნიშნული იყო, იწვევს ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებაც. იმის მტკიცება, რომ ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებამ ზიანი გამოიწვია, უფლებამოსილ პირს ეკისრება. ამიტომ გადამზიდველს სწორედ მაშინ ეკისრება ზიანის ანაზღაურება, თუ უფლებამოსილი პირი დაამტკიცებს, რომ ზიანი წარმოიშვა მიტანის ვადის გადაც-

ილების გამო. მოცემულ შემთხვევაში ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ტვირთის ღირებულების ოდენობამდე. ტვირთის ღირებულებაზე მეტი ანაზღაურება მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, როცა არსებობდა გამგზავნის განსაკუთრებული ინტერესი ამ გადაზიდვის მიმართ, ან მითითებული იყო ტვირთის ღირებულება (სამოქალაქო კოდექსის 692-ე მუხლი).

ტვირთის დაზიანებისას გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ის საზღაური, რითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება, რომელიც ისეთივე წესით გამოითვლება, როგორც ტვირთის დაკარგვისას. ამასთან, კანონი ადგენს ზიანის ანაზღაურების ზღვრულ ოდენობას იმის მიხედვით დაზიანების შედეგად ტვირთი მთლიანად გაუფასურდა, თუ მხოლოდ ნაწილი. თუ დაზიანების შედეგად მთელი ტვირთი გაუფასურდა, მაშინ ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც უნდა გადახდილიყო ტვირთის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში, ხოლო თუ დაზიანების შედეგად ტვირთის მხოლოდ ერთი ნაწილი გაუფასურდა, მაშინ იმ თანხას, რომელიც უნდა გადახდილიყო გაუფასურებული ნაწილის დაკარგვისას (სამოქალაქო კოდექსის 693-ე მუხლი).

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილების შემთხვევისათვის გამგზავნს შეუძლია ზედნადებში აღნიშნოს თავისი განსაკუთრებული დაინტერესება გადამზიდველისადმი (მაგალითად, მიუთითოს, რომ ტვირთი გამოცალკევებულად იყოს მოთავსებული ანდა იმის შესახებ, რომ ტვირთი მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას და ა. შ.), რისთვისაც იხდის დანამატს ტვირთის გადაზიდვის ღირებულების ზემოთ. ასეთ შემთხვევაში ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილებისათვის გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დამატებითი ზიანის ანაზღაურება დაინტერესებაში გამოხატული ოდენობით (სამოქალაქო კოდექსის 694-ე მუხლი).

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილებისათვის ზიანის ანაზღაურების გარდა უფლებამოსილ პირს

შეუძლია მოითხოვოს ზიანის ოდენობის წლიური ხუთი პროცენტი. პროცენტების ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან ან თუ რეკლამაცია არ იყო წარდგენილი – სარჩელის წარდგენის დღიდან.

შესაძლებელია ხელშეკრულებით ზიანის ანაზღაურება დადგენილ იქნეს იმ ფულად ერთეულში, რომელიც არ მოქმედებს ქვეყანაში და მოთხოვნილია გადახდა. ასეთ შემთხვევაში კურსი განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების გადახდის ადგილზე იმ დღეს მოქმედი კურსის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 695-ე მუხლი).

ტვირთის დაკარგვამ, დაზიანებამ ან ვადის გადაცილებამ შეიძლება არასახელშეკრულებო მოთხოვნები გამოიწვიოს (მაგალითად, პირუტყვმა, რომელიც გადაზიდვის დროს დაიკარგა ვინმეს ზიანი მიაყენა). ასეთ შემთხვევაში გადამზიდველს შეუძლია მიუთითოს იმ წესებზე, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ, ან ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავენ, ანდა ზღუდავენ (სამოქალაქო კოდექსის 696-ე მუხლი). აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ თუ ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილებისას გადამზიდველი კანონით დადგენილი წესით თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაშინ ის შეიძლება განთავისუფლდეს არასახელშეკრულებო მოთხოვნების შესრულებისაგანაც.

გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის (ადამიანის სიკვდილით, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ზიანისათვის), ასევე, მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ წესების მიხედვით, რომლებიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს არეგულირებენ. გადამზიდველი პასუხს არ აგებს, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან ოვით მგზავრის ან მისი ბარგის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლი). მომეტებული პასუხისმგებლობაა დადგენილი საჰაერო გადამზიდ-

ველისათვის, რომელიც პასუხს აგებს მაშინაც, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მიერ.

§4. რეკლამაცია (პრეტენზია) და სარჩელი

საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში, თუ ის ტვირთის მიღებისას გადამზიდველთან ერთად არ შეამოწმებს ტვირთის მდგომარეობას და არ წაუყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ.

კანონი ტვირთის დანაკარგებისა და დაზიანების გამო პრეტენზიის წაყენების ვადებს უკავშირებს იმას, თუ როგორია დანაკარგი – გარეგნულად შესამჩნევი, თუ გარეგნულად შეუმჩნეველი.

გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანების დროს აღნიშნული პრეტენზია წარდგენილ უნდა იქნეს ტვირთის ჩაბარების დღესვე, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების შემთხვევაში ჩაბარებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა. გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების დროს პრეტენზია წარდგენილ უნდა იქნეს წერილობით.

როგორც მითითებული იყო, როცა მიმღები ტვირთს იღებს ისე, რომ გადამზიდველთან ერთად არ ამოწმებს ტვირთის მდგომარეობას, ტვირთი მიღებულად ითვლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დასაშვებია საპირისპიროს დამტკიცება (ე. ი. დამტკიცება იმისა, რომ არსებობდა დანაკარგები ან დაზიანება). განსხვავებულად წყდება საკითხი მაშინ, როცა მიმღები და გადამზიდველი ერთად შეამოწმებენ ტვირთის მდგომარეობას. ტვირთის მდგომარეობის ერთად შემოწმების შემთხვევაში შემდგომში შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცებულება არ დაიშვება. თუ დანაკარგები და დაზიანებები გარეგნულად შესამჩნევი

იყო. საპირისპირო მტკიცება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს და მიმღები ჩაბარებიდან შვიდი დღის განმავლობაში არ წარადგენს წერილობით მოთხოვნებს.

ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მიმღები ტვირთის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში გადამზიდველს წარუდგენს წერილობით მოთხოვნებს.

აღნიშნული ვადების გამოთვლისას ამ ვადებში არ ჩაითვლება: ტვირთის გამოგზავნის, შემოწმების ან მიმღებისათვის მისი ჩაბარების დღეები.

კანონი ავალებს მხარეებს ხელი შეუწყონ ერთმანეთს აუცილებელი შემოწმების ჩატარებასა და საჭირო ფაქტების დადგენაში (სამოქალაქო კოდექსის 698-ე მუხლი).

გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების დაცვის ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი. ეს ვადა სამ წლამდე იზრდება, თუ უფლებები დარღვეული იყო განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება:

ა. ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას — მისი გამოგზავნის დღიდან;

ბ. ტვირთის მთლიანად დაკარგვისას — გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული — გადამზიდველის მიერ მიღებიდან მესამოცე დღეს;

გ. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში — გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი).

გადაზიდვებთან დაკავშირებით კანონი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების თავისებურ წესს. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღიდან, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს. რეკლამაციის ნაწილობრივ აღიარე-

ბის შემთხვევაში, რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის (ე. ი. იმ ნაწილისათვის, რომელიც გადამზიდველმა არ აღიარა) ხანდაზმულობის ვადა კვლავ გრძელდება. სხვა რეკლამაციები, რომლებიც იმავე საგანს ეხებიან, ვერ შეაჩერებენ ხანდაზმულობის ვადის დენას (სამოქალაქო კოდექსის მე-700 მუხლი). სხვა შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და შეწყვეტის მიმართ გამოიყენება ზოგადი ნორმები ხანდაზმულობის შესახებ.

§5. გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ

ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვების დროს ტვირთის გადაზიდვაში მონაწილეობს სხვადასხვა გადამზიდველი. ასეთი გადაზიდვის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მას სხვადასხვა გადამზიდველი აბორციელებს ერთი სატრანსპორტო დოკუმენტებით. მიუხედავად იმისა, რომ გადაზიდვაში სხვადასხვა გადამზიდველი მონაწილეობს, იდება გადაზიდვის ერთი ხელშეკრულება. ხელშეკრულება იდება ტვირთის გაგზავნსა და იმ გადამზიდველს შორის, რომელიც თავდაპირველად მიიღებს ტვირთს გადასაზიდად (გაგზავნის პუნქტის გადამზიდველი), მაგრამ გადაზიდვის ურთიერთობაში მონაწილეობენ სხვა გადამზიდველებიც. მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირთისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე (სამოქალაქო კოდექსის 701-ე მუხლი). თითოეული გადამზიდველი პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის. ყოველი მომდევნო გადამზიდველი წინა გადამზიდველისაგან ტვირთის მიღებისას გადასცემს მას ტვირთის მიღების დამადასტურებელ ვადამოთითებულ და მის მიერ ხელმოწერილ საბუთს. ზედნადების მეორე პირზე მან უნდა მიუთითოს თავისი სახელი და მისამართი. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია ზედნადების მეორე პირში შეიტანოს პირობები, რომლებიც შეეხება ტვირთის გარეგ-

ნულ მდგომარეობას და მის შეფუთვას (სამოქალაქო კოდექსის 702-ე მუხლი).

ერობანეთის მიმდევარი გადაზიდვების დროს, ბუნებრივია, ისმება საკითხი, თუ ვის უნდა წაეყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილებისას. დადგენილია, რომ აღნიშნულ შემთხვევებში მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი (ვინც დაიწყო გადაზიდვა), ბოლო (ვინც დაამთავრა გადაზიდვა) ან იმ გადამზიდველის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა, დაზიანდა ტვირთი ან გადაცილებულ იქნა ტვირთის ჩაბარების ვადა. ამასთან, ერთი და იგივე სარჩელი შეიძლება წარედგინოს რამდენიმე გადამზიდველს (სამოქალაქო კოდექსის 703-ე მუხლი).

თუ ერთ-ერთმა გადამზიდველმა უკვე აანაზღაურა ზიანი, მას სხვა გადამზიდველებისაგან უკუმოთხოვნის უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში:

ა. თუ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამოიწვევამ გადამზიდველმა მარტო უნდა აანაზღაუროს მის მიერ ან რამდენიმე გადამხდელის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი;

ბ. თუ ტვირთის დაკარგვა ან მისი დაზიანება გამოწვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ, თითოეულმა უნდა აანაზღაუროს პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხა; თუკი ამის დადგენა შეუძლებელია, მაშინ თითოეული პასუხს აგებს მიღებული გადაზიდვის საზღაურში მათი წილის შესაბამისად;

გ. როცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ გადამზიდველს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, მაშინ ზემოთ აღნიშნული პროპორციის მიხედვით უნდა გადაიხადოს ყველა გადამზიდველმა (სამოქალაქო კოდექსის 704-ე მუხლი).

გადამზიდველთაგან, თუ რომელიმე გადახდისუუნაროა, მის მიერ გადასახდელი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხა ნაწილდება დანარჩენ გადამზიდველებს შორის მიღებული გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად (სამოქალაქო კოდექსის 705-ე მუხლი).

როგორც აღნიშნული იყო გადამზიდველს, რომელმაც ზიანი აანაზღაურა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება. გადამზიდველს, რომლის მიმართაც განხორციელდა უკუმოთხოვნა, შეუძლია საცილო გახადოს, რომ უსაფუძვლოდ გადაიხადა თანხა. მას არ შეუძლია თანხის გადახდა საცილო გახადოს, თუკი გადაწყვეტილება გადახდის შესახებ მიღებულია სასამართლოს მიერ და თუ ეს გადამზიდველი ამ სასამართლო პროცესის შესახებ სათანადოდ იქნა გაფრთხილებული და შეეძლო კიდეც მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში (სამოქალაქო კოდექსის 706-ე მუხლი).

კანონი არ უშვებს შეთანხმებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის იმ თავის წესებს, რომელიც გადაზიდვის ურთიერთობებს არეგულირებს. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 704-ე და 705-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებების მიმართ, რომლებიც ეხებიან ერთ-ერთი გადამზიდველის, რომელმაც აანაზღაურა ზიანი, სხვა გადამზიდველებისაგან უკუმოთხოვნის შესაძლებლობას და გადახდისუუნარო გადამზიდველის გადასახდელი თანხის დანარჩენ გადამზიდველებზე გადანაწილებას. მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევებში გადამზიდველებს შეუძლიათ შეთანხმდნენ განსხვავებულ საკითხებზე (სამოქალაქო კოდექსის 707-ე მუხლი). ყველა სხვა შეთანხმება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ გადაზიდვა-გადაყვანის წესებს, ბათილია. ასეთი შეთანხმების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა დებულებათა ბათილობას. ბათილად მიიჩნევა ასევე შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი თმობს ტვირთის დაზღვევიდან წარმოშობილ მოთხოვნებს და შეთანხმება, რომლითაც მტკიცების ტვირთი სხვა პირზე იქნება გადატანილი (სამოქალაქო კოდექსის 708-ე მუხლი).

თავი XX

დავალების ხელშეკრულება

დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე (სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი).

დავალების ხელშეკრულებას გამოყენების ფართო სფერო აქვს. პირები ანდობენ ერთმანეთს ხელფასის მიღებას, ნივთების შეძენას, თავიანთი უფლებების დაცვას და სხვა.

დავალების ხელშეკრულების შინაარსის გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ რწმუნებული ასრულებს მოქმედებებს, მაგრამ არა თავისი, არამედ მარწმუნებლის სახელით და მისი მოქმედების შედეგად მესამე პირთან წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილე თვითონ კი არ ხდება, არამედ მარწმუნებელი. რწმუნებულის მოქმედებით უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა, შეიცვლება ან შეწყდება მარწმუნებლისათვის.

დავალების ხელშეკრულება კონსენსუალურია. როგორც წესი ის უსასყიდლოა, თუმცა შეიძლება სასყიდლიანიც იყოს. მარწმუნებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოვალე გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან კანონით. გასამრჯელოს ოდენობა, თუ დავალების ხელშეკრულება სასყიდლიანია, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ ანაზღაურებით არის მოსალოდნელი. თუ მხარეები გასამრჯელოს ოდენობაზე არ შეთანხმებულან, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო (სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლი).

სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება ორმხრივია. ორმხრივია ის მაშინაც, როცა მარწმუნებელმა უნდა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები (მაგალითად, თუ დავალების შესასრულებლად აუცილებელია სხვა ადგილზე წასვლა — მოგზაურობის ხარჯები და სხვა).

დავალების ხელშეკრულების მხარეები არიან მარწმუნებელი და რწმუნებული, რომლებიც შეიძლება იყვნენ ქმედუნარიანი ფიზიკური პირები და იურიდიული პირები. ამ ხელშეკრულებაში მეტად მნიშვნელოვანია მხარეთა ურთიერთნდობის მომენტი. მხარეთა ურთიერთნდობა დავალების ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, მარწმუნებელი ჩვეულებრივ ირჩევს ისეთ რწმუნებულს, რომელსაც ენდობა და რომლის ცოდნასა და გამოცდილებაში დარწმუნებულია. რწმუნებულიც, თავის მხრივ, ირჩევს ისეთ პირს დაეხმაროს, რომელიც, მისი აზრით, შეასრულებს მარწმუნებლის მოვალეობას.

დავალების ხელშეკრულების საგანი შეიძლება გამოიხატოს — დოკუმენტზე ხელმოწერაში, საქონლის ან სამუშაოს მიღებაში, სხვადასხვა გარიგებათა დადებაში და სხვ. ამასთან, ზოგიერთი მოქმედება არ შეიძლება დავალების ხელშეკრულების საგანი იყოს. ეს ისეთი მოქმედებებია, რომლებიც მათი ხასიათის ან კანონის მოთხოვნის გამო პირადად პირმა უნდა შეასრულოს (მაგალითად, მშობლის უფლება, ქორწინება და განქორწინება, ანდერძის შედგენა და სხვა).

დავალების ხელშეკრულების ფორმაზე კანონი არ მიუთითებს, ამიტომ ფორმის საკითხისგან საზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთო წესებით გარიგების ფორმის შესახებ.

დავალების ხელშეკრულებაში ვადა განისაზღვრება იმ მოქმედების თავისებურებებით, რომელიც რწმუნებულმა უნდა შეასრულოს. თუ რწმუნებულისათვის დავალებული მოქმედება ისეთია, რომ ის უნდა შესრულდეს ზუსტად დადგენილ დროს, მაშინ შეთანხმებით დრო შეიძლება ზუსტად იქნეს განსაზღვრული.

უფრო ხშირად მხარეები თანხმდებიან დროის პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მარწმუნებლისათვის სასურველია მოქმედების შესრულება. დროის განსაზღვრის ასეთი თავისებურება გამომდინარეობს დავალების ხელშეკრულების ბუნებიდან. რწმუნებული მარწმუნებელს სასურველი შედეგის მიღწევის სრულ გარანტიას კი არ აძლევს, არამედ პირდება ყველა აუცილებელი ზომების მიღებას მის მისაღწევად. ამიტომ ხელშეკრულების ვადა არ ჩაითვლება იმ ვადად, რომლის გასვლისას რწმუნებული ჩაითვლება მოვალედ, რომელმაც ვადა გადააცილა.

რწმუნებული მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები. რწმუნებულს შეუძლია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ გარემოებიდან გამომდინარე მას შეუძლია იგარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. რწმუნებული მოვალეა მითითებისაგან გადახვევამდე შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მარწმუნებლის გადაწყვეტილებას. ამასთან, რწმუნებულს შეუძლია არ დაელოდოს მარწმუნებლის გადაწყვეტილებას, თუ დაყოვნებით მარწმუნებელს შეექმნება ზიანის მიყენების საფრთხე.

რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის მითითების შესრულებამ ამ უკანასკნელს შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. ასეთი მითითების შესრულება რწმუნებულს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, როცა აცნობებს მარწმუნებელს ზიანის თაობაზე, ხოლო ის არ შეცვლის თავის მითითებას (სამოქალაქო კოდექსის 712-ე მუხლი).

რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს. კანონი უფლებას აძლევს რწმუნებულს გადაანდოს ნაკისრი მოქმედების შესრულება სხვა პირს (მოადგილეს). რწმუნებულს მოქმედების შესრულების გადანდობა სხვა პირისათვის იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ სააბისოდ ნება დართო მარწმუნებელმა ანდა იძულებული იყო ასე მოქცეულიყო შექმნილი გარემოების გამო.

როცა რწმუნებული სათანადო მოთხოვნის დაცვით გადაანდობს მოქმედების შესრულებას სხვა პირს (მოადგილეს), ის

პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მიუძღვის გადანდობისა და ამ პირის შერჩევისათვის. მაგალითად, მოადგილის არასათანადო კვალიფიკაციისათვის და არა მოადგილის მიერ დავალებული მოქმედების შესრულებაზე. თუ რწმუნებული კეთილსინდისიერად მოეკიდა მოადგილის შერჩევას, ამ უკანასკნელის საქმიან თვისებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ იყო, მაგრამ მან არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა მინდობილი საქმე, მარწმუნებლის წინაშე თვითონ უნდა აგოს პასუხი და არა რწმუნებულმა (სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლი).

დავალების შესასრულებლად დაშვებულია დამხმარე პირია ჩართვაც. რწმუნებული ზოგიერთი ფაქტობრივი მოქმედების შესასრულებლად მიმართავს სხვა პირს (საქონელმცოდნეს, მტვირთავს და სხვა). ასეთ შემთხვევაში მარწმუნებლის თანხმობა საჭირო არ არის და მის მოქმედებაზე რწმუნებულია პასუხისმგებელი.

რწმუნებული მოვალეა მისცეს მარწმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით – მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში. რწმუნებულის ეს ვალდებულება განსაკუთრებით მაშინ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას, როცა დავალების შესრულება გარკვეულ დროს და ბევრი რიგი მოქმედების შესრულებას მოითხოვს. მარწმუნებელს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს შესრულების მიმდინარეობას. საჭირო შემთხვევაში შეცვალოს თავისი მითითებები და მიიღოს ზომები თავისი ინტერესების დასაცავად. მარწმუნებლისათვის ანგარიშის ჩაბარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა დავალებული მოქმედების შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ხარჯებს. მხარეებმა შეიძლება შეთანხმებით შეზღუდონ ან გამორიცხონ რწმუნებულის აღნიშნული მოვალეობები. ასეთი შეთანხმება საჭიროებს წერილობით ფორმას (სამოქალაქო კოდექსის 713-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს რწმუნებულის მიერ საიდუმლოების

შენახვის მოვალეობას. მას ევალება არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვით მარწმუნებელი მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა, ან მარწმუნებელი ნებას დართავს რწმუნებულს გაამჟღავნოს იგი (მაგალითად, თუ მარწმუნებელმა დაავალა რწმუნებულს შემნახველი ბანკიდან თანხის მიღება და მას არ სურს, რომ სხვა პირებმა იცოდნენ ამის შესახებ, რწმუნებულმა უნდა შეასრულოს ეს მოთხოვნა, მაგრამ თუ ამის ცოდნა აუცილებელია სასამართლოსათვის, მაშინ რწმუნებულმა უნდა გამჟღავნოს იგი). ფაქტების გაუხმაურებლობის მოვალეობას ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ ის არ წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც (სამოქალაქო კოდექსის 714-ე მუხლი).

რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო დავალებული მოქმედების შესასრულებლად და არ გამოუყენებია ამისათვის (მაგალითად, ავანსი ხარჯებისათვის რაც არ გამოუყენებია), აგრეთვე ისიც, რაც შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. თუ ფული, რომელიც რწმუნებულს უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის, ან გამოეყენებინა მისთვის, რწმუნებულმა თავისთვის გამოიყენა, იგი ვალდებულია დააბრუნოს პროცენტებთან ერთად (სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლი).

კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში მარწმუნებლის ქონებად ჩაითვლება ის ქონება, რომელსაც რწმუნებული დავალებული მოქმედების შესრულებისას შეიძენს თავისი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის ხარჯზე, აგრეთვე ქონება, რომელიც მარწმუნებელმა გადასცა დავალებული მოქმედების შესასრულებლად (სამოქალაქო კოდექსის 716-ე მუხლი).

მარწმუნებელი მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები. რწმუნებულს შეუძლია მოითხოვოს მარწმუნებლისაგან ავანსი

იმ ხარჯებისათვის, რომელიც მას უნდა აუნაზღაურდეს. თუ წინასწარ მიცემული ავანსით არ დაიფარება ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, მაშინ მარწმუნებელმა უნდა გადაუხადოს რწმუნებულს დამატებით ის თანხა, რაც ავანსით არ დაიფარა. ხარჯების ანაზღაურების საკითხი არ დადგება, თუ შეთანხმებით ხარჯები გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს (სამოქალაქო კოდექსის 717-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს მარწმუნებლის მიერ მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, რომელიც მიადგა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად, რაც მარწმუნებლის მითითებებმა გამოიწვიეს. აქ ისეთი შემთხვევები იგულისხმება, როცა მარწმუნებელი ისეთი მოქმედების შესრულებას ავალებს რწმუნებულს, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს შეიცავს (მაგალითად, ცეცხლმოდებული სახლიდან ბავშვის გამოყვანას). მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ ზიანი გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს, ან თუ ზიანი გამოწვეულია რწმუნებულის მოქმედებით. თუ სადავო გახდება ზიანის გასამრჯელოთი დაფარვა, ე. ი. თუ სადავო გახდება შეთანხმების არსებობა ზიანის გასამრჯელოთი დაფარვის შესახებ, მაშინ მტკიცების მოვალეობა ეკისრება რწმუნებულს (სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლი).

მარწმუნებლისათვის ზიანის მიყენებისათვის რწმუნებული პასუხს აგებს დადგენილი საერთო წესით, ხოლო თუ ის უსასყიდლოდ ასრულებს დავალებულ მოქმედებას, მაშინ მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 719-ე მუხლი).

ზემოთ მითითებული იყო, რომ დავალების ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა ურთიერთნდობას. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს იმას, რომ ვალდებულების შეწყვეტის საერთო საფუძვლების გარდა კანონი ითვალისწინებს დავალების

ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესაძლებლობას. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის თქმის შესახებ ბათილია. მარწმუნებელსა და რწმუნებულს ცალმხრივად შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება არასაპატიო მიზეზითაც კი. რწმუნებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს დავალების ხელშეკრულებაზე მაშინაც კი, როდესაც მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვაგვარად უზრუნველეყო თავისი ინტერესები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რწმუნებულმა უნდა აუნაზღაუროს მარწმუნებელს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება, თუ რწმუნებულს ხელშეკრულების შესაწყვეტად მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.

მარწმუნებელს, მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას, ეკისრება რწმუნებულისათვის ყველა იმ აუცილებელი ხარჯის ანაზღაურება, რაც დავალებული მოქმედების შესრულების დროს გასწია, .ხოლო თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, გასამრჯელოს გადახდა შესრულებული სამუშაოს კვალობაზე (სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლი).

აღნიშნულის გარდა, კანონი ითვალისწინებს დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს. ასეთებია – ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება, ან ქმედუუნაროდ აღიარება. ამასთან, ერთგვარად განსხვავებულ შედეგებთან გვაქვს საქმე იმის მიხედვით, რწმუნებული გარდაიცვალა ან ქმედუუნაროდ იქნა აღიარებული, თუ მარწმუნებელი.

მარწმუნებლის გარდაცვალება ან ქმედუნარობის დადგომა არ წყვეტს ხელშეკრულებას, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან არ გამომდინარეობს დავალების შინაარსიდან. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის გამო, რწმუნებული ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაყოვნება ზიანის წარმოშობის საფრთხეს შექმნის, ვიდრე მემკვი-

დრეები ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს. ამასთან, ხელშეკრულებითი ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად.

მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის დადგომის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას რწმუნებულისათვის ხელშეკრულება გრძელდება მანამდე, ვიდრე მას არ აცნობებენ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლი).

რწმუნებულის გარდაცვალება დავალების ხელშეკრულების შეწყვეტას გამოიწვევს იმ შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან მინდობილობის შინაარსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

რწმუნებულის მემკვიდრეები ვალდებული არიან შეატყობინონ მარწმუნებელს რწმუნებულის გარდაცვალების შესახებ და მიიღონ აუცილებელი ზომები მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად (სამოქალაქო კოდექსის 722-ე მუხლი).

თავი XXI

ექსპედიციის ხელშეკრულება

ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს საკუთარი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებები. შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია.

ექსპედიციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების წესები, თუ ექსპედიციის მარეგულირებელი ნორმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლი).

ექსპედიციის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება. ის ორმხრივი,

კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.

პროვიზია მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ შემკვეთი მოითხოვს ექსპედიტორისაგან ტვირთის მიღებისას ტვირთის ცალობრივ შემოწმებას, ამისათვის უნდა გადაიხადოს განსაკუთრებული გასამრჯელო. პროვიზია გადახდილ უნდა იქნეს მას შემდეგ, როდესაც ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს გადამზიდველს (სამოქალაქო კოდექსის 743-ე მუხლი).

ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი. ამ მიზნით იგი გადაზიდვის ურთიერთობას ამყარებს გადამზიდველებთან, თავისი სახელით დებს მათთან გადაზიდვის ხელშეკრულებებს. მას ევალება განსაკუთრებით შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები, დაიცვას გამგზავნის (შემკვეთის) ინტერესები და შეასრულს მისი მითითებები (სამოქალაქო კოდექსის 731-ე მუხლი).

ექსპედიტორს უფლება აქვს სხვა გადამზიდველების გარეშე თავისი ძალებით (თავისი ტრანსპორტით) გადაზიდოს ტვირთი, თუ არ არის სხვა შეთანხმება. ექსპედიტორის მიერ ტვირთის თავისი ძალებით გადაზიდვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებს. როცა ექსპედიტორი თავისი ძალებით ახორციელებს შემკვეთის ტვირთის გადაზიდვას, მაშინ მას იმავდროულად აქვს ტვირთის გადამზიდველის უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო კოდექსის 739-ე მუხლი).

ექსპედიტორის ერთ-ერთი მოვალეობაა ტვირთის დაზღვევა. ექსპედიტორი ვალდებულია დააზღვიოს ტვირთი შემკვეთის განსაკუთრებული მითითებების შესაბამისად. თუ შემკვეთს ექსპედიტორისათვის განსაკუთრებული მითითებები არ მიუცია, მაშინ ის ვალდებულია დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით (სამოქალაქო კოდექსის 734-ე მუხლი). ექსპედიტორი მოვალეა ასევე შემკვეთის ხარჯზე დააზღვიოს ის ზიანი, რომელიც შეკვეთის შესრულებისას ექსპედიტორის მოქმედებით შეიძლება მიადგეს შემკვეთს. ექსპედიტორმა უნდა აცნობოს შემკვეთს, თუ ვისთან დადო დაზღვევის ხელშეკრულე-

ბა (მზღვეველზე, რომელიც მან შეარჩია). აღნიშნული მოვალეობა ექსპედიტორს ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი წერილობით არ გამოთქვამს აშკარად უარს ექსპედიტორის მიერ ზიანის დაზღვევაზე (სამოქალაქო კოდექსის 734-ე და 735-ე მუხლები).

შემკვეთი მოვალეა ექსპედიტორს, ამ უკანასკნელის მოთხოვნით, დროულად მიაწოდოს შესაბამისი ცნობები ტვირთის შესახებ, მისცეს მითითებები, რომელიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად. მასვე ევალება ექსპედიტორისათვის აუცილებელი ცნობების საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად და აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად აუცილებელი დოკუმენტების გაცემა.

შემკვეთი მოვალეა გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის შემცველი ტვირთიდან გამომდინარე საფრთხის ზუსტ სახეობაზე და თუ აუცილებელია მიუთითოს, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული საფრთხის ასაცილებლად. ტვირთი ნებისმიერ დროს და ყველგან შეიძლება გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს, თუ ექსპედიტორმა ტვირთის საფრთხის შემცველობის შესახებ არ იცოდა. ამასთან, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება; შემკვეთი მოვალეა ასევე შეაფუთვინოს ტვირთი, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა.

ზოგჯერ ტვირთის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია ტვირთზე განმასხვავებელი ნიშნების დასმა, რაც შემკვეთის მოვალეობაა. განმასხვავებელი ნიშნები ისეთი სახით უნდა იქნეს დასმული, რომ ტვირთის მიზანამდე გასარკვევი ჩანდეს.

ზიანი, რომელიც ექსპედიტორს მიადგება შემკვეთის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო, შემკვეთმა უნდა აანაზღაუროს. შემკვეთი პასუხს არ აგებს იმ შემთხვევებში, თუ ექსპედიტორმა არ გააკეთა შენიშვნა შეფუთვის ან განმასხვავებელი ნიშნის არარსებობის ან ნაკლის თაობაზე. თუმცა ეს ცხადია იყო, ან მას ჰქონდა ცნობები ამის შესახებ ტვირთის მიწოდებისას (სამოქალაქო კოდექსის 732-ე მუხლი).

თუ მიმღები დანიშნულების ადგილზე ტვირთს არ ჩაიბარებს ან შეუძლებელია ტვირთის მიღება სხვა საფუძვლით, მაშინ ექსპედიტორის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება გადაზიდვის ხელშეკრულების წესებით (სამოქალაქო კოდექსის 737-ე მუხლი).

ზოგჯერ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ტვირთის შემოწმება მისი მიღებისას მხარეთა თანდასწრებით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ტვირთის მიღება ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ტვირთი მიღებულ იქნა დანაკლისისა და დაზიანების გარეშე. ასე ითვლება საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე. ტვირთი დანაკლისისა და დაზიანების გარეშე მიღებულად არ ჩაითვლება, თუ მიმღები ტვირთის ჩამბარებელ პირს მიუთითებს ზიანის ზოგად ხასიათზე. კანონი განსაზღვრავს დროს, რომლის განმავლობაშიც მიმღებმა უნდა მიუთითოს დანაკლისის ან დაზიანების შესახებ. თუ საქმე ეხება აშკარა დანაკლის ან დაზიანებას, უნდა მიეთითოს ტვირთის მიღებისთანავე, ან თუ საქმე არ ეხება ასეთ დანაკლისს ან დაზიანებას – ტვირთის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა (სამოქალაქო კოდექსის 738-ე მუხლი).

კანონი ადგენს ექსპედიტორის პასუხისმგებლობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას რაიმე ბრალი მიუძღვის. ექსპედიტორი პასუხს აგებს დამხმარის ბრალისათვისაც (სამოქალაქო კოდექსის 740-ე მუხლი). დამხმარედ ითვლება პირი, რომელსაც ექსპედიტორი მიმართავს ზოგიერთი მოქმედების შესასრულებლად, მაგალითად, მტვირთავი და სხვა.

ზიანი შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების მონაწილე მესამე პირის (მაგალითად, გადამზიდველის) მოქმედებამ. ასეთ შემთხვევაში ექსპედიტორი მოვალეა, თუკი ამას შემკვეთი მოითხოვს, გადასცეს მას თავისი მოთხოვნა (მოთხოვნის უფლება, რაც მას მესამე პირის მიმართ აქვს, ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება). იმ შემთხვევების გარდა, როცა ექსპედიტორი სპეციალური შეთანხმების საფუძველზე

თვითონ კისრულობს მოთხოვნის გამოყენებას შემკვეთის ხარჯითა და რისკით (სამოქალაქო კოდექსის 741-ე მუხლი).

როგორც აღნიშნული იყო ექსპედიტორი პასუხს აგებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის ყოველგვარი ბრალის არსებობისას. შემკვეთისათვის ზიანის მიყენებისას მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, ასევე მტკიცების ტვირთის სხვაზე გადატანა არ დაიშვება, თუ მან ზიანი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენა (სამოქალაქო კოდექსის 742-ე მუხლი).

თავი XXII

საშუამავლო ხელშეკრულება

§1. ზოგადი დებულებანი

. საშუამავლო ხელშეკრულებით ერთი მხარე (მაკლერი) კისრულობს ხელშეკრულების დასადებად შუამავლობას მეორე მხარესა (შემკვეთსა) და მესამე პირს შორის.

საშუამავლო ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მაკლერი და შემკვეთი, რომლებიც შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

საშუამავლო ხელშეკრულება ორმხრივი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. მის სასყიდლიანობას კანონი უკავშირებს შუამავლობის შედეგად ხელშეკრულების დადებას. პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ამ შუამავლობის შედეგად ხელშეკრულება დაიდო. მაშასადამე, გასამრჯელოს გადახდა შემკვეთს მაშინ ევალება, თუ შუამავლობის შედეგად შემკვეთსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულება დაიდო. თუ ხელშეკრულება გადადებითი პირობით იდება, მაშინ გასამრჯელო შეიძლება მოთხოვ-

ნილ იქნეს ამ პირობის დადგომის შემდეგ. გასამრჯელოს გადახდის შესახებ შემკვეთის საზიანოდ აღნიშნული წესიდან განსხვავებული შეთანხმება ბათილია. მაგალითად, ბათილი იქნება მხარეთა შორის ისეთი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მაკლერის მიერ გასამრჯელოს მიიღებს მაშინაც, როცა მესამე პირთან ხელშეკრულება არ დაიდო.

გასამრჯელოს ოდენობა ხელშეკრულებით განისაზღვრება. მაგრამ თუ განსაზღვრული არ არის მაშინ შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო (სამოქალაქო კოდექსის 744-ე მუხლი).

მაკლერისათვის გასამრჯელოს გადახდა, როგორც აღნიშნული იყო, დაკავშირებულია შემკვეთსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულების დადებასთან, მაგრამ თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გასამრჯელო მაკლერის იმ მომსახურეობისათვის, რომელიც არ შედის საშუამავლო საქმიანობაში, გასამრჯელო შეიძლება შეთანხმებულ იქნეს იმისგან დამოუკიდებლად, დაიდება თუ არა ხელშეკრულება (მაგალითად, თუ შემკვეთი ავალებს მაკლერს ტელევიზიით იმის გამოცხადებას, რომ ქირავდება ბინა, ასეთი მოქმედება არ შედის შემკვეთსა და მაკლერს შორის დადებული პინის ქირავნობის საშუამავლო ხელშეკრულებაში).

მაკლერს არ შეუძლია დათქვას ავანსი, ან მიიღოს იგი.

რაც შეეხება მაკლერისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ანაზღაურების საკითხი დადგება მხოლოდ მაშინ, ღუ შეთანხმებული იყო. ასეთი ხარჯები უნდა ანაზღაურდეს მაშინაც, როცა ხელშეკრულება ვერ დაიდო. შეთანხმება იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც არ არის საჭირო საშუამავლო ხელშეკრულების შესრულებისათვის, ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 745-ე მუხლი).

მაკლერისათვის ვასამრჯელოს მიცემა ან ხარჯების ანაზღაურება დაუშვებელია, თუ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულება ეხება მაკლერის კუთვნილ საგანს (მაგალითად, ბინა, რომელსაც

მესამე პირი აქირავებს მაკლერის საკუთრებაა). დაუშვებელია ასევე მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა და ხარჯების ანაზღაურება, როცა განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რაც ხელს შეუშლის მაკლერს შემკვეთის ინტერესების განხორციელებაში. ეს შემთხვევებია, როცა:

ა. მაკლერია ის იურიდიული პირი ან საზოგადოება, რომელშიც სამართლებრივად და ეკონომიურად მონაწილეობს მესამე პირი;

ბ. მესამე პირი ის იურიდიული პირი ან საზოგადოებაა, რომელშიც მაკლერი სამართლებრივად ან ეკონომიკურად მონაწილეობს;

გ. მაკლერი მესამე პირთან სამსახურებრივ ან შრომით ურთიერთობაშია.

დ. მაკლერი მესამე პირის მეუღლეა.

მაკლერს აღნიშნულ შემთხვევებში გასამრჯელოს მიღებისა და ხარჯების ანაზღაურების უფლება აქვს, თუ იგი მესამე პირებთან ხელშეკრულების დადებამდე შეატყობინებს შემკვეთს ჩამოთვლილი გარემოებების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული გასამრჯელოს მიღებისა და ხარჯების ანაზღაურების წესების საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

მაკლერი საერთოდ კარგავს გასამრჯელოს ან ხარჯების ანაზღაურების უფლებას, თუ იგი ხელშეკრულების შინაარსის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა მესამე პირის ინტერესებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 748-ე მუხლი).

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემკვეთის მოვალეობა განსაზღვრული დროის განმავლობაში სხვა მაკლერის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ (ექსკლუზიური დავალება). ექსკლუზიური დავალების შესახებ შეთანხმება მოითხოვს წერილობით ფორმას. როცა ხელშეკრულებით შემკვეთის ასეთი მოვალეობაა გათვალისწინებული, მაშინ მაკლერი ვალდებულია ამ დროის განმავლობაში ხელი შეუწყოს ხელშეკრულების დადებას. თუ შემკვეთი სხვა მაკლერის გამოყენებაზე უარის თქმის მოვალეობას არ შეასრულებს და ხელშეკრულებას სხვა მაკლ-

ერის გამოყენებით დადებს. მაშინ მაკლერს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ზიანის ანაზღაურების ერთიანი თანხა ზიანის არსებობის დამტკიცების მიხედვით. თუ ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შუამავლობაზე, მაშინ ზიანის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ფასის ორ არიცენტს.

შემკვეთს შეუძლია მესამე პირთან ხელშეკრულება დადოს მაკლერის გამოუყენებლადაც, როცა შემკვეთი მაკლერის გამოუყენებლად დებს ხელშეკრულებას მესამე პირთან, მაშინ მაკლერს უნდა გადაუხადოს გასამრჯელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეთანხმებით არის გათვალისწინებული, თუ საჩუქრებლო ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შუამავლობაზე, მაშინ გასამრჯელო არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულების ფასის ორ პროცენტს. კანონი არ უშვებს ამ წესიდან განსხვავებულ შეთანხმებას შემკვეთის საზიანოდ (სამოქალაქო კოდექსის 746-ე მუხლი).

საშუამავლო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ვადით ან ვადის განუსაზღვრელად. თუ საშუამავლო ხელშეკრულებით მისი ვადა განსაზღვრული არ არის, ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს რაიმე ვადის დაუცველად. როცა დავალება ექსკლუზიურია, მაშინ ხელშეკრულების მოსაშლელად მნიშვნელოვანი საფუძველია საჭირო, მაგრამ ექვსი თვის გასვლის შემდეგ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს. ექვსი თვის გასვლის შემდეგაც ხელშეკრულების მოშლა შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული, თუ ამას მოითხოვს შუამავლობით დასადები ხელშეკრულების სახისა და საგნის თავისებურებანი (სამოქალაქო კოდექსის 747-ე მუხლი).

კანონი ცალკე გამოყოფს შუამავლობის ორ სახეს – შუამავლობას ბინის ქირავნობისას და შუამავლობას სესხებისას.

§2. შუამავლობა ბინის ქირავნობისას

დადგენილია, რომ ხელშეკრულებისათვის, რომლითაც პირი კისრულობს შუამავლობას ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დასადებად (საბინაო მაკლერი), გამოიყენება შუამავლობის ზოგადი წესები, თუკი ბინის ქირავნობის შუამავლობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ბინის ქირავნობის შუამავლობის შესახებ წესები არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელთა საგანია ტურიზმისა და საქმიანი მოგზაურობის საბინაო შუამავლობა (სამოქალაქო კოდექსის 748-ე მუხლი).

კანონი სპეციალურად ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როცა დაუშვებელია საბინაო მაკლერის მიერ გასამრჯელოს მიღების ან დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა. გასამრჯელოს მიღება ან დანახარჯების ანაზღაურება დაუშვებელია, როცა:

ა. ქირავნობის ხელშეკრულებით იმავე ბინაზე გრძელდება არსებული ქირავნობის ურთიერთობა ან იგი სხვაგვარად იქნება შეცვლილი (მაგალითად, თუ შუამავლის მეშვეობით დაიდო ბინის ქირავნობის ხელშეკრულება ხუთი წლით, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეუკრულება გაგრძელდა კიდევ ხუთი წლით, ამ უკანასკნელისათვის მაკლერი ანაზღაურებას ვერ მიიღებს);

ბ. იდება ქირავნობის ხელშეკრულება ისეთ საბინაო ფართზე, რომლის მართვასაც ახორციელებს საბინაო მაკლერი.

ასეთ შემთხვევებში შემკვეთის საზიანოდ დადებული შეთანხმება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 750-ე მუხლი).

§3. შუამავლობა სესხებისას

სესხის ხელშეკრულების დასადებად შუამავლობისას ერთი პირი (სასესხო მაკლერი) კისრულობს სხვა პირისათვის (შემკვეთისათვის) სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობას. სესხის ხელშეკრულების დასადებად შუამავლობისას გამოიყენება შუა-

მავლობის ზოგადი წესები, თუ სესხებისას შუამავლობის მარეგულირებელი ნორმებიდან სპეციფიკური წესები არ გამომდინარეობს (სამოქალაქო კოდექსის 751-ე მუხლი). სესხის ხელშეკრულების დადებისას საშუამავლო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს სასესხო მაკლერის გასამრჯელოს ოდენობა სესხიდან განსაზღვრული პროცენტის მითითებით. გასამრჯელოზე მითითების გარდა ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს: სესხის ოდენობა, ვადა, პროცენტი და გადახდის დრო, გადახდის კურსი, პროცენტის ვადის ხანგრძლივობა და დამატებითი ხარჯები, შემკვეთის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხა, სესხის მიმცემის სახელი, გვარი და მისამართი. აღნიშნული წესი არ გამოიყენება, როცა შეკვეთა ეხება მიწის ნაკვეთის გირავნობით უზრუნველყოფილ, ან მიწის ნაკვეთის შესაძენად გაცემულ სესხს, ასევე სესხს, რომელიც შემკვეთმა უნდა გამოიყენოს თავის დამოუკიდებელი პროფესიული ან სამეწარმეო, ანდა საუწყებო, ან სამსახურებრივი საქმიანობისათვის.

ხელშეკრულების ტექსტი არ უნდა იყოს დაკავშირებული სესხის გაცემის შესახებ შუამდგომლობასთან. აქ ის გარემოება იგულისხმება, რომ ხელშეკრულება არ უნდა შეიცავდეს მითითებას იმაზე, რომ მაკლერი შუამდგომლობს შემკვეთს გამსესხებლის წინაშე და საერთოდ, შუამავლობა არ უნდა ითვალისწინებდეს ასეთ შუამდგომლობას (სამოქალაქო კოდექსის 752-ე მუხლი).

შემკვეთს მაკლერისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება მხოლოდ მაშინ ეკისრება, თუ მან შუამავლობის შედეგად მიიღო სესხი. აღნიშნულის გარდა, სასესხო მაკლერს სხვა გასამრჯელოს მიღება არ შეუძლია.

შემკვეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებული ხელშეკრულება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 753-ე მუხლი).

თავი XXIII

ჯილდოს საჯაროდ დაპირება. ტერმინები

ჯილდოს საჯაროდ დაპირება ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც იწვევს ვალდებულების წარმოშობას. მაგალითად, გაზეთის მეშვეობით იმ პირისათვის ჯილდოს დაპირება, რომელიც იპოვის და გადასცემს მოქალაქეს დაკარგულ შინაურ ცხოველს, წარმოშობს ჯილდოს დამპირებლის მიერ იმ პირისათვის, რომელმაც იპოვა და გადასცა მას ეს ცხოველი, დაპირებული ჯილდოს მიცემის ვალდებულებას.

ამ ვალდებულების თავისებურება მხოლოდ ის კი არ არის, რომ ცალმხრივი გარიგებიდან წარმოიშობა, არამედ ასევე ისიც, რომ ვალდებულების სრული რეალიზაციისათვის აუცილებელია სხვა იურიდიული ფაქტებიც (იურიდიული შემადგენლობა) მაგალითად, დაპირებული ჯილდო საგნის პოვნისათვის პირს მიეცემა მხოლოდ საგნის პოვნისა და ბუღალტერისათვის გადაცემის შემთხვევაში.

ჯილდოს საჯაროდ შეპირება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს. ზოგიერთი თავისებურების გამო კანონი გამოყოფს მის ორ სახესხვაობას: საკუთრივ ჯილდოს საჯაროდ დაპირებასა და კონკურსს.

ჯილდოს საჯაროდ დაპირება. ის, ვინც საჯარო დაპირებით აწესებს ჯილდოს მოქმედების შესრულებისათვის, კერძოდ, ამა თუ იმ შედეგის მიღწევისათვის, ვალდებულია გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოქმედება შეასრულა. პირს ჯილდოს მიღების უფლება აქვს მაშინაც, როცა იგი არ მოქმედებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების გამო. მაგალითად, პირმა შეიძლება არც კი იცოდა, რომ სამუშაოსათვის, რომელიც მან შეასრულა, ჯილდო იყო დაპირებული (სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლი).

ჯილდო შეიძლება დაპირებული იქნეს პრესის, ტელევიზიის,

რადიოს, განცხადებისა და სხვა საშუალებებით. ჯილდო დაპირებულ უნდა იქნეს საჯაროდ პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და არ შეიძლება, მიმართული იყოს კონკრეტულად განსაზღვრული პირის მიმართ. თუ ჯილდოს დაპირება მიმართულია კონკრეტული პირისადმი, მაშინ ეს იქნება წინადადების მიცემა (ოფერტი) ხელშეკრულების დასადებად და მოწესრიგდება ხელშეკრულების დადების საერთო წესებით.

დაპირებულ ჯილდოს უნდა ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ ის მხოლოდ ფულში გამოიხატოს (შესაძლებელია დაპირებული ჯილდო იყოს ნივთი და სხვა).

ჯილდოს საჯაროდ დაპირება შეიძლება გაუქმდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გამოცხადებული მოქმედების შესრულებამდე. ჯილდოს საჯარო დაპირების გაუქმება ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობილი გახდება იმავე საშუალებებით, რითაც ჯილდოს საჯაროდ დაპირება ან სპეციალური შეტყობინებების საშუალებით. ამასთან, ჯილდოს საჯაროდ .შეპირება შეიძლება შეიცავდეს მითითებას მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ. საეჭვობისას ივარაუდება, რომ დაპირება გაუქმებულია თუ მოქმედება არ განხორციელებულა დათქმულ ვადამდე (სამოქალაქო კოდექსის 756-ე მუხლი).

შესაძლებელია, რომ მოქმედება, რომლისთვისაც დაწესებულია ჯილდო, შეასრულოს რამოდენიმე პირმა. ასეთ შემთხვევაში დაჯილდოვდება ის, ვინც პირველმა შეასრულა ეს მოქმედება. ხოლო თუ ეს მოქმედება რამდენიმე პირმა ერთდროულად შეასრულა, მაშინ ჯილდო თითოეულ შემსრულებელზე თანასწორად კანაწილდება. თუ ჯილდო თავისი თვისებების გამო არ შეიძლება გაიყოს (მაგალითად, ჯილდოდ შეპირებული იყო ნივთი, რომელიც არ იყოფა) ან საჯაროდ დაპირების შინაარსის მიხედვით მხოლოდ ერთმა უნდა მიიღოს, მაშინ ჯილდოს გადაცემის საკითხი გადაწყდება წილისყრით (სამოქალაქო კოდექსის 757-ე მუხლი).

კონკურსი. კონკურსი სამოქალაქო სამართალში ეწოდება განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის გასამრჯელოს (პრიზის) საჯაროდ შეპირებას, რომელიც ავალებს კონკურსის გამომცხადებელს (კონკურსის მომწყობს) გადაუხადოს შეპირებული გასამრჯელო პირს, რომლის ნამუშევარიც კონკურსის პირობების შესაბამისად აღიარებულ იქნება გასამრჯელოს მიცემის ღირსად. კანონით დადგენილია, რომ ის, ვინც საჯარო განცხადებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის აწესებს პრიზს, ვალდებულია გადაუხადოს იგი სამუშაოს შესრულებისათვის. კონკურსი წარმოადგენს შემოქმედებითი ხასიათის მქონე მაღალი შედეგების მიღწევის ეფექტურ საშუალებას (მაგალითად, კონკურსი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოების შესაქმნელად).

კონკურსის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილეები არიან კონკურსის მომწყობი (კონკურსის გამომცხადებელი) და მაძიებელი (ნამუშევრის წარმდგენი). კონკურსის მომწყობი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი, მაძიებელი კი ფიზიკური პირები, შემოქმედებითი კოლექტივები, გუნდები და ა. შ.

კონკურსი მონაწილეებისაგან მოითხოვს მისი პირობების შესრულებას. თუ კონკურსის განცხადება სავალდებულო პირობებს არ შეიცავს, ის გამოუცხადებლად მიიჩნევა. კონკურსის განცხადება უნდა შეიცავდეს: კონკურსის დაკონკრეტებულ საგანს, სამუშაოს შეფასების წესსა და ხასიათს და სხვა. კონკურსის განცხადება აუცილებლად უნდა მიუთითებდეს სამუშაოს შესრულების ვადაზე. კონკურსის გამოცხადებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ იგი ითვალისწინებს განსაზღვრულ ვადას სამუშაოს შესრულებისათვის.

საკონკურსო პირობებში კონკურსის გამოცხადების შემდეგ შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, მაგრამ მხოლოდ ისეთი ცვლილებებისა, რომლებიც ზიანს არ მოუტანს კონკურსის მონაწილეებს (სამოქალაქო კოდექსის 759-ე მუხლი). ცვლილებები

შეიძლება შეტანილ იქნეს იმავე წესით, როგორითაც გამოცხადებული იყო კონკურსი. კანონი კონკურსის მხოლოდ პირობების შეცვლის შესაძლებლობას უშვებს, მაგრამ მისი გაუქმება არ დაიშვება. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკურსის გამომცხადებელი პასუხს აგებს იმ პირის მიმართ, რომელმაც სათანადო დროში წარადგინა კონკურსის პირობების შესაბამისი ნამუშევარი.

დათქმულ ვადაში წარდგენილი სამუშაო პასუხობს თუ არა კონკურსის პირობებს, ან რამდენიმედან რომელია უკეთესი, წყვეტს საკონკურსო განცხადებაში მითითებული პირი (ჩვეულებრივ ქმნიან ჟიურის), ხოლო თუ ასეთი რამ არ არის აღნიშნული, კონკურსის გამომცხადებელი (სამოქალაქო კოდექსის 760-ე მუხლი). კონკურსის გამომცხადებლის გადაწყვეტილება სამუშაოს შეფასების შესახებ სასამართლო შეფასებას არ ექვემდებარება, მაგრამ თუ გადაწყვეტილება მიღებულია კანონის ან კონკურსის ვანცხადებაში მითითებული პირობების დარღვევით, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს სასამართლოს მიერ.

კონკურსის გამომცხადებელი გადაწყვეტილებას პრიზის მიკუთვნების შესახებ ატყობინებს მაძიებელს. ის მოვალეა მისცეს პრიზი პირს, რომლის ნამუშევარი ღირსეულად ჩაითვლება კონკურსის პირობების შესაბამისად, ან რამდენიმედან, რომელიც უკეთესია. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისას ან არაჯეროვანი შესრულებისას კონკურსის გამომცხადებელს დაეკისრება ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სამუშაოს, რომელზედაც დაწესებულია პრიზი, რამდენიმე პირის მიერ შესრულებისას გამოიყენება ჯილდო საჯაროდ დაპირებისათვის გათვალისწინებული წესები (სამოქალაქო კოდექსის 761-ე მუხლი).

კონკურსის გამომცხადებელი ვალდებულია დაუბრუნოს კონკურსის მონაწილეებს კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრები, თუ საკონკურსო განცხადებით სხვა რამ არ არის დადგენილი (სამოქალაქო კოდექსის 762-ე მუხლი).

თავი XXIV

მიბარების ხელშეკრულება

მიბარების ხელშეკრულებით შემკვეთი კისრულობს მეიჯარის მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლი).

მიბარების ხელშეკრულება, როგორც წესი, რეალური ხელშეკრულებაა. მის დასადებად მხარეთა შეთანხმება საკმარისი არ არის, აუცილებელია ასევე ნივთის გადაცემა. მიბარება კონსენსუალურიც შეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მხარეთა შეთანხმებით შემნახველი კისრულობს მიიღოს ნივთი, რომელსაც მას მეორე მხარე გადასცემს.

საერთოდ მიბარების ხელშეკრულება უსასყიდლოა. მაგრამ მხარეთა შეთანხმებით ის შეიძლება სასყიდლიანიც იყოს. დადგენილია, რომ მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც ჩაითვლება შეთანხმებულად.

შენახვის საზღაურის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ მხარეთა მიერ საზღაური განსაზღვრული არ არის, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად ითვლება სატარიფო განაკვეთები, ხოლო ტარიფების არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური (სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლი).

უფლებებისა და მოვალეობების განაწილების მიხედვით მიბარების ხელშეკრულება შეიძლება იყოს ცალმხრივიცა და ორმხრივიც. ცალმხრივია რეალური და უსასყიდლო მიბარება, რადგან შემნახველს აქვს მხოლოდ შენახვის მოვალეობა და არ აქვს არავითარ უფლებებს კონტრაჰენტის მიმართ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ შესრულების პროცესში ასეთი ხელშეკრულება შეიძლება იქცეს ორმხრივად. მაგალითად, თუ ნივთის შენახვა მოითხოვს განსაზღვრულ ხანხებს, რომლებიც

მიმბარებელმა უნდა აანაზღაურის.

რეალური სასყიდლიანი მიბარების ხელშეკრულება ყოველთვის ორმხრივია. ორმხრივია ასევე მიბარების კონსენსუალური ხელშეკრულებაც, რამდენადაც მიმბარებელი მოვალეა ჩააბაროს ნივთი შესახახად, ხოლო შემნახველი მოვალეა მიიღოს იგი და შეინახოს.

მიბარების ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ შემნახველი და მიმბარებელი, რომლებიც შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. მიმბარებელი ჩვეულებრივ ქონების მესაკუთრეა, მაგრამ გამორიცხული არ არის იყოს სხვა პირიც, რომელიც ფლობს ნივთს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე.

მიბარების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურება, რაც გამოიხატება შემნახველის საქმიანობაში ქონების შენახვისას. მიბარების ხელშეკრულება ხელშეკრულებათა ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლითაც ერთ-ერთ კონტრაჰენტს ისეთი საქმიანობის შესრულება ევალება, რაც დაკავშირებულია არა განსაზღვრული მატერიალური რეზულტატის, არამედ სხვა ობიექტის მიღწევასთან. შესანახად შეიძლება ჩაბარდეს მოძრავი ნივთები, ამასთან, როგორც წესი, ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრული ნივთები, რამდენადაც შენახვის ბუნებიდან გამომდინარე მიმბარებელს უნდა დაუბრუნდეს იგივე ნივთი. შესაძლებელია გვაროვნული ნივთის შენახვაც. მაგალითად, ტომრით კარტოფილის შენახვა შემნახველ საკანში.

შეთანხმებით გვაროვნული ნივთები შეიძლება გადავიდეს შემნახველის საკუთრებაში. დადგენილია, რომ თუ მიბარებულია გვაროვნული ნივთები, ისე რომ საკუთრება შემნახველზე უნდა გადავიდეს, ხოლო შემნახველი ვალდებულია დააბრუნოს იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, მაშინ გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები (საქართველოს კოდექსის 777-ე მუხლი).

მიბარების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრუ

ლი ვადიათ ან ვადის განუსაზღვრელად. მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიბარებული ნივთების დაბრუნება. ასეთი მოთხოვნის უფლება მას მაშინაც აქვს, როცა შენახვისათვის ვადა იყო განსაზღვრული (სამოქალაქო კოდექსის 770-ე მუხლი). თუ მიმბარებელი დაკარგავს ნივთის შემდგომი შენახვის ინტერესს, შემნახველს უფლება არა აქვს უარი უთხრას მას ნივთის დაბრუნებაზე. ამავე დროს, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას წარმოიშობა იმ დანახარჯების ანაზღაურების საკითხი, რომელიც შემნახველმა გასწია ქონების შენახვასთან დაკავშირებით და რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს, ასევე სასყიდლიანი შენახვისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისათვის შენახვისათვის ანაზღაურების საკითხი. შემნახველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმბარებლისაგან შესანახად მიბარებული ნივთის უკან წაღება, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული არ იყო. ამასთან, შემნახველმა ეს უფლება იმგვარად უნდა განახორციელოს, რომ მიმბარებელმა სხვა გზით შეძლოს. ნივთის შენახვა, იმ შემთხვევების გარდა, როცა არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი მიბარებული ნივთის უკან დაბრუნებისათვის. მაგალითად, სადგომი, სადაც შემნახველი ნივთებს ინახავს, ისე დაზიანდა, რომ ნივთების იქ შენახვა შეუძლებელია (სამოქალაქო კოდექსის 771-ე მუხლი).

შემნახველს უფლება არა აქვს ისარგებლოს მისთვის მიბარებული ნივთით მიმბარებლის თანხმობის გარეშე, იმ შემთხვევის გარდა, თუ ნივთის შენახვისათვის მისი სარგებლობა აუცილებელია. ჩვეულებრივ ნივთი გამოყენების დროს ცვდება. ეს კი ეწინააღმდეგება შენახვის მიზნებს. კანონი გამონაკლისის სახით შესაძლებლად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებით ნივთით სარგებლობას შემნახველის მიერ (მაგალითად, შესანახად პიანინოს მიბარების დროს, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ შემნახველი ისარგებლებს პიანინოთი). როგორც აღნიშნული იყო ასეთი შეთანხმება საჭირო არ არის, თუ ნივთის შენახვისათვის

სარგებლობა აუცილებელია (სამოქალაქო კოდექსის 767-ე მუხლი).

შემნახველს უფლება არა აქვს ასევე მიმბარებლის თანხმობის გარეშე ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს. თუ მესამე პირისათვის ნივთის შესანახად გადაცემა მიმბარებლის თანხმობით მოხდა, მაშინ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის მესამე პირის, ან შენახვის ადგილის არჩევაში (სამოქალაქო კოდექსის 766-ე მუხლი).

შემნახველს უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს ნივთის შენახვის წესი. ამის შესახებ მან უნდა აცნობოს მიმბარებელს. შემნახველმა ასევე უნდა აცნობოს მიმბარებელს ნივთზე მესამე პირთა მოთხოვნის თაობაზე (სამოქალაქო კოდექსის 768-ე მუხლი).

შემნახველის ძირითადი მოვალეობაა უზრუნველყოს ქონების დაცვა. ქონების დაცვის ხასიათი და მოცულობა მიბარების ხელშეკრულების მიზნებით განისაზღვრება. ამიტომ შემნახველს ყოველთვის ერთნაირი მოთხოვნები როდი წაეყენება. შემნახველს ქონება შეიძლება ჩაბარდეს გაფუჭებისა და დატაცებისაგან დაცვის მიზნით ან საერთოდ ყოველგვარი საშიშროებისაგან დაცვის მიზნით (მაგალითად, შემნახველი საკანი მოვალეა დაიცვას მიბარებული ჩემოდანი, მაგრამ პასუხს არ აგებს მასში მოთავსებული პროდუქტების გაფუჭებისათვის, მაცივარი ვალდებულია დაიცვას პროდუქტები როგორც დატაცების, ისე გაფუჭებისაგან, ლომბარდს კი ყოველგვარი დაცვა ევალება).

კანონი შენახვის ერთგვარად განსხვავებულ წესს ადგენს იმის მიხედვით ხელშეკრულება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო. დადგენილია, რომ თუ მიბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა (სამოქალაქო კოდექსის 765-ე მუხლი). ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ როცა შემნახველი არ ზრუნავს თავისი ნივთების შესანახად (მაგალითად, არ ანიავებს, არ ინახავს ნაფტალინში და სხვა), მისგან ვერ მოვ-

ითხოვთ ზრუნვას მიბარებული ნივთის შენახვაზე. მითითება იმის შესახებ, რომ შემნახველმა ისეთივე კეთილსინდისიერებით უნდა შეინახოს მიბარებული ნივთი, როგორც საკუთარი, უეჭველ-ბლად გულისხმობს იმას, რომ შემნახველი ჩვეულებრივ ზრუნავს თავის ნივთებზე. ამიტომ თავის ნივთებისადმი უყურადღებ-ბელება არ გაათავისუფლებს შემნახველს პასუხისმგებლობისა-გან, თუ ასევე მოეპყრობა მიბარებულ ნივთს.

სასყიდლიანი ხელშეკრულებით შემნახველს შეიძლება წაუყ-ენოს უფრო მაღალი მოთხოვნები, დაეკისროს ისეთი სპეციალ-ური ზომების მიღება ნივთების შესანახად, როგორსაც თავის საკუთარი ნივთების მიმართ არ იყენებს.

შემნახველი მოვალეა გადასცეს მიმბარებელს ის ნაყოფი, რომელიც მიიღო მიბარების განმავლობაში.

შემნახველი მოვალეა დაუბრუნოს ნივთი მიმბარებელს. შემნახ-ველს ასეთი ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში აქვს და მიმბარებელს ყოველ დროს შეუძლია მოითხოვოს შემნახველისაგან ამ მოვალეობის შს-რულება.

ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითე-ბულ ადგილას, მაგრამ შესაძლებელია შეთანხმება სხვა ადგ-ილზე დაბრუნების თაობაზე. ტრანსპორტირების ხარჯები ეკისრება მიმბარებელს (საშოქალაქო კოდექსის 772-ე მუხლი).

მიმბარებელი მოვალეა თავის დროზე დაიბრუნოს შემნახ-ველისაგან მიბარებული ნივთი, ე. ი., როცა ხელშეკრულება განსაზღვრული ვადითაა დადებული – მიიღოს ნივთი დადგენილ ვადაში. თუ მიბარებული ნივთის წასაღებად განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის დადგომის შემდეგ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. მა-გალითად, ვადის გასვლის შემდეგ ნივთის დაკარგვის, განად-გურების ან დაზიანებისას შემნახველი პასუხს აგებს თუ ეს მოხდა მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედე-გად (საშოქალაქო კოდექსის 774-ე მუხლი).

მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს შემნახველს მიბარებული ნივთის თვისებების გამო მიყენებული ზიანი, იმ შემთხვევების გარდა, თუ მან ამ ნივთის საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. მაგალითად, მიმბარებელმა შესანახად მიბარა დაავადებული პირუტყვი, რის გამოც შემნახველის პირუტყვიც დაავადდა (სამოქალაქო კოდექსის 769-ე მუხლი).

სასყიდლიანი შენახვისას მიმბარებელი მოვალეა ხელშეკრულების შეწყვეტისას შემნახველს გადაუხადოს დათქმული საზღაური. გარდა ამისა, ხელშეკრულება სასყიდლიანია, თუ უსასყიდლო, მიმბარებელი მოვალეა აუნაზღაუროს შემნახველს ნივთის შენახვისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები. კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე (სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლი).

ზოგიერთ შემთხვევაში შენახვის ფუნქცია ეკისრება სხვა ხელშეკრულების მონაწილეს. მაგალითად, სასტუმროსა და სტუმარს შორის შენახვის ხელშეკრულება არ იდება, მაგრამ მათ შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებით სასტუმროს წარმოეშობა შენახვის ვალდებულება. დადგენილია, რომ სასტუმროები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა სტუმარს იმ ქონების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით, რომელიც მას თან ჰქონდა. ეს წესი არ გამოიყენება ფულისა და ძვირფასეულობისადმი, თუ იგი საგანგებოდ არ ყოფილა ჩაბარებული (სამოქალაქო კოდექსის 778-ე მუხლი). პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან იმ პირის მიერ, რომელიც სტუმარს თან ახლავს ანდა ნივთის თვისებებით (სამოქალაქო კოდექსის 779-ე მუხლი).

სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულება

სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება მიბარების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები, თუ სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 780-ე მუხლი).

სასაქონლო საწყობში მიბარების წესი ერთიანად ვრცელდება სავაჭრო სასაქონლო საწყობებზე, ელევატორებზე, მაცივრებზე, ნავსადგურებში და რკინიგზისპირა მიმღებ-გამანაწილებელ საწყობებზე. სასაწყობო შენახვის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ჩვეულებრივი შემნახველი საკნებისაგან განსხვავებით, საწყობები სპეციალიზებული არიან დიდი რაოდენობით, ერთგვაროვანი საქონლის შენახვისათვის. მაგალითად, ელევატორები აღჭურვილი არიან დიდი რაოდენობით ბარცვლის შესანახად და სხვ.

სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების მხარეები (მიმბარებელი და შემნახველი) შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ეს ხელშეკრულება კონსენსუალური, ორმხრივი და სასყიდლიანია. მის საგანს წარმოადგენს მომსახურება, რაც გამოიხატება შემნახველის საქმიანობაში საქონლის შენახვისას.

შესანახად შეიძლება ჩაბარებულ იქნეს მოძრავი ნივთი. საერთო მიბარებისაგან განსხვავებით სასაქონლო საწყობში შესანახად შეიძლება მიბარებულ იქნეს გვაროვნული ნივთებიც. გვაროვნული ნივთები შეიძლება შემნახველს ჩაბარდეს გაუპიროვნებლად ან გაპიროვნებულად. პირველ შემთხვევაში საქონელი შეინახება საწყობში სხვა ერთგვაროვანი და იმავე ხარისხის საქონელთან ერთად (გაუპიროვნებელი შენახვა). ასეთ შენახვას შერეული

წესით შენახვას უწოდებენ. გვაროვნული ნივთების შენახვისას შემნახველს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება შეურიოს გვაროვნული ნივთები იმავე სახისა და ხარისხის სხვა ნივთებს, თუ არსებობს მიმბარებლის თანხმობა. შერევის შედეგად წარმოშობილ საქონელზე მიმბარებლებს აქვთ საერთო საკუთრების უფლება, რომელშიც თითოეული მიმბარებლის წილი განისაზღვრება მათ მიერ მიბარებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად. მიმბარებელს დაუბრუნდება არა უშალოდ მის მიერ მიბარებული საქონელი, არამედ იმავე ხარისხისა და რაოდენობის ერთგვაროვანი საქონელი. მომხმარებელს მისი კუთვნილი წილის შესაბამისად საქონელი დაუბრუნდება დანარჩენი მიმბარებლების თანხმობის გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 786-ე მუხლი).

აღნიშნული არ გამორიცხავს სასაქონლო საწყობში გვაროვნული ნივთების ინდივიდუალიზაციას, მის გაპიროვნებულ შენახვას. ამ დროს მიბარებული საქონელი შეინახება სხვა იმგვარი საქონლისაგან განცალკევებულად და მიმბარებელს მის მიერ ჩაბარებული საქონელი დაუბრუნდება (გაპიროვნებული შენახვა). აღნიშნული სრულებით არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალური ნივთი სასაქონლო საწყობში შეინახება ისევე, როგორც საერთოდ ჩვეულებრივი მიბარების დროს და ამ ორ ხელშეკრულებას შორის ამ მხრივ რაიმე განსხვავება არ არის. მართალია, ჩვეულებრივი მიბარების დროსაც შეიძლება მიბარებულ იქნეს გვაროვნული ნივთიც, მაგალითად, შემნახველ საკანში შეიძლება მიბარებულ იქნეს გვაროვნული ნივთები: შაქარი, კარტოფილი და სხვა, მაგრამ მცირე მოცულობის გამო ისინი შეინახება ხელჩანთით, ტომრით ან სხვა ჭურჭლით, რომელთა მეშვეობით ხდება გვაროვნული ნივთების ინდივიდუალიზაცია და გაპიროვნებული შენახვა. სასაქონლო საწყობში კი ნივთების ინდივიდუალიზაცია და გაპიროვნებული შენახვა ხდება არა ხელჩანთით ან სხვა მსგავსი ჭურჭლით, არამედ საცავით.

სასაქონლო საწყობში საქონლის მიბარების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ამ ხელშეკრულებასთან

დაკავშირებული დოკუმენტები: სასაწყობო მოწმობა და საგირავნო მოწმობა.

საქონლის მიღებისას შემნახველი კალდებულია მიმბარებელს გადასცეს სასაწყობო მოწმობა, რომელშიც უნდა აღინიშნოს: ა. სასაწყობო მოწმობის გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი; ბ. მხარეთა ვინაობა და მისამართი; გ. შენახვის ადგილი; დ. საქონლის შენახვის წესი; ე. შესანახი საქონლის აღწერა (რაოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი; საქონლის შეფუთვისას – შეფუთვის აღწერა; ვ. შენახვის საზღაურისა და სხვა აუცილებელი ხარჯების ოდენობა; ზ. თუ შესანახი საქონელი დაზღვეულ უნდა იქნეს, მაშინ – დაზღვევის ფასი; თ. ხელშეკრულების ვადა; ი. შემნახველის ხელმოწერა შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული; თუ აღნიშნული პირობები სრულად არაა ასახული სასაწყობო მოწმობაში, ეს მხარეებს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. მხარეებს უფლება აქვთ სასაწყობო მოწმობაში შეიტანონ სხვა პირობებიც (სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლი).

სასაწყობო მოწმობა ბრუნვაუნარიან ფასიან ქაღალდს წარმოადგენს. მისი მეშვეობით შესაძლებელია საქონლის გასხვისება საწყობიდან საქონლის გატანის გარეშე.

შემნახველის მიერ საორდერო სასაწყობო მოწმობის გაცემისას, ეს მოწმობა შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ინდოსამენტის მეშვეობით. როცა სასაწყობო მოწმობა სხვა პირს გადაეცემა ინდოსამენტის მეშვეობით, შემნახველი პასუხს აგებს ამ მოწმობის მფლობელის წინაშე მასში მითითებული პირობების სისწორისათვის. მოწმობის პირობების სისწორისათვის შემნახველი პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაში, როცა მოწმობაში აშკარად არის მითითებული, რომ მონაცემები ემყარებიან მიმბარებლის ინფორმაციას. შემნახველი პასუხს აგებს მაშინაც, როცა მოწმობაში მითითებულია იმის შესახებ, რომ მონაცემები ეფუძნება მიმბარებლის ინფორმაციას, მაგრამ მან იცოდა, რომ მოწმობაში შეტანილი იყო არასწორი მონაცემები. შერეული

შენახვისას შემნახველს არ აქვს უფლება მოწმობაში მიუთითოს, რომ მონაცემები ეფუძნება მიმბარებლის ინფორმაციას (სამოქალაქო კოდექსის 792-ე მუხლი).

საგირავნო მოწმობის, რომელსაც გასცემს შემნახველი, მეშვეობით სასაწყობო მოწმობის მფლობელს შეუძლია შესანახად მიბარებული საქონელი დააგირაოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ეს შესაძლებელია საქონლის საწყობიდან გაუტანლად (ვარანტი) (სამოქალაქო კოდექსის 790-ე მუხლი). სასაქონლო საწყობში შესანახად ჩაბარებული საქონლის მესაკუთრემ საგირავნო მოწმობაზე უნდა გააკეთოს სპეციალური წარწერა (ინდოსამენტი) და ისე გადასცეს კრედიტორს. ინდოსამენტი უნდა ითვალისწინებდეს მიმბარებლისა და კრედიტორის ვინაობასა და ვალდებულების მოცულობას. კრედიტორისათვის საგირავნო მოწმობის გადაცემის შესახებ უნდა ეცნობოს შემნახველს, რომელიც მოახდენს სათანადო აღნიშვნას (სამოქალაქო კოდექსის 795-ე მუხლი).

სასაწყობო მოწმობა ან საგირავნო მოწმობა შეიძლება დაიკარგოს ან განადგურდეს. ასეთ შემთხვევაში მის კანონიერ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და ახალი მოწმობის გაცემა. ამ მიზნით მან განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელიც განცხადებას განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახალ სასაწყობო ან საგირავნო მოწმობას გასცემს შემნახველი (სამოქალაქო კოდექსის 794-ე მუხლი).

მხარეებს სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულებით წარმოეშობათ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

შემნახველს შენახვის ხარჯების უზრუნველსაყოფად აქვს საქონლის გირავნობის უფლება, მაგრამ ეს უფლება გაგრძელდება მანამდე, სანამ საქონელი მის მფლობელობაშია. თუ სასაწყობო მოწმობა ინდოსამენტის მეშვეობითაა გაცემული, მაშინ შემნახველის გირავნობის უფლება არსებობს სასაწყობო მოწმობის

ახალი მფლობელის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 796-ე მუხლი).

შემნახველის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა საქონლის შენახვა. ეს მოვალეობა მან უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერი მეურნის ვულისხმიერებით. შემნახველს არ ეკალება საქონლის მიღებისას მისი რაოდენობის, ზომის, წონის, სახეობის, ხარისხისა და სხვა თავისებურებების შემოწმება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შემნახველს ეკალება დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმბარებელს, თუ გადაცემისას საქონელი დაზიანებული ან დაუკომპლექტებელი აღმოჩნდება. ასეთი მოვალეობა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრება, თუ აღნიშნულის შემჩნევა გარეგნული დათვალიერებითაც შეიძლება. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისას შემნახველს ეკისრება დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 782-ე მუხლი). თუ შესანახად მიბარებული საქონელი ფუჭდება და იმდენად იცვლება, რომ იგი შეიძლება გაუფასურდეს და შემნახველს დრო აღარ რჩება ამის თაობაზე შეატყობინოს ან. არ შეუძლია შეატყობინოს უფლებამოსილ პირს, მაშინ ის უფლებამოსილია საქონელი გაყიდოს (სამოქალაქო კოდექსის 787-ე მუხლი).

შესაძლებელია საჭირო შეიქმნას საქონლის გადატანა სხვა საწყობში ან აღმოჩნდეს, რომ საქონლის თვისებები შეიცვალა ანდა არსებობს მისი შეცვლის საშიშროება. აღნიშნულის შესახებ შემნახველი ვალდებულია შეატყობინოს მისთვის ცნობილი სასაწყობო მოწმობის ბოლო მფლობელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. შემნახველი მოვალეა ასევე სამუშაო დროის განმავლობაში ნება დართოს მიმბარებელს დაათვალიეროს მიბარებული საქონელი, აიღოს ნიმუშები ან განახორციელოს აუცილებელი მოქმედებები (სამოქალაქო კოდექსის 783-ე მუხლი).

შემნახველმა საქონელი უნდა დაუბრუნოს მიმბარებელს. შემნახველი, რომელმაც გასცა საორდერო სასაწყობო მოწმობა, ვალდებულია შესანახად მიბარებული საქონელი გადასცეს მხო-

ლოდ სასაწყობო მოწმობის კანონიერ მფლობელს და მოითხოვოს მოწმობის დაბრუნება. შემნახველს არ შეუძლია მოსთხოვოს მიმბარებელს საქონლის უკან წაღება შეთანხმებული ვადის გასვლამდე, ხოლო თუ ვადა შეთანხმებული არ იყო, მაშინ ჩაბარებიდან სამი თვის გასვლამდე (სამოქალაქო კოდექსის 797-ე მუხლი).

შემნახველი პასუხს აგებს შესანახად გადაცემული საქონლის დაკარგვით და დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის. იგი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება, თუ საქონლის დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილება კეთილსინდისიერ შემნახველს არ შეეძლო (სამოქალაქო კოდექსის 785-ე მუხლი).

მიმბარებელი მოვალეა შემნახველს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური, თუ მხარეთა მიერ საზღაურის ოდენობა განსაზღვრული არ არის, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად ითვლება სატარიფო განაკვეთები, ხოლო ტარიფების არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.

მიმბარებელი (სასაწყობო მოწმობის .მფლობელი) მოვალეა ხელშეკრულების ვადის გასვლისას წაიღოს თავისი საქონელი საწყობიდან; თუ ის თავს აარიდებს საქონლის წაღებას, მაშინ შემნახველმა უნდა დაუნიშნოს დამატებითი ორკვირიანი ვადა. ამ ვადაში საქონლის წაულებლობის შემთხვევაში შემნახველს შეუძლია გაყიდოს იგი და მიღებული თანხა შემნახველისათვის კუთვნილი ხარჯების გამოკლებით გადაეცემა სასაქონლო მოწმობის მფლობელს (სამოქალაქო კოდექსის 798-ე მუხლი).

თავი XXVI

საბანკო მომსახურება

I. ანგარიშსწორების ხელშეკრულება

ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში.

ანგარიში წარმოადგენს შესაბამისი პირის სახელზე გაფორმებულ დოკუმენტს, რომელშიც აისახება მონაცემები მასში ფულადი თანხების ჩარიცხვის და წარმოებული გადახდების შესახებ. ანგარიშის მფლობელს ანგარიშის ფარგლებში შეუძლია საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით გადაიხადოს (უნაღდო ფორმით ან ნაღდი ფულით) შეძენილი საქონლისათვის, შესრულებული სამუშაოსათვის, გაწეული მომსახურებისათვის და სხვ. ანგარიშში ჩაირიცხება შემოსული თანხები, მაგალითად, საქონლის გაყიდვით მიღებული ამონაგები, სხვისთვის სამუშაოს შესრულებისათვის მიღებული ანაზღაურება და სხვ.

გადახდები ანგარიშიდან და შემოსული თანხების ჩარიცხვა ანგარიშში შეიძლება როგორც უნაღდო ფორმით, ასევე ნაღდი ფულით.

ანგარიშსწორების ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ საკრედიტო დაწესებულება (ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც ანგარიშის გახსნის უფლება აქვს) და კლიენტი (ანგარიშის მფლობელი). ანგარიშის მფლობელი შეიძლება იყოს ყოველი იურიდიული და ფიზიკური პირი, ასევე იხელთა გაერთიანებები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა — სამოქალაქო კოდექსის 1517-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი). იმ საკითხის გადასაწყვეტად — ვალდებულია თუ არა საკრედიტო დაწესებულება ანგარიში გაუხსნას ყველა პირს,

რომელიც ანგარიშის გახსნას მოისურვებს, უნდა მივმართოთ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლს. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშსწორების ხელშეკრულება დადოს ყველა მსურველთან, თუ მას დომინირებული მდგომარეობა უჭირავს.

ანგარიშსწორების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ანგარიშის მფლობელის ფულადი თანხები, რომელიც მის ანგარიშზეა. ანგარიშის მფლობელს აღარ აქვს საკუთრების უფლება იმ თანხაზე, რომელიც მან ანგარიშში ჩარიცხა. მას ანგარიშზე ჩარიცხული ფულის მოთხოვნის უფლება აქვს, ე.ი. მისი უფლება ვალდებულებით-სამართლებრივია და არა სანივთო. საკრედიტო დაწესებულებას უფლება აქვს გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხა, მაგრამ ამავე დროს მოვალეა მოთხოვნის წარდგენისთანავე უზრუნველყოს შესაბამისი მოქმედებების შესრულება.

ანგარიშსწორების ხელშეკრულება კონსენსუალურია. ის იდება არა ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის, არამედ მხარეთა შორის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე შეთანხმების მიღწევის მომენტიდან.

საკრედიტო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები ანგარიშის მფლობელმა უნდა გადაიხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელს ხარჯების გადახდა მხარეთა შეთანხმებით აქვს დაკისრებული. თუ მხარეები არ შეთანხმებულან იმის შესახებ, რომ ანგარიშის მფლობელს ეკისრება მომსახურების ხარჯების გადახდა, მაშინ საკრედიტო დაწესებულების მიერ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება (სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლი).

საკრედიტო დაწესებულებას ევალება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებათა შესახებ აწარმოოს საბულალტრო წიგნი და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ანგარიშის მფლობელს მიაწოდოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ. თვით ანგარიშის მფლობელს კი ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობისა

და კრედიტ-დებეტის საბულალტრო ჩანაწერების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 860-ე მუხლი).

საკრედიტო დაწესებულების მიერ ანგარიშიდან ფულადი თანხების ჩამოწერა ხორციელდება მხოლოდ ანგარიშის მფლობელის მითითებითა და ნებართვით. თუმცა შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევებში თანხების ჩამოწერა მოხდეს სხვა საფუძვლითაც, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ანგარიშის მფლობელის მითითების ან ნებართვის გარეშე ფულადი თანხების ჩამოწერის შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია აუნაზღაუროს ანგარიშის მფლობელს მიყენებული ზიანი და ამავე დროს არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში. მაგალითად, საკრედიტო დაწესებულებამ ზიანი უნდა აანაზღაუროს და გადარიცხული თანხა უნდა შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში, თუ საკრედიტო დაწესებულებამ თანხა გადარიცხა მესამე პირის – ანგარიშის მფლობელის კრედიტორის მოთხოვნით, როცა ამის თაობაზე ანგარიშის მფლობელის ნებართვა არ ყოფილა (სამოქალაქო კოდექსის 861-ე მუხლი).

ანგარიშის მფლობელს შეუძლია თანხების გადარიცხვის შესახებ საკრედიტო დაწესებულებისათვის მიცემული დავალება გაუქმოს, ვიდრე გადარიცხვა რეალურად არ მომხდარა, მაგრამ თუ გადარიცხვა უკვე განხორციელდა, საკრედიტო დაწესებულება მოვალეა დავალების გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს იმ პირებს, ვის სასარგებლოდაც მოხდა გადარიცხვა.

862-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დავალების დროულად გაუქმების შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა კვლავ აღადგინოს თანხა მფლობელის ანგარიშზე".

საკრედიტო დაწესებულების ერთ-ერთი ვალდებულებაა საიდუმლოების დაცვა. საქმე ეხება ანგარიშთან დაკავშირებულ და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოებას, რომელიც ცნობილი გახდა საკრედიტო დაწესებულებისათვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას (მაგალითად, ანგარიშთან დაკავშირე-

ბული ოპერაციები, ცნობები ანგარიშის მფლობელის შესახებ, ანგარიშის ოდენობა და სხვ.). საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება კანონით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი საბანკო ინფორმაცია, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები. საყურადღებოა, რომ საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ძალაშია ანგარიშსწორების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც (სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლი). ცხადია, საკრედიტო დაწესებულებამ უნდა აანაზღაუროს ზიანი, თუკი იგი საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია.

საანგარიშსწორებო ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს როგორც საკრედიტო დაწესებულების, ასევე ანგარიშის მფლობელის მიერ. ამასთან, კანონი ერთგვარ შეზღუდვებს ადგენს საკრედიტო დაწესებულებისათვის. მას შეუძლია მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ ანგარიშის მფლობელმა სხვაგვარად შეძლოს საანგარიშსწორებო მომსახურების მიღება (მაგალითად, შეუძლია მიმართოს სხვა ბანკს და ა.შ.). საკრედიტო დაწესებულებას ამ გარემოების გათვალისწინების გარეშეც შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 864-ე მუხლი). მაგალითად, ხდება საკრედიტო დაწესებულების შერწყმა სხვა საწარმოსთან.

საკრედიტო დაწესებულება მოვალეა აქტივის ფარგლებში აანაზღაუროს ანგარიშის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ჩეკი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სათანადო შეთანხმება ჩეკის ანაზღაურების შესახებ. ჩეკის ანაზღაურება ხდება ჩეკის შესახებ კანონის შესაბამისად. ამ დროს გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორების ხელშეკრულების წესები (სამოქალაქო კოდექსის 865-ე მუხლი), ვინაიდან თვითონ ჩეკი წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთ საშუალებას. მეტად მნიშვნელოვან ნორმას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 866-ე მუხლი ჩეკების ინკასირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საკრედი-

ტო დაწესებულებამ ჩვეულებრივ შემთხვევაში უნდა გაანალდოს ძიუხედავად იმისა, ამის შესახებ აღნიშნული იქნება თუ არა ხელშეკრულებაში.

II. ანაბრის ხელშეკრულება

საკრედიტო დაწესებულებაში ფულადი თანხის (ანაბრის) შეტანისა და ამ თანხის დაბრუნების თაობაზე საკრედიტო დაწესებულებასა და კლიენტს (მეანაბრეს) შორის ურთიერთობა ანაბრის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა. ამ ხელშეკრულების ერთი მხარე საკრედიტო დაწესებულება (ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება) ვალდებულია დაუბრუნოს ხელშეკრულების მეორე მხარეს (მეანაბრეს) მიღებული თანხა და გადაუხადოს პროცენტი. მაშასადამე, მხარეებს ანაბრის ხელშეკრულებაში წარმოადგენენ საკრედიტო დაწესებულება და მეანაბრე. საკრედიტო დაწესებულებაში უპირატესად იგულისხმება ბანკი, თუმცა არ არის გამორიცხული ბანკის გარდა მხარე იყოს სხვა საკრედიტო დეწესებულება, რომელსაც მინიჭებული აქვს ანაბრის მიღების უფლება. მეანაბრე კი შეიძლება იყოს ყოველი იურიდიული და ფიზიკური პირი.

ანაბარი შეიძლება შეტანილი იქნეს განსაზღვრული პირის და არა მხოლოდ მეანაბრის სახელზე (მაგალითად, მშობელმა შეიძლება ანაბარი შეიტანოს შვილის სახელზე) ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების წესები.

ფულადი თანხის შეტანით საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას. მეანაბრე, ცხადია, კარგავს საკუთრების უფლებას საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილ ანაბარზე, მაგრამ ინარჩუნებს მისი მოთხოვნის უფლებას. მეანაბრის უფლება იმ ფულად თანხაზე, რომელიც ანაბრის სახით გადაეცა საკრედიტო დაწესებულებას, წარმოადგენს არა

სახივთო. ორაშელ ფულის დაბრუნების მოთხოვნის უფლების (ვალდებულებით-სამართლებრივ უფლებას).

ანაბრის ხელშეკრულება რეალური და ცალმხრივი ხელშეკრულებაა. იგი დადებულად ითვლება საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შეტანის მომენტიდან, მეანაბრე კი იძენს საკრედიტო დაწესებულებისაგან შეტანილი თანხის დაბრუნებისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნის უფლებას და არა აქვს რაიმე ვალდებულება საკრედიტო დაწესებულების წინაშე.

ანაბრის ხელშეკრულება სასყიდლიანია. ანაბრებს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტი. პროცენტის ოდენობა ჩვეულებრივ ხელშეკრულებით განისაზღვრება, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია, საკრედიტო დაწესებულებამ პროცენტი უნდა გადაიხადოს მაშინაც, როცა მხარეები არ შეთანხმებულან მის თაობაზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი იმ მოცულობით, რაც დადგენილია სესხის ხელშეკრულების წესებით.

ანაბრის ხელშეკრულების საგანი არის ფული (ანაბარი). ანაბარი შეიძლება იყოს როგორც ლარი, ასევე უცხოური ვალუტა. კანონით დადგენილია, რომ საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა. მეანაბრე შეუძლია გადასცეს საკრედიტო დაწესებულებას თანხა როგორც ნაღდი ფულით, ასევე უნაღდო ფორმით.

ანაბრის ხელშეკრულება იღება წერილობით. ამასთან საგალდებულო არ არის მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთიანი დოკუმენტის არსებობა. ფორმა დაცულად ითვლება, როცა თანხის შეტანა საკრედიტო დაწესებულებაში დასტურდება შემნახველო წიგნაკით.

ანაბრის ხელშეკრულებით შეიძლება განსაზღვრული იყოს ძეანაბრისათვის ანაბრის დაბრუნების ვადა. ასეთ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია დააკმაყოფილოს ძეანაბრის მოთხოვნა თანხის დაბრუნების შესახებ დაბრუნების

ვადის დადგომისას. თუ ხელშეკრულებით დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ მეანაბრეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება.

ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებული არიან მეანაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ამ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმამ ან არასწორი ინფორმაციის გაცემამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მეანაბრეს, რომლის ანაზღაურება ეკისრება იმ პირს, რომელიც ბრალეულად გასცემს არასწორ ინფორმაციას ან უარს ამბობს საჭირო ცნობების მოწოდებაზე. ზიანის მიყენებისას სოლიდარულად აგებენ პასუხს ბანკის დირექტორები (მენეჯერები), რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი).

როგორც აღნიშნული იყო, ანაბრის ხელშეკრულება შემნახველი წიგნაკით ფორმდება. შემნახველი წიგნაკი წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელობითი, ასევე საწარმდგენლო. თუ წარმომდგენი (ცხადია, როცა წიგნაკი საწარმდგენლოა) არ არის უფლებამოსილი, საკრედიტო დაწესებულება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება მაშინ, როცა წიგნაკის შევსებისას არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით (სამოქალაქო კოდექსის 875-ე მუხლი).

III. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასესხო ურთიერთობის დამოუკიდებელ სახესხვაობას წარმოადგენს. ამ ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი).

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ საკრედიტო დაწესებულება (კრედიტის გამცემი) და მსესხებელი (მოვალე). მსესხებელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი. ხელშეკრულების საგანს კი წარმოადგენს ფულადი თანხა და არა სხვა ნივთი.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მსესხებელი კრედიტის მიმცემს უხდის კრედიტის თანხის განსაზღვრულ პროცენტს. ამასთან ეს პროცენტი შეიძლება იყოს მყარად განსაზღვრული (არ იცვლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში) და ცვალებადი. მხარეები თვითონ უნდა შეთანხმდნენ პროცენტის სახეზე. თუ ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის არსებობისას ამ განაკვეთის სიდიდის განსაზღვრის უფლება შეთანხმებით კრედიტის გამცემს აქვს, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, განსაზღვროს იგი სამართლიანობის საფუძველზე. ასევე მოვალეა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის გაზრდა ან შემცირება (ცვალებადობა) უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს. მაშასადამე, თავდაპირველად განისაზღვრება საწყისი საპროცენტო განაკვეთი და შემდგომში კრედიტის გამცემი მას გაზრდის ან შეამცირებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, მაგრამ ეს ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.

აუცილებელია ხელშეკრულების დადებისას განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და მინიმალური შუალედები, რომლის განმავლობაშიც შეიძლება მოხდეს პროცენტის ცვალებადობა. მაგალითად, ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ საპროცენტო განაკვეთი არ ჩამოვიდეს ორ პროცენტს ქვემოთ და არ ავიდეს ექვს პროცენტს

ზეგბით და რომ ასეთი ცვალებადობა ძალაში შეალეგლებით: ერთი წლის შეალედით, ერთი თვის შეალედით და ა.შ.

კრედიტის გამცემი მოვალეა მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი მხარეთა მიერ შეთანხმებული არ იყო, მაშინ კანონით ვითვალისწინებული წლიური პროცენტი ვამოიყენება. რაც შეეხება ხარჯებს (მაგალითად, მომსახურების ხარჯები), ის მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება, თუ ვითვალისწინებული იყო წლიური პროცენტის გამოთვლისას (საშოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლი).

მსესხებელს ეკალება დათქმული დროისათვის გადაიხადოს კალი. გადახდის დაყოვნებისათვის მას ეკისრება განსაზღვრული პასუხისმგებლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ დავალიანების თანხას დაერიცხება ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისათვის დაფიქსირებული საპროცენტო (ან სადისკონტო) განაკვეთის 3%-ის ოდენობით გადიდებული თანხა. (მაგალითად, თუ დავალიანების თანხა 1000 ლარია, ხოლო პროცენტი (საპროცენტო განაკვეთი მთლიანად) შეადგენს 300 ლარს, მაშინ 1000 ლარს უნდა დაემატოს 300 ლარი და მისი სამი პროცენტი).

სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ვაძო კრედიტის გამცემის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კრედიტის გამცემს უფლება აქვს მოითხოვოს კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთი. ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი შეიძლება კანონით დადგენილ საპროცენტო განაკვეთზე მეტი ან ნაკლები იყოს. ასეთ შემთხვევაში კრედიტის გამცემს ან მსესხებელს უფლება აქვთ ამტკიცონ მეტი ან ნაკლები ზიანის არსებობა (საშოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლი).

შესაძლებელია საპროცენტო ვალდებულება (პროცენტის გადახდის ვალდებულება) უფრო ადრე დამთავრდეს, ვიდრე სესხის დაბრუნებისათვის განსაზღვრული ვადა. მაგალითად, თუ საპროცენტო ვალდებულება გათვალისწინებული იყო ერთი წლის ვა-

დით. ხოლო სესხის დაბრუნების ვალდებულება ორი წლით განსაზღვრული პერიოდისათვის შეთანხმებული მყარი საპროცენტო განაკვეთის არსებობისას კრედიტის ამღების შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება სესხის დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. ჩვენს მაგალითში კრედიტის ამღებს შეუძლია ერთი წლის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუმცა, სესხის დაბრუნების ვადა – ორი წელი გასული არ არის. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს.

კანონი ხელშეკრულების შეწყვეტის ერთგვარად განსხვავებულ წესს ადგენს იმ შემთხვევისათვის, როცა კრედიტის ამღები მოძრავებელია და კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა წარმოიშობა კრედიტის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ. შეწყვეტის ვადა კი სამი თვეა. კრედიტის აღებიდან ათი წლის გასვლის შემდეგ კი ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში. შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხის დროს მოვალეს ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით (სამოქალაქო კოდექსის 871-ე მუხლი).

კანონი კრედიტის გამცემს საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის უფლებას აძლევს კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნების ვალდებულების დარღვევის დროსაც. თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადაიცილა ზედიზედ, სულ ცოტა ორ ვადას, კრედიტის ამღებს, რომელმაც, სულ ცოტა, ორ ვადას გადააცილა, ეძლევა ორკვირიანი დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად. თუ კრედიტის ამღები ამ ვადაში არ გადაიხდის ვალს, მაშინ საკრედი-

ტო ურთიერთობის შეწყვეტა ძალაში შევა (სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლი).

კრედიტის ამღების მიერ საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე კრედიტის დაბრუნება გამოიწვევს მისთვის კრედიტის ვადამდე დაბრუნებით კრედიტის გამცემისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება. მაგალითად, ის, რაც ბანკს კრედიტის მომსახურებისათვის უნდა გაეღო — მიღლინების ხარჯები და ა.შ. აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება (სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი).

თავი XXVII

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს იმოქმედოს ერთობლივად საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებით, იურიდიული პირის შეუქმნელად (სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი). მაგალითად, ორი ან რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად სახლის აშენება, წყლის სადენის გაყვანა და სხვა.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში შეიძლება მონაწილეობდეს ორი ან მეტი პირი. როცა ხელშეკრულებაში ორზე მეტი პირი მონაწილეობს, მაშინ იგი მრავალმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში, სხვა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, მხარეთა

ნება ერთი მიზნისკენაა მიმართული. რამდენადაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მხარეებს საერთო მიზანი აქვთ (და არა დაპირისპირებული), მათ ჩვეულებრივ კრედიტორსა და მოვალეს კი არ უწოდებენ, არამედ ხელშეკრულების მონაწილეებს.

თავისი იურიდიული ბუნებით ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება კონსენსუალური, სასყიდლიანი და ორმხრივი ხელშეკრულებაა. იგი დადებულად ითვლება განსაზღვრული ფორმით შეთანხმების მიღწევიდან.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ვადა შეიძლება პირდაპირ იქნეს განსაზღვრული (მაგალითად, ხელშეკრულება დაიდოს ერთი წლით). ძირითადად იგი დასახული მიზნის გათვალისწინებით განისაზღვრება. თუ ხელშეკრულებაში ვადაზე საერთოდ არ არის მითითებული, ის ასეთ შემთხვევაშიც ძალას ინარჩუნებს დასახული მიზნის მიღწევამდე. ხელშეკრულება შეიძლება მუდმივმოქმედიც იყოს. მაგალითად, როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს რაიმე ობიექტის აგების შემდეგ მის ექსპლუატაციას.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. თუ ხელშეკრულება წერილობითი ფორმითაა დადებული, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს: ა. მონაწილეთა დასახელებას და მათ მისამართს; ბ. მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ; გ. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დ. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; ე. მონაწილეებს შორის შემოსავლებისა და ზარალის განაწილების წესსა და პირობებს; ვ. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; ზ. საქმიანობის ხანგრძლივობას; თ. ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს (სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლი).

ამხანაგობის ქონება იქმნება შესატანებისაგან, რომელიც შეაქვთ მონაწილეებს. თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული შესატანების ოდენობა, მაშინ თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ

იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით (მაგალითად, შრომითი მონაწილეობით). ამხანაგობის ქონება წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას, თუმცა ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამეც იყოს გათვალისწინებული. შესატანების გარდა, მონაწილეთა საკუთრებაში შედის ასევე ისიც, რაც შეძენილია საერთოდ საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ან მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. მაგალითად, საერთო ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებით ან სხვა (სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლი).

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეს ქონების ან უფლების სახით თავისი წილის მესამე პირზე გადაცემა შეუძლია სხვა მონაწილეთა თანხმობით. მონაწილეებს თანხმობაზე შეუძლიათ უარი თქვან მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. ამასთან, ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლი). ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი ნაწილდება მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად. ხელშეკრულებით შეიძლება შემოსავლების განაწილების სხვა წესიც იქნეს დადგენილი.

ამხანაგობა არა მხოლოდ ქონების, არამედ პირთა გაერთიანებაც არის. ოთთოეული მონაწილე მოვალეა უშუალო მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის საქმის გაძღოლაში. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების მონაწილენი ერთობლივად უძღვებიან საქმეს და წარმოადგენენ მათ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ყველა მონაწილის თანხმობა, ე. ი. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთხმად. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, მაგრამ ხმათა უმრავლესობა უნდა განისაზღვრის არა შესატანების ოდენობით, არამედ

ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობით.

მონაწილეებს შეუძლიათ ხელშეკრულებით საქმეების მართვა დააკისრონ ერთ მონაწილეს. ასეთ შემთხვევაში ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. ამხანაგობის საქმის გაძღოლა ხელშეკრულებით შეიძლება დაეკისროს ასევე არა ერთ, არამედ რამდენიმე მონაწილეს ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს იმოქმედოს დამოუკიდებლად. აქასთან, თითოეული მათგანს შეუძლია შეედაოს მეორეს გარიგების დადებისას. ასეთი შედავების შემთხვევაში გარიგება არ დაიდება. თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება მოვალეობები განისაზღვრება დავალების შესახებ წესების შესაბამისად. ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს უარი თქვას საქმების მართვაში მონაწილეობაზე, მაგრამ ის ინარჩუნებს უფლებას ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების მართვის უფლება-მოსილება, თუ იგი უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. საქმეების მართვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ მონაწილეთა გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი).

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს, ყოველი მონაწილისაგან ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე, მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება. მონაწილეთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს (სამოქალაქო კოდექსის 936-ე მუხლი).

ერთობილივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებული არიან არ გაახმაურონ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის ხელშეკრულების მონაწილეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

რაც შეეხება ერთობლივ საქმიანობაში პასუხისმგებლობის ოდენობას, იგი მონაწილეთა წილის შესაბამისად განისაზღვრება, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. მაშასადამე, როცა მონაწილე არღვევს ვალდებულებას (მაგალითად, აყოვნებს შესატანის შეტანას, არ ასრულებს შეთანხმებულ სამუშაოს და სხვ.), სხვა მონაწილეების წინაშე მისი ასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მისი წილის შესაბამისად ანდა პასუხისმგებლობის ოდენობა შეიძლება ხელშეკრულებით იქნეს დადგენილი (სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლებას. ამ უფლებას კანონი უკავშირებს ხელშეკრულების ვადის განსაზღვრას. თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს თქვას უარი ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. მაგრამ ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ ვითარებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის. ხოლო თუ ერთობლივი საქმიანობის ვადა შეთანხმებით განსაზღვრულია, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია მხოლდ პატივსადების მიზეზების არსებობისას (მაგალითად, ავადმყოფობის გამო არ შეუძლია საქმიანობაში შრომითი მონაწილეობის მიღება, რაც მას ხელშეკრულებით ევალებოდა).

ერთ-ერთი მონაწილის გასვლა ხელშეკრულებიდან, როგორც წესი, იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ამავე დროს, ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულით.

როცა ერთ-ერთი მონაწილე ხელშეკრულებიდან გადის, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება საკმარისი არ არის საერთო ვალების გადასახდელად, გამსვლელი ვალდე-

ბულია დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს მისი წილის შესაბამისი ვალი. გაშსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

კანონი ბათილად ცნობს მონაწილეთა შორის ისეთ შეთანხმებას, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს მონაწილის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი).

ხელშეკრულებიდან გასვლის გარდა, კანონი ითვალისწინებს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას და მიუთითებს შეწყვეტის საფუძვლებზე. ეს საფუძვლებია: ა. ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა; ბ. მონაწილეთა გადაწყვეტილება; გ. საგაკოტრებო წარმოების გახსნა ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე; დ. ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის სხვა საფუძვლებია: ა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება; ბ. საგაკოტრებო წარმოების გახსნა ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე; გ. ხელშეკრულების მოშლა (სამოქალაქო კოდექსის 939-ე მუხლი).

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ის გარიგებები, რომელიც შეწყვეტამდე იყო დადებული და არ შესრულებულა. შედეგს საინვენტარიზაციო ნუსხა. შეწყვეტისას საერთო საქმიანობის ქონება უნდა განაწილდეს მონაწილეთა შორის მათი წილის შესაბამისად. მაგრამ განაწილებისას უპირველესად უნდა დაითვალოს ერთიანი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის, ხელშეკრულების მონაწილენი ვალდებული არიან გაისტუმრონ ვალები მათი წილის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლი).

თავი XXXIII

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება

სამისდღეშიო ხელშეკრულებით ერთი მხარე (მარჩენალი) ძოვალეა გადაუხადოს მეორე მხარეს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე სარჩო, ხოლო სარჩენი მოვალა გადაცეს მარჩენალს საკუთრებად ქონება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მარჩენალი და სარჩენი, რომლებიც შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, საგანს კი ქონება, რომელსაც სარჩენი გადასცემს მარჩენალს. ხელშეკრულების ფასი გამოიხატება სარჩოში, რომელიც მარჩენალმა უნდა გადაუხადოს სარჩენს. სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით: ბინით, კვებით, ძოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით (სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლი). სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით (სამოქალაქო კოდექსის 943-ე მუხლი). ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოც.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ვადიანია, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ არის განსაზღვრული. არამედ სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით, თუმცა ხელშეკრულებით სხვა რამეც შეიძლება იყოს გათვალისწინებული, ე. ი. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრულ დროზე, რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს სარჩოს გადახდას სარჩენისათვის. რაც შეეხება სარჩოს გადახდის ვადებს, ე. ი. დროის იმ მონაკვეთებს, როცა სარჩო უნდა მიეცეს სარჩენს (ყოველდღეურად, ყოველკვირეულად და ა. შ.), იგი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება სარჩოს ბუნებიდან და მიზნებიდან გამომდინარე (სამოქალაქო კოდექსის 944-ე მუხლი).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს, თუ საქმე ეხება მარჩენალისათვის უძრავი ქონების

გადაცემას, ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით (სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი).

სარჩენი მარჩენალს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას გადასცემს საკუთრებაში, მაგრამ მარჩენალის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე შეზღუდულია. მას არ აქვს ამ ქონების გასხვისების, დაგირავების ან სხვაგვარი დატვირთვის უფლება სარჩენის წერილობითი ნებართვის გარეშე. არ დაიშვება აგრეთვე ამ ქონებაზე მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა. თუ ხელშეკრულების საგანი უძრავი ქონებაა, მაშინ, მოთხოვნის უზრუნველსყოფად სარჩენს აქვს გირავნობის უფლება ამ ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 945-ე მუხლი).

კანონი უფლებას აძლევს სხვა პირს საცილო გახადოს სამისდღეშიო სარჩოს გადახდა, თუ მას ჰქონდა მარჩენალისაგან სარჩოს მიღების კანონიერი უფლება, მაგრამ ვერ მიიღო იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. თუ ასეთი გარემოების გამო ხელშეკრულება მოიშლება, ქონება უბრუნდება სარჩენს (სამოქალაქო კოდექსის 946-ე მუხლი).

მარჩენალი არ თავისუფლდება სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან მაშინაც, როცა ქონება, რომელიც სარჩენმა გადასცა მარჩენალს, შემთხვევით დაიღუპა ან დაზიანდა (სამოქალაქო კოდექსის 948-ე მუხლი).

დადგენილი საფუძვლების არსებობისას, მხარეთა მოთხოვნით შესაძლებელია სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუ სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას. კანონი კონკრეტულად არ ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა ჩაითვლება, რომ მხარე მასზე დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს. მაგალითად, მოვალეობის შეუსრულებლობად შეიძლება ჩაითვა-

ლის მარჩენალის მიერ სარჩოს დროულად გადაუხდელობა და სხვა ეპიზოდურმა დარღვევებმა, რომლებიც შემთხვევითი ხასიათის არიან, არსებით გავლენას არ ახდენენ მხარეთა ინტერესებზე და რომელთა აცილება მომავალში ადვილია, არ უნდა გამოიწვიოს ხელშეკრულების მოშლა. სწორედ ეს გამომდინარეობს კანონის მითითებიდან იმის შესახებ, რომ სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევა ისეთი უნდა იყოს, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდეს.

ხელშეკრულების შეწყვეტისას მარჩენალისათვის გადაცემული უძრავი ქონება უბრუნდება სარჩენს. კანონი მხოლოდ უძრავი ქონების დაბრუნებას ითვალისწინებს. ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაშასადამე, ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მარჩენალისათვის ხარჯების დაბრუნების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლი).

მარჩენალის სარჩენზე ადრე გარდაცვალების შემთხვევაში რჩენის ვალდებულება გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს მარჩენალისათვის გადაცემული ქონება. თუ მემკვიდრეები არ არიან ან მათი უარი თქვეს რჩენის მოვალეობის შესრულებაზე, მაშინ ხელშეკრულება წყდება და ქონება უბრუნდება სარჩენს (სამოქალაქო კოდექსის 950-ე მუხლი).

თავი XXIX

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

კანონისმიერი ვალდებულებების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები. მოცემულ შემთხვევაში პირებს შორის ურთიერთობა წარმოიშობა დავალების ან სხვა რაიმე შეთანხმების გარეშე. ვალდებულება წარმოიშობა კანონის

ძალით. კანონით დადგენილია, რომ პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად (სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლი).

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების იმ მონაწილეს, რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის საქმეებს, უწოდებენ შემსრულებელს, ხოლო იმ მონაწილეს, რომლის საქმეებსაც შემსრულებელი ასრულებს – მეპატრონეს.

სხვა პირის საქმეებში შეიძლება ვიგულისხმოთ მრავალი სახის ცხოვრებისეული სიტუაცია. მაგალითად, პირმა მეზობლის არყოფნის დროს წვიმისაგან სახლის დასაცავად შეაკეთა ქარის მიერ მოგლეჯილი სახურავი; უცნობმა პირმა ბავშვისათვის, რომელიც დროებით მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩა, შეიძინა წამალი და ა.შ. მაშასადამე, აქ ისეთ გარემოებასთან გვაქვს საქმე, რომლითაც ამა თუ იმ პირის ინტერესებს საფრთხე ემუქრება, მაგრამ მას რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია თავიდან აიცილოს იგი ან სხვას მიანდოს მისი თავიდან აცილება და ამ დროს სხვა პირი თავისი ინიციატივით მოქმედებს მისი ინტერესების დასაცავად. საფრთხე, რომელიც პირს ან ქონებას ემუქრება რეალური, ხოლო მოქმედება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოცემულ პირობებში აუცილებელი და მიზანშეწონილი უნდა იყოს. აუცილებელია, რომ გარემოება მოითხოვდეს დაუყოვნებლივ მოქმედებას და დაყოვნება კი იწვევდეს მეპატრონისათვის დამატებით ქონებრივ დანაკარგებს. თუ მოქმედების შესრულება სასწრაფო არ არის და შემსრულებელს შეეძლო გაეგო მეპატრონის აზრი, მაშინ ვალდებულება არ წარმოიშობა.

საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს არა მხოლოდ მეპატრონის ქონებას, არამედ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს ისეთი მოქმედებაც, რომელიც

მიმართულია სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად (მაგალითად, იმ პირის გადასარჩენად, რომელიც წყალში იხრჩობოდა).

სხვისი საქმეების შესრულების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული მოქმედებები (მაგალითად, როცა საქმეების შესასრულებლად საჭიროა შემსრულებლის მიერ სხვა პირთან გარიგების დადება).

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შეიძლება წარმოიშვას შემსრულებლისათვის მიყენებული ზიანის და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა.

შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება (მაგალითად, თუ პირმა სხვის სახლში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობისას მიიღო ზიანი). ზიანის ანაზღაურების აღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუ საფრთხის თავიდან აცილება შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას შეადგენდა (ასეთი მოვალეობა დაკისრებული აქვთ სპეციალიზირებულ სახელმწიფო ორგანოებს, მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს, სახანძრო რაზმებს და სხვა).

ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმ პირმა, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (ასევე გაწეული ხარჯების გადახდის მოთხოვნა) შემსრულებელს შეუძლია მაშინაც, როცა მან საფრთხის აღკვეთა ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერად მოქმედებდა.

შემსრულებელი დავალების გარეშე უნდა მოქმედებდეს არა თავისი შეხედულებით, არამედ მეპატრონის ქონებისა და პიროვნებისათვის ზიანის აცილების მიზნით. შესაძლებელია შემსრულებლის მოქმედებით თვით მეპატრონეს მიეყენოს ზიანი, რაც შემსრულებლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს. მაგრამ შემ-

სრულებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მაშინ, თუ ის მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით (სამოქალაქო კოდექსის 970-ე მუხლი). მართალია, შემსრულებელი ანგარიშგებლობით და წინასწარი შეთანხმების გარეშე ასრულებს სხვა პირის საქმეებს, მაგრამ მას მაინც წარმოეშობა განსაზღვრული ვალდებულებები. უპირველესად იგი ვალდებულია შეასრულოს სხვა პირის საქმეები კეთილსინდისიერად (სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლი).

შემსრულებელი მოვალეა პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ (სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლი). თუ მეპატრონე მოითხოვს შემსრულებლისაგან საქმეების შეწყვეტას, მაშინ იგულისხმება, რომ ის თვითონ შეუდგა მოქმედებას და ცხადია, შემსრულებელმა აღარ უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები. მეპატრონისათვის შეტყობინების. შეუძლებლობის შემთხვევაში შემსრულებელმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს დაწყებული საქმეები.

შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო (სამოქალაქო კოდექსის 972-ე მუხლი). შესრულებას შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ ხარჯები, არამედ შემოსავალიც. მაგალითად, მეპატრონის არყოფნის გამო შეზობელმა მეპატრონის მიწის ნაკვეთზე აიღო ბოსტნეული. რადგან აღების დაგვიანება ბოსტნეულის გაფუჭებას გამოიწვევდა, და გაყიდა. ბოსტნეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი შემსრულებელმა მეპატრონეს უნდა გადასცეს. ამიტომ ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს არა მარტო გაწეულ ხარჯებზე, არამედ მიღებულ შემოსავალზეც.

შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ მხოლოდ იმ ხარჯების, რომლებიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება მიჩ-

ნეული (სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლი). აქ იგულისხმება ის ხარჯები, რომლის გაწევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქონების დაღუპვის ან დაზიანებისაგან გადარჩენა ან პირისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება.

ხარჯების გადახდის დაკისრებასთან ერთად კანონი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის დროსაც გაწეული ხარჯების გადახდის მოთხოვნა დაუშვებელია. კერძოდ, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს, მაგალითად, მეპატრონემ კანონით დადგენილი წესით მიატოვა ნივთი, შემსრულებელმა კი გარკვეული ხარჯები გასწია მის დასაცავად. ასეთი შესრულება არ შეესაბამება მეპატრონის ნებას. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა, რომ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით მიყენებული ზიანი.

ხარჯების გადასდის მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება და შემსრულებელს ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს (სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლი). მაგალითად, იმ პირის სიცოცხლის გადარჩენა, რომელმაც გადაწყვიტა თვითმკვლელობა, ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, მაგრამ ეს ნება კანონსაწინააღმდეგოა.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად არ ჩაითვლება, თუ პირი სხვისი საქმის შესრულებისას ვარაუდობდა, რომ ეს მისი საქმე იყო (სამოქალაქო კოდექსის 975-ე მუხლი). აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პირი თავისი ვარაუდით თავის საქმეს ასრულებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მისი საქმე არ ყოფილა. მაგალითად, პირმა ქარისაგან დაზიანებული გარდაცვლილი მამის სახლის სახურავი შეაკეთა, რათა სახლი წვიმისაგან არ დაზიანებულიყო. ის ვარაუდობდა, რომ

ასრულებდა თავის საქმეს, რადგან მამის ერთადერთი მემკვიდრე იყო, ფაქტობრივად შეუდგა სახლის ფლობას და სახლს თავისად თვლიდა. აღმოჩნდა, რომ მამამ სახლი სულ სხვა პირს დაუტოვა ანდერძით.

თავი XXX

საბანკო გარანტია

საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი).

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საბანკო გარანტიის შინაარსს უპირველესად წარმოადგენს გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება, რასაც ის საბანკო გარანტიის გაცემით კისრულობს. გარანტის მიერ საბანკო გარანტიის გაცემას წინ უსწრებს შეთანხმება გარანტსა და პრინციპალს შორის. ამ შეთანხმების შემდეგ გარანტი წერილობით გასცემს საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიის გაცემით დასტურდება გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებობა. მაშასადამე, ბენეფიციარისათვის წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა იურიდიული შემადგენლობის საფუძველზე: გარანტსა და პრანციპალს შორის დადებული ხელშეკრულებით და გარანტის ცალმხრივი გარიგებით (საბანკო ვარანტიის გაცემით).

საბანკო გარანტიისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებუ-

ლი სუბიექტური შემადგენლობა. გარანტი შეიძლება იყოს არა ყოველი პირი, არაუედ მხოლოდ კანონში მითითებული. ესენია: ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია. პირი, რომელიც მიმართავს გარანტს საბანკო გარანტიის მიცემის თხოვნით (პრინციპალი) წარმოადგენს მოვალეს ძირითად ვალდებულებაში, ხოლო პირი, რომელსაც გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს (ბენეფიციარი) წარმოადგენს კრედიტორს ძირითად ვალდებულებაში.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული ხელშეკრულებიდან. მაგალითად, საბანკო გარანტია შეიძლება გაიცეს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული ნესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად (ამ ვალდებულებას ძირითად ვალდებულებას უწოდებენ იმ ვალდებულებისაგან ერთმანეთის მიზნით, რომელიც გარანტსა და ბენეფიციარს შორის წარმოიშობა).

მართალია, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ძირითადი ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადოდ შესრულებას, მაგრამ საბანკო გარანტიას განსაზღვრული ავტონომია გააჩნია. გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე დამოკიდებული არ არის ძირითადი ვალდებულებისაგან, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ის არის გაცემული. სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლით დადგენილია, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. საბანკო გარანტია ძალას ინარჩუნებს ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემთხვევაშიც. ბენეფიციარის წინაშე გარანტის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობა ვლინდება იმა-

ში, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ გარანტიის პირობების დაუცველობა, რასაც კავშირი არა აქვს ძირითად ვალდებულებასთან.

საბანკო გარანტია სასყიდლიანია. მისი მიცემისათვის პრინციპალი უხდის გარანტს საზღაურს, რომლის ოდენობა მათი შეთანხმებით განისაზღვრება (სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლი).

საბანკო გარანტიით შეიძლება გათვალისწინებული იყოს გარანტიის ძალაში შესვლის დღე (მაგალითად, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ საბანკო გარანტია ძალაში შევა ძირითადი ვალდებულების აღმოცენების მომენტიდან და სხვ.) თუ გარანტიით მისი ძალაში შესვლის დღე გათვალისწინებული არ არის, მაშინ ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან (სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლი).

საბანკო გარანტია გაიცემა განსაზღვრული ვადით, რაც თვით გარანტიაში უნდა იყოს მითითებული. ეს ვადა შეიძლება დადგენილი იქნეს განსაზღვრულ თარიღზე მითითებით, რომლის შედეგადაც გარანტია წყვეტს მოქმედებას ან განისაზღვროს მისი მოქმედების ვადით (მაგალითად, მისი გაცემიდან ექვსი წლით, ერთი წლით და ა.შ.).

საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, ე.ი. გარანტს, რომელმაც იკისრა ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა, აღარ შეუძლია უარი თქვას მასზე, თუმცა შესაძლებელია, რომ გარანტიით სხვა რამ იყოს გათვალისწინებული, ე.ი. შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვის შესაძლებლობა (სამოქალაქო კოდექსის 882-ე მუხლი).

კანონი არ უშვებს ბენეფიციარის მიერ გარანტის მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირისათვის გადაცემას, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლი). მაშასადამე, შესაძლებელია გარანტი-

ით გათვალისწინებული იყოს ბენეფიციარის მიერ სხვა პირისათვის მოთხოვნის უფლების დათმობის შესაძლებლობა. მაგრამ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის საერთო წესისაგან განსხვავებით, საჭიროა მოვალის (გარანტის) თანხმობა. გარანტის თანხმობა შეიძლება წინასწარ იყოს გათვალისწინებული გარანტიის ტექსტში ან შემდგომში იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის წაყენებამდე.

როგორც აღნიშნული იყო გარანტი პრინციპალის თხოვნით კისრულობს ბენეფიციარისათვის ფულადი თანხის გადახდას.

გარანტი ბენეფიციარს ფულს უხდის ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, წერილობით მოთხოვნას თან უნდა დაერთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის საფუძველს წარმოადგენს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების პირობების დარღვევა, ამიტომ მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ამასთან დადგენილია ბენეფიციარის მიერ წერილობითი მოთხოვნის ვადა. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც გარანტია გაიცა (სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი).

სათანადო ფორმის დაცვით მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა ამის შესახებ უნდა აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მას მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. ამასთან გონივრულ ვადაში უნდა განიხილოს ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს (სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლი).

დავის არსებობისას შეფასება იმისა, გარანტის მიერ მოთხოვნის განხილვის ვადა არის თუ არა გონივრული, უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გარანტსა და ბენეფიციარს შორის ასეთი

დავის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ მომენტის განსაზღვრისათვის, რომელი მომენტიდანაც გარანტი შეიძლება ჩითვალოს მოვალედ, რომელმაც გადააცილა ფულადი ვალდებულების შესრულება.

თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს (მაგალითად, პირობას თანხის ოდენობის შესახებ) მაშინ გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტმა ბენეფიციარს მოთხოვნაზე მაშინაც უნდა უთხრას უარი, როცა მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები ბენეფიციარმა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ წარადგინა. მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს.

შესაძლებელია ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტით უზრუნველყოფილი ვალდებულება შეასრულოს პრინციპალმა, შეწყდეს სხვა საფუძვლებით ან ბათილად იქნეს ცნობილი. თუ აღნიშნული ცნობილი გახდა გარანტისათვის, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარს და პრინციპალს, მაგრამ ასეთი შეტყობინების მიუხედავად გარანტმა უნდა დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა, თუ ეს უკანასკნელი ხელმეორედ მოითხოვს დაკმაყოფილებას (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლი). მაშასადამე, ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე პრინციპალის მიერ ვალდებულების შესრულება, ვალდებულების შეწყვეტა სხვა საფუძვლებით ან ვალდებულების ბათილად ცნობა არ შეიძლება წარმოადგენდნენ გარანტის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულებას შესრულებისაგან განთავისუფლების საფუძველს. გარანტს აქვს მხოლოდ იმის უფლება, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულ გარემოებათა შესახებ ბენეფიციარს და პრინციპალს თუმცა, მიუხედავად ასეთი შეტყობინებისა ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა გარანტმა უნდა დააკმაყოფილოს. გარანტის მიერ ბენ-

ეფიციარისა და პრინციპალისათვის ვალდებულების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შესახებ შეტყობინებას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ გარანტი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად ბენეფიციარის წინაშე მანამდე, ვიდრე არ მიიღებს განმეორებით წერილობით მოთხოვნას და არ გავა ამ მოთხოვნის განხილვისათვის საჭირო გონივრული დრო.

ბენეფიციარის მიერ ხელმეორედ მოთხოვნას შეიძლება მოჰყვეს ძირითადი ვალდებულების ორმაგად შესრულება მოვალის და გარანტის მიერ. თუ ბენეფიციარის მოთხოვნით გარანტი შეასრულებს თავის ვალდებულებას, ძირითად მოვალესთან ერთად, მაშინ გარანტს შეუძლია მოითხოვოს ორივე შესრულების დაბრუნება.

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია (სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლი) მაგალითად, თუ გარანტმა იკისრა ბენეფიციარისათვის 500 ლარის გადახდა, ხოლო ძირითადი ვალდებულების თანხა 1000 ლარია, გარანტი ბენეფიციარს გადაუხდის არა 1000, არამედ 500 ლარს. თუ გარანტი თავის დროზე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის ვალდებულებას, მაშინ ის პასუხს აგებს საერთო საფუძვლებით.

კანონი ჩამოთვლის გარანტის ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს. გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

ა) ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია, ე.ი. ვალდებულება შეწყდება გარანტის მიერ თავისი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებით;

ბ) გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;

გ) ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისას და მათი გარანტისათვის დაბრუნებ-

ისას. ამ შემთხვევაში ვალდებულება წყდება ბენეფიციარის ცალმხრივი ნების გამოვლენით. უნდა მივიჩნიოთ, რომ ბენეფიციარმა უარი თავის უფლებებზე წერილობით უნდა გამოხატოს.

რამდენადაც საბანკო გარანტია დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან, ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა არ გამოიწვევს გარანტის ვალდებულების შეწყვეტას. გარანტის ვალდებულების შეწყვეტა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ კანონში მითითებულმა გარემოებებმა.

გარანტმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა გარანტიის შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის თაობაზე პრინციპალს (სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლი).

მას შემდეგ, რაც გარანტი აუნაზღაურებს ბენეფიციარს საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, გარანტს უფლება აქვს რეგრესის წესით მოითხოვოს ეს თანხა პრინციპალისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ ასეთი მოთხოვნის უფლება განსაზღვრულია პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია. მაშასადამე, გარანტის მიერ პრინციპალისათვის რეგრესული მოთხოვნის შესაძლებლობა განისაზღვრება არა კანონით, არამედ ხელშეკრულებით. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

გარანტი ვერ მოითხოვს პრინციპალისაგან იმ თანხას, რომელიც მას აუნაზღაურა, თუ ანაზღაურება მოხდა გარანტის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო. თუმცა, კანონი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ იყოს გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლი).

თავი XXXI

თავდებობის ხელშეკრულება

თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად (სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლი).

თავდებობა არის ხელშეკრულება კრედიტორსა და თავდებს შორის. თავდებობისას ვალდებულების შესრულებისათვის კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობას მოვალესთან ერთად კისრულობს სხვა პირი — თავდები. ეს კი კრედიტორისათვის მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას ქმნის. მაგალითად, სოფრომაძემ ასესხა ფული მოდებაძეს, გიორგაძე კი მოდებაძესთან ერთად კრედიტორის (სოფრომაძის) წინაშე კისრულობს პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულებისათვის (ვალის დაბრუნებისათვის).

თავდებობის ხელშეკრულებით ხდება რეალურად არსებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა, მაგრამ კანონი შესაძლებლად მიიჩნევს თავდებობის გამოყენებას სამომავლო და პირობითი ვალდებულებისთვისაც, ე.ი. იმ ვალდებულებებისთვისაც, რომლებიც მომავალში წარმოიშობიან ან რომელთა წარმოშობა განსაზღვრული პირობის დადგომასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, თავდები კისრულობს ვალდებულებას იმ შემთხვევისათვის, თუ ბანკი კრედიტს მისცემს განსაზღვრულ პირს.

სამოქალაქო კოდექსი არ მიუთითებს იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს თავდებობით, მაშასადამე, თავდებობით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ყოველი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულება.

თავდებობის ხელშეკრულება მოითხოვს წერილობით ფორმას. იმისათვის, რომ თავდებობა ნამდვილად ჩაითვალოს, საჭიროა, ჯერ ერთი, თავდების წერილობითი განცხადება .(განცხადება

იმის შესახებ, რომ თავდები ითანხმაა იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მესამე პირის ვალდებულების შესრულებისათვის) და მეორე, თავდებობის დოკუმენტი (ხელშეკრულება), რომელშიც აუცილებლად მითითებული უნდა იყოს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა.

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა მითითებული ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი თავდებობის ნამდვილობისათვის. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ვინმე თავდებობის შესახებ განაცხადებს თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში (სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლი). მაგალითად, წერილობითი ფორმა არ არის სავალდებულო, როცა ერთი ხელოსანი თავის შეგირდს თავდებად უდგება მეორე ხელოსნის წინაშე, რომ შეგირდი ამა თუ იმ სამუშაოს მაღალ დონეზე შეასრულებს.

თავდებობის ურთიერთობა მოვალის კრედიტორსა და თავდებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან წარმოიშობა, მაგრამ თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა, ე.ი. ის ვალდებულება, რომელიც არსებობს კრედიტორსა და იმ პირს (ძირითად მოვალეს) შორის, რომელსაც იგი თავდებად დაუდგა კრედიტორის წინაშე. აღნიშნულის გამო თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და იმ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება, რომელსაც ძირითადი მოვალე თავდებობის აღების შემდეგ დადებს (სამოქალაქო კოდექსის 893-ე მუხლი).

როგორც აღნიშნული იყო, თავდები კისრულობს კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობას. მესამე პირის (ძირითადი მოვალის) ვალდებულების შეუსრულებლობა ყოველთვის არ აძლევს კრედიტორს თავდებისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას. თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. ამ მიზნით მან უნდა

მიმართოს სასამართლოს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იძულებით აღსრულება ვერ მოხერხდება (ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობის გამო და სხვ.), შეუძლია მიმართოს თავდებს (სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი). ამასთან, ზოგჯერ შესაძლებელია თავდებისათვის მოთხოვნის წაყენება იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც. თავდებისათვის იძულებულითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნის წაყენება შეიძლება, თუ:

ა) თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით (როცა თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება როგორც მოვალის, ისე თავდებისაგან). თანაბარმნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, მაგალითად, შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ თავდები კისრულობს სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

ბ) ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა (სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი).

შესაძლებელია ერთი და იმავე ვალდებულების შესრულებისათვის თავდებობა რამდენიმე პირმა იკისროს ერთობლივად. ასეთ შემთხვევაში ისინი კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. თუ ერთი და იმავე ვალდებულების შესრულებისათვის რამდენიმე პირმა იკისრა პასუხისმგებლობა, მაგრამ არა ერთობლივად, არამედ ცალ-ცალკე, ამ შემთხვევაშიც ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (სამოქალაქო კოდექსის 896-ე მუხლი).

დასაშვებია იმის შესაძლებლობა, რომ პირმა ავალდებულოს კრედიტორის წინაშე წინამორბედ თავდებთა ნაკისრი ვალდებულების შესრულება. აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მოვალეს ჰყავდა თავდები (ერთი ან რამდენიმე), მაგრამ კიდევ ახალმა თავდებმა იკისრა თავდებობა. ასეთ შემთხვევაში ახალი თავდები პასუხს აგებს წინა თავდებთან ერთად, როგორც

ჩვეულებრივი თავდები ძირითად მოვალესთან ერთად. მიმასადამე, ასალი თავდები, რომელმაც წინამორბედ ნაკისრი ვალდებულების შესრულება ივალდებულა, მაშინ აგებს პასუხს, თუ კრედიტორი შეეცადა წინამორბედ თავდებთა მიმართ იძულებით აღსრულებას (სამოქალაქო კოდექსის 897-ე მუხლი)

კანონი განსაზღვრავს თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებს. როგორც აღნიშნული იყო, თავდებობის ხელშეკრულებაში აუცილებელია თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. ეს თანხა შეიძლება ძირითადი ვალდებულების ტოლი არ იყოს, მაგრამ თავდები პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე. თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, თავდები პასუხს აგებს აღნიშნული ზღვრული თანხის ოდენობამდე:

ა) ძირითადი ვალის შესაბამისი თანხისათვის, კერძოდ, მაშინაც, როცა ძირითადი ვალი შეიცვალა ძირითადი მოვალის ბრალის ან გადახდის ვადის გადაცილების გამო (მაგალითად, ძირითადი ვალი გაიზრდება, თუ ვალს დროულად დაუბრუნებლობის გამო დაერიცხება საურავი). სახელშეკრულებო პირგასამტეხლის ან ზიანის საერთო თანხისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დარღვევის დროისათვის, თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული.

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯებისათვის, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ძირითადი მოვალის მიერ, თუკი თავდებს ჰქონდა შესაძლებლობა კრედიტორის დაკმაყოფილებით თავიდან აეცილებინა იგი. აქ ისეთი შემთხვევა იგულისხმება, როცა თავდებს შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოვალის კრედიტორი, მაგრამ უარი განაცხადა იმის გამო, რომ კრედიტორს ჯერ მოვალისაგან უნდა ეცადა დაკმაყოფილების მიღება, კრედიტორის მიერ სასამართლოისათვის მიმართვამ კი გამოიწვია დამატებითი ხარჯები, კერძოდ, სასამართლო ხარჯე-

ბი. რადგან თავდებს შეეძლო ამ ხარჯების თავიდან აცილება, კანონი აკისრებს მას ამ თანხის გადახდის მოვალეობას).

გ) ძირითადი მოვალის მიერ ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელი პროცენტებისათვის, თუ ეს პირდაპირ იყო შეთანხმებული (სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლი).

თავდებს შეუძლია წარმოადგინოს კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. თავდებს შესაგებლის წამოყენება შეუძლია ძირითადი მოვალისაგან დამოუკიდებლად ისე, რომ მოვალე საქმეში არ ჩააბას. ის არ კარგავს შესაგებლების წამოყენების უფლებას მაშინაც, თუ ძირითადი მოვალე უარს ამბობს მასზე. მაშასადამე, თავდების შესაძლებლობა ამ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ შესაგებლებით, რომელთა წამოყენება შეუძლია ძირითადი ვალდებულების მოვალეს. ამასთან თავდების უფლება არ მცირდება იმით, რომ მოვალემ აღიარა ვალი ან უარი თქვა კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ რაიმე შესაგებლის წამოყენებაზე.

თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე (სამოქალაქო კოდექსის 899-ე მუხლი). მაგალითად, თუ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო არ არის საკმარისი გარდაცვლილი ძირითადი მოვალის ვალდებულების შესასრულებლად, თავდები ვერ მოითხოვს, რომ იგი გაანთავისუფლონ კრედიტორის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან.

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაში, თუ ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადაო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას, ე.ი. კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის დადებული გარიგება (მაგალითად, თუ მოვალეს შეუძლია სადაო გახადოს გარიგება, როგორც მოტყუებით დადებული). თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადაო გახადოს გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 900-ე მუხლი).

თავდების პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს კრედიტორის მიერ თავდების საზიანოდ საგირავნო უფლების ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებების და შელავათების შემცირების შემთხვევაში. ცხადია, ასეთი შეიძლება მოხდეს, როცა თავდებობის გარდა ვალდებულების შესრულება სხვა საშუალებითაცაა უზრუნველყოფილი (მაგალითად, გირავნით, ბეთი და ა.შ.). თავდების პასუხისმგებლობა მცირდება იმ თანხის შესაბამისად, რომლითაც კრედიტორმა შეამცირა საგირავნო უფლებები ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებები (სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლი), მაგალითად, ნიორაძემ ფარულავასაგან ისესხა 10000 ლარი. სესხის უზრუნველსაყოფად ნიორაძემ დააგირავა თავისი ავტომობილი „ოპელი", რომლის მართვის უფლება გადასცა ფარულავას. გარდა ამისა, ნიორაძეს თავდებად დაუდგა ებრალიძე. ფარულავამ სიმთვრალეში მოახდინა ავარია, რის შედეგადაც ავტომობილი დაიმტვრა და მისი ღირებულება ნახევრამდე შემცირდა. მაშასადამე, კრედიტორმა გირაო შეამცირა და თავდების პასუხისმგებლობაც შესაბამისად უნდა შემცირდეს.

კრედიტორს ევალება აცნობოს თავდებს მოვალის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შესახებ ასევე თავდების მოთხოვნით ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ვალის მდგომარეობის შესახებ. კრედიტორის მიერ ამ მოვალეობათა შეუსრულებლობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს თავდებს, ამიტომ თუ აღნიშნულიდან კრედიტორი თუნდაც ერთ-ერთ მოქმედებას არ შეასრულებს, მაშინ კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს (სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლი). მაგალითად, მოვალემ გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადა, რის შესახებაც კრედიტორმა არ შეატყობინა თავდებს. ძირითადი ვალი შეადგენდა 50000 ლარს, საურავმა კი ექვსი თვის გასვლის შემდეგ შეადგინა 1500 ლარი იმის გამო, რომ კრედიტორმა არ შეასრულა შეტყობინების მოვალეობა, თავდებს შეუძლია უარი თქვას დამატებით 1500 ლარის გადახდაზე.

თავდებობა შეიძლება იყოს ვადიანიც და უვადოც. თუ თავდებობის ხელშეკრულებით ვადა გათვალისწინებული არ იყო, თავდებს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, მაგრამ ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით. ვადიანი თავდებობისას ხუთი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სამთვიანი ვადის დაცვით, თუნდაც ხელშეკრულება უფრო მეტი ვადით იყოს დადებული. თავდებს საერთოდ შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ვალდებულება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის მოვალეა შეასრულოს შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებანი (სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლი).

თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად კანონი ითვალისწინებს თავდების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას. დადგენილია საფუძვლები, რომელთა არსებობა თავდებს უფლებას აძლევს მოითხოვოს თავდებობისაგან განთავისუფლება, როგორც იმ შემთხვევაში, როცა პირი კისრულობს თავდებობას მოვალის დავალებით, ასევე მაშინაც, როცა პირი კისრულობს თავდებობას დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად. თავდებს შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან განთავისუფლება, თუ:

ა) ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;

ბ) თავდებობის დადგენის შემდეგ ძირითადი მოვალისაგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;

გ) კრედიტორს თავდების წინააღმდეგ აქვს შესრულებაზე საალსრულებლო წარწერის მქონე დოკუმენტი.

თუ არსებობს თავდების ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველი, მაგრამ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ გასულა, მოვალეს შეუძლია განთავისუფლების ნაცვლად მისცეს თავდებს უზრუნველყოფა (სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლი).

ამას შემდეგ, რაც თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. თავდები იძენს უფლებას მოითხოვოს მოვალისაგან შესრულება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მან შეასრულა კრედიტორის მოთხოვნა. როგორც აღნიშნული იყო, თავდებობის გარდა ვალდებულება იმავე დროს სხვა საშუალებებითაც შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი, მაგალითად გირავნით. მას შემდეგ, რაც თავდები შეასრულებს ვალდებულებას, მასზე გადადის ძირითადი ვალდებულების კრედიტორის უფლებები და მაშასადამე, მასზე უნდა გადავიდეს კრედიტორის, როგორც მოვირავნის უფლებაც, თუნდაც დამგირავებელი მესამე პირი იყოს.

თუ ძირითად მოვალეს აქვს რაიმე შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, შესაგებელი ხელუხლებელი რჩება (სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლი). მოვალეს მას შემდეგაც შეუძლია წაუყენოს შესაგებელი თავდებს, როცა თავდებმა უკვე დააკმაყოფილა კრედიტორის მოთხოვნა.

თავი XXXII

საზიარო უფლებები

§1. საზიარო უფლების ცნება

შესაძლებელია რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნოდეს ესა თუ იმ უფლება, მაგალითად, საკუთრების უფლება ნივთზე (საერთო საკუთრების უფლება), აღნაგობის უფლება, დამქირავებლის უფლება და სხვა. როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის ესა თუ ის უფლება, მაშინ მათ ეს უფლება საზიაროა. საზიარო უფლების თითოეულ მონაწილეს აქვს თავისი წილი ამ უფლებაში და ისინი მოწილეებად იწოდებიან.

საზიარო უფლებები შეიძლება სხვადასხვა საფუძვლებიდან

წარმოიშვან, მაგალითად, კანონიდან, ხელშეკრულებიდან და სხვ. კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს ვაყოფამდე მემკვიდრეებს სამკვიდროზე საზიარო უფლება აქვთ. ამ შემთხვევაში საზიარო უფლება კანონის ძალით წარმოიშობა. თუ რამდენიმე პირმა ერთად იყიდა ნივთი, მაშინ მათაც საზიარო უფლება ექნებათ ამ ნივთზე, მაგრამ ეს უფლება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი იქნება. ამიტომ საზიარო უფლებები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნებიან არა იმის გამო, რომ ისინი მხოლოდ კანონის ძალით წარმოიშობიან, არამედ იმიტომ, რომ მოწილეთა უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოიშობიან, მოწილეთა შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.

სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები (იგულისხმება სამოქალაქო კოდექსის ის თავი, რომელიც საზიარო უფლებებს ეხება). თუ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ამიტომ ქვემოთ განხილული წესების გარდა კანონით საზიარო უფლებებთან დაკავშირებით შეიძლება სხვა წესებიც იქნეს დადგენილი. მაგალითად, მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრეებს აქვთ საერთო საკუთრება სახლის ზოგიერთ ნაწილზე (კიბეებზე, სახურავზე და სხვა) ე.ი. ბინის მესაკუთრეებს აქვთ საზიარო უფლებები, მაგრამ კანონი ამ საკუთრების რეგულირების ზოგიერთ განსხვავებულ წესს ითვალისწინებს.

ჩვეულებრივ თითოეულ მოწილეს თანაბარი წილი აქვს, მაგრამ შესაძლებელია სპეციალურად სხვა რამ იყოს დადგენილი, ე.ი. თითოეულის წილი არ იყოს თანაბარი. მაგალითად, საზიარო საგნის ნახევარი ეკუთვნის ერთ მოწილეს, ერთი მეოთხედი მეორეს და ა.შ. (სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი). თითოეული მოწილეს წილის თანაზომიერად ეკუთვნის ასევე ნაყოფის წილი. თუ მაგალითად, ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს ერთ მეოთხედს, მაშინ მას ეკუთვნის საზიარო საგნიდან

მიღებული შემოსავლის ერთი შეოთხედი.

თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას (სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც საზიარო უფლებებს ეხებიან, უპირატესად მხედველობაში აქვთ საერთო საკუთრებიდან გამომდინარე საზიარო უფლებები. როგორც აღნიშნული იყო, საზიარო უფლების საგანი საერთო საკუთრების გარდა შეიძლება სხვაც იყოს, მაგრამ მათთვის კანონი უმეტეს შემთხვევაში სხვა წესებს ადგენს.

საერთო საკუთრება ქონებაზე შეიძლება სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიშვას — მემკვიდრეობით, ქორწინებით, ნივთის ერთობლივად შეძენით, ერთობლივი საქმიანობის შედეგად, მასალის გადამუშავების შედეგად და ა.შ. საერთო საკუთრებისათვის დამახასიათებელია საკუთრების უფლების სუბიექტთა სიმრავლე, რომლებიც საერთო საკუთრების მონაწილეები (თანამესაკუთრეები) არიან, სწორედ თანამესაკუთრეები არიან საზიარო უფლებების მატარებლები.

კანონი საერთო საკუთრების ორ სახეს ითვალისწინებს — წილად და თანაზიარ საერთო საკუთრებას.

წილადი საკუთრების დროს თანამესაკუთრეს ეკუთვნის უფლება განსაზღვრულ წილზე 1/3-ზე, 1/4-ზე, 2/4-ზე და ა.შ. თითოეულ მესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრების წილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თითოეული მესაკუთრის უფლება შეზღუდული არ არის საერთო ნივთის რაიმე კონკრეტული ნაწილით, არამედ ვრცელდება მთელ ნივთზე.

წილადი საკუთრებისაგან განსხვავებით თანაზიარი საკუთრების თითოეულ მონაწილეს არა აქვს საერთო საკუთრების უფლებიდან წინასწარ განსაზღვრული წილი (ასეთებია მეუღლეთა და კომლის წევრთა საერთო საკუთრება). თანაზიარი საკუთრების დროსაც თანამესაკუთრეებს საზიარო უფლებები აქვთ, მაგრამ ისინი სპეციალური ნორმებით რეგულირდებიან, საზიარო

უფლებების მარეგულირებელი ნორმების არსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი საერთო წილად საკუთრებაზე ვრცელდებიან.

2. საზიარო საგნის მართვა

მოწილეები საზიარო საგანს ერთობლივად მართავენ. მათ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. თითოეული მოწილის ხმა წილთა მიხედვით გამოითვლება (მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს 1/4-ს, მაშინ მას აქვს საერთო ხმების 1/4).

თუ საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ მოწილეები არ შეთანხმებულან, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესების შესაბამისი მართვა.

არ დაიშვება წილზე ცალკეული მოწილის უფლების შემცირება სხვა მოწილეთა გადაწყვეტილებით. მოწილის წილი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ მისი თანხმობით (სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლი).

საზიარო უფლება შეიძლება გადავიდეს სხვა პირზე – უფლებამონაცვლეზე (მაგალითად, მემკვიდრეზე, რომელზედაც გადავიდა მოწილის წილი და სხვ.) ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლის მიმართაც გამოიყენება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, რაც მოწილეებმა განსაზღვრეს (სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლი).

შესაძლებელია საზიარო საგნის როგორც მთლიანად, ასე წილის განკარგვა, საგნის მთლიანად განკარგვისათვის საჭიროა ყველა მოწილის თანხმობა. წილის განკარგვის უფლება კი ყველა მოწილეს აქვს ისე, რომ საჭირო არ არის სხვა მოწილეთა თანხმობა, მაგრამ სხვა მოწილეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის

უფლება (სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლი).

საზიარო საგნის მოვლამ, მართვამ, სარგებლობამ და სხვა შეიძლება ხარჯები გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია თავისი წილის თანაზომიერად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 960-ე მუხლი). მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი ერთი მეოთხედია, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ხარჯების მეოთხედი.

3. საზიარო უფლების გაუქმება

საზიარო უფლების გასაუქმებლად საკმარისია თუნდაც ერთ-ერთი მოწილის მოთხოვნა, თუმცა მოწილეებს შეუძლიათ შეთანხმებით გამორიცხონ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობა. მოწილეთა შეთანხმებით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობა შეიძლება გამორიცხოს სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით. მაგრამ მაშინაც კი, როცა მოწილეთა შეთანხმებით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, მოწილეს შეუძლია მოითხოვოს მისი გაუქმება, თუ არსებობს პატივსადები მიზეზი (მაგალითად, პატივსადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოწილის ურთიერთობა სხვა მოწილეებთან იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელია საზიარო საგნის ერთობლივად მართვა). თუ მოწილეები საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლების გამორიცხვის ან შეზღუდვის შესახებ აღნიშნული წესების საწინააღმდეგოდ შეთანხმდნენ, მაშინ ასეთი შეთანხმება ბათილია (სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი). მაგალითად, შეთანხმება იმის შესახებ, რომ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხოს პატივსადები მიზეზების არსებობის დროსაც, ბათილად იქნება ცნობილი.

შეთანხმება, რომლითაც მოწილეებმა გამორიცხეს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება, ძალას კარგავს ასევე

მოწილის გარდაცვალებით, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული (სამოქალაქო კოდექსის 962-ე მუხლი).

საზიარო უფლების გაუქმებისას, ცხადია, საზიარო უფლება უნდა გაიყოს მოწილეთა შორის თითოეულის წილის შესაბამისად. საზიარო უფლება იყოფა ნატურით, ხოლო თუ ეს გამორიცხულია, საზიარო საგნის გაყიდვით და ამონაგების განაწილებით.

საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფით, თუ საზიარო საგანი გაყოფადია, ე.ი. როცა მისი დაყოფა შეიძლება ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე (მაგალითად, ნატურით შეიძლება გაიყოს სადავო ნედლეული და სხვ.) გაყოფა უნდა მოხდეს თითოეული წილის შესაბამისად, მაგრამ თუ მოწილეებს თანაბარი წილი აქვთ, მაშინ წილის განაწილება მოწილეებს შორის ხდება კენჭისყრით. მაგალითად, თუ ოთხი მოწილეა და თითოეულის წილი შეადგენს ერთ მეოთხედს, მაშინ საგნის თუ რომელი მეოთხედი შეხვდება ამა თუ იმ მოწილეს, გადაწყდება კენჭისყრით (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი).

ზოგჯერ საზიარო საგნის ნატურით გაყოფა შეუძლებელია (მაგალითად ნატურით არ გაიყოფა ავტომობილი). ასეთ შემთხვევაში უნდა გაიყოს საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის (მაგალითად, როცა სოლიდარული კრედიტორები დაკმაყოფილებას იღებენ დაგირავებული ნივთიდან) ან მიწის ნაკვეთის (მაგალითად, როცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყოფა არ დაიშვება, რადგან გაყოფის შემდეგ თითოეული მოწილის წილი კერ უზრუნველყოფს სიცოცხლისუნარიანი მეურნეობის არსებობას) ვაყიდვით მიღებული ამონაგები. მიწის ნაკვეთის გაყიდვისას გამოიყენება აუქციონზე ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეთა შორის (სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლი).

საზიარო უფლების გაუქმებისას თითოეულ მოწილეს შეუ-

ძლია საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯების (ვალების) გადახდა მოითხოვოს საზიარო საგნიდან. საზიარო საგნიდან ვალების გადახდისას მოწილეები სოლიდარული მოვალეები არიან, რადგან ვალებისათვის პასუხისმგებელია თითოეული და ყველა მოწილე. თუ ვალის გადახდის მიზნით აუცილებელია საზიარო საგნის გაყიდვა (როცა ვალის ნატურით გადახდა არ ხერხდება), მაშინ საზიარო საგანი უნდა გაიყიდოს ისეთივე წესით, როგორითაც იყიდება მაშინ, როცა საზიარო საგნის ნატურით გაყოფა გამორიცხულია (სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლი).

მოწილეს სხვა მოწილის მიმართ შესაძლებელია ჰქონდეს საზიარო უფლებაზე დამყარებული მოთხოვნა. მაგალითად, მოწილეს სხვა მოწილისაგან შეუძლია მოითხოვოს საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა, ხარჯების თავის დროზე გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვა, თუ ასეთი მოთხოვნა არსებობს საზიარო უფლების გაუქმებისას, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაფარვა საზიარო ქონების იმ წილიდან, რომელიც მოვალეს ერგება (სამოქალაქო კოდექსის 966-ე მუხლი).

საზიარო უფლების გაუქმებისას შესაძლებელია მოწილეთა ნებით ან სხვა საფუძვლით (მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებით) საზიარო საგანი ერთ-ერთ მოწილეს მიეკუთვნოს. დანარჩენი მოწილეები მიიღებენ შესაბამის კომპენსაციას. თუ საზიარო საგანს, რომელიც ერთ-ერთ მოწილეს მიეკუთვნა, ნაკლი აღმოაჩნდება, მაშინ ყველა დანარჩენი მოწილე პასუხს აგებს ისე, როგორც გამყიდველი – ნივთის ნაკლის ან უფლების ნაკლის გამო (სამოქალაქო კოდექსის 967-ე მუხლი).

საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა მოთხოვნათა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელზედაც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 968-ე მუხლი).

თავი XXXIII

დელიქტური ვალდებულებანი

1. ზოგადი დებულებები

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი). მაშასადამე, პირის მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენება წარმოშობს ვალდებულებას. ასეთი ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა. მოცემული სახის ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევა, ამიტომ მათ დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ. (დელიქტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამართალდარღვევას). მართალია, 992-ე მუხლში მოქმედებით მიყენებულ ზიანზეა მითითებული, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ზიანი მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეიძლება მიეყენოს. ზიანი შეიძლება უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული. მაგალითად, უმოქმედობასთანაა დაკავშირებული ძცირეწლოვანზე სათანადო მეთვალყურეობის გაუწევლობა, რასაც შეიძლება ზიანი მიჰყვეს.

დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. როგორც ცნობილია, ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი (სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგი). დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ კანონით გათვალისწინებულ დელიქტურ ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმები გამოყენებული უნდა იქნეს იმ ზიანის ანაზღაურე-

ბისას, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევამ გამოიწვია. მაგალითად, გამჩუქებელმა განზრახ არ უნდა დამალოს გაჩუქებული ნივთის ნაკლი. თუ იგი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. მოცემულ შემთხვევაში ზიანის მიყენება ხდება იმ პირის მიერ, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებაშია დაზარალებულთან.

ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებაში პირი, რომელსაც ზიანი მიეყენა, (დაზარალებული) გამოდის კრედიტორის, ხოლო პირი, რომელმაც ზიანი მიაყენა (ზიანის მიმყენებელი) მოვალის სახით. კრედიტორი შეიძლება იყოს ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირი, მოვალე კი მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი, ე.ი. პირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი მოქმედებისათვის.

ზიანი შეიძლება მიეყენოს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირის ქონებას (ქონების განადგურებით, დაზიანებით და სხვა). ქონებრივის გარდა, ზიანი შეიძლება მორალურიც იყოს. მორალური ზიანი გარკვეულ სულიერ ვანცდებთან, ტანჯვასთანაა დაკავშირებული და მისი ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ კანონით, ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები). თუ მორალური ზიანი მიყენებულია ზიანთან ერთად, მაშინ ორივე უნდა ანაზღაურდეს, ხოლო, თუ მხოლოდ მორალური ზიანია მიყენებული, მაშინ მისი ანაზღაურება მოხდება ზიანის არ არსებობის მიუხედავად.

პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ: სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს

მიუძღვის ბრალი.

თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება, რადგან თუ ზიანი მიყენებული არ არის, მაშინ ასანაზღაურებელიც არაფერია.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილია, რომ ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება. იმ პირის მოქმედება, რომელსაც მინიჭებული აქვს ზიანის მიყენების უფლებამოსილება, მართლზომიერია და ზიანი არ ანაზღაურდება. მაგალითად, პირუტყვის განადგურება შავი ჭირის, ეპიზოოტიის დროს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გამონაკლისს, როცა ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება დადგეს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის არსებობის დროსაც – კერძოდ, უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანის დროს. სისხლის სამართლის კანონისაგან განსხვავებით, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებისათვის, სამოქალაქო კანონი, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებას აკისრებს იმას, ვინც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტისას კანონი ითვალისწინებს იმას, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ინტერესების დაცვა, რომელსაც საფრთხე ემუქრება, ძიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია საფრთხე. ამიტომ არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წართმევა. ზოგჯერ პირი ზიანის მიყენებისას მოქმედებს არა თავის, არამედ სხვის ინტერესებში. ამიტომ, კანონით დადგენილია, რომ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს

ანაზღაურებისაგან, როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი).

ზიანის მიმყენებლის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ბრალის ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს. ზიანის მიმყენებელი ერთნაირად აგებს პასუხს მიუხედავად იმისა, განზრახი მოქმედებით იყო მიყენებული ზიანი, თუ გაუფრთხილებლობით. კანონი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც (ზიანისთვის პასუხისმგებლობის პირობების შესახებ იხ. ამ წიგნის მე-5 თავი – „ზიანის ანაზღაურების მოვალეობა").

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ, თუ მათ ვინმესათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ჩადენილია დანაშაული და მაშინაც, როცა ქმედობა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ, სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ყოველთვის არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. თუ ზიანი მიყენებულია ისეთი მოქმედებით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს სანქციათა კუმულაციას – დამნაშავეს ერთდროულად დაეკისრება სისხლის სამართლის და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ზოგჯერ ზიანის მიმყენებელთან ერთად ზიანის მიყენებაში ბრალი დაზარალებულსაც მიუძღვის. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი შერეული ბრალის წესებით უნდა გადაწყდეს.

არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ზიანი სრულად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. ამ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ

ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით. მაგალითად, განადგურებული ნივთის სანაცვლოდ დაზარალებულს უნდა გადაეცეს იმავე გვარისა და ხარისხის ნივთი, ანდა ზიანის მიმყენებლის მიერ აღდგენილი უნდა იქნეს დაზიანებული ნივთი და ა.შ. ზოგჯერ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება.

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი. ამ ვადის დაწყებას კანონი ორ გარემოებას უკავშირებს – მომენტს, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ და მომენტს, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი).

§2. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები

არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.

არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს კანონი განსხვავებულად წყვეტს იმის მიხედვით ათი წლის ასაკს მიულწეველი, თუ ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის მქონე პირის მიერაა ზიანი მიყენებული.

ათი წლის ასაკს მიულწეველი არასრულწლოვანი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ათ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს არავინ არ აგებს. ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას კანონი აკისრებს მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს. მშობლების გარდა მეთვალყურეობაზე

ვალდებული პირები შეიძლება იყვნენ მეურვე (მზრუნველი, თუ ბავშვი შვიდ წელზე მეტი ასაკისაა), აღმზრდელობითი, სასწავლო, სამკურნალო დაწესებულებები, საბავშვო სახლები და სხვა ანალოგიური დაწესებულებები, რომლებიც ვალდებული არიან მეთვალყურეობა ვაუწიონ ბავშვებს. მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები ზიანისათვის დამოუკიდებლად აგებს პასუხს და არა სხვისი ბრალისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ ზიანისათვის, რომელიც ათი წლის ასაკს მიუღწეველმა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. ამასთან, მშობლების და მეურვის (მზრუნველის) პასუხისმგებლობის პირობები უფრო ფართოა, ვიდრე მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირებისა. მშობლის და მეურვის (მზრუნველის) ბრალი გამოიხატება როგორც იმაში, რომ მათ ზედამხედველობის გარეშე დატოვეს ბავშვი ზიანის მიყენების მომენტში, ასევე შვილების (სამეურველო პირების) ცუდად აღზრდაში, რასაც მოჰყვა ბავშვის ისეთი ქცევა, რომელმაც ზიანი მიაყენა სხვას. (მშობელი, რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა აღარ მონაწილეობს შვილის აღზრდაში. ამიტომ მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ბავშვის მიერ ზიანის მიყენებისათვის). მეთვალყურეობაზე სხვა პირების ბრალი კი გამოიხატება ზიანის მიყენების მომენტში ბავშვისათვის ზედამხედველობის გაუწევლობაში, (მიზანშეწონილი იქნება ზოგიერთი დაწესებულების, მაგალითად, საბავშვო სახლის, რომელშიც ბავშვი იზრდება, პასუხისმგებლობის პირობები გაუთანაბრდეს მშობლის ან მეურვის პასუხისმგებლობის პირობებს).

მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირების პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის გამო და სხვ.).

სხვა საწყისებზეა აგებული პასუხისმგებლობა ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი

პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. ამასთან, კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქონებრივ მდგომარეობას და ადგენს, რომ თუ მას არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც (მშობლებს, მზრუნველებს). მაშასადამე, ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანებისათვის დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობა. კანონიერი წარმომადგენელი პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე მხოლოდ ზიანის იმ ნაწილში, რომლის ანაზღაურებაც არასრულწლოვანს არ შეუძლია თავისი ქონებით ან შემოსავლით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონიერი წარმომადგენლების დამატებითი (სუბსიდიური) პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის მთლიანად (როცა, არასრულწლოვანს საერთოდ არ შეუძლია ზიანის ანაზღაურება) ან ნაწილის (როცა არასრულწლოვანის ქონება ან შემოსავალი არ არის საკმარისი ზიანის ანაზღაურებისათვის) ანაზღაურებაში.

არასრულწლოვანი და მისი წარმომადგენლები არ არიან სოლიდარული მოვალეები. დაზარალებულს არ შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს დაზარალებულის წარმომადგენელს, თვით დაზარალებულის გვერდის ავლით.

დამატებითი პასუხისმგებლობა შეწყდება ზიანის მიმყენებლის სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან, ასევე მაშინ, თუ არასრულწლოვანს სრულწლოვანების ასაკამდე გაუჩნდა ქონება, რომელიც საკმარისია ზიანის ასანაზღაურებლად ან, თუ სრულწლოვანების მიღწევამდე იძენს ქმედუნარიანობას.

ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს ზიანის მიყენებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო (სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლი).

სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება ჭკუასუსტ ან სულით ავადმყოფ პირს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა ზიანი სხვა პირს. კანონი არ მოითხოვს, რომ ასეთი პირი ზიანის მიყენების მომენტისათვის სასამართლოს მიერ ცნობილი იყოს ქმედუუნაროდ. შეიძლება ზიანის მიყენების მომენტისათვის პირი არ იყოს ცნობილი ქმედუუნაროდ. მაგრამ საკმარისია იმ ფაქტის არსებობა, რომ პირი ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფია.

ჭკუასუსტის ან სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე. მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი შეიძლება იყოს მეურვე (თუ ზიანის მიმყენებელი სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ იყო ცნობილი და დანიშნული ყავდა მეურვე, მშობელი (თუ მეურვე დანიშნული არ იყო, მაგრამ ზიანის მიმყენებელი არასრულწლოვანია), დაწესებულება, რომელსაც ევალებოდა მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე (მაგალითად, სამკურნალო დაწესებულება).

მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების ბრალი გამოიხატება ჭკუასუსტზე ან სულით ავადმყოფზე ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულების უგულებელყოფაში.

პირი, რომელსაც ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზიანი იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება (სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლი).

სრულწლოვანი პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველი, შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება და თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს. ამიტომ ასეთი პირის მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ის წესები, რომლებიც მოქმედებენ ათიდან

თვრამეტ წლამდე ასაკის პირის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში.

დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დროებით უგონო და სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა პირს ზიანის მიყენების მომენტში არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან წარმართოს იგი (ასეთი მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს გონების უეცარმა დაკარგვამ, სულიერმა მღელვარებამ, ძლიერმა ტკივილებმა და სხვ.

დროებითი უგონობის ან სულიერი მოშლილობის გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით პირი შეიძლება არ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. პირი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუნდაც ზიანი მიყენებული იყოს დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში, თუ მან თვითონ ჩააყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალების გამოყენებით. შესაძლებელია პირმა თვითონ ჩაიყენოს თავი აღნიშნულ მდგომარეობაში, მაგრამ მისი ბრალის გარეშე. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხება. მაგალითად, თუ ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღებამ (სამოქალაქო კოდექსის 996-ე მუხლი).

საშსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

კანონი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს პირს, რომლის მუშაკიც თავისი შრომითი (საშსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს. პირი, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს მისი მუშაკის მარ-

თლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანი, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი (სამუშაოს მიმცემი).

მუშაკის მიერ შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის ზიანის მიყენებისათვის სამუშაოს მიმცემი პასუხს აგებს თავისი და არა სხვისი ბრალისათვის. ასეთ შემთხვევაში მუშაკის მოქმედება შეფასებული უნდა იქნეს, როგორც თვით სამუშაოს მიმცემის მოქმედება. ამასთან, სამუშაოს მიმცემი პასუხს არ აგებს, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.

ზიანი შეიძლება ერთად მიაყენოს რამდენიმე პირმა (მაგალითად, რამდენიმე ხულიგანმა ქვები დაუშინეს სხვა პირის ფანჯრებს და ჩალეწეს). თუ ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ ისინი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ასეთი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ ზიანი ზიანის მიმყენებელთა მოქმედების განუყოფელი შედეგი იყოს და თითოეულის მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. დაზარალებულს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ზიანის ნებისმიერი მიმყენებლისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ. ზიანის მიმყენებელს, რომელმაც მთლიანად აუნაზღაურა დაზარალებულს ზიანი, უფლება აქვს თითოეული ზიანის მიმყენებლისაგან მოითხოვოს დაზარალებულისათვის გადახდილი ანაზღაურება წილთა თანაფარდობის საფუძველზე.

კანონი ზიანის უშუალოდ მიმყენებელთან ერთად ითვალისწინებს იმ პირის პასუხისმგებლობასაც, ვინც ზიანის უშუალოდ მიმყენებელი დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი).

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

სატრანსპორტო საშუალების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას (მესაკუთრე, დამქირავებელი და სხვ.) სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან შრომის ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანეები, მფრინავები და სხვ). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა დროს მიეყენა ზიანი – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თუ სატრანსპორტო საშუალების თვითნებურად თავისი პირადი მიზნებისათვის გამოყენებისას. კანონით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ზიანი მიყენებული უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, როცა:

ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს (ტვირთის დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით);

ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ტვირთი (სატრანსპორტო საშუალების

მფლობელმა შეიძლება ტვირთი შესანახად მიიღოს სხვადასხვა საფუძვლით. მაგალითად, თუ ტვირთის დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ წარმოიშვა ტვირთის ვადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველს შეუძლია სასწრაფოდ გადმოტვირთოს ტვირთი, რის შემდეგაც უნდა შეინახოს იგი უფლებამოსილი პირისათვის. როცა სატრანსპორტო საშუალებით მფლობელი შესანახად იღებს ტვირთს. წარმოიშობა მიბარების ურთიერთობა, რაც მიბარების ხელშეკრულების წესებით უნდა მოწესრიგდეს.

გ) ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. იგი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. კიდევ უფრო მკაცრია პასუხისმგებლობა, როცა ზიანი წარმოიშვა საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს. საჰაერო ტრანსპორტის მფლობელი არც დაუძლეველი ძალით მიყენებული ზიანისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი მფლობელობა შეიძლება განახორციელოს პირმა, რომელსაც ამისათვის არა აქვს სათანადო სამართლებრივი საფუძველი, მაგალითად, როცა პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე. (სატრანსპორტო საშუალება გამოვიდა მისი მფლობელობიდან სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით — სატრანსპორტო საშუალების გატაცებით და სხვა). პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი.

სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მაშინაც, როცა პირი სატრანსპორტო

საშუალებას იყენებს ნებართვის გარეშე, მაგრამ ასეთი გამოყენება შესაძლებელი გახდა მფლობელის ბრალის გამო. (მაგალითად, მფლობელმა დატოვა საჭრანსპორტო საშუალება კარის დაუკეტავად, არ გამოიღო გასაღები და სხვ.).

მფლობელის ნაცვლად ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება მოსარგებლეს, თუ ის მფლობელის მიერ დანიშნულია საჭრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს საჭრანსპორტო საშუალება ძას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი).

პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის

შესაძლებელია ნაგებობიდან გამომდინარეობდეს მომეტებული საფრთხე, რომელსაც ქმნის ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მოწოდებული ენერგია, ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებები. თუ ნაგებობიდან გამომდინარე საფრთხის პრაქტიკულად განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, ნაგებობის მფლობელი ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერებების მფლობელსაც, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს.

კანონი მიუთითებს მომეტებულ საფრთხეზე, რომელიც გამომდინარეობს ნაგებობიდან ან ნივთიდან. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება.

შესაძლებელია მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლებიდანაც გამომდინარეობდეს, ვიდრე ზემოთ იყო ჩამოთვლილი.

ასეთ შემთხვევაში ნაგებობის და ნივთის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი.

ნაგებობიდან და ნივთიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დადგება ბრალის გარეშეც. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. თუმცა დაუძლეველი ძალაც არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას, თუ ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობის დაზიანებებით.

რადიაციული ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მიხმა გამომყენებელმა (სამოქალაქო კოდექსის 1000-ე მუხლი).

სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის შედეგად და ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისას, როცა საქმე ეხება პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არ შეიძლება წინასწარ გამორიცხოს ან შეიზღუდოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. (მაგალითად, არ დაიშვება ნაგებობის მფლობელი შეუთანხმდეს მეზობლად მცხოვრებ პირებს იმის შესახებ, რომ თუ საფრთხეს პრაქტიკული განხორციელება მოჰყვა, იგი პასუხს არ აგებს მათთვის მიყენებული ზიანისათვის). აღნიშნული წესი მოქმედებს ნივთებისათვის მიყენებული ზიანის დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისი. დაუშვებელია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე შეთანხმება ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საჯარო-სამართლებრივ ფონდს ან საწარმოს შორის (სამოქალაქო კოდექსის 1002-ე მუხლი).

ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

კანონი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ცხოველის მფლობელს იმ ზიანისათვის, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო თუ გაქცეული. ცხოველის მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში განთავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ მან მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად (სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლი).

პასუხისმგებლობა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის ეკისრება ცხოველის მფლობელს, ეს იმას ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს არამესაკუთრესაც, თუ ზიანის მიყენების მომენტისათვის ცხოველი მის მფლობელობაში იყო (მაგალითად, თუ მესაკუთრემ ცხოველი მიაბარა სხვა პირს).

შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა (მაგალითად, თუ შენობის აივანი ჩამოინგრა და ქუჩაში მიმავალი პირი დაზიანდა, შენობის მესაკუთრემ ზიანი უნდა აანაზღაუროს). სახლის მესაკუთრე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განთავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ შენობის ჩამოქცევა ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევა არ იყო გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით, ან შენობის ნაკლით. მაშასადამე, თუ მესაკუთრე შენობას სათანადოდ უვლიდა, მაგრამ მაინც ჩამოიქცა, ან მისი ცალკეული ნაწილები ჩამოინგრა, ან თუ შენობას აქვს ნაკლი (მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ოდესღაც სახლის აშენების დროს არ გაითვალისწინეს სახლისათვის სათანადო სიღრმის საძირკვე-

ლი). მაშინ მესაკუთრე ზიანისათვის პასუხს არ აგებს.

შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამოცვრემის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მხოლოდ შენობის მესაკუთრეს. ამიტომ პასუხს არ აგებს დაქირავებელი ან სხვა პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით იყენებს შენობას.

პასუხისმგებლობაა აგრეთვე დადგენილი შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით გამოწვეული ზიანისათვის (მაგალითად, პირმა მეორე სართულიდან გადაგდო მისთვის გამოუსადეგარი ნივთი, რამაც გამვლელი დააზიანა, ან გადავარდა აივანზე მდგარი ქოთანი და სხვა). ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით, ან დაზარალებულის ბრალით (მაგალითად, აივნიდან ნივთი გადავარდა მიწისძვრის გამო, ან პირმა ქვა ესროლა აივნის მოაჯირზე მდგარ ნივთს, რომელიც გადავარდა და პირი დაზიანდა).

შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს აგებს არა მხოლოდ მესაკუთრე, არამედ პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი. ასეთი პირი შეიძლება იყოს დაქირავებელი და სხვა (სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლი).

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის

ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. დადგენილია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია ანაზღაუროს დამდგარი

ზიანი. საზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზიანი უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევამ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველს სწორედ ასეთი დარღვევა წარმოადგენს. თუ ადგილი არა აქვს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას, მაშინ სახელმწიფო მოსამსახურე ზიანის მიყენებისათვის საერთო საფუძვლებით აგებს პასუხს. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას, მაშინ იგი სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

პირი, რომლის მიმართ სახელმწიფო მოსამსახურე არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, უნდა შეეცადოს ზიანის თავიდან აცილებას. თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზით თავიდან აეცილებინა ზიანი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა.

ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კანონი მიუთითებს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობის ოთხ საფუძველზე:

ა) უკანონო მსჯავრდება; ბ) სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემა; გ) აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენება; დ) პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრება. პირს, რომელსაც ჩამოთვლილიდან რომელიმე საფუძვლით მიეყენა ზიანი, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. (ზიანი შეიძლება გამოიხატოს ხელფასსა და სხვა შემოსავალში, რაც პირმა დაკარგა აღნიშნულ თანამდებობის პირთან უკანონო მოქმედების გამო სასამართლოს ხარჯებში, თანხაში, რომელიც დაზარალებულმა გადაიხადა იურიდიული დახმარებისათვის და სხვა).

ზიანი სახელმწიფოს უნდა აანაზღაუროს. ამასთან, ზიანი უნდა ანაზღაურდეს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. თუ მითითებული თანამდებობის პირები მოქმედებდნენ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. მაშინ ისინი სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს (სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი).

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები (გამამართლებელი განაჩენი, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა დანაშაულის ნაშნების არარსებობის გამო და სხვ). ამიტომაა, რომ კანონი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევს მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს. თუ არ არსებობს მარეაბილიტირებელი გარემოება, მაშინ არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არსებობს (მაგალითად, ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს პირი, თუ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ამნისტიის აქტის საფუძველზე.

ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას

დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებმაც დაზარალებულის გარდაცვალებით დაკარგეს მარჩენალი, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენა დაზარალებულს ევალებოდა (ესენი შეიძლება იყვნენ არასრულწლოვანი შვილები, შრომისუუნარო მეუღლე და სხვ.). ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის სიცოცხლეში.

ზიანის მიმყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო (მაგალითად, სარჩენის სრულწლოვანების მიღწევამდე).

სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი).

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დადგენილია სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანი შეიძლება იყოს ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზის შედეგი და სხვ. ზიანის ანაზღაურება ხდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის (სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი).

§3. პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის

ზიანი შეიძლება გამოიწვიოს უხარისხო პროდუქტმაც. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს აგებს პროდუქტის მწარმოებელი. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან, ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს ზიანის გამომწვევი პროდუქტი მწარმოებელმა მიაწოდა დაზარალებულს თუ სხვა პირმა. მაგალითად, თუ დაზარალებულმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი შეიძინა, არა უშუალოდ მწარმოებლისაგან, არამედ სხვა პირისაგან, რომელმაც თავის მხრივ პროდუქტი მწარმოებლისაგან შეიძინა, პასუხს მაინც მწარმოებელი აგებს

მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელსა და დაზარალებულს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, რომელთა არსებობის დროსაც უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია. მწარმოებელი პასუხს არ აგებს, როცა:

ა) მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ (აქ ისეთი შემთხვევა იგულისხმება, როცა მწარმოებელმა პროდუქტი კი აწარმოა, შეიძლება რეალიზაციის მიზნითაც, მაგრამ სარეალიზაციოდ არ გაუტანია, მაგალითად, აწარმოა ძეხვი, რომლითაც სტუმრებს გაუმასპინძლდა ოჯახი, მწარმოებელი პასუხს არ აგებს თუ ამ ძეხვმა ზიანი გამოიწვია);

ბ) საქმის გარემოებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას;

გ) მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად, ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;

დ) პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს, ანდა

ე) შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს.

კანონი გამორიცხავს პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობას თუ პროდუქტის ნაწილით კი არ არის ზიანი გამოწვეული, არამედ იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. (მოცემულ შემთხვევაში ისეთ გარემოებასთან გვაქვს საქმე, როცა პროდუქტის ნაწილი ხარისხიანია, მაგრამ ეს ნაწილი მწარმოებელმა საბოლოოდ პროდუქტის შესაქმნელად არასწორად გამოიყენა და პროდუქტმა ზიანი გამოიწვია).

ზიანი შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის ან მის ნაცვ-

ლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. მაგალითად, დაზარალებულმა არადანიშნულებისამებრ გამოიყენა პროდუქტი (წამალი უნდა წაესვა მტკივნეულ ადგილზე, მაგრამ დალია). ასეთ შემთხვევაში მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამორიცხება, მაგრამ თუ ზიანი გამოიწვია პროდუქტის ნაკლმაც, და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებამ, მაშინ მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება (სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი). მესამე პირად ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამყიდველი ან სხვა პირი, რომელსაც სათანადო ინსტრუქტაჟი უნდა ჩაეტარებინა შემძენისათვის.

როცა საქმე ეხება უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას, ბუნებრივია, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიიჩნევა პროდუქტად, როდის არის ის უხარისხო და ვინ არის მწარმოებელი.

პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი. მოძრავი ნივთი პროდუქტად მიიჩნევა. მაშინაც, როცა ეგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს. პროდუქტს მიეკუთვნება ელექტროენერგია.

პროდუქტებს, რომელთა უხარისხობით გამოწვეული ზიანი პასუხისმგებლობას იწვევს, არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). მაგალითად, თუ პირი იწვევს კომბოსტოს სარეალიზაციოდ და მისგან მყიდველი მოიწამლა, პასუხისმგებლობა არ დადგება, მაგრამ თუ სარეალიზაციოდ ამზადებს კომბოსტოს კონსერვს, მაშინ ასეთი კონსერვით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაურდეს. იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ.

მწარმოებლად ითვლება არა მხოლოდ ის, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, არამედ ისიც, ვინც აწარმოა პროდუქ-

ტის ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. თუ ზიანი გამოიწვია პროდუქტის შემადგენელმა ნაწილმა, მაშინ პასუხს აგებს ის, ვინც ეს ნაწილი აწარმოა და ის, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი.

მწარმოებლად ითვლება ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით სასაქონლო ან განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. აქ ასეთი შემთხვევაც შეიძლება ვიგულისხმოთ, როცა მწარმოებლად გამოდის პირი, რომელსაც პროდუქტი არ უწარმოებია. მაგალითად, რომელიმე შპს-მ გლეხებისაგან შეიძინა ხმელი სუნელი, შემდეგ დაფასოვა და თავისი სასაქონლო ნიშნით გაიტანა სარეალიზაციოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხმელი სუნელი შპს-ს არ უწარმოებია, მაინც ის ჩაითვლება მწარმოებლად.

მწარმოებელთან გათანაბრებულია ის პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში. მაგალითად, თუ პირის საქმიანობის სფერო ნივთების გაქირავებაა, მაშინ იგი გაქირავებულ ნივთის მწარმოებლად ითვლება.

შესაძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა შეუძლებელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში მწარმოებლად მიიჩნევა ყოველი მიმწოდებელი. მწარმოებლის შემდეგ პროდუქტმა შეიძლება რამდენიმე მომწოდებლის ხელში გაიაროს. თითოეული მათგანი შეიძლება ჩაითვალოს მწარმოებლად, თუ მწარმოებლის ვინაობა უცნობია, მომწოდებელი არ მიიჩნევა მწარმოებლად, თუ ის დაზარალებულის მიერ ზიანის მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში დაზარალებულს წარუდგენს მწარმოებლის პიროვნებას, ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. მაგალითად, დაზარალებულმა ზიანის ანაზღაურება მოითხოვა იმ პირისაგან, ვისგანაც პროდუქტი შეიძინა, მაგრამ პროდუქტის გამყიდველმა დაზარალებულს მიუთითა იმ პირზე, ვისგანაც თვითონ შეიძინა ეს პროდუქტი. აღნიშნული წესი გამოიყენება საიმპორ-

ტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია. მაშასადამე, საიმპორტო საქონლით გამოწვეული ზიანისას, მწარმოებლად ითვლება თავდაპირველი გამსაღებელი (მიმწოდებელი), ხოლო თუ მისი ვინაობის დადგენა შეუძლებელია, ყოველი მომწოდებელი და ეს მაშინ, როცა პროდუქტის მწარმოებლის ვინაობა ცნობილია (სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლი).

კანონი პროდუქტის ხარისხს უკავშირებს მის საიმედოობას. პროდუქტი უხარისხოდ ითვლება, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. მაგალითად, როცა პროდუქტი მაღაზიაში იყიდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის საიმედოა.

შესაძლებელია მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნეს ბრუნვაში შეტანილი. მაგალითად, მწარმოებელმა გააუმჯობესა პროდუქტი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ადრე წარმოებული პროდუქტი უხარისხოდ ჩაითვალოს (სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი).

თუ ერთი და იმავე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები (სამოქალაქო კოდექსის 1013-ე მუხლი).

უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით (სამოქალაქო კოდექსის 1014-ე მუხლი).

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. უხარისხო პროდუქტის მწარმოებელმა კი არ უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი პროდუქტით არ იყო გამოწვეული, არამედ დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანი პროდუქტმა გამოი-

წვია (სამოქალაქო კოდექსის 1012-ე მუხლი).

პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი. ეს სამი წელი იწყება იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვადითაა შემოფარგლული. მოთხოვნა ქარწყლდება ათი წლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა. თუ ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე მწარმოებლის მიერ პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანიდან ათი წლის შემდეგ გაიგო ზიანის, ნაკლის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, მაშინ მას მოთხოვნის უფლება არა აქვს (სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლი).

მწარმოებლის პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამორიცხოს და არც შეიზღუდოს. საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია. მაგალითად, თუ მწარმოებელი შეუთანხმდება პროდუქტის შემძენს იმის თაობაზე, რომ პროდუქტით ზიანის მიყენების შემთხვევაში ის პასუხს არ აგებს ან აგებს, მაგრამ არასრულად, მაშინ ასეთი შეთანხმება ბათილია. (სამოქალაქო კოდექსის 1016-ე მუხლი).

შინაარსი

ზოგადი ნაწილი 5

თავი I 5

ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ 5

თავი II 10

ხელშეკრულება 10

§1. ზოგადი დებულებანი ხელშეკრულებათა შესახებ 10

§2. ხელშეკრულების დადება 14

§3. ხელშეკრულების შინაარსი 22

§4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 24

§5. ხელშეკრულებათა სახეები 28

§6. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება 31

§7. ხელშეკრულებიდან გასვლა 33

თავი III 37

ვალდებულებათა შესრულება 37

§1. ზოგადი დებულებანი 37

ვალდებულების შესრულების სუბიექტები 40

პირთა შეცვლა ვალდებულებაში 41

ვალდებულების შესრულების საგანი 44

ვალდებულების შესრულების ადგილი 46

ვალდებულების შესრულების დრო 47

შესრულების საგნის ხარისხი 49

უარი ვალდებულების შესრულებაზე 50

§2. ფულადი ვალდებულებების შესრულება 51

§3. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება 53

თავი IV 55

ვალდებულების დარღვევა 55

§1. ზოგადი დებულება 55

§2. მოვალის მიერ ვალის გადაცილება 60

§3. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს 61

თავი V 64

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა 64

თავი VI 76

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი 76

პერსონალური 78

ბე 79
მოვალის გარანტია 80
თავი VII 81
ვალდებულების შეწყვეტა 81
ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით 82
ვალდებულების შეწყვეტა ნოვაციით 84
ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით 85
ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით 86
ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატიებით 88
ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი
ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება 89
ვალდებულების შეწყვეტა მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალებისა
და იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო 90
თავი VIII 91
კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში 91
§1. ზოგადი დებულებანი 91
§2. სოლიდარული კრედიტორები 92
§3. სოლიდარული მოვალეები 94

კერძო ნაწილი 97

თავი IX 97
ნასყიდობის ხელშეკრულება. გაცვლის ხელშეკრულება 97
§1. ზოგადი დებულებანი 97
§2. ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და
მოვალეობები 99
§3. ნასყიდობა გადახდის განვადებით 107
§4. გამოსყიდვა 108
§5. ოფცია 110
§6. უპირატესი შესყიდვის უფლება 110
§7. გაცვლის ხელშეკრულება 112
თავი X 114
ჩუქების ხელშეკრულება 114
თავი XI 117
ქირავნობის ხელშეკრულება 117
§1. ქირავნობის ხელშეკრულების ცნება 117
§2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები 118
§3. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა 125
§4. ქვექირავნობა 129

თავი XII 130
ლიზინგის ხელშეკრულება 130
თავი XIII 132
ოჯარის ხელშეკრულება 132
თავი XIV 137
ფრანშაიზინგის ხელშეკრულება 137
თავი XV 141
თხოვების ხელშეკრულება 141
თავი XVI 143
ხესხის ხელშეკრულება 143
თავი XVII 146
ხარლების ხელშეკრულება 146
თავი XVIII 155
ტურიზმის ხელშეკრულება 155
თავი XIX 159
გადაზიდვის ხელშეკრულება 159
§1. გადაზიდვის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი 159
§2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები 164
§3. გადამზიდველის პასუხისმგებლობა 169
§4. რეკლამაცია (პრეტენზია) და ხარჩელი 176
§5. გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ 178
თავი XX 181
დაკავების ხელშეკრულება 181
თავი XXI 188
ექსპედიციის ხელშეკრულება 188
თავი XXII 192
საშუამავლო ხელშეკრულება 192
§1. ზოგადი დებულებანი 192
§2. შუამავლობა ბინის ქირავნობისას 196
§3. შუამავლობა ხესხებისას 196
თავი XXIII 198
ჯილდოს საჯაროდ დაპირება. კონკურსი 198
თავი XXIV 202
მიბარების ხელშეკრულება 202
თავი XXV 208
სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულება 208

თავი XXVI 214
საბანკო მომსახურება 214
I. ანგარიშსწორების ხელშეკრულება 214
II. ანაბრის ხელშეკრულება 218
III. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება 220
თავი XXVII 224
მრთიერთობითი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება 224
თავი XXVIII 229
სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება 230
თავი XXIX 232
დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება 232
თავი XXX 237
საბანკო გარანტია 237
თავი XXXI 244
თავდებობის ხელშეკრულება 244
თავი XXXII 251
საზიარო უფლებები 251
§1. საზიარო უფლების ცნება 251
§2. საზიარო საგნის მართვა 254
§3. საზიარო უფლების გაუქმება 255
თავი XXXIII 258
დელიქტური ვალდებულებანი 258
§1. ზოგადი დებულებები 258
§2. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები 262
არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის 262
სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 265
დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება 266
საშსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება 266
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის 267
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება 268
პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის 270
ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 272

შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 272
სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის 273
ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას 275
სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 276
§3. პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის 276

Зураб Ахвледиани
Обязательственное право
(на грзинском языке)
Издательство "Самартали"
Тбилиси 1999

Zurab Akhvlediani
Law of Obligations
(in Georgian)
"Samartali"
Tbilisi 1999

Zurab Achvlediani
Obligationenrecht
(in der georgishen Sprache)
Verlag "Ssamartali"
Tbilisi 1999

ტექ. რედაქტორი რ. ჭანტურია
კორექტორი ნ. კობიაშვილი

პირობითი თაბახი 18.
საბეჭდი ქაღალდი №1, 60X84 1/16
ბეჭდვა ოფსეტური.
შეკვეთა №183

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 45

67.99(2Г)3
347(479)22
ა. 998

ფერაბ ახვლედიანი

ველოსიპედი საბურთალოზე